ლექსები

თარგმნა ზურაბ ლორთქიფანიძემ

## არკადი კულეშოვი

ბელორუსიის სახალხო პოეტი

* * *

ყოველმხრივ ვალში დედასთან ვარ, ყოველმხრივ ვალში.
ამაზე ვფიქრობ მოგზაური მთასა თუ ბარში.
დედამ მირწია აკვანი და მაწოვა ძუძუ
პატარას, უძლურს.
მომცა ხის ჯამი, ხის კოვზი და პატარა სკამი
და სიყვარულის გარიჟრაჟი მასვა სისხამი.
მე ვარ სიმღერა საალერსო, განგაშის ხმები,
მე ვარ ყვირილი, ტყეებში რომ ხანძარს შევყევი.
მე ვარ სიკვდილი გაქცეული დასავლეთისკენ,
მტრის მადევარი, ჩემი მიწა და დედა ვიხსენ.
ბოლავდა შვიდი უმძლავრესი მქუხარე ფრონტი,
ჯარისკაცური შემართებით ჩავყევ ბოლომდის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არა, არვისგან მტერთა დანდობა,
ალარ დავუშვებ გადაბუგოს მიწა ატომმა.
თავშესაფარად დედამიწა არ გადაიქცეს,
სიკვდილის ფერი არ დაედოს ამ მზიან სივრცეს.
ვდგავარ ფარაჯაგაუხდელი,
მილიარდ აკვნად არ დაირწეს სამარე ბნელი.

*  *

ველარ ვთვისდებით რატომღაც ერთად,
შენ, სიყვარულო, გარბიხარ შორ-შორს.
შენ გეზიდება სულ სხვა პლანეტა,
მე სხვა პლანეტა მივარცხნის ქოჩორს.
ერთ ორბიტაზე ველარ ვეტევით,
თუმც მარილს მაინც ზიარად ვლოკავთ.
ველარ იტევენ თეთრი კედლები
ჩვენი ფიქრების აბნეულ როკვას.
ველარ ვთანხმდებით, დავას ვუნდებით,
უთანხმოებას გულდაგულ ვჯავშნით,
აღმოსავლეთით თუ შევბრუნდები,
შენ დასავლეთით პირს იზამ მაშინ.
და მაინც ჩემი წილი სამყარო
ჩაიძირება ბნელში სიმწარით,
შენ რომ მრისხანედ წარბი შეჰყარო,
გაქრე, გაფრინდე სხივის სიჩქარით.

## ალექსი ზარეცკი

### ზური

მშურს მყვინთავების — მარგალიტის მაძიებლების,
ზღვის სიღრმეებში რომ სინჯავენ მოლუსკებს ხელით,
მერე ამოვლენ ზღვის ნაპირზე დაქანცულები
და ხელისგულზე მარგალიტი უბრწყინავთ სველი.
ტუჩებზე სისხლი გადმოხეთქავს, თვალთ ულამდება,
ემშვიდობება ზღვას მყვინთავი ტანჯვა-კრთებით,
დაეცემა და ველარასდროს ველარ ადგება,
მაგრამ ხელებში ციმციმებენ მარგალიტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრების ზღვაში ჩამიყოლე, ბედო-ტიტანო!
დედა ბუნების სიღრმეებში, ბუნების ძალნო!
რომ სტრიქონები მარგალიტის ამოვიტანო,
შევეხო მიწას ვალმოხდილი და მივიცვალო.

## კასტუს კირჩენკო

### ვცხოვრობ

ნუ გაგაოცებს დუმილი ჩემი,
რაც ზოგჯერ ზამთრის მდინარეს შემრთავს.
მე მაშინ მუდამ მარტოკა ვრჩები,
არ შემიძლია შემოვლა შენთან.
არც ვისმე ხმობას სევდა არ მაცლის,
გამიგე, კარგო და სულის სწორო.
მე ხომ კაცი ვარ, კაცი ვარ, კაცი,
მთელი არსებით ვღელავ და ვცხოვრობ.
ნურც ის გაკვირვებს, მოხდება ხოლმე,
ხმა აღმომხდება მეხური ჭექით.
და ნურც ის, როცა ჩემი ძალ-ღონე
უხმობს გრიგალებს კლდეებზე შეხლილს.
გამიგო მინდა, დაუძლურების
გადამტანელი არ ვარ ადვილად.
სულ სხვანაირი გავჩნდი ბუნების
და ყვავილებზე ცრემლად მადინა.
ნუ გაოცდები,
როცა თვალებში ნისლებს მიმოვშლი,
როცა განგაშის მსგავსი ოცნება
შევჟრიალდები ლექსის სტრიქონში.
აქ ჩემი ლანდი იმისთვის დადის,
ჩემო ლამაზო, ნაზო და მორცხვო,
ცოცხალ მიწაზე სიცოცხლისათვის
მთელი სიწრფელით უნდა ვიცოცხლო.
ცხოვრებისაკენ ერთი რამ მძალავს, —
ბედნიერება მინთებდეს სახეს.
მე ჩემი სული გადავეც საგზლად
ჩემს მეგობრებს და რაინდულ საქმეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ვსაჭიროებ არავის ღელვას,
იმ ანთებულ წამს ნურც ვინ გამჭორავთ.
ო, ჩემი გული იქნებ ერთხელაც
რაღაც შემთხვევით გავხლიჩო ორად.
არ ძალმიძს ვიყო სიყალბის მსგავსი,
მაცდურ ალერსით სულს ვერ გადავშლი,
ვერც სივრცეს გავყვე ისე, ვით ქარში
მიცურავს სილა მეჩხერ ბალახში.
ან ყვითელ ფოთლებს ვგავდე ნისლიანს,
ტბაზე დაცვენილს მხოლოდ და მხოლოდ;
არ შემიძლია, არ შემიძლია,
მე ხომ კაცი ვარ
და მართლა ვცხოვრობ!..

* * *

რაც ძლიერ მიყვარს, ვუფრთხილდები, ეს კარგად იცის
მშობლიურ ქარმა, მდინარემ და სურნელმა მიწის.
იცის ბალახმა, ცის ლაჟვარდმა, რა ძალა მსდევდა
და იცის კიდევ ცრემლიანმა და ცივმა სევდამ.

როგორ მიყვარდა, ზედმიწევნით იცის ხელებმა,
მე იმ ხელებზე მიკოცნია... წლები ღელავენ.
იცის იმ ჩემი მეგობრის წვამ და ამღერებამ,
ეს იცის ჩვენი ერთად ყოფნის ყველა დღე-ღამემ.

ღიმილს ყოველთვის ღიმილითვე ვეპასუხები,
გული ტოლია ძლიერებით მაგარ მუხების.
მიწას შელებავს გაზაფხულის საღებავები,
მიწას, მე რომლის სიყვარულით აგრე დავები.

□

# აკუტაგავა რიუნოსკე —იაპონია—

## ამგავი სიკეთის საფლაურისა

### მოთხრობა

თარგმნა ედიშერ გიორგაძემ

•

ძინაი მქვია. გვარტომობისას ნურაფერს მკითხავ. რა ხანია ეს სახელი დამანათლეს. ამაკავა ძინაი. თქვენც გეცნოთ განა?! ნუ შეშინდებით, ნურც დაფრთხებით. მოგახსენებთ, ვინცა ვარ. მთელ დუნიაზე ცნობილი ქურდი. არა, ამჯერად საქურდლად არ მოვსულვარ. მშვიდად იყავით. მერწმუნეთ, ასეა.

მესმა, მთელ იაპონიაში კეთილშობილებით გამორჩეული პადრე ბრძანებულხართ. ასე რომ თქვენთვის ვერაფერი პატივია ვილაც ქურდთან ბაასი. მარტო ქურდობა რა დასაკვეხნია... ძინაი ერქვა ძიურაკუს სასახლეში მიწვეულ როსონ სუკეძაემონის ერთ-ერთ ხელქვეითს. ახლა დოქს აღარ იკითხავთ, „წითელთავად“ წოდებულს, ძვირფასეულს რიკიუკოძისათვის?! იმ ოსტატის ნამდვილი სახელიც, ვინაც დოქი ძღვნად გამოგზავნა, ძინაი იყო ხომ? ასე უბნობენ. და განა ომურელი მთარგმნელის სახელიც, ორი-სამი წლის ადრიელ წიგნი რომ დაწერა, „აგაკავა — ნიკი“, ძინაი არ იყო? შემდგომად ამისა, მოხეტიალე მუსიკოსი, კაპიტანი მალდონადო რომ იხსნა სიკვდილისაგან, სანძეგავარაში ატეხილ ჩხუბში? საკაიში, მეძუკის ტაძრის ჭიშკართან უცხოური წამლებით მოვაჭრე? ვინ იყვნენ ისინი? სახელი მათი ძინაი გახლავთ. ვინმე ძინაი. საქმე სააშკარაოზე რომ გამოსულიყო, მაშინ ირწმუნებდით ამას. უკეთესს გეტყვით: ვინაც შარშან წმინდა ფრანცისკოს ტაძარს ოქროს კიდობანი შესწირა, სადაც წმინდა მარიამის ფრჩხილი იდო?! — ძინაი იყო იგიც. ვწუხვარ, დღეისდღით დრო არ მრჩენია წვრილად გიამბოთ ყოველივე. ერთს ვითხოვ ოღონდ, მერწმუნეთ. ამაკავა ძინაი აღცთუ უცხო რამ ფრინველია. ერთი ჩვეულებრივი მოკვდავია ისიც. ყაბულსა ხართ? რახან აგრეა, შეძლებისდაგვარად

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკლედ მოვჭრი. წირვა მინდა აღვავლინოთ ერთი კაცის სულის სახსნელად. ამისათვის გეახელით. არა, ჩემი ნათესავი არ გეგონოთ, ჩემს მახვილსაც არა სცხია მისი სისხლის თუნდ ერთი წვეთი. აღარც კი ვიცი, გავამხილო თუ არა მისი სახელი. იაპონელის, ვინმე პაულოს სულის მოსახსენიებელი მინდა ვთქვა. რაო? გეჩოთირებათ, რაღა თქმა უნდა, მე ხომ ამაკავა ძინაი ვარ. კეთილი, იყოს ნება თქვენი. ვეცდები ახლა ორი სიტყვით მოვყვე ამბავს. პირობა უნდა მომცეთ ოღონდ, კაციშვილთან არაფერი დაგცდეთ, თუნდაც სიცოცხლის საფასურად დაგიჯდეთ ეს. დამიფიცეთ მაგ ჯვარზე, გულზე რომ გკიდიათ. მაინც არა?.. ბოდიშს ვითხოვ (ღიმილი), თავხედობაა ალბათ ჩემი მხრივ, კვლავ ვითხოვ პატიებას, მაგრამ თუ აღთქმას დაარღვევთ (უეცრივ სერიოზულად), ჯოჯოხეთის გეენა თუ აგცდათ, ამქვეყნიური სატანჯველი მოგიწევთ მაინც.

ორ წელზე მეტია, რაც ეს ამბავი მოხდა. ავდრიანი შუაღამე იყო. მე დავბორიალობდი კიოტოს ქუჩებში მოხეტიალე ბერად გადაცმული. მთელი ხუთი დღე მუშტრის თვალით ვაკვირდებოდი შენობებს. ერთი სახლი არ გამომრჩენია მოუთვალიერებელი. რისთვის? თქმა რა საჭიროა. ისედაც ცხადია ყველაფერი, ვგონებ... იმ დროს მცირე ხნით ვეპირებოდი მოვცილებოდი აქაურობას, გავმგზავრებულიყავი სადმე, ზღვის გადაღმა, აი, თუნდაც ამერიკაში და ფული ახლა ისე მჭირდებოდა, როგორც არასდროს.

ქუჩებში, რაღა თქმა უნდა, უკვე დიდი ხნის შეწყვეტილი იყო მოძრაობა და მხოლოდ გაუთავებლად შუოდა ქარი და კრთოდნენ ვარსკვლავები. ბევრი ვუარე გარს ოგავადორის ჩაბნელებულ სახლებს და უეცრივ, როგორც კი გზაჯვარედინთან გადავუხვიე, დიდ სახლს მივადექ. ეს იყო ცნობილი ხოძეი იასოემონის სამყოფელი, ქალაქ ალაგას, კიოტოშიც კი ცნობილი, მაგრამ არცოუ ყველას უმჯობესი „ხოძეის სავაჭრო სახლი“. იგი, მაგალითად, ახლოსაც ვერ მიუდგებოდა კადოკურას საზღვაო ვაჭრობის სახლსა; ასე იყო თუ ისე, ხოძეი ისე არ დარჩებოდა, წყვილი ხომალდი მაინც არ გაესტუმრებინა კოკუსია მუროსა თუ ლუსონში, ასე რომ წელშიც კარგად იქნებოდა გამართული უეჭველად. როცა საქმეზე გამოველ, ეს სახლი უზურში სულაც არა მქონია, ახლა კი, რადგან მაინცდამაინც ზედ გადავაწყდი, უკან აღარ დავიხე. გვიანი ღამე იყო, როგორც ვთქვი, ქარიანი, ყველაფერი ჩემს სასიკეთოდ აეწყო. გზისპირას, საწვიმარ ჯამს უკან გადავმალე ჭილის ქუდი, ჯოხი და უმალ მაღალ მესერს გადავევლე.

რას აღარ ამბობენ ჩემზე. მოსმენად ღირს. ამაკავა ძინაის ძალუძს უჩინარად იქცესო. ყველა და ყოველი ამას უბნობს. ვიმედოვნებთ, ყურს არ ათხოვებთ მდაბიორთა ამ მონაჩმახს. არც უჩინმაჩინის ქუდი გამაჩნია და ეშმაკთანაც არ გახლავართ წილნაყარი. ისე კი, როცა მაკაოში ვიყავ, პორტუგალიური ხომალდის მკურნალმა შემასწავლა საგანთა ბუნება და თუ საქმეს მივასადაგე ეს ცოდნა, მაშინ ვერანაირი ბოქლომი ვერ დამიკავდება (ღიმილი). ათასგვარი ქურდული ხრიკები, კაციშვილს რომ ჯერ არ გაეგო, დასავლეთიდან არ გადმოიღო ჯვართან და ქვემეხთან ერთად ჩვენმა ველურმა იაპონიამ?

საათიც არ გასულა, რომ მე უკვე სახლში შევაღწიე. მაგრამ როცა ბნელ დერეფანს გავცდი, ჩემდა გასაკვირად ამ გვიანობისას ერთ ოთახში სინათლე დავინახე. სინათლეს კიდევ რა უშავს, ლაპარაკიც მოისმოდა იქიდან. თუ ოთახების განლაგების მიხედვით ვიმსჯელებდი, ეს საჩაიე უნდა ყოფილიყო. რა ჩაის სმა აუტყდათ-მეთქი ამ ავდარში, — გამეცინა გუნებაში და უფრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლოს მივჩოჩდი. გამოტეხილი გითხრათ, როცა ხმა გავიგონე, განა თუ იმან შემაწუხა, რომ საქმე დაბრკოლდებოდა, ცნობისწადილმა შემიპყრო, რითი ირთობდნენ თავს ამ გვიანობისას სახლის პატრონი და მისი სტუმარი.

ფუსუმას გავეკარ თუ არა, როგორც ველოდი, კარდალის ბუყბუყიც მომესმა. ამ ხმებთან ერთად ტირილიც გავიგონე. ვინ ტირის-მეთქი ნეტავი? გამკრა გულში და იმავ წამს მივხვდი, ქალი ტიროდა. თუკი ასეთ გამოჩინებულ სახლში შუაღამისას ქალი მოსთქვამს, უბრალო საქმე არავის ეგონოს. სუნთქვა შევიკავე, ჩემდა საბედნიეროდ გვერდზე გაწეულ ფუსუმას ღრიჭოში გავიჭვრიტე და ოთახს მოვავლე თვალი.

ჭერზე ჩამოკიდული ქაღალდის ფარნით განათებული ძველისძველი ნახატი, კედლის წალოში რომ იყო ჩადგმული, ქრიზანთემიანი ლარნაკი... მთელ ოთახსა და მის მოწყობილობას ძველებური იერი ედო, ჩაის სასმელი ოთახის შესაფერი. წალოს წინ, სახით ჩემკენ მოხუცი იჯდა. ჩანდა, თავად იასოემონი უნდა ყოფილიყო. წვრილად ნაქარგი ხაორი ეცვა, ხელები გულზე გადაეჯვარედინებინა, თვალები მიელულა და აყურადებდა ქვაბის თუხთუხს. იასოემონის დაბლით ჩემკენ გვერდულად იჯდა დარბაისელი მოხუცი ქალი, თმის ვარცხნილობას სარჭი უმშვენებდა. იჯდა ასე და დროდადრო იწმენდდა ცრემლებს.

„არაფერი ამათ არ აკლიათ და საჭმუნავი მაინც არ დალევიათ“, — გავიფიქრე მე და ტუჩებზე უნებურად ღიმილმა გადამირბინა. ნუ გეგონებათ, თითქოს რაღაც პირადული ჯავრი მედო გულში ამ ცოლ-ქმრისა, უბრალოდ მეცინება ხოლმე სხვის უბედურებაზე, განურჩევლად, ვინც არ უნდა იყოს. განსაკუთრებულ სიამესა მგვრის, როცა ისეთი ვინმე შემრჩება ხელში, ვისაც ერთი შეხედვით თითქოსდა საწუხი არაფერი უნდა სჭირდეს. ასეთი რამ თავისთავად სასაცილოა (მკაცრი გამომეტყველება), ასე მგონია, კაბუკის თეატრის წარმოდგენას ვესწრებოდე (დამცინავი გამომეტყველება); მე ხომ ის კაცი ვარ, ვისი სახელითაც აგერ ორმოცი წელია ბავშვებს აშინებენ. განა მარტო მე ვარ ასეთი? ჰკითხეთ, ვისაც გნებავთ, რომელია-თქო თქვენი საყვარელი საკითხავი წიგნი? სევდიან მოთხრობას დაგისახელებენ უთუოდ.

ცოტა ხნის შემდეგ იასოემონმა ოხვრით ამოთქვა: — რახან ეს უბედურება მოხდა, რამდენიც გინდა თავში იცე, საქმეს ვერ უშველი, უკან ვერაფერს მოაბრუნებ. გადავწყვიტე, ხვალ, დუქანში ყველას ანგარიში გავუსწორო და დავითხოვო.

ამ დროს ძლიერმა ქარმა შეანძრია ოთახის კედლები და მოსაუბრეთა ხმაც ჩაახშო. იასოემონის ცოლის სიტყვები ყურს აღარ მოსწვდენია. მეპატრონემ ახლა თავი დააქნია, ხელები მუხლებზე დაიწყო და ლერწმისაგან მოწნულ ჭერს მიაბჯინა მზერა, ქუჩი წარბები, წამახული ყვრიმალები და განსაკუთრებით თვალების ნუშისებრი ჭრილი... რაც მეტად ვაკვირდებოდი, მით უფრო ვრწმუნდებოდი, სადღაც უცილობლად მენახა ეს პირისახე.

ო, მეუფეო, ესუ-ქირისიტო-სამა, ძალა მოეც ჩვენს გულებს!

იასოემონმა თვალები მოხუჭა და ჩურჩულით წამოიწყო ლოცვანი, მოხუცი ქალიც ილოცვიდა, ალბათ ისიც შემწეობას შესთხოვდა მეუფეს. მე თვალს არ ვაცილებდი იასოემონის სახეს და აი, როცა ახლად მოიქროლა ქარმა, ჩემს სულში გაკრთა მოგონება ოცი წლის ადრიელ მომხდარი ამბის და მაშინ უკვე გამოკვეთილად მოვიხელე იასოემონის პირისახე ოცი წლის უკან... არა, მოსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოლად არცა ღირს. მოკლედ მოვჭრი. საქმე ასე იყო. როცა მაკაოში მივემგზავრებოდი, კინაღამ დავიღუპე გზაში, ერთმა იაპონელმა მეხომალდემ მიხსნა სიკვდილისაგან. ერთიმეორეს ისე დავცილდით, არც გვარი გვითქვამს, არც სახელი და აღარც შევხვედრივართ აღარაოდეს. ვუცქერდი ახლა და გაოცებას ვიყავ. თვალს ვერ ვაცილებდი მოხუცის სახეს. იასოემონი. ეს იყო უეჭველად მაშინდელი ჩემი მხსნელი. ასე მეგონა, თითქოსდა მის ძლიერ მხრებსა და დაძარღვულ ხელებს მარჯნის რიფებიდან ანაშხეფი ტალღების ქაფისა და სანდალის ტყეების სურნელი სდიოდა ახლაც.

ერთხანს ილოცა იასოემონმა და მერე დინჯად მიმართა ცოლს ამ სიტყვებით:

— აწ მივენდოთ ციური მეუფის ნებას... მგონი, კარდალაც დუღს, ჩაი დამისხი, გეთაყვა.

მოხუცი ქალი, ქვითინს რომ ძლივს იკავებდა, ჩამქრალი ხმით შეეპასუხა:

— ახლავე... ეჰ, რა დასანანია, რომ...

— მაინც დაიწყე არა წუწუნი? „ხოძეა-მარუ“ რომ ჩაიძირა და მთელი ქონება განიავდა, ყველაფერი ეს...

— არა, მაგაზე არას ვამბობ. აი, ჩვენი ვაჟი იასაბურო მაინც გვყავდეს აქ...

ამის გამგონეს კიდევ ერთხელ გამეცინა. ახლა ხოძეას გასაჭირი მახალისებდა. „მოდგა დრო ძველი სიკეთის სამაგიეროს მიზღვისა...“ ეჰ, შესაძლოა ჩემ გარდა არც არავინ იცოდეს ამის ნამდვილი ფასი (დამცინავად). მეცოდებიან კეთილბუნებოვანი ადამიანები, მათ ხომ არარა უწყიან, როგორად გასახარია ქმნა სიკეთისა, ნაცვლად ბოროტებისა.

— აქ რომ არა გვყავს, ეგ უმეტესი ბედნიერებაა.

იასოემონი ნაღვლიანად დააცქერდა ფარანს.

— ის ფული რომ მომცა ახლა, რაც მაგან გაფლანგა, ჩემს ბედს ძაღლი არ დაყეფდა. თავს დავიძვრენდი უეჭველად. ისე კი, როცა გავიხსენებ, წიხლი რომ ვკარი და სახლიდან გავაგდე...

იასოემონმა სიტყვა გაწყვიტა და მე შემომაჩერდა. გასაკვირი არაფერი იყო აქა. სწორედ ამ დროს უჩუმრად გადავწიე კიდურა ფუსუმა — ბერის ტანსაცმელი მემოსა. ჩემეული ჭილის ქუდის ნაცვლად უცხოური თავსაბური მეხურა.

— ვინაა აქაურობის ბატონ-პატრონი?

მოხუცი კი იყო იასოემონი, მაგრამ მაინც ელვის უსწრაფეს წამოიჭრა ფეხზე.

— საშიში არაფერია. ამაკავა ძინაი ვარ, ნუ დაფრთხებით. დიახაც ქურდი ამაკავა ძინაი გახლავართ, მაგრამ ამჯერად სხვა რამისთვის მოველ.

მე თავსაბური გადავიძრე და იასოემონს წინ დავუჯექ.

თავად მიხვდებით უთქმელადაც, რაც მერე მოხდა. მე აღვუთქვი იასოემონს ძველი სიკეთის საზღაურად გაჭირვებიდან მეხსნა. პირობა მივეც, საჭ დღეში მეშოვა ექვსი ათასი კანი ვერცხლი ისე, რომ ერთი დღითაც არ გადამეცდინა ვადისთვის.

ოჰო, ვგონებ, კარს უკან ვიღაცის ნაბიჯის ხმა ისმის?! ღამე მშვიდობისა. ხვალ ან ზეგ კიდევ მოვალ. შემოვაღწევ როგორმე.

მაკაოს ცაზე მოჩანს ერთი თანავარსკვლავედი, „დიდი ჯვარი“ რომ ჰქვია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იაპონიაში კი ვერსად მოლანდავთ. ჰოდა, თუ იმ თანავარსკვლავედივით ამ გავქრი იაპონიიდან, პაულოს სულს წავწყმედ მაშინ, იმ პაულოსას, ვინც შემოგავედრეთ. რაო? აქედან როგორ გავალ? მეტი სადარდო ნუ მოგცეთ ღმერთმა. ჭერში ამოჭრილი მაღალი ფანჯარა ანდა ბუხარი რისი მაქნისია აბა? ეს არაფერი. მე იმასა გთხოვთ ოლონდ, ხმა-კრინტი არავისთან დაგცდეთ, ღვთის გულისათვის.

## ხოძეი იასოემონის მონაყოლი

თქვენო მოწყალებავ! შემოგთხოვ მოისმინოთ ჩემი აღსარება. მოგეხსენებათ, იარება მიწის პირს ქურდი ვინმე ამაკავა ძინაი. ვისზედ ამდენი მითქმა-მოთქმაა ატეხილი ამ ბოლო ხანს. მესმა, ამაკავა ძინაი ყოფილა თურმე ის კაცი, ვინაც ნეგოროდერის ტაძრის კოშკში ჩასახლდა, ვინაც მახვილი წარსტაცა კამპაკუსა, და იგიც, შორს, ზღვის გადაღმა თავს რომ დაესხა ნაცვალ ლუსონს. ალარ დასცალდა. ბოლოს და ბოლოს გაუთოკიათ მიდორიბასის ხიდთან. როგორც იქნა მოიხელთეს და იტიძებში ბამბუკის მარგილზე ჩამოაცვეს მისი მოკვეთილი თავი. შესაძლოა, თქვენამდეც მოაღწია ამ ამბავმა. დიდი სიკეთე გამიწია მე სწორედ ამ ამაკავა ძინაიმ, ამავ სიკეთემ დიდ საწუხველში ჩამაგდო. ამიტომაც გეახელით, რომ მომისმინოთ, მთელ ვითარებას მოგახსენებთ მომხდარი ამბის, შემოგთხოვთ ილოცოთ, იქნებ უზენაესმა წყალობა მოიღოს ცოდვილი ხოძეი იასოემონის მიმართ.

ორი წლის წინათ მოხდა ესა. ზამთარში ზღვაში დაიძირა ჩემი ხომალდი „ხოძეი-მარუ“, ქარბუქი დაეტაკა და საქმეში დაბანდებული ფულიც ისე გამომეცალა ხელიდან, ვითომ არც მქონია. ერთ უბედურებას მეორე მოჰყვა და საბოლოოდ „ხოძეის სავაჭრო სახლი“ არამცთუ გალარიბდა, სულ გაკოტრდა და გაპარტახების პირს მიდგა. ქალაქში ხალხს მარტო ფულზე აქვს თვალები დაქაჩული, ამხანაგი სანთლით საძებარია. სად ნახავ, გაგიგონია?! და ჩვენი საქმეც იმ ხომალდივით წაიღო წყალმა... ერთხელ ღამით... ჩემს სიცოცხლეში ვერ დავივიწყებ... ავდრიან კუნაპეტში მე და ცოლი ვლაპარაკობდით, ალარც გვახსოვდა, თუ რა დრო იყო. უეცრივ გამოგვეცხადა ბერის ტანსაცმლით მოსილი კაცი, უცხოური თავსაბური ეხურა. ის იყო სწორედ ამაკავა ძინაი. გამიკვირდა; შევშინდი და გავბრაზდი კიდეც. ალაპარაკდა და აი, რა გაიოქვა — საქურდლად შემოპარულიყო ჩემს სახლში, მაგრამ შუქმა და საუბრის ხმამ შეაკავა თურმე, საჩაიედან რომ გამოდიოდა. ფუსუმას ხვრელში შეუჭვრეტია და გაოცებულა — უცვნია თავისი კეთილისმყოფელი ხოძეი იასოემონი, ვინაც სიკვდილს გადაარჩინა ოცი წლის წინათ.

ეს რომ მითხრა, მეც გავიხსენე; როცა ფუსუტას ვატარებდი მაკაოში, ერთი უწვერული იაპონელი გადავარჩინე, ჩინელი რომ შემოკვდომოდა მთვრალს ჩხუბში. მდევრებს დავუმალე. და ახლა ჩემ წინაშე წარმომდგარი ცნობილი ქურდი ამაკავა ძინაი ის იაპონელი გამოდგა.

საბედნიეროდ, სახლში უკვე ყველას ეძინა. ვერავინ შეიტყო მისი მოსვლა, — რაც იყო, იყო, ახლა რა გინდა-მეთქი, — ასე ვუთხარი. მიპასუხა, ძველი სიკეთის გადახდა მინდა, თუკი შევიძლე, „ხოძეის სახლი“ მსურს უბედურებისაგან ვიხსნაო. მერე თანხა რამდენიაო საჭირო, — იკითხა; უნებურად მწარედ გამეცინა. მე, ხოძეი იასოემონს ქურდი მთავაზობდა შემწეობას. სასაცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო კი არა, სატირალი იყო. ახლა ესეცა ვთქვათ, ამოდენი ფულის პატრონს, თუნდაც ამაკავა ძინაისებრი ნამდვილი ქურდის სისხლი ედგას ძარღვებში, სხვის ქონებაზე თვალი აღარ დარჩება. არც ჩემს სახლ-კართან არაფერი ესაქმებოდა. თანხა მაინც დავუსახელე. ძინაიმ ოდნავ გვერდზე გადახარა თავი, თითქოსდა არაფერიაო, და აღმითქვა, ყველაფერს მოვაგვარებო. უზარმაზარ თანხას შეადგენდა ჩემთვის საჭირო ფული — ექვსი ათასი კანი ხუმრობა ხომ არ იყო — ამიტომაც ვინ იქნებოდა ამის თავდები, რომ ძინაი ამდენს ასე უცებ იშოვიდა. ელოდე ახლა, როდის გაგიმართლებს. ამას სჯობია ხელი აიღო თამაშზე. მტერი იყოს ამის იმედზე-მეთქი, — ასე ვფიქრობდი.

იმ ღამით ძინაიმ გულმშვიდად დალია ჩაი, ჩემმა მეუღლემ რომ მიართვა და ღამეს მისცა თავი. მეორე დღეს არ გამოჩნდა, არც მესამე დღით. დადგა მეოთხე დღე. თოვლი მოვიდა, ჩამოღამდა კიდეც, მაგრამ ძინაი არა და არ ჩანდა. ადრეც ვთქვი, არა მჯეროდა ძინაის დანაპირებისა, მაგრამ დუქნიდან არც არავინ დამითხოვია და არც ანგარიში გამისწორებია არავისთვის. ჩანდა, სულის როგელიღაც კუნჭულში მაინც კიაფობდა იმედის ნაპერწკალი. მეოთხე დღეს მართალია ძველებურად ვიჯექ ჩაის ოთახში, ფარანქვეშ, მაგრამ მთელი გულისყური გარეთა მქონდა, ჩქამი არ გამომპარვია.

დიოდა ღრო და უეცრივ ბაღში, საჩაიეს მხრით ატყდა ხორიო-ბორიო, ვიღაცეები ჩხუბობდნენ, ასე ჰგავდა. ძინაიზე ფიქრმა გამკენწლა გულში, — ყარაულებმა ხომ არ დაიჭიროს-მეთქი, მერე ბაღში გამავალი სიოძი გავწიე და ფარანი მივანათე. საჩაიეს წინ, ღრმა თოვლში, იქ, სადაც ჩამოწოლილიყო ბამბუკის ტოტები, ორი კაცი შეჭიდებოდა ერთმანეთს. ერთმა ხელი ჰკრა მეორეს, ხეებს გაერია და გალავანს მიაშურა. აშრიალდა ჩამოცვივნული თოვლი, გალავნის თავზე ხრიშინი ატყდა, მერე სიჩუმე ჩამოვარდა. ჩანდა, გაქცეული სამშვიდობოს გავიდა. მეტოქე არ გადევნებია, მან თოვლი ჩამოიბერტყა და მშვიდად შემოიახლოვდა.

— ამაკავა ძინაი ვარ.

გაოცებული მივაჩერდი, როგორც იმ ღამით, ახლაც უცხოური თავსაბური ეხურა და ანაფორა ეცვა.

— რა აურზაური ატეხეთ? ბედი, რომ არავის გაუღვიძია.

ძინაი ოთახში შემოვიდა და გაიცინა.

— არაფერია. სწორედ მაშინ, როცა სახლში შემოვაღწიე, დავინახე, ვიღაც იატაკის ქვეშიდან ეპირებოდა აქ შემოძრომას. ჩავიჭირე, მინდოდა გამეგო, რა კაცი იყო, მაგრამ გამექცა.

მე ყარაულების შიში მქონდა, ვინმე მათგანი ხომ არ იქნებოდა-მეთქი, ვკითხე. არა, ქურდი უნდა ყოფილიყო, — თქვა ძინაიმ.

ქურდი ეპირებოდა ქურდისავე დაჭერას. ამაზე მეტ საოცრებას ნახავს განა რასმე კაცი?! ახლა უკვე მე გამეღიმა. რა მაცინებდა, ჯერ ხომ არ ვიცოდი, როგორ იყო ფულის საქმე. სული მიწრიალებდა. პირის გაღებაც არ მაცალა, თითქოს ჩემს აზრებს კითხულობსო, ძინაიმ დინჯად შეიხსნა ქამარი და ბუხრის წინ ჩამოალაგა ფულის ქისები.

— ექვსი ათასი კანია აქა. უმეტესი ნაწილი გუშინვე მოვახაზირე, მაგრამ ორასი ვერა და ვეღარ ვიშოვნე. ამიტომაც შემაგვიანდა. ახლა თანხა სრულია. ავიღე და იატაკქვეშ დავფალი. და იმ ქურდმაც ალბათ იყნოსა ვერცხლის კვალი.

სიზმარში მეგონა თავი. ვერ ვიქცეოდი საქებრად. სხვისი თქმა რად მინდა, განა მე არ ვიცი? ისე კი, ვიდრე იმის ფიქრში ვიყავ, იშოვნიდა თუ არა ფულს, ამ საქმის ავკარგიანობა აღარ მადარდებდა. ამიტომაც იყო, ახლა ასე უბრალოდ უკვე ველარ ვიტყოდი უარს. უკან მიმებრუნებინა ეს ფული? ხელი უნდა გამეშვირა მაშინ ქუჩაში. ნუ გამკიცხავთ, შემინდეთ ეს საქციელი.

ქედი მოვიხარე ძინაის წინაშე, ხელები იატაკზე დავაწყე და უსიტყვოდ ავტირდი.

ამის შემდეგ ორი წელი არაფერი მსმენია ძინაის ასავალ-დასავლისა. მაგრამ არ ვივიწყებდი, რომ მე მისი წყალობით გადავრჩი გარდაუვალ გაკოტრებას და დროდადრო მარია-სამას შევავედრებდი ამ კაცის თავს. მაგრამ ფუჭად ჩამიარა ლოცვამ. ამ დღეებში ქალაქს მოედო ამბავი, ძინაი შეუპყრიათ და მისი თავი მოდორიბასის ხიდთან მარგილზე ჩამოუცვიათო.

შევძრწუნდი. სიმართლე გითხრათ, ცრემლებიც ვღვარე მალულად. რას იზამ, როცა გაიხსენებ, რომ ეს საზღაურია ყველა იმ ბოროტებისა, რაც მას მოუმოქმედებია, ენა აღარ მოტრიალდება რამის სათქმელად. ეს კი არა, გასაკვირია, ამდენ ხანს როგორ აცადა ღმერთმა, აქამდე როგორ არ უწია ცოდვებმა. მე მაინც მინდოდა სიკეთე გადამეხადა და ერთხელ მაინც მეთქვა მისი სულის შესანდობარი. თუნდაც მალულად. სწორედ ამ მიზნით წაველ იმ დღეს სრულიად მარტო მოდორიბასის ხიდთან სარზე ჩამოცმული თავის სანახავად.

როცა ადგილას მიველი, ხალხი დამიხვდა თავშეყრილი. იქვე ეყუდა დაფა, რაზედაც დასჯილის დანაშაულთა სია ეწერა, გუშაგებიც იქვე იდგნენ. ყველაფერი ისე იყო, როგორც წეს არს. ერთად შეკონილ ახლადმოჭრილ ბამბუკის სამ ღერ სარზე სისხლში მოთხვრილი შემზარავი თავი იყო ამართული. ღმერთო ძლიერო, ეს რა ვნახე? აყაყანებული ბრბო ძვლებს მალეწავდა, მე კი ვიდექი და გაქვავებული მივჩერებოდი ამ გადაფითრებულ თავს, ეს არ იყო ძინაის თავი. სქელი წარბები, წამახული ყვრიმალები, წარბებშუა ნაჭდევი ჭრილობა... არაფრით არ მოჰგავდა იგი ძინაის, იგი... ისე შემეშინდა, თვალის ჩინი კინალამ წამერთვა. ეს არ იყო ძინაის თავი, ჩემი საკუთარი თავი იყო ესა. ოღონდ ახალგაზრდასი, ოცი წლის წინათ, ამაკავა ძინაი როცა ვიხსენი სიკვდილისაგან, იმდროინდელი ახალგაზრდასი. იასაბურო... ნუთუ შენ... ენა ჩამივარდა, თორემ ვიბღავლებდი ალბათ, მაგრამ ჩუმს ვერ ვიღებდი, ისე მიძაგძაგებდა მთელი სხეული.

იასაბურო. მივშტერებოდი ღვიძლი შვილის მოკვეთილ თავს და ზმანებაში ვიყავ, მეგონა. ოდნავად უკან გადაზნექილ თავს ქუთუთოები ნახევრად მოხურვოდა და ასე მიცქერდა. იქნებ შეცდომით ძინაი ეგონათ ჩემი შვილი. შესაძლოა, მაგრამ დაკითხვა ხომ გამოავლენდა სინამდვილეს. იქნებ ჩემი შვილი იწოდებოდა ამაკავა ძინაიდ და ის იყო სწორედ ჩემს სახლში შემოპარული ბერად გადაცმული ქურდი. თვითმარქვია! ათასგზის არა. ძინაის გარდა მთელ იაპონიაში ვერავინ მოახერხებდა დათქმულ ვადაში, სულ რაღაც სამ დღეში ექვსი ათასი კანი ეშოვა.

მაშინ... მე უეცრივ ცხადლივად წარმომესახა იმ უცნობის იერი, ვინაც ორი წლის წინათ ბაღში ებრძოდა ძინაის. ვინ იყო იგი? იქნებ ჩემი შვილი. ალბათ, ალბათ, მე ერთი მოვკარი თვალი და მაინც არ გამომრჩენია, რომ იგი მოჰგავდა ჩემს შვილს. იქნება შევცდი? და თუ ჩემი შვილი იყო ისა, თუ ეს ასე იყო... თითქოსდა ბინდი გადამეცალა თვალთაგან, გამოვერკვიე, თავს დავაშტერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი. და მაშინ გალურჯებულ, უცნაურად მოღიავებულ პირზე რაღაც ღიმილის მაგვარი შევნიშნე.

სარზე წამოცმული თავი იღიმებოდაო?! გაგეცინებათ, აბა რა იქნება, ამის გამგონეს. მეც კი მეგონა, ალბათ მეჩვენება-მეთქი. მაგრამ რამდენსაც მეტს ვუყურებდი — ამ გადამხმარ ტუჩებს აშკარად ეჭდია ღიმილის ნიშანი. დიდხანს ვერ მოვაცილე თვალი ამ უცნაურად მოღიმარ ტუჩებს. ჩემდა შეუმჩნევლად მეც გამეღიმა, ასე გასინჯეთ, და ამ ღიმილთან ერთად ცხარე ცრემლიც წარმდინდა ღვარად.

„შემინდე, მამავ!“ — ეს ებეჭდა ამ უტყვ ბაგეზე.

„შემინდე, მამაჩემო, უღირსი შვილი ვიყავ რადგანაც. ორი წლის წინათ, თოვლიან ღამით სახლში მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის შემოვიპარე, პატიება მინდოდა მეთხოვა, ოჯახში მსურდა დავბრუნებულიყავ, დღისით მერცხვინებოდა, ვინმეს თვალი არ მოეკრა ჩემთვის დუქანში, გვიანობამდის ვიცადე ამიტომ, დავუკაკუნებ საწოლ ოთახში და სიტყვას ვეტყვი-მეთქი, ასე ვფიქრობდი. გულით გავიხარე, როცა საჩაიეში სიოძებს შორის სინათლე დავლანდე, ფეხუჩუმრად გამოვემართე იქითკენ და მაშინ უცაბედად და უსიტყვოდ ვიღაც მწვდა ყელში. რაც მერე მოხდა, თავადაც უწყით. ულოდნელად თავგზა დამებნა. ახლა მამაც რომ გამოჩნდა, სულ ავირიე, ხელი ვკარი თავდამსხმელს და მესერს გადავევლე.

თოვლის ნაშუქზე ჩემს მტერს მაინც მოვავლე თვალი. რარიგ გავოცდი, ნეტავ იცოდეთ, ბერი რომ აღმოჩნდა. ვიცადე ერთხანს, როცა დავრწმუნდი, არავინ მომდევდა, თამამად გამოვწიე ხელმეორედ საჩაიესაკენ და სიოძებს მისაფრებულმა მოვისმინე თქვენ ორთა საუბარი. სიტყვაც კი არ გამომრჩენია.

რახან ძინაი ჩვენს სახლს კეთილ სულად მოევლინა, გულში ამოვიჭერი, გასაჭირში მეც ამოვდგომოდი მხარში, სიცოცხლეც კი არ დამეზოგა მისთვის: ჩვენი ოჯახიდან მარტო მე ვიყავ დარჩენილი, ვისაც ეს უნდა ეკისრა, და ვის მერე?! სახლიდან გამოგდებულ მაწანწალას, ბოგანოს. ორი წელი ვეძებდი ხელსაყრელ შემთხვევას. და აი, დადგა ამის დროც. მომიტევე, მამავ, არ ღირს ვარ შენი, უძღები შვილი ვიყავი. მართალია, ასე დამყვა დედის საშოდან, მაგრამ ხომ ვზღე ჩვენი ოჯახისათვის გაწეული სიკეთე: ესღაა ჩემი ნუგეში“.

სიცილ-ტირილით მოვდიოდი გზად სახლისაკენ. მეამაყებოდა ჩემი შვილის კეთილშობილება. თქვენ არც კი იცით, იასაბურო ჩვენი რჯულისა იყო და სახელიც დაანათლეს, პაულო, მაგრამ ბედნიერებას ვერ დაიკვეხნიდა, არც ჩემი ყოფაა სახარბიელო. ამაკავა ძინაის არ გადაერჩინა ჩემი ოჯახი, იქნებ ამ დღეში არ ჩავვარდნილიყავი. ერთი ფიქრი მსდევს თან და არ მაძლევს მოსვენებას. რომელი იყო უმჯობესი, ავცდენოდი გაკოტრებას თუ შვილი მყოლოდა ცოცხალი?! (უეცრივ გამწარებით) მიშველეთ ვინმემ. თუ ასე გაგრძელდა, იქნება ჩემი სახლ-კარის ქომაგი ოჯახის დამაქცევარივით შევიძულო (გაბმული ქვითინი).

## იასაბუროს მონათხრობი

ო, დედაო-წმინდა მარია-სამა! ხვალ გამთენიისას მომკვეთენ თავსა. დაგორდება თავი მიწაზე, სული კი ფრინველივით შენკენ გამოქროლდება. ვინ იცის, ნაცვლად პარაისოს (სამოთხე) ნეტარებისა შთავვარდე ინფერუნოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვენას შინა. არას ვნაღვლობ, ვილხენ მთელი სულით და გულით, ჯერ არაოდეს გამხარებია აგრეროგად.

ხოძეი იასაბურო გახლავართ დიახაც, მაგრამ ხვალ დილით, ხალხის თვალის სასეიროდ სარზე წამოცმულ ჩემს თავს ამაკავა ძინაის სახელი ერქმევა. ეს იქნება ამაკავა ძინაის თავი. ასე იქნება ეს. მე ამაკავა ძინაი გავხდები, ამიხდა ნანატრი. ამაკავა ძინაი? რაო?! იქნებ ვინმეს არ მოეწონოს?! საგანგებო სახელია, მე და ჩემმა ღმერთმა. წარმოვთქვამ ამ სახელს და ასე მგონია, თითქოსდა ჩემი დილეგი შროშანებითა და მაისის ვარდებით მოირთო.

ზამთარში მოხდა ესა. ორი წლის უკან, იმ დაუვიწყარ თოვლიან ღამით მამაჩემის სახლში შევიპარე, ფული მინდოდა მომეჩხრიკა, მე ხომ სხვა სიკეთესთან ერთად მოთამაშეცა ვარ. საჩაიეს სიოძებიდან სინათლე კრთოდა ჯერ კიდევ. მინდოდა ჩუმად შემეჭვრიტა, მაგრამ უეცრივ ვიღაცამ ხელი მტაცა. შემოვბრუნდი და ვეტაკე მტერს, ვინ იყო, არ ვიცოდი. ჩანდა, უბრალო ვინმე არ იქნებოდა, ისეთი ძალა ჰქონდა. ჭიდაობისას გაიღო საჩაიეს სიოძები, ფარანის შუქი დაეცა ბალსა, მამა იდგა კარის ზღურბლზე, მამაჩემი იასოემონი. უკანასკნელი ძალისხმევით გამოვინთავისუფლე სხეული, დავუძვერი როგორც იქნა მტრის უჩვეულოდ მჭიდე ხელებს და ბაღიდან გავვარდი.

ნახევარი კვარტალი გავირბინე თუ არა, ფარდულთან დავიმალე და იქაურობა მოვზვერე. ქუჩაში სულიერი არ ჭაჭანებდა, სრული სიმშვიდე იდგა და ღამის ნისლში დროდადრო თუ აიჭრებოდა თოვლის თეთრი მტვერი. ჩანდა, თავი მანება ჩემმა მეტოქემ, დევნა აღარ ღირსო, იფიქრა და ხელი ჩაიქნია ალბათ. მაინც ვინ იყო? ვერაფრით მივხვედრილიყავი. რამდენადაც გავარჩიე, ბერის სამოსი უნდა სცმოდა. ღონე ჰქონდა მართლაც საკვირველი, თან ბრძოლაშიც ნაცადი ჩანდა, ხერხებსაც ჰფლობდა მუშტი-კრივისას, არამც და არამც უბრალო ბონზა არ უნდა ყოფილიყო. ანდა ამ თოვლიან ღამით ბაღში რა ესაქმებოდა ბონზას. ვკვირობდი და ვერაფერი გამეგო. ცოტა ხანს ვიფიქრე და მერე გადავწყვიტე, ერთხელ კიდევ მივპარვოდი საჩაიეს. იქნებ რაიმე შემეტყო.

განვლო საათმა. ფრიად საეჭვო მოხეტიალე ბერმა ისარგებლა იმით, რომ თოვა შეწყდა და გაყვა ოგოვადორის ქუჩას. ეს ამაკავა ძინაი იყო, სამურაი მოქალაქე, მოხეტიალე მუსიკოსი, მოშაირე კაცი, ვისაც შეეძლო ათასნაირად ეცვალა იერი, მთელ კიოტოში ცნობილი ქურდი. მალულად მივსდევდი მის კვალს. ასე გახარებული არასოდეს ვყოფილვარ. ამაკავა ძინაი! ამაკავა ძინაი! როგორ ვინატროდი მას, რამდენჯერ დამსიზმრებია კიდეც. ვინაც მახვილი წარსტაცა კამპაკუს, ვინაც სიამუროაში მარჯანი დასტყუა ათას თოკში გამოვლილ მფლობელს მარჯნისას, ვინაც კიარას ხე მოჩეხა ბიძენის პროვინციის მმართველის სამფლობელოში, ვინაც საათი აართვა კაპიტან პერეირას, ვინაც ხუთ ბეღელს დახსნა კარები და მიკავას რვა რჩეული სამურაი გაისტუმრა მოუსავლეთში და მრავალი და მრავალი საკვირველზე საკვირველი, საუკუნეთა მანძილზე დაუვიწყარი და ამბად დარჩენილი ბოროტებით დაზაფრა ხალხი, ძინაი გახლდათ სწორედ... ყველა ამაების ჩამდენი. და ახლა ცხვირზე ჩამოწეული ჭილის ქუდით ქუჩაზე, თოვლიან ბინდბუნდში მიაბიჯებდა სწორედ ეს ძინაი. მე შემეძლო საკუთარი თვალებით მეცქირა მისთვის. ეს დიდი ბედნიერება იყო უდავოა, მაგრამ მეწადა უფრო ბედნიერი ვყოფილიყავი.

როცა ძეგონძის ტაძრის უკანა მხარეს მივაღწიეთ, სწორედ მაშინ იქ წამოვეწიე ძინაის. უკაცრიელი ალაგი გახლდათ, მიწაყრილი აზვინულიყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელ გაყოლებაზე. დღისით-მზისითაც კი ზედგამოჭრილი იყო ეს ადგილი მდაბიო ხალხს გარიდებული კაცისთვის. ძინაიმ შემომხედა, წამით არ შეშინებია და დაჯერებულად შედგა. მდუმარედ დაეყრდნო ჯოხზე, თითქოსდა ელოდა, რას ვეტყოდი. მე მორჩილად დავეშვი მის წინ მუხლებზე, ხელები წინ დავიწყვე, მაგრამ როცა მის მშვიდ გამოხედვას წავაწყდი, ენა ჩამივარდა და ხმა ჩამიწყდა.

— მომიტევეთ, მე იასაბურო გახლავართ, ძე ხოძეი იასოემონისა,— წამოვიწყე როგორც იქნა. სახე მიხურდა ერთიანად. — უკან გამოგყევით, რადგან სათხოვარი მაქვს თქვენთან.

ძინაიმ თავი დააქნია. ისე დამძლია სულმოკლეობამ, ამაზეც დიდად მადლიერი დავრჩი. მერე მომეგო სითამამე და მოკლედ მოვუთხრე, როგორ გამომაგდო მამამ სახლიდან და ახლა ყოველი ჯურის გარეწრებში რომ ვარ გარეული, ამ ღამით როგორ შევიპარე მამაჩემის სახლში საქურდლად, მას, ძინაის რომ გადავაწყდი მოულოდნელად. ძინაისა და მამას საიდუმლო საუბარს რომ ვუსმინე, ყველაფერი ეს ორიოდ სიტყვით ვამცნე. ხელები ისევ თოვლზე მედო. ძინაი კვლავინდებურად ცივად მომჩერებოდა, ტუჩები მოეკუმა, ხმა არ გაუღია. როცა მოყოლას მოვრჩი, წინ წავჩოჩდი ცოტათი და დაჟინებით ჩავაცქერდი სახეში.

— ხოძეის სახლ-კარზე გაწეული ამაგი მეც მავალდებულებს. ამის ნიშნად გადავწყვიტე თქვენი ხელქვეითი შევიქნე. გთხოვთ მიმსახუროთ, ქურდობაც ვიცი, ხანძრის გაჩენაც, ჯიბგირობაშიც არავის დავუდებ ტოლს.

დუმდა ძინაი. გული ამიძგერდა, უფრო მხურვალედ ავლაპარაკდი.

— გთხოვთ მიმსახუროთ. არაფერს დავიზარებ. კიოტო, ფუსიმი, საკაი, ოსაკასად არა ვარ ნამყოფი. თხუთმეტი რი შემიძლია ფეხით დავფარო ერთ დღეში. ცალი ხელით ტომარას ვეწევი, ოთხ ტოს რომ იწონის ისეთს. ორი-სამი კაცი მეცა მყავს მოკლული. მიმსახურეთ, გვედრით. თქვენი გულისთვის ცეცხლში ჩავვარდები. ფუსიმის ტაძარში თეთრი ფარშავანგი ჰყავთ, ოლონდაც მოისურვეთ და მერე მე ვიცი. სიტყვა რომ დაგცდეთ, სანტო ფრანციისკოს სამრეკლო დაწვიო, დავწვავ, დავბუგავ ერთიანად. უდაიძინის ასულსაც, თქვენი სურვილი იყოს ოლონდ, უმალ აქ მოგგვრით და ქალაქის თავის გოგრასაც მოგიტან, თუკი ინებებთ.

უეცრივ წიხლი მომხვდა და უკან გადავვარდი.

— რეგვენო!

ასე შემამკო თუ არა, მოინდომა გამცლოდა, მაგრამ მე გადარეულივით ჩავაფრინდი ანაფორის კალთაზე. — არ მოგეშვებით არასგზით. ცეცხლში და წყალში ჩავვარდები თქვენი გულისთვის. აი, მეფე-ლომი ეზოპეს მოთხრობაში თაგვმა არ გადაარჩინა? ის თაგვი გავხდები... მე...

— ხმა ჩაიგდე. ლაწირაკო... ეგლა მაკლია, შენს იმედად ვიარო. არა შეჯდა მწყერი ხესა. არა იყო გვარი მისი. თახსირო. ჯობდა დამჯერი შვილი ყოფილიყავ.

და ძინაიმ მეორედ ჩამაზილა წიხლი.

ახლა კი ბრაზი მომერია...

— ვნახოთ აბა, მე ჩემსას ვიზამ.

ძინაიმ არც მომხედა. სწრაფად მიაბიჯებდა თოვლზე. ღრუბლებიდან გამოცურებული მთვარის შუქზე ძლივსღა მოსჩანდა მისი ჭილის ქუდი... ორი წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალარ მინახავს მას მერე (იცინის უეცრივ)... „ეგლა მაკლია, შენს იმედად ვიარო“.

— ასე არა თქვა? ხვალ კი გამთენიისას ძინაის მაგიერ მე მომკვეთენ თავს.

ო, დედაო-წმინდავ მარია-სამა?! როგორ ვიტანჯე ეს ორი წელი, ძინაისთვის სიკეთის გადახდის სურვილი მახრჩობდა. არა იმდენად სიკეთისა, რამდენიც წყენინების, მაგრამ სად მეპოვა ძინაი? სად იყო, რას აკეთებდა, იცოდა ვინმემ განა? ყველაფერს თავი დავანებოთ, როგორი იყო შესახედავად? არც ეს უწყოდა არავინ ადამისშვილთაგან. მე რომ ბერი შემომხვდა, ტანმორჩილი იყო, ხნოვანებით ასე ორმოციოდე წლის. მაგრამ ის, ვინაც დაიარებოდა იანაგიმატის თავშესაქცევი სახლების კვარტალში, განა 30 წლის მოხეტიალე სამურაი არ იყო, ყირმიზ სახეს ულვაშები რომ უმშვენებდა? ახლა წელში ოთხად მოკაკული წითელთმიანი უცხოელი, რომელმაც, როგორც ამბობენ, ჩაშალა კაბუკის თეატრის წარმოდგენა. შუბლზე კულულებჩამოყრილი ყმაწვილი სამურაი, მეკოკუძის ტაძრიდან განძი რომ წარიტაცა?.. თუ ისე ჩავთვლით, რომ ყველაფერს ამას ძინაი სჩადიოდა, მაშინ მისი ნამდვილი სახის დადგენა აღემატება ჩვეულებრივი მოკვდავის ძალებს... ამასობაში სისხლის ღებინებაც დამეწყო, გასული წლის ბოლოდან ასე ვარ.

არა. დამცირებას არ შევარჩენ. რაიმეთი უნდა გადავუხადო. ძვალი და ტყავი დავრჩი, სინათლე გამდიოდა ლოყებში, მე კი ამაზე ვფიქრობდი დღენიადაგ. და აი, ერთხელ ღამით ბრწყინვალე აზრი დამებადა. ო, მარია-სამა! ო, მარია-სამა! ეს აზრი უდაოდ შენმა სიკეთემ ჩამაგონა. სისულელეა არ გეთმობოდეს სისხლის ნთხევით განაწვალები, ჩამომხმარი სხეული, საკმარისია შეელიო მას და აგიხდება ნანატრი. იმ ღამით ჩემთვის ვიცინოდი სიხარულისაგან და დილამდე ერთსა და იმავეს ვიმეორებდი: „მე თავს მომკვეთენ ძინაის მაგივრად! მე თავს მომკვეთენ ძინაის მაგივრად!“

მე თავს მომკვეთენ ძინაის მაგივრად! — რა დიდებული სიტყვებია! მაშინ, თქმა ალარ უნდა, ჩემთან ერთად კვალიც გაქრება მთელი მისი ნამოქმედარის და ძინაის შეეძლება თავაწეული იარებოდეს მთელ იაპონიაში. მე კი... (ისევ იცინის) მე კი ერთ ღამეში სახელგანთქმული ყაჩაღი გავხდები, ვინაც საკეძეამონს ახლდა ლუსონში , ვინც მოჩეხა კიარას ხე ბიძენის პროვინციაში, ვინაც ახლობელი იყო რიკიუ-კოძისა, ვინაც დასტყუა მარჯანი სიამუროას, ვინაც გაძარცვა ფუსიმის ტაძრის ვერცხლეულის საგანძური. და ვინაც მიკავას რვა სამურაი მოუსვლელ ქვეყანას გაამგზავრა... აწ მე მეკუთვნება ძინაის სახელოვნება (იცინის მესამედ), თან გადავარჩენ, თანაც სახელს წავართმევ ძინაის, ჩემი ოჯახისთვის გაწეულ სიკეთეს ვუზღვავ და შურსაც ვიძიებ შეურაცხყოფისათვის.

გულს მოვიოხებ ყოველნაირად. რა დასამალია, ნურც გაიკვირვებთ, მთელი ღამე ვხარხარებდი სიხარულისაგან. ახლაც, ამ ბნელეთშიაც ჩემს ბაგეს ღიმილი არ სცილდება.

ცბიერი განზრახვა მქონდა. ავდექი და იმპერატორის სასახლეში შევიპარე ქურდობის მიზნით. მახსოვს, ბინდიანი საღამო იყო. ბამბუკის თახჩაფუჩებს შორის კრთოდა სინათლე, ფიჭვნარი თეთრად მოსადაფულიყო ყვავილებით. ტალანის სახურავიდან უკაცურ ბაღში გადავეშვი თუ არა, წამსვე, როგორც ველოდი, მოყარაულე სამურაებმა მტაცეს ხელი და ახდა, ახდა მაშინ ნანატრი. ერთმა წვეროსანმა სამურაიმ, რომელმაც დამცა და ისე გამკოჭა, მოძრაობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამერთვა, „ძლივს არ ვიგდეთ ხელთ ეს ძინაიო“, — ხვნეშით ამოთქვა. ასეც ველოდი. აბა ძინაის გარდა ვინ გაბედავდა სასახლეში შეპარვას საქურდლად? ეს სიტყვები რომ ჩამესმა, მიუხედავად იმისა, თოკები ძვლამდე მქონდა ჩაჭერილი, უნებურად გამეღიმა.

„ეგლა მაკლია, შენს იმედზე ვიაროო“, — ასე არ მითხრა!? მაგრამ მე ხვალვე ძინაის მაგივრად ამიგებენ წესს. ო, რა სიამით მივახლიდი ამ ამბავს ძინაი ბატონს. ხვალ ჩემი მოკვეთილი თავი დაელოდება მის მობრძანებას და ძინაი აუცილებლად იხილავს ჩემს ბაგეზე შეყინულ სიცილს. რაო? გადაგიხადა თუ არა იასაბურომ? — აი, რას ამცნობს მას ეს თავი. — შენ ამიერიდან ძინაი აღარ ხარ. ძინაი აგერა, ეს თავია! იგია ახლა მთელ იაპონიაში სახელგანთქმული, ყაჩაღთა საფიცარი კუნძულეთის ქურდების პაპა (იცინის). ო, რა ბედნიერი ვარ! პირველად ვარ ასე ბედნიერი მთელ სიცოცხლეში. მაგრამ ჩემი თავი მამაჩემმა, იასოემონმა რომ ნახოს... (გულმწარედ) ... შემინდე, მამავ, ჩემთვის თავიც რომ არ მოეჭრათ, ბევრ ხანს ვერ გავატანდი მაინც, ორიოდე წლის სიცოცხლე დამრჩენოდა ალბათ, მეტი არა, ისე მქონდა ფილტვები დაჭმული. სულ სისხლი ამომქონდა პირიდან. შემინდე ცოდვილს, უღირსი შვილი ვიყავი და უკეთური. უკულმართად ვიყავ დაბადებული, მართალია, მაგრამ ერთი რამ მაინც მესახელება. ეს მაინც მეთქმის: ხომა ვზღე და სამადლოდ არ გავხადე ჩვენი ოჯახისათვის გაწეული სიკეთე.

□

# ყაისრიდ ყულიევი

## ლექსები

თარგმნა **ომარ დოღნაძემ**

### გარსია ლორკას გახსენება

ცეცხლთან ვისხედით ჩვენ ორნი მხოლოდ
და მითხრა წყნარად გარსია ლორკამ:
— გახსოვდეს, ვინც მე მომიღო ბოლო
და მერე შენი უნდოდა მოკვლა,

არაკაცია. — გაჩუმდა მერე,
ჭკვიანი მზერა წაიღო მაღლა...
იმ შორეული ტყვიების ჯერი
ჩემს გულს კაწრავს და აძრწოლებს ახლაც.

შენს უწმინდეს სისხლს, ცას რომ ანათებს,
გარსია ლორკა, ძვირფასო ძმაო,
ვერრა ვერ მორეცხს ფაშისტ ჯალათებს,
გარსია ლორკა, ძვირფასო ძმაო.

მესმის შენი ხმა — სევდა და გზნება,
სიმწრით დულს პწკარი — ფორთოხლის წვენი.
სისხლიან ცაზე ღრუბელი წვება
და ტირის ქარში გრენადა შენი.

* * *

ცოტაა ხალხი, ვისაც ესმის, რას წუხს მავანი,
არ ენაღვლება მდიდარს საწყლის ავან-ჩავანი.
წუთისოფელო, სიტკბოც მახსოვს შენგან, ვაებაც,
რაიც გეწადოს, ის მიყავ აწიც...
ოღონდ გახსოვდეს, ჩალად მიღირს თვით უკვდავებაც,
თუ გულს არ მატკენს ობოლი და მშიერი კაცი.

* * *

შენ მიწად იქეც, თავს არ ვიტყუებ, —
ჩემიც დადგება ჯერი,
დამიბნელდება, ჩამომექცევა
ვარსკვლავიანი ჭერი.
მოვარდებიან კვლავაც წვიმები,
კვლავ დაიქუხებს ტყეში,
ჩვენ აღარც ცხადში, აღარც სიზმარში
აღარ დაგვალპობს თქეში.
დაგვავიწყდება დედაც, შვილებიც,
უსაყვარლესი ძმებიც,
ერთგული ქალის თბილი ხელებიც,
კალოს მიყრილი ძნებიც.
მაგრამ სიცოცხლე რასაც შევწირეთ,
სიკვდილი დასძლევს განა?
თუმც თოვლი დნება და იკარგება,
მთები ზვიადად დგანან.

* * *

დიდხანს ვეძებე ის სიტყვა ერთი,
სულში რომ ჟღერას დაიწყებს სიმად,
მსურდა მომეძღვნა ის სიტყვა შენთვის,
როგორც მოლისთვის შხაპუნა წვიმა.
ვერ აგაღელვა, ვერ შეგძრა იმან,
ამაოდ დაშვრა დიდხანს გვემული,
სუსტი, ვით ხრიოკს წვეული წვიმა,
ვით თოვლის ფიფქი, ცეცხლს დაცემული.

□

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ალექსეი სერაფიმოვიჩი

## საგვლოვიარო მარში

### მოთხრობა

რუსულიდან თარგმნა პაპუნა წერეთელმა

I

ადრიდან, შავი რიგები მიჰყვებოდნენ უზარმაზარი ქალაქის ქუჩებს და მებრძოლთა სისხლით უხვად შეღებილ მძიმე წითელ დროშებს მიაფრიალებდნენ.

მიდიოდნენ ჩუქურთმებით, ქანდაკებებითა და მოზაიკებით შემკულ უზარმაზარ სახლებს შორის, თავიანთი სარკიანი ფანჯრებით რომ უმზერდნენ მიმავალთ. ქალაქი ჩვეულებრივ მშვიდად დუდუნებდა. და ამ ქვის გოლიათებსა და ტროტუარებზე გამოფენილ საქმიანად მოფუსფუსე ადამიანების უთვალავი მწკრივების თავზე, როგორც ათასხმიანი გამოძახილი, გაისმოდა:

— გაუმარჯოს თავისუფლებას!.. გაუმარჯოს მშრომელ ხალხს!..

ამაყად და უცხოდ მოისმოდა ეს ძახილი, ზვიადად გადაუქროლებდა ჩაშავებულ რიგებს, მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში დაუსრულებლად რომ მიედინებოდა.

ეს ხმები უჩვეულოდ ჟღერდა ქვის ამ ვეება სახლებსა და მდიდრულად მორთულ ვიტრინებს შორის.

მხიარულად მოდიოდნენ პირტიტველა ჭაბუკები.

კუშტად და დინჯად მოაბიჯებდნენ მოხუცები, რომლებიც, ვინ იცის, ახლაც გულის სიღრმეში ისევ ებრძოდნენ ნაჩვევი მონობის გრძნობას, უმეცარ შიშს ყოველივე ახლის მიმართ, ყველაფერს რომ ამსხვრევდა და ძირს უთხრიდა. ისინი შეშფოთებულნი, გაოცებული თვალებით მისჩერებოდნენ გუშინდელი დღის ნანგრევებს.

აქა-იქ მოჩანდა შავი წინსაფრები, გატკეცილ-გამობერილი ჩექმები, პიჯაკები, პალტოები. ისმოდა ხუმრობა, მოსწრებული სიტყვები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზორზოხი, ზოგან კი ხალხის ლაპარაკს მხიარული სიცილი ფარავდა.

— ამხანაგებო, სწორდით!..

— ვანია მუდამ წინ ეჩრება.

— ხედავ, რამოდენა ლიპი წამოზრდია, გაფიცვაც კი ვერას აკლებს, იმდენი ქონი აქვს მარაგად.

— ჰო... მივედით თუ არა, მაშინვე მორიგე შემოგვეგება: რა გნებავთო? გვკითხა. რა და მუშათა დელეგაცია ვართ-მეთქი. თანაც მაშინვე ქუდები მოვიშვლიპეთ.

— შარვლები ვერ ჩაიხადეთ?..

— უფრო თავაზიანად შეგხვდებოდათ.... ფეხზე კოცნის ნებას მოგცემდათ.

მთხრობელს შერცხვა, მოიღუშა და გაჩუმდა. მწკრივებში კი გულკეთილი სიცილი გაისმა.

მხიარულად და უდარდელად მიაბიჯებდა ხალხი, თითქოს ეს გაკრიალებული, სწორი, განიერი ქუჩები, ჩუქურთმებით აჭრელებული სახლები მათი საკუთრება იყო და ამ ჩაშავებული რიგებისათვის იყო განკუთვნილი. საკუთარი ძალა რომ შეეგრძნო და ახლა უნდა გადმოენთხია.

მწკრივი მწკრივს მისდევდა, დროშები ფრიალებდნენ. გაისმოდა: „ზიზღით ვუცქიროთ ჩვენ ოქროს კერპებს“... სიმღერა თანდათან ძლიერდებოდა, სულსა და გულს სწვდებოდა, გუგუნებდა, ქუჩებსა და მოედნებს ედებოდა, მთელ ქალაქს იპყრობდა და წამით თრგუნავდა მის მშფოთვარე, მყვირალა ცხოვრებას, მერე ერთბაშად დიდ ძალად იქცეოდა. პოეტურად მოუქნელი იყო, მაგრამ ძლიერი, როგორც მშფოთვარე ზღვა, რომელმაც რაღაც ადამიანური იგრძნო. და ამ ხშირ, ყოვლისმომცველ ფეხის ხმაში იგრძნობოდა თავმომწონე ძალა, ძალა — თავისუფლება. ოლიგემა.

II

— ამხანაგებო!

ორატორი მაღლა აეწიათ შავად მოელვარე ზღვა ხალხის თავზე. შორიდან მოჩანდა იგი და მისი ხმაც გარკვევით და მკაფიოდ მოისმოდა.

წინა რიგები შეჩერდნენ, უკანანი აწვებოდნენ მათ და ადამიანთა რიგები სულ უფრო და უფრო შემჭიდროვდა. ხალხი, ზღვასავით რომ მოედინებოდა, შედგა. როგორც შედგება ხოლმე საკუთარ კალაპოტში მოქცეული შმაგი მდინარე.

ფეხის ხმა შეწყდა და მხოლოდ ყრუ და ძლიერი გუგუნი მოისმოდა შორეული ქუჩებიდან.

— ამხანაგებო! თვალუწვდენელია თქვენი რიგები, — მან ხელი ასწია და ხმაში ფოლადი ჩაელვარა, — მაგრამ რაოდენობაში როდია ჩვენი ძალა. აი მოვდივართ, მოვაბიჯებთ ხელცარიელნი, უიარაღონი, შიშველი, ნაჯაფი, ბებერებიანი ხელებით. ფიზიკური ძალის წინაშე ბალღებივით უსუსურნი ვართ. ათიოდე შეიარაღებულ ადამიანს შეუძლია ჩვენი სისხლით შეღებოს ქუჩები. მაშ რატომ შემოგვცქერიან თავზარდაცემული მტრები გაბოროტებით?!

ორატორი შეჩერდა. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. მერე შავად ჩაქუფრულ უძრავ ზღვას გადახედა და ყური მიუგდო ხალხის უწყვეტი ნაკადის შორეულ, ძლიერ გუგუნს.

— ჩვენი ხელების როდი ეშინია მტერს, არა, მას ჩვენი გულების ეშინია. ეშინია ჩვენი გამოფხიზლებისა, ჩვენი მღელვარე გულებისა, თავისუფლების დაუოკებელი წყურვილით რომ ძგერენ. უძირო, შავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფსკრულივით გაიხსნა ჩვენი შეგნება და დავინახეთ ჩვენი საშინელი მონობა და ჩვენი დამმონებელნი. გავერიდეთ და უფსკრულის ერთ ნაპირზე დავდექით, ბატონები კი იქით, მეორე ნაპირზე დგანან. ახლა-ლა მივხვდით, ჩვენი შერიგება შეუძლებელია. ისინიც მიხვდნენ, — ვერ შევურიგდებით. აი, რა ზარავს მტერს...

ორატორი ლაპარაკობდა მონათა და დამმონებელთა მუდმივ ბრძოლაზე, ისტორიული ცხოვრების მტკიცე ნაბიჯზე, აუცილებლად რომ მოსპობდა ადამიანის ადამიანზე ბატონობას და თავს გაუსრესდა ამ საშინელ გველეშაპს. ლაპარაკობდა იმაზე, რაც ათასჯერ სმენიათ, ზეპირად იცოდნენ, თავადაც შეეძლოთ ყოველივე ეს ეთქვათ და მაინც ხარბად, სულმოუთქმელად იჭერდნენ თვითეულ მის სიტყვას, იბეჭდავდნენ ათასგზის გაგონილს, რადგან ამ სიტყვებს არ დაჰკარგვოდათ სიახლის ჭალწულებრივი სიმშვენიერე. როგორც ჭაბუკისათვის სიყვარული, ისე კაცობრიობისათვის ეს ძველთაძველი ამბავი მუდამ ახალია.

და ისევ პირქუშ უზარმაზარ შენობებს შორის მოედინებოდა შავი მდინარე, წითელი კაშკაშა ლაქებივით ლივლივებდა დროშები, ისმოდა ლაპარაკი, ხმაური, სიცილი, ხალხის უწყვეტ ფეხის ხმას ერთვოდა და საზეიმოდ ჟღერდა:

„ზიზღით ვუცქიროთ ჩვენ ოქროს კერპებს“.

შორეული ქუჩებიდან კი მოედინებოდა და მოედინებოდა დაუსრულებელი მწკრივები.

სადაც შორს, იქ, სადაც ქუჩას დასასრული არ უჩანდა, რაღაც განაცრისფრდა, როგორც ნაცრისფერდება ხოლმე გაშლილ ზღვაში ამოჩრილი ბრტყელი და უკაცრიელი მეჩეჩი, მხოლოდ თოლიები რომ დასტრიალებენ თავს. ყველამ თავი მაღლა ასწია, წარბი შეკრა.

III

— ა!...

— სად!...

— აი....

— რომლები?...

— ვერა ხედავ....

— არა, ისინი არ არიან....

როგორც მღელვარე ღამის ხმაური, გაისმოდა ყოველი მხრიდან და გაურკვეველი შეშფოთებით გადადიოდა მწკრივიდან მწკრივში.

რუხი მეჩეჩი კი თანდათან იზრდებოდა და სევდიანი და მოსაწყენი კი არა, მრისხანე ხდებოდა. ცხადი იყო, რომ ესენი იყვნენ ადამიანები — რუხები და ერთსახოვანნი. მზე იარაღის წვერზე ლაპლაპებდა. ამ ადამიანებს ერთი სახე ჰქონდათ, უძრავი და მდუმარე, იმ ლოდის დარად, უხსოვარი დროიდან ხავსმოკიდებულ კლდეებს შორის რომ გდია. მათი მქრქალი თვალებიც უსიცოცხლოდ მისჩერებოდნენ მომავალთ, ისინი კი ხელიხელჩაკიდებულნი მოაბიჯებდნენ, ჩაშავებულ მწკრივებს შორის სისხლისფრად ფრიალებდა დროშები და ირგვლივ ისევ ის შეკავებული, მტკიცე, ყოვლისმომცველი ფეხის ხმა ისმოდა.

IV

ოფიცერი მიუბრუნდა ჯარისკაცებს და ბრძანება გასცა. მებუკემ ასწია ბუკი, ულვაშები გაისწორა, ტუჩებთან მიიტანა და ლოყები გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიბერა. ერთბაშად ამ თვალისმომჭრელად მოელვარე ხიშტებისა და შავად პირდაღებული ტყვიამფრქვევების ძალამ და სიდიადემ ამ რუხმაზარიანი კაცის ხელში მოიყარა თავი.

და თითქოს ამ ძლიერებასა და საშინელებას ამოწმებსო, სამი მოკლე ბგერა მიახალა ათასობით ადამიანს.

ერთბაშად ალაპლაპდა და შეირხა ასობით თოფი, ჯარისკაცებმა რომ მორჩილად მიიმარჯვეს. თოფები ემუქრებოდნენ მომავალ ცოცხალ ზღვას და ჩაშავებული ლულებიდან უტყვად მისჩერებოდნენ მას; რუხი ადამიანების წინა წყებამ დაიჩოქა და ტყვიამფრქვევები ხარბად მიაჩერდნენ იმ ცოცხალ სხეულებს, გააფთრებით რომ მოიწევდნენ წინ.

ლაპარაკი შეწყდა. ჩაქრა სიცილი. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, ფეხის ხმალა ისმოდა მხოლოდ. სიჩუმეს თითქოსდა უფრო ამძაფრებდა ეს გუგუნი, სიჩუმე ქუჩებსა და მოედნებს მოედო და გაყუჩებულ ქალაქს მოეფინა.

უეცრად დაძაბულობა დაარღვია და მრავალ განწირულთა თავზე გადაიქროლა ათასობით მოხუცისა და ახალგაზრდის ხმამ. სამგლოვიარო მარშის ხმამ:

„თქვენ ბედით ბრძოლაში სწირავდით თავს!“

მიიწევდა იგი გაცრეცილი ცისა, სისხლისფერი მზისა და სუნთქვაშეკრული ქალაქისაკენ. შესახვევებში თავშეყრილი ხალხი ქვაფენილის გასწვრივ იდგა და მომავალთ ესალმებოდა.

„ემსხვერპლეთ მოძმეთა სიყვარულს წრფელს“.

სამგლოვიარო ზარის მთრთოლვარე ხმასავით დაჰქროდა იგი ათასობით ადამიანის თავზე.

„შესწირეთ გმირულად სიცოცხლე მას!“

თვალები უბრწყინავდათ და გაფითრებული სახეები მგზნებარე მოწოდებით უელავდათ, რადგან განწირულნი იყვნენ.

ვარდისფერი ნისლი აფერადებდა მზეს, სახლებს, ადამიანთა სახეებს და მძაფრ ტალღასავით მოდიოდა სისხლის სუნი, ენა კი ნაცნობ მოტკბო გემოს გრძნობდა.

სიკვდილის საზარელი სიცარიელით ამოვსებული მანძილი სამგლოვიარო პროცესიასა და რუხ ადამიანებს შორის ძლივს მფეთქავ სიცოცხლესავით ქრებოდა.

— ...„შესწირეთ გმირულად სიცოცხლე მას!...“

ათასობით ადამიანი მოდიოდა და ათასობით ადამიანი მღეროდა სამგლოვიარო სიმღერას, სიკვდილის საზეიმო სიმღერას... და სახეებსა და სახლების თეთრ კედლებზე სამგლოვიაროდ ფრიალებდნენ დროშათა შავი ჩრდილები.

აწკეპილულვაშებიანი ოფიცერი ჩვეული თვალით ზომავდა მანძილს, შეუბრალებლად რომ მცირდებოდა. შემდეგ მოლაპლაპე ხმალი ასწია და ტუჩები აამოძრავა. ბრძანების უკანასკნელი სიტყვები წარმოთქვა.

მოლოდინის უკანასკნელი წამები დაფარა ძახილმა:

„მშვიდობით, ძმებო!....“

და იმავ წამს გაჰქრა სიკვდილის მთესველი მანძილი.

იგი ურიცხვი შავი რიგებით დაიფარა. მოელვარე წყალივით ალაპლაპდა მიწისაკენ მორჩილად დახრილი ხიშტები და გაფითრებული, დაბნეული და გალიმებული ჯარის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცები ადამიანთა მორევში ჩაიძირნენ. თვითეულ მათგანს თავისებური, ახალგაზრდული სახე ჰქონდა და რუხი კედელი შავ, დაუსრულებელ რიგებში შთაინთქა, როგორც ტალღებში ჩაინთქება ხოლმე კლდოვანი ნაპირიდან ჩამოხეთქილი გრანიტის ლოდი.

ოფიცერი შებრუნდა და ძირს დაუშვა ახლა უკვე უმაქნისი, ცივი ხმალი. ყეყეჩურად იმზირებოდნენ ტყვიამფრქვევები.

ათასობით ადამიანი მოდიოდა, სამგლოვიარო ჰიმნს მღეროდა და სამარისებური სიჩუმისა და სამგლოვიარო ზარის ხმაზე იქმნებოდა მოელვარე, ნორჩი, სიხარულით სავსე ცხოვრება. იგი მზეზე ელვარებდა, ათასობით ადამიანის სახეზე ციმციმებდა და ხალხი, ქუჩის კიდეებს რომ გასდევდა, გაშმაგებით ესალმებოდა მას.

სისხლისფერი ნისლი აიკრიფა, დადნა, გაქრა გულისამრევი გემო და მწკლარტე, უსიამო სუნი.

მზე აშუქებდა და ქალაქი ისევ აავსო მიყუჩებულმა ათასგვარმა ხმამ.

□

# ველიმირ ხლებნიკოვი

## მონადირე

### მოთხრობა

რუსულიდან თარგმნა მშრომან ჯგუბაშრიამ

ეცნაურია, მაგრამ კაცი ზოგჯერ გულგრილად აარიდებს თვალს ამა თუ იმ შემზარავ ამბავს, ხდება პირუკუც — ხანდახან სიღრმესა და საიდუმლოს ეძიებს მეტად უმნიშვნელო მოვლენაში. ერთხელაც ქუჩაში დავინახე: დატვირთული დროგების გარშემო ხალხი გროვდებოდა. „რა ხდება აქ?“ — ვკითხე ვინმე მოსეირეს. რასაც ხედავო, მიპასუხა ღიმილით. მართლაცდა, ერთი ბეხრეკი ცხენი ცდილობდა როგორმე ფლოქვი მოეკიდა ქვაფენილზე, მაგრამ ამაოდ ჯახირობდა. სხვა ცხენები კი იდგნენ უძრავად. ფლოქვების ხმაში თითქოსდა რალაცნაირი აზრიც კი იყო ჩატანებული, ბედისა თუ მორჩილების მიმნიშნებელი, და დანარჩენი ცხენები თავჩაქინდრულნი ისმენდნენ ამ ხმას. ხალხი სწრაფად გროვდებოდა. მერე საიდანლაც გამოჩნდა მედროგე, მოსწია სადავე და დასძრა ჯაგლაგი.

ეს სურათი სამუდამოდ ჩამრჩა ხსოვნაში.

რაც გინდა მოსაწყენი იყოს მოგზაურობა და ხეტიალი, არ შეიძლება რაიმე მაინც არ დაგამახსოვრდეს მკაფიოდ. ალბათ ამიტომ დამახსომდა ნიკოლაიც. იგი რომ გენახათ, ასე მგონია, ვერც კი შეამჩნევდით. მარტოდენ ბრინჯაოსფერი შუბლი და ნიკაპი თუ გეცემოდათ თვალში, მისი მზერა კი ალბათ გამცნობდათ, რომ მეტად გულგრილი, მიუკარები მონადირე იდგა თქვენ წინაშე. იგი ჰგავდა ადგილს, თემშარიდან გამოყოფილს, ღობით მთავარი გზისაკენ რომ მიქცეულა. უთქმელი იყო და უბრალო, ფრთხილი და განმარტოების მოყვარული. უფერული და საწყალობელი გეჩვენებოდათ მისი ნდომანი. ნამთვრალევზე ავი და ფიცხი იყო, აუხირდებოდა ნაცნობებს, დაჟინებით მოითხოვდა ხოლმე ფულს, მაგრამ პატარებს

ერთობ სათუთად ექცეოდა: ბავშვები ხომ ჯერ კიდევ არ იყვნენ დაკაცებულნი! შემოიკრებდა პაწაწკინტელა გვრიტებს და, რაც კი ფული უჭყაოდა ჯიბეში, სულ მათთვის ყიდულობდა ათასნაირ სასუსნავსა და სათამაშოს, ყველაფერს, რაიც ამშვენებდა ხოლმე აქაურ დუქნებს. ამბობდა თითქოს: მიყურეთ, ხალხო, ძმასა და ნათესავს ყველანი ასევე უნდა მოექცეთო. ხოლო რაკიღა ასეთი განაზება არ იყო მისთვის მთავარი, მე მისი დუმილი უფრო მიტაცებდა, ვიდრე რომელიმე საქვეყნოდ სახელგანთქმული მოძღვრის ქადაგება. რაღაცნაირი უბრალო და შემზარავი ფიქრი ჩაუდგებოდა ხოლმე მახვილ თვალებში. თუმცა ვინ შეიცნოს ბუნება ღრჯუ და გულჩათხრობილი მონადირისა, ტახებისა და გარეული ბატების პირქუში მადევარისა? მახსენდება ერთი გარდაგებული თათარი,—ვინაც სიკვდილის წინ შთამომავლობას დაუტოვა მეტად მცირე, მაგრამ შინაარსით მიმზიდველი ბარათი: „მიმიფურთხებია ქვეყნიერებისათვის“. თათრებს ის კაცი მოღალატე და რჯულის შემგინებელი ეგონათ, რუსის მთავრობას კი — თავქარიანი. ვამხელ და გასამხელია კიდეც, არაერთგზის მომწყურებია იმ ერთი შეხედვით გულგასატეხი ბარათის ქვემორე მომეწერა ჩემი სახელი. მკაცრია ცხოვრებისეული სინამდვილე; იმ სიტყვებში დამარხულია უბრალო და თავისუფალი აზრი, სპეტაკი სინათლით განათებული.

ერთ ძველსა და დროისაგან გაცრეცილ სურათში ხანმოთეული, კუზიანი ბერიკაცები სხედან, პაწაწკინტელა ვარსკვლავები ჰკიდიათ მკერდზე, თვალებჩაცვინულ, ჩიფჩიფა დედაბრებს ხელებზე ძეწკვი უკეთიათ და მარადის გადაშლილ წიგნებს ჩასცქერიან, მათ შორის კი ერთი მწითური მამაკაცი ზის, წვერი აქვს გრძლად მოშვებული და ორლულიანი თოფი უდევს მუხლებზე.

თუკი იკითხავდით იმ უფერულ სურათზე გამოსახული კაცის ვინაობას, მოკლედ და ნაღვლიანად მოგიჭრიდნენ: „ეს არის ნიკოლაი“. მიგანიშნებდნენ თითქოს: მიცვალებული არ იყო გარე კაცი. სხვაგვარ განმარტებებს კი თავს მოარიდებდნენ.

მე ვიცნობდი ნიკოლაის. საერთოდ, ხალხი შეიძლება ისევე აღიქვა, თითქოს ყველას ერთი თავი ედგას მხრებზე. უსასრულო ნაირსახეობას წარმოგიჩენთ სხვადასხვა მხრიდან განათებული თავის ჭვრეტა. ერთმანეთს ენაცვლება შუქი და ჩრდილი და სხვადასხვანაირად ჩნდება ერთი და იგივე თავი. ბოლოს და ბოლოს ხომ მსგავსი თავი აქვთ ბებრებს, ბავშვებს, საქმოსნებს, მეოცნებეებს... რა თქმა უნდა, ისიც ერთ-ერთი გამონათება იყო ადამიანური იერისა და განა კი ძალუძს ვინმეს მისეული ხატის უარყოფა?

დაუსრულებლივ ყვებოდნენ, თუ როგორი მონადირე იყო ნიკოლაი. თუკი სადმე ტყიერის მოკვლას სთხოვდნენ, რამდენი გნებავთო, იკითხავდა მხოლოდ და გაუჩინარდებოდა. მერე მოდიოდა და მოჰქონდა, რასაც დააბარებდნენ. გარეული ღორები იცნობდნენ მას, როგორც პირქუშ და სასტიკ მტერს. ჩერნი, ის ადგილი, სადაც მეჩხერი ლელიანი ხარობს, საგულდაგულოდ ჰქონდა შესწავლილი. ვოლგის შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სართავთან მობინადრე ფრთოსანთა სამყაროს სულში თუ იყო აღბეჭდილი შეუწყალებელი მონადირე? ან როცა ფრინველები კვნესით აყრუებდნენ უკაცრიელ სანახებს, მათ ჩივილში თუ ისმოდა ნეტა, რომ სიკვდილის ნავი ნაპირს უახლოვდებოდა? შორეული ხეტიალიდან ბრუნდებოდა სიკვდილის ნავი. რაღაცნაირი იმქვეყნიური ძალაუფლების მედაფედ თუ მიაჩნდათ ორლულიანი თოფით აღჭურვილი, თავზე კარტუზჩამოფხატული მონადირე?

არასასურველი, სასტიკი ღვთაება მახლობელ ქვიშრობებზეც ჩნდებოდა, თეთრი თუ შავი ფრინველების დასი გამყივანი ხმით ამცნობდა ერთმანეთს ნათესავის დაღუპვას. მაგრამ წყვდიადი შემწყალეც იყო. ხელუხლებლად ტოვებდა პაწია მართველებს, — შორიელდებოდა მათგან მიმავალი ნაბიჯების ჩქამი...

ის იყო გულჩათხრობილი, ჩუმი, მეტწილად ხმაგაკმედილი. თუკი მაინც აჩვენებდა ვინმეს თავისი სულის ნამცეცს, ის მიხვდებოდა, მონადირე ისე უყურებდა ცხოვრებას, როგორც ნადირი უყურებს ადამიანს. ამას კი მხოლოდღა მაშინ ჩავწვდებოდით კარგად, თუკი ვიგულისხმებდით, რომ ამგვარი იყო თავად სული „ბუნებისა“, ამ მონადირის მეშვეობით რომ გადადიოდა „მომაკვდავი“ სამყაროდან ახალ, მომავალ სამყაროში და უკანასკნელი მზერით ემშვიდობებოდა გარეულ იხვებს, გედების წითელი სისხლით მოწინწკლულ ჭალაკებს, უკაცრიელობას, გადადიოდა ფართე კალაპოტში ჩაგებულ თეთრი ქვების ხიმინჯებში, უზარმაზარ რკინა-ბეტონის ხიდში, ქალაქ-ჭიანჭველეთში, ლონიერ, მაგრამ არასასურველ სამყაროში.

პირდაპირი, მოუქნელი და მკაცრი მონადირე ჩინებული მესაიდუმლე იყო ავადმყოფი მეგობრისა; უმწეოსა და სუსტს ესარჩლებოდა და იცავდა, როგორც შუასაუკუნეების თოროსანი რაინდი, ფრთიანი ჩაფხუტით თავშემკული.

სანადიროდ მიმავალი ასე ემზადებოდა: უკირკიტებდა კარჭაპს, საიდაც ორი ერთგული ძაღლი უცდიდა, მერე დალმართზე ეშვებოდა, იქ კიდევ აფრას შლიდა, ამაგრებდა: ვოლგამ ღალატიანი ქარი იცის, სამარისებურ სიჩუმეში ამოვარდება ხოლმე ძლიერი ქარაშოტი და თუ მეთევზემ ვერ მოასწრო აფრის დაკეცვა, გადააბრუნებს კარჭაპს.

ნაპირზე კარჭაპს გადმოაპირქვავებდნენ, ღამის სათევად იყენებდნენ, რკინის საბჯენებს შეუდგამდნენ და ყურყუტებდა კოცონთან მონადირე კაცი, ვიდრე დიდვახშამი არ მოაწევდა. ჩუმი, გონიერი, გამაძღარი ძაღლები ნავშივე რჩებოდნენ, მთელ ვოლგისპირეთში მობინადრე ფრინველების სუნი რომ ასდიოდა. ერთმანეთში იყო არეული შავი ჩვამები და ლონიერი ტახის ბარკლები, სარსარაკები და გარეული ინდაურები.

ხმადაბლა ყმუიან მგლები: „მოდიან, მოდიან“.

ის ოცნებობდა სადმე შორს, მიყრუებულ ადგილას მომკვდარიყო. ხალხში დადიოდა და ხალხს გაურბოდა. პირქუში მონადირე იყო და, როგორც სიკვდილს მაუწყებელი უფლისწული, ისე გამოეცხადებოდა ხოლმე გარეულ ცხოველებსა და ფრინველებს. კაცი თუ ტყიერი? თუკი ამგვარი არჩევანი დაუდგებოდა, ტყიერის მხარეზე იყო.

სხვაგვარად ხომ ვერც წარმოიდგენდა მას კაცი, თუ არა ფრინველთა მრისხანე ღვთაებად. სასტიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო და ამავე დროს სამართლიანი თავისი საუფლოს მიმართ. რაღაცნაირად ელამაზებოდა ის ფრინველებიც, უმოწყალოდ რომ ხოცავდა თვითონ.

ზოგი ადამიანი მეგობრად მიაჩნდა, მაგრამ რაც უფრო ცარიელდებოდა „სავანე“ მისი სულისა, მით უფრო ეროვნოდა კავშირი ხალხთან. გულზვიადი ხდებოდა იგი და ყოველივე ემგვანებოდა დროებით ზავს ორ მოქიშპეთა შორის. ერთობ მარტივად გადასწყვეტდა ხოლმე ყველაფერს: ამ დროს თვალები უმახვილდებოდა, „არა, შენ ჩვენიანი არ ხარ!“ — იტყოდა ისე, თითქოსდა სოფლის გალმა გაებიჯა. ბევრმა არც კი იცოდა, რომ ეს კაცი ხალხს არ ეკუთვნოდა. მთელი ორი-სამი ათეული წელიწადი იყო იგი ქურუმი სიკვდილის ტაძრისა. მარადის ჩაფიქრებული და უთქმელი. ქალაქი და უდაბნო ისე განსხვავდება ერთმანეთისაგან, როგორც ეშმაკი და ქაჯი. გონიერების სათავე იქიდან მოდის, როცა კეთილისაგან გაირჩა ბოროტი. მან ქაჯი აირჩია და ისურვა, სასაფლაოზე არ დაემარხათ. რატომ უარყო მან მშვიდი ჯვარი? იყო თუ არა იგი თავგამოდებული წარმართი? რა ემცნო იმ წიგნით, მარტოკამ რომ წაიკითხა?

სიკვდილი მის მხარეზე იყო.

ერთხელ ადგილობრივმა გაზეთმა გამოაქვეყნა ცნობა: საზღვართან, აქაურები „ცხენოსანთა საგუშაგოს“ რომ ეძახიან, კარჭაპი და უცნობი კაცის გვამი იპოვესო. იხსენიებოდა აგრეთვე, რომ იქვე ეგდო ორლულიანი თოფიც. ხოლო რაკიღა ეს ამბავი სიკვდილის წელიწადს ემთხვეოდა, თრიები, მინდვრის ნაზი ცხოველები მრავლდებოდნენ და მომთაბარეებს მიერეკებოდნენ ადგილებიდან, — და რაკიღა მთელი კვირა არ ჩანდა მონადირე, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა, ლოდინითა და ავი წინათგრძნობით გულმილეულებმა, ათვრინეს ხალხი ამბის გასაგებად. დადასტურდა — მონადირე მკვდარი იყო.

აი, ის ამბავიც, მეთევზეების მონაყოლი.

კარგა ხანს. უკაცრიელ კუნძულზე გაშლილ სადგომს ღამღამობით სტუმრობდა ერთი შავი ნაგაზი და ყმუოდა გაბმით. მეთევზეებმა იცოდნენ, რას მოასწავებდა ამგვარი სტუმრობა და შორს მიერეკებოდნენ სიკვდილის მაცნეს. მაგრამ ძაღლი ყოველლამ დაბარებულივით მოდიოდა, ყმუოდა შემზარავად და უწამლავდა გუნებას მეთევზეებს. ერთხელაც გულმეწვია ყარაული გამოეხმაურა მას. ძაღლმა მეთევზე გადმოპირქვავებულ კარჭაპთან მიიყვანა. კარჭაპის მახლობლად ხელში თოფი ჩაებღუჯა და ისე იწვა ფრინველების ბინერ დაკორტნილი ადამიანი, მხოლოდ ჩექმის ყელში შერჩენოდა „ცოცხალი“ ხორცი. ფრინველთა ლრუბელს ჩამოებნელებინა ცა. სულთმობრძავი ძაღლი იწვა მონადირის ფერხთით.

ტალღები მშვიდად ელამუნებოდნენ ნაპირს.

მოკვდა მონადირე. წეუსრულდა უცნაური გულისწადილი, უკაცრიელ ალაგას მომკვდარიყო.

მაგრამ მეგობრებმა მაინც შეამკეს მისი საფლავი უბრალო ჯვარით.

ასე მოკვდა მგლების მადევარი.

□

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლექსები

თარგმნა ტაბუ მეხურიშვილმა

### აზერბაიჯანი

მე ვცოცხლობ,
რადგან
ცოცხლობს ჩემი სამშობლოს ფერი.
მთის ჩანჩქერი ვარ
და ნიავის სუნთქვით ვფეთდები.
ტალღად და ბგერად,
მოლივლივე ტალღად და ბგერად
ვეებერთელა
მოლილისფრო ზღვას ვუერთდები.
მე სინათლე ვარ
და გულებში ჩახედვა მინდა,
ბრმებმაც იციან ჩემი ფასი,
თეთრი და შავი...
ამ ძეგლებიდან —
დადუმებულ ბაგეებიდან —
დიდი ხანია
მოვიპარე მე ჩემი თავი.
სიტყვებს ფილტვები
ებერება ქარში, წვიმაში...
და უფსკრულები
იტაცებენ კივილს გოდებით.
ვუცქერ ხეობებს —
დედამიწის სახის ნაოჭებს, —

ავსებულს
ჩემი მოთმინების
მძიმე ლოდებით.
მე, დიდთან დიდი,
ბავშვთან ბავშვი, — უკუნს წინანდელს
წავკიდებივარ
უთვალავი ლამპრის სინათლედ.

* * *

ელმავლის სტვენით
დაზაფრული სივრცე ბებერი!
მატარებელი,
ღამის მკერდში მატარებელი!
ჰორიზონტიდან
ჰორიზონტზე გაწელილია,
დაცრემლილია,
ციურ ცვარით დაცრემლილია,
ღამე სინათლით
შემღვრეული და შეფერილი!
კვდება ვედრება
საყვირიდან ამოფრენილი.
კით ვაგონები,
ხან დიდები,
ხან პატარები,
გამობმული აქვს
ღამეები ამ მატარებელს.
ეს ღამეები
ჰორიზონტებს იქით კვდებიან
და არასოდეს,
არასოდეს არ ბრუნდებიან.
გამომაღვიძა
შორეული ბედის ძახილმა.
წარსულის დარდმა
გამომაგდო სიზმრის სახლიდან.
და ვუცქერ:
კვდება,
კვდება ღამე ჰორიზონტს მიღმა
და მატარებლის
შეკივლებით მეძახის ვილაც.

□

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ივრი იაკოვლევი

## ბრალდება

### მოთხრობა

რუსულიდან თარგმნა მარინა სოხაძემ

დესანტი ღამით გადასხეს. შვიდი მეზღვაური ერთიმეორის მიყოლებით ჩახტა თავთხელ წყალში და ბორძიკ-ბორძიკით ნაპირისაკენ გასწიეს. ტალღები მხრებამდე სცემდათ და ყინულივით ცივი წყალი კისერს, ბეჭებსა და მხრებს უწვავდათ. დროდადრო ხან ერთი, ხან მეორე წამოკრავდა ქვას ფეხს და ეცემოდა. მაგრამ ერთმანეთს მაინც ამაგრებდნენ და წინ მიდიოდნენ. ბოლოს, როგორც იქნა, გაათავისუფლა ისინი ზღვამ, ნაპირზე აუშვა და კარი მიუკეტა.

ზღვა ბობოქრობდა. ტალღების ხმაური ახშობდა სველი ჩექმების ტყაპატყუპს. ხვინჭის ჩხრიალსა და მედესანტეთა ქოშინს. მაგრამ ზღვას არ შეეძლო ჩაეხშო იმაზე ფიქრი, რომ ყოველ წუთს შეიძლებოდა დესანტი მტრის საფარს გადასწყდომოდა. ამიტომ ნელა მიდიოდნენ, თავები ისე ჩაელუნათ, თითქოს ეშინოდათ, არაფერს ავარტყათო. ძლიერი ქარისაგან მათ კარავ-საწვიმრებს ისეთი ტლაშუნი გაჰქონდა, თითქოს იალქნებიაო. მერე ყველანი გაჩერდნენ.

უკუნი ღამე იყო, ვერც კლდეებს ხედავდნენ, ვერც ზღვას და ვერც ერთმანეთს. მეთაურმა ჩურჩულით ამოიძახა გვარები:

— დროზდოვი!

— აქ ვარ! — სიბნელეში ყრუდ გაისმა ხანშიშესული კაცის ხმა.

— კონოვალოვი!

— აქაა, — მოჭრით უპასუხა ხმამ.

— ჭანტურია!

— აქა ვარ, ზემდეგო! — ქარმა გაჰფანტა წკრიალა ახალგაზრდული ხმა.

— სტეპანენკო!

არავის უპასუხნია.

— სტეპანენკო! სად არის სტეპანენკო?

— აქა ვარ, — როგორც იქნა. გაისმა ზოზინა, აუჩქარებელი ხმა. — ჩექმიდან წყალსა ვღვრიდი.

— სმოლიანიცკი!

— ადგილზეა!—ისეთი ხმით ამოთქვა ვილაცამ, გეგონებოდათ, სიცივისაგან აკრეჭილებსო.

— ოზარიონოკ!

— ვარ!—გაისმა ყმაწვილის წვრილი ხმა.

— კეთილი, — თქვა მეთაურმა.— ყველას გამოგვიღწევია. ახლა წავიდეთ. აფეთქების შემდეგ მთებში მივდივართ. ზღვისაკენ გამობრუნება არ შეიძლება. იარაღი და ასაფეთქებელი ხომ არ დაზიანებულა?

არავის უპასუხნია. მაშასადამე, არ დაზიანებულა. დესანტმა წინ გასწია.

პატარა ზღვისპირა ქალაქში ახლა ცოტა ვინმეს თუ ახსოვს ამბავი იმ თავგანწირული დესანტისა, მტრისაგან დაკავებულ ქალაქში რომ გადმოსვეს. თითო-ოროლა მოხუცის მეტი აღარავინ გადარჩენილა მაშინდელი მცხოვრებლებისაგან. ქალაქი თითქმის მთლიანად დაწვეს და დაანგრიეს ფაშისტებმა. იგი ხელახლა გაშენდა ომის შემდეგ და ამიტომ აქ ყველაფერი ახალია: ქუჩებიც, სახლებიც და ადამიანებიც. მარტო ბავშვებს ჰგონიათ, რომ მათი ქალაქი ყოველთვის ისეთი იყო, როგორიც ახლაა.

მიუხედავად ამისა, კაცს ვერ ნახავთ, რომ დესანტის ამბავი არ იცოდეს. დესანტი უკვე ქალაქის საკუთრება, მისი სიამაყე, მისი ბოროდინო იყო. სხვაგან მოხვედრილი აქაური კაცი თავის ქალაქზე ამბის მოყოლას ასე იწყებს:

— მართალია, ჩემი ქალაქი პატარაა, მაგრამ ომის დროს აქ მეზღვაურთა გმირული დესანტი გადმოსხეს...

პატარა ქალაქში ყოველგვარი ცნობა ელვის სისწრაფით ვრცელდება. სახლიდან სახლს, ქუჩიდან ქუჩას გადაეცემა და მალე მთელი ქალაქი ამაზეა ლაპარაკობს.

ასე გაიგო პატარა ზღვისპირა ქალაქმა გამომძიებლის ჩამოსვლის ამბავიც.

საოლქო ცენტრიდან გამომძიებელი ერთმა წერილმა ჩამოიყვანა. იტყობინებოდნენ, ორი მანქანა ბეტონი სადღაც გააქრესო. მანქანების ნომრებიც კი ჩაეწერათ. გამომძიებელი ახალგაზრდა კაცი გახლდათ. ეს თურმე მისი პირველი საქმე იყო და თავიდანვე ძალიან მტრულად განეწყო.

...ნაპირზე გამოსულმა მედესანტეებმა პირდაპირ ქალაქის გარეუბნისაკენ გასწიეს. ბნელმა, უმთვარო ღამემ შეიფარა ისინი, უხილავი გახადა, მაგრამ ღამეს ასევე საგულდაგულოდ დაეფარა გერმანელთა საგუშაგოებიც. საწვავით სავსე უზარმაზარ ცისტერნებს რომ დარაჯობდნენ. მეზღვაურები ჯერ კლდეებს მიუყვებოდნენ, მაგრამ კლდეები რომ გათავდა და ველი დაიწყო, გზაზე გაიბაწრნენ. თვითეული ცდილობდა წინ მიმავლის ზურგს მოფარებოდა და თან უკან მომავალიც ეფარა. მარტო მეთაური ვერ შეეფარებოდა ვერავის ზურგს.

მერე ისინი საწყობის ღობის მავთულხლართს გადააწყდნენ და მიწაზე გაწვნენ. მაშინ რომ ვინმეს მათთვის ეკითხა, ყველაზე მეტად რისა გეშინიათო, ყველანი ალბათ ერთხმად იტყოდნენ: სინათლის, მზის, გათენებისო. ამიტომაც ჩქაროობდნენ, როცა მავთულხლართს ჭრიდნენ, ის კი ამ დროს გაწყვეტილი სიმივით

ეროვნული ბიბლიოთეკა

წკრიალებდა; ქანგიან ეკლებს ხელებს ახევდნენ. ოღონდაც ეს ხმა ჩაეხშოთ.

პირველი გუშაგი ჭანტურიამ გააქრო ადგილზევე. მან უეცრად დაინახა მუქი სხეული. ნელა რომ მოიწევდა მისკენ, და ფეხებში შეუვარდა. გუშაგი დაეცა. წუთიც და ჭანტურია ზურგზე მოექცა მას.

ღამე იწურებოდა, როცა მედესანტეებმა კარავ-საწვიმრები მოიძრეს და გადაჭრილი მავთულხლართებიდან საწყობის ეზოში შეცოცდნენ.

მერე საწვავით სავსე უზარმაზარ, შავ ცისტერნებამდეც მიაღწიეს. ასაფეთქებლები შეუწყვეს და ბიკფორდის ზონრებიც აანთეს. მავთულხლართისაგან დაგლეჯილი და სიცივისაგან გაშეშებული თითები უთრთოდათ, როცა ასანთს უკიდებდნენ, მაგრამ მათ ყველაფერი მაინც ისე გააკეთეს, როგორც საჭირო იყო.

და აი სწორედ მაშინ, ყველაფერი რომ მოთავებული ეგონათ, უეცრად საიდანღაც გუშაგი გამოძვრა და ავტომატის ჯერი დაცალა. რომელიღაც მედესანტე დაეცა. ორმა მისმა ამხანაგმა დაჭრილს მაშინვე ხელი დაავლო და გაღლეული მავთულხლართისაკენ გააქანეს. არც ერთს არ უსროლია, ჯერ კიდევ იმედი ჰქონდათ, ბნელი ღამე ტყვიისაგან დაგვიფარავს. მაგრამ ზედ მავთულხლართთან კიდევ ერთმა წაიბორძიკა. მან ხმადაბლა შეჰყვირა და დაეცა. მაშინ მეთაურმა ხელყუმბარა ისროლა. ისე ძლიერად და გაბოროტებით მოიქნია, როგორც ქვას ისვრიან ხოლმე. ყუმბარა არ აფეთქდა. ანდა, ვინ იცის, იქნებ აფეთქდა კიდეც, მაგრამ მისი ნათებაც და ხმაც პირველი აფეთქებული ცისტერნის საშინელ ხმაურსა და თვალისმომჭრელ ნათებაში ჩაიძირა. პირველ აფეთქებას მეორე, მესამე მოჰყვა. ჰაერი ერთბაშად გახურდა და სუნთქვა გაძნელდა. ცეცხლის ალმა თითქოს უკან დაახევინა ღამეს, ცაც მაღლა აიწია, გეგონებოდათ, მთელი დედამიწა განათდაო.

სადღაც საყვირი აღმუვლდა და მაშინვე საგუშაგო კოშკიდან ზარბაზანმაც იქუხა.

კაშკაშა სინათლემ მეზღვაურებს უჩინმაჩინის ქუდი მოხადა და ახლა მისგანაც ისევე უნდა დაეცვათ თავი, როგორც მტრის ტყვიებისაგან. ისინი მტრის თვალწინ იხევდნენ უკან, ზღვისაკენ, თან ისროდნენ, ეცემოდნენ და ისევ ფეხზე დგებოდნენ. ოთხნიღა დარჩენილიყვნენ.

ახლა იმ ადგილას, სადაც გერმანელთა ბენზინის საწყობი იყო, ქათქათა სამსართულიანი სახლები დგას, ღამაზ სკვერს კი კვიპაროსები ამშვენებს. ძნელი დასაჯერებელია, რომ საშინელ ნახანძრალზე ისევ აღმოცენდა სიცოცხლე. მაშინ ხომ ერთიანად გადაიბუგა ყველაფერი, მიწასაც კი ცეცხლი ეკიდა. ხანძრის ჩაქრობა შეუძლებელი იყო და არც არავის უცდია მისი ჩაქრობა.

მკვდარი, დამწვარი „კუნძული“ ომის დამთავრების შემდეგაც რამდენიმე წელს ხელუხლებლად იყო. ქალაქის ძველ მკვიდრებს კარგად ახსოვთ მისი არსებობა. შემდეგ ამ „კუნძულზე“ სახლების აშენება დაიწყეს. სწორედ ერთ-ერთ ასეთ სახლში, სადაც სასტუმრო იყო, დაბინავდა ოლქიდან ჩამოსული გამომძიებელი. მან მალე შეიტყო დესანტის ამბავიც და ისიც, როგორ გადაწვეს მათ საწვავის საწყობი. მაგრამ გარდასულ დროთა ამბები მას ნაკლებად აინტერესებდა. ფანჯარასთან მდგარი კვიპაროსებს გასცქეროდა და იმაზელა ფიქრობდა, საიდან დაეწყო საქმე. გადაწყვიტა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ მძღოლები დაეკითხა. მანქანის ნომრები წერილიდან იცოდა.

გამომძიებელმა ავტოკოლონისაკენ გასწია.

— სად მიიტანეთ ბეტონი სამ მაისს? — ჰკითხა პირველი მანქანის მძღოლს.

— სამ მაისს? „ვინოგრადნის“ მეურნეობაში. მთელი მაისის განმავლობაში იქ ვეზიდებოდით ბეტონს.

გამომძიებელმა მხრები აიჩეჩა და მძღოლს დაჟინებით დააცქერდა. კაცი ვერ გაიგებდა, რას გამოხატავდა მძღოლის ჭროღა თვალები: გაკვირვებას თუ დაცინვას. ამ გამოხედვას თითქოს უნდა განეიარაღებინა გამომძიებელი, მაგრამ იგი ასე ადვილად არ დანებებულა.

— საჭირო საბუთები თუ გქონდათ?

— მაშ, როგორ?!

გამომძიებელმა გადაწყვიტა შეტევაზე გადასულიყო.

— ჩემთვის ცნობილია, რომ თქვენ ერთი მანქანა ბეტონი სხვაგან წაიღეთ.

— განზე გავახვევინე, არა? — დააზუსტა მძღოლმა.

— ჰო, განზე.

— ამხანაგო გამომძიებელო, ერთი მითხარით, ვის რაში სჭირდება ბეტონი? შეჭამ, შესვამ თუ რა?

ამ შეკითხვამ გამომძიებელი ჩიხში მოაქცია. მართლაცდა, ვის რაში სჭირდება ბეტონი? პირველი მძღოლის დაკითხვამ მცირედ გაბზარა ახალგაზრდა გამომძიებლის მტკიცე რწმენა; ახლა უკვე ეჭვი ეპარებოდა, დანაშაულთან ჰქონდა თუ არა საქმე.

ვერც მეორე მძღოლთან ააწყო საუბარი. იგი თავგადაპარსული, ხანში შესული, ჯანღონით სავსე კაცი იყო.

— ბეტონი? უსაბუთოდ? ერთი სცადე გატანა. ჭიშკართან კუზმიჩი დგას. ის რამეს გაგატანს? კაცი კი არა, კლდეა!

გამომძიებელმა ყურები ჩამოყარა. გადაწყვიტა. ისევ ბეტონის ქარხნის დირექტორისათვის მიემართა, იქნებ ის მაინც დამეხმაროსო.

...დესანტმა მთებისაკენ გაჭრა ველარ მოახერხა და ისევ ზღვისკენ დაიხია. მათ ისე იზიდავდა ზღვა, თითქოს იქ, მოქცევის მიღმა, მათი მშობლიური სტიქია იყო. იგი ჭრილობებსაც მოუშუშებდა და ტყვეებისაგანაც დაიფარავდა. ისინი კლდის ერთი შვერილიდან მეორისაკენ გარბოდნენ და ცდილობდნენ, გერმანელთა ცეცხლისათვის როგორმე თავი აეღრიდებინათ. სამნიღა იყვნენ: მეთაური, დროზდოვი და ჭანტურია. რიჟრაქმა თანდათან აჩინა: თურმე მეთაური ჩაფსკვნილი, საშუალო ტანის კაცი ყოფილა, შორიშორს ჩამჯდარი თვალები ჰქონია. მძიმე, დათვური ნაბიჯით დადიოდა. ხელებიც ოდნავ გაჩაჩხული დაჰქონდა. გაჭვარტლულ შუბლს სამი ნათელი ნაოჭი გასდევდა. ჭანტურია თხელი, მოქნილი ყმაწვილი იყო, მორკალული შავი წარბები ჰქონდა და კეხიანი ცხვირი. ლოყაზე სისხლი მოყონავდა. გვერდით დროზდოვი ედგა. პირხმელი, ფართოყვრიმალებიანი კაცი. იგი უკვე ხანში შესული იყო, მაგრამ საკმაოდ მოძრავი ჩანდა. კოჭლობით გარბოდა და ხვინჭაზე სისხლიან კვალს ტოვებდა.

კონოვალოვი, სტეპანენკო და სმოლიანიცკი მათთან აღარ იყვნენ. ისინი საწვავის საწყობთან დარჩნენ სამუდამოდ. ყველაზე უმცროსი კი, ოზარიონოკი, ნაპირიდან რამდენიმე ნაბიჯზე დაიღუპა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღის სინათლეზე ცეცხლს ფერი გაუკრთა, სამაგიეროდ, კვამლის უზარმაზარი მძიმე ბოლქვები გამოჩნდა კარგად, ცეცხლიც და კვამლიც უკვე ისე მაღლა ასულიყო ცაში, ველარც კი დაიჯერებდა კაცი, თუ ეს უზარმაზარი შემზარავი სტიქია შეუპოვარ ადამიანთა ხელების ნამოქმედარი იყო.

გერმანელი მეავტომატეები არც თავს ანებებდნენ სამ მეზღვაურს და არც ძალიან უახლოვდებოდნენ. ეტყობოდათ, სულაც არ უნდოდათ თავი შეეწირათ ამ სამი გადარეულისათვის, მით უმეტეს, დარწმუნებული იყვნენ, ვერსად წაგვივლენ და ადრე თუ გვიან ხელში ჩაგვივარდებიანო.

მეზღვაურებმა ნაპირს მიაღწიეს და წყლიდან ამოშვერილ კლდეებშუა ჩაიმალნენ. მერე შავი ბუშლატებიც გაიძრეს და ზოლიანი მაისურების ამარა ზღვას შეერივნენ.

ცეცხლი ძლიერდებოდა. ფაშისტებიც საცაა ზედ წაადგებოდნენ. მედესანტეები კი ბრძოლას მაინც არ წყვეტდნენ. ცოცხალმკვდარი დაჭრილები ქვებთან ჩაწოლილიყვნენ და პირგამშრალნი ჰაერს ძლივს ყლაპავდნენ. ისინი ხმელეთზე გამორიყულ ზღვის ბინადართ ჰგვანდნენ. სულს რომ ღაფავდნენ უცხო, მტრულ სტიქიაში.

ჭერ დროზდოვი დაიღუპა. იგი უცებ შეკრთა და იქვე, ხვინჭაში თავწარგული, სამუდამოდ გაჩუმდა. შემდეგ ჭანტურიამ შეჰყვირა და დაეცა. ლოყით კლდეს მიეყრდნო და მრისხანე მებრძოლი ერთ წამში მძინარე ჭაბუკად იქცა.

მეთაურმა შეტევაზე გადმოსულ მტერს ორი ხელყუმბარა ესროლა და ზღვაში გადაეშვა.

...პატარა ზღვისპირა ქალაქის მცხოვრებლები კარგად იცნობენ ამ კლდოვან ყურეს, სადაც მეზღვაურებმა უკანასკნელი ბრძოლა გაუმართეს მტერს. იმ ქვებზე, დროზდოვი და ჭანტურია რომ დაიღუპნენ, ახლა ქალაქელი ბიჭები სხდებიან და თევზაობენ, ლორჯოებს და პაწაწინა კიბორჩხალებს იჭერენ. ზღვამ დიდი ხანია ჩამორეცხა სისხლი ნასვრეტებიან კლდეებს და თავის საკუჭნაოში დაუდო ბინა დაღუპული მეზღვაურების მრგვალ ქუდებს.

გამომძიებელმა ბეტონის ქარხნის დირექტორის კაბინეტის კარი შეაღო. შესვლისას შავი პიჯაკი შეისწორა. ძალიან სცხელოდა პიჯაკში და ყელსახვევიც ძალიან აწუხებდა, მაგრამ გადაწყვეტილი ჰქონდა, ასე ჩაცმული ყოფილიყო.

დირექტორს კი ტილოს შარვალი და ხალათი ეცვა. ჩაფსკვნილი იყო, სიმსუქნემორეული, შუბლიდანაც წარამარა იწმენდდა ოფლს. ერთმანეთს გაეცვნენ. დირექტორმა სკამი შეთავაზა გამომძიებელს, ვაშლიც მიაწოდა. გამომძიებელმა ვაშლს ზედაც არ შეხედა, პირდაპირ საქმეზე გადავიდა:

— მინდა გულახდილად გითხრათ ყველაფერი. გვაცნობეს, რომ თქვენი ქარხნიდან ბეტონი გაიტაცეს. ორი მანქანა...

— ჩვენს ქარხანაში ასეთი რამე არ ხდება, — მოუჭრა დირექტორმა.

— არა, ხდება! — გამომძიებელმა გადაწყვიტა სიმკაცრე გამოეჩინა. — ორი მანქანა... სამ მაისს... აი, ნომრებიც... — და მან დირექტორს ქაღალდი გაუწოდა, რაზედაც იმ მანქანების ნომრები ეწერა, ქარხნიდან უსაბუთოდ რომ გაეტანათ ბეტონი. მერე გაბრაზებულმა ჩაიბურტყუნა: — ამისათვის ჩვენ სამართალში ვაძ-

ლევთ ხოლმე. თქვენ კი, როგორც კომუნისტი, გამოძიებას უნდა დაეხმაროთ.

დირექტორი მძიმედ წამოდგა და ტლანქი ნაბიჯით გაიარ-გამოიარა ვიწრო კაბინეტში. მერე შეჩერდა და თავი ასწია.

— კარგით, დაგეხმარებით,—თქვა და ისევ დაჯდა.

— თქვენთვის ცნობილია, რა მიზნითაც გაიტანეს ბეტონი?

— ცნობილია... მე გავეცი განკარგულება უნებართვოდ გაეშვათ ქარხნის ეზოდან ორი მანქანა.

გამომძიებელმა გაოცებით შეხედა დირექტორს და მხრები აიჩეჩა.

— სად წაიღეს?

გამომძიებელს ხმა გაუმკაცრდა. იგი შეტევაზე იყო გადასული, დირექტორი კი თითქოს უკან იხევდა. ყოველ შემთხვევაში, ასე მოეჩვენა გამომძიებელს. მან კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა წინ.

— სად წაიღეს-მეთქი ბეტონი?

— სად წაიღეს?... თქვენ ეს გაინტერესებთ?

— რასაკვირველია.

— მაშინ წამომყევით დანაშაულის ადგილზე...

ქალაქის განაპირას, ზედ ზღვისპირთან, რუხი ფერის ობელისკი იდგა. იგი უზარმაზარ დაშნას ჰგავდა და მზეზე ბრწყინავდა. ობელისკთან ყვავილები ეწყო. ზოგი დამჭკნარიყო თაკარა მზეზე, ზოგიც ჯერ კიდევ ხასხასებდა. ალისფერი მიხაკი ჩირაღდანივით ენთო.

— აი, ის ბეტონი,—თქვა დირექტორმა და გამომძიებელი ობელისკთან მიიყვანა.

გაქვავებულ ბეტონზე თეთრი დაფა იყო მიკრული და ზედ ეწერა: „სამარადისო დიდება გმირული დესანტის მონაწილეებს“. შემდეგ დაუპულთა გვარები იყო ჩამოთვლილი.

გამომძიებელი დაიხარა და ხმადაბლა, ნელა დაიწყო გვარების წაკითხვა. დირექტორი გვერდით ედგა და ყოველი გვარის შემდეგ მედესანტეთა პასუხები ესმოდა.

„დროზდოვი!“

„აქ ვარ!“ — ყრუდ გაისმა ხანში შესული კაცის ხმა.

„კონოვალოვი!“

„აქაა“, — მოჭრით უპასუხა ხმამ.

„ჭანტურია!“

„აქა ვარ, ზემდეგო!“ — ქარმა გაჰფანტა წკრიალა ახალგაზრდული ხმა.

„სტეპანენკო!“

„აქა ვარ! — უპასუხა ზოზინა, აუჩქარებელმა ხმამ. — ჩექმიდან წყალსა ვღვრიდი“.

„სმოლიანიცკი!“

„ადგილზეა“! — ძლივს ამოღერღა ხმამ, თითქოს სიცივისაგან აკრჭოლებსო.

„ოზარიონოკ!“

„ვარ!“ — გაისმა ყმაწვილის წვრილი ხმა.

გამომძიებელმა ყველა გვარი წაიკითხა. ექვსი ეწერა. მაგრამ მან იცოდა, რომ იმ ბნელსა და ქარიშხლიან ღამეს ქალაქის განაპირას შვიდნი გადმოსხდნენ. ის იყო, უნდა ეკითხა, მეშვიდე სად არისო, რომ უეცრად საშინლად შერცხვა.

— მაპატიეთ, — თქვა მან.

უკან რომ ბრუნდებოდნენ, დირექტორმა ჰკითხა:

— შეიძლება გამოძიება დამთავრებულად ჩავთვალოთ?

— არა, — მტკიცედ თქვა გამომძიებელმა.

პასუხს დირექტორი დიდად არ აუღელვებია, მხოლოდ ესა თქვა:

— ნუთუ მათ, დაღუპულებს, თი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოს თითო მანქანა ბეტონი ალარ ეკუთვნით?

გამომძიებელი შეჩერდა. მან სევდით სავსე განცვიფრებული თვალები შეანათა დირექტორს და თქვა:

— არათუ ბეტონი, მათ მთელი ჩვენი სიცოცხლე ეკუთვნით. სწორედ ამიტომ არაა დამთავრებული გამოძიება. მანამ არ წავალ ქალაქიდან, ვიდრე დამნაშავეს არ ვიპოვი, აი, იმას, ვინაც ობელისკთან იდგა და ჩუმად მანქანების ნომრებს იწერდა.

— თქვენ იცით მისი სახელი? — ჰკითხა დირექტორმა.

გამომძიებელმა თავი გააქნია.

— წერილი ხელმოუწერელია.

— ეს კაცი დამნაშავე არ არის, — თქვა ჩაფიქრებულმა დირექტორმა.

გამომძიებელმა გაოცებით შეხედა.

— ეს კაცი დამნაშავე კი არა, მტერია, — თქვა დირექტორმა.

— დიახ, მეც ამიტომ მანამ არ წავალ ქალაქიდან, სანამ იმას არ ვიპოვი.

— ეს შენ ბრძოლის მოგებად ჩაგეთვლება. იმოქმედე, შვილო, — წყნარად წარმოთქვა მედესანტეთა მეთაურმა და ახალგაზრდა კაცს მხარზე მაგრად მოუჭირა ხელი.

# ზენაური ვილიამსი

## ცისფერი გავშვების გდელო

### ამონარი

ინგლისურიდან თარგმნა ვახტანგ კოპაძემ

Ს ახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის ბოლო გაზაფხულს მირა მოუსვენრობამ შეიპყრო, მიზეზი კი ვერ გაეგო. ეს არ იყო ახალგაზრდობის მოძალებით მოსული ჩვეულებრივი აღტკინება. აქ იყო რაღაც უფრო მდელვარე. აღარაფერი აკმაყოფილებდა, ყველაფერი დაუსრულებელი ეჩვენებოდა. მაშინაც კი, როცა ცეკვებიდან ბრუნდებოდა, სადაც მთელი საღამო თავბრუდახვევამდე ტრიალებდა, საწოლში მაინც ვერ ისვენებდა, რული არ ეკარებოდა, რაღაცას ელოდა, ამ ღამეს რომ შეავსებდა. ზოგჯერ სასოწარკვეთა ეუფლებოდა, თითქოს რაღაც მეტად მნიშვნელოვანი რამ დაჰკარგა ან სადმე დაავიწყდაო. წუთით გაირინდებოდა და მეხსიერებას დაძაბავდა, ცდილობდა მოეგონებინა. იქნებ კირკის მეგობარი ველოსიპედით რომ ასეირნებდა, მაშინ დაჰკარგა რაღაც? ან შეიძლება სტუდენტთა კლუბის ნახევრად ჩაბნელებულ ოთახში დივანზე დარჩა.

„მოხდა რამე?“ — ეკითხებოდა კირკი ან სხვა ვინმე.

„არაფერი! ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს რაღაც დავკარგე!“ — პასუხობდა მირა და თან გამომწვევად იცინოდა. თვითეული ნივთი გადათვალა, მაგრამ მაინც ვერ მოისვენა. ქალთა საცხოვრებელში დაბრუნებისას ოთახიდან ოთახში დადიოდა და საღამოს ჭორებს ისმენდა, ოღონდ უგულისყუროდ, სიტყვები არც ესმოდა. მთხრობელზე ეცინებოდა. ბოლოს, როცა ყველანი დასაძინებლად წავიდ-წამოვიდოდნენ და ოთახში ეულად დარჩებოდა, მარტოობის საშინელი გრძნობა ეუფლებოდა; ზოგჯერ მწარედ წაიტირებდა ხოლმე, თითონაც არ იცოდა, რატომ. ამ დროს ტუჩებზე პირსახოცს იფარებდა, რომ ხმა არავის გაეგონა. ხან პერანგის ამარა ფანჯრის რაფაზე ჩამოჯდებოდა და გაჰყურებდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნივერსიტეტის ქალაქს, მის შენობებს, ხეივნებს, გაშლილ მინდვრებს — ლამაზსა და გაზაფხულის ღამეებში ლურჯად ჩამუქებულს, ადმინისტრაციული შენობის გუმბათს, შორიდან თოვლიან მწვერვალს რომ წააგავდა, და ვარსკვლავებს, გასაოცრად დიდსა და ახლობელთ, — ყოველივე ეს აღელვებდა და სუნთქვას უკრავდა, მიზეზი კი ვერ გაეგო.

საღამოს, როცა ნასვამი, ცეკვებით აღგზნებული, შეზარხოშებული მომღერლები მის სახლთან შეყოვნდებოდნენ, ღამის ნათურას ჩართავდა, ფანჯარაზე გადადგებოდა და თან ხელებს ისე აიქნევდა, თითქოს მათ შემოქმედებას აღფრთოვანებული ტაშს უკრავსო. როცა ისინი წავიდოდნენ, ისევ გაირინდებოდა. მერე სინათლეს ჩააქრობდა და ყველაფერი ეს მოსაწყენი, აუტანლად მოსაწყენი ხდებოდა; საშინელებაა, როცა იძულებული ხარ უსმინო ხრინწიან ხმებს, ვიდრე ეს ხმები სულ არ შეწყდება, ან არ ჩაიკარგება მანქანების ძრავების თუხთუხში და საბოლოოდ შუაღამისეული ლურჯი სიჩუმე არ გამეფდება.

ფანჯარასთან გარინდებული იდგა, სუნთქვაშეკრული ელოდა, ქვითინი როდის აუვარდებოდა. როდესაც ტიროდა, თავს უკეთესად გრძნობდა. თუ ვერ იტირებდა, მაშინ რული არ ეკარებოდა, გათენებამდე ბორგავდა და რაღაც ტკივილი აწამებდა.

იმ გაზაფხულს კირკ ებოტის სტუდენტთა კლუბში დაიწყო სიარული. მაგრამ მისი ცხოვრება იოტისოდენადაც არ შეცვლილა. უწინდებურად ხვდებოდა სხვა მამაკაცებს, განურჩევლად ყველას და ყველგან, სადაც მოესურვებოდათ, ხოლო როცა კირკი ბრაზობდა, არც ცდილობდა აეხსნა, რატომ იქცეოდა ასე. იგი კირკს კოცნიდა და მანამ არ მოეშვებოდა, ვიდრე კირკი არ აპატიებდა ყოველივეს, რასაც მირა იქნებ განზრახ სჩადიოდა.

ადრე ბავშვობაში მირას რამდენიმე პატარა ლექსი ჰქონდა დაწერილი, მაგრამ ამ გაზაფხულზე უკვე აღარ შეეძლო არ დაეწერა ლექსი. ამჩნევდა, როცა მოჭარბებული გრძნობა მიეძალებოდა და ველარ იოკებდა ენით გამოუთქმელ ტკივილს, საკმარისი იყო ქაღალდზე რაიმე წაეჯღაბნა და მაშინვე სულს ოდნავ მაინც მოითქვამდა. ცალკეული წინადადებები ან სტროფები, ზოგჯერ კი მთელი ლექსი წამიერად ისეთი სიცხადით გაუელვებდა გონებაში, როგორც სურათები ჯადოსნურ ეკრანზე. მათი სილამაზე აღაგზნებდა, ზოგჯერ იგი ღვთაებრივად ზეშთაგონებული იდგა, გარინდული და სუნთქვაშეკრული, და ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს აი ადამიანური ფიქრის ახალ სივრცეს ვეუფლებიო. ეგონა, ირგვლივ წყვდიადი იყო და ამ წყვდიადს უცბად თვალისმომჭრელი ელვარება აციმციმებდა. ასე ხდება სამეჯლისო დარბაზში, ხან რომ ჩაბნელებულია, ხან კი მზესავით ჩახჩახებს: ელვარებს ასეულობით სანთელი, ბრწყინავს სარკეები, თვალისმომჭრელად გაპრიალებული იატაკი. ამ დროს მირა ოთახში სინათლეს აქრობდა და სწრაფად მიდიოდა ფანჯარასთან. როცა ის მეწამულისფერ ქალაქს და ცის თეთრად მოელვარე გუმბათს გაჰყურებდა ან მონუსხულივით უსმენდა მიძინებული ქუჩებიდან მოსულ ხმებს,—ეს იყო ღამის მომღერლების თუ ღია მანქანებში მოკისკისე ქალ-ვაჟთა ჟრიამული — მათი მშვენიერება დიდხანს არ აწამებდა. როგორც კი შეიგრძნობდა იდუმალი სიჩუმის მაგიურობას, ასე ეგონა, თითქოს რაღაც ამაღელვებელ კითხვას გასცაო პასუხი და ცხოვრებაც შესაბამისად უფრო მარტივ და სიამოვნების მომგვრელ განცდად იქცეოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სიტყვები ქსელია, რომ სილამაზე გააბა!“

ეს სიტყვები რვეულის ყდას დააწერა აპრილში, ბოლო ლექციაზე „კონგრესის უფლებები საგადასახადო სისტემაში“. მას შემდეგ ისე ეჩვენებოდა, რომ ყველაფერი გაიგო და გულის ტკივილსაც ნაკლები სიმწვავით შეიგრძნობდა.

პოეზიის კლუბში მირასთან ერთად ერთი ჭაბუკიც დადიოდა, ვისაც უკვე წელიწადზე მეტია, რაც მირა უყვარდა. სახელად ჰომერ სთოლქაპი ერქვა. მხოლოდ და მხოლოდ კლუბის სესიებზე ხვდებოდნენ ერთმანეთს და მირა ბიჭის თვალებში ჩაბუდებულ სიყვარულს გრძნობდა. ჰომერი ქალიშვილს პირდაპირ არასდროს უყურებდა, თვალს ვერ უსწორებდა, მაგრამ ისე დაძაბული იჯდა და დროდადრო ისე გამოხედავდა, რომ მირა ადვილად ხვდებოდა, რა ხდებოდა ბიჭის სულში. ჰომერი გაურბოდა ქალიშვილს, არც გვერდზე დაუჯდებოდა და არც პირდაპირ, ამიტომ მირა პირველად ფიქრობდა, ალბათ არ მოვწონვარო; შემდეგ კი თანდათან დარწმუნდა, რომ ეს მოკრძალებული საქციელი უფრო ამყლავნებდა ჰომერის გრძნობას.

ჰომერი არ იყო სტუდენტთა საზოგადოების წევრი. იგი ხან ღუმელებს ანთებდა, ხან მაგიდებს ემსახურებოდა უნივერსიტეტის ქალაქის სასადილოში. ამიტომ მირას წრეში მას არავინ იცნობდა და არც ყურადღებას აქცევდა. ჰომერი საკმაოდ დაბალი, ჩაფსკვნილი, შავგვრემანი ჭაბუკი იყო, მირას აზრით, სასიამოვნო შესახედიც კი. მას ელვარე შავი თვალები, სწორი ცხვირი, ლამაზი ნესტოები, სავსე, მოძრავი ტუჩები ჰქონდა. ტუჩის კუთხეები ზოგჯერ მღელვარებისაგან უთრთოდა. რაღაც მეტისმეტად ბევრს მოძრაობდა. სკამიდან რომ დგებოდა, იფიქრებდი, საცაა გადააყირავებსო, სიგარეტს უკიდებდა და პირისახე საშინლად ეღრიცებოდა, ხოლო დამწვარ ასანთს ალმოდებულ შუშხუნასავით იშორებდა.

მეტწილად თავისი შინაგანი ბუნების შესაფერ გოგონასთან დადიოდა, ჰერზა თუ რაღაც მსგავსი სახელი რომ ერქვა. სტუდქალაქში თავისი უცნაურობის გამო ყველა იცნობდა. როცა რაიმეზე ლაპარაკს იწყებდა, ლიტერატურა იქნებოდა ეს თუ პოლიტიკა, საოცარი შესახედავი ხდებოდა: ლაპარაკობდა სწრაფად, გაუგებრად, თითქოს იხრჩობაო, პირიდან დორბლი სდიოდა, ხელებს ისე იქნევდა, გეგონებოდათ, ჰაერში თვალით უხილავ საგნებს აგროვებსო — ასე გრძელდებოდა მანამ, ვიდრე ოთახს ხარხარი არ შესძრავდა, ხოლო ლექტორი, სიცილი რომ შეეკავებინა, დაფისკენ არ მიტრიალდებოდა.

ჰერზა და ეს ბიჭი, ჰომერი, ერთად საოცარი სანახავი იყვნენ. მთელი თავით მაღალი ჰერზა ყოველთვის წინ მიდიოდა, თან პალტოს სახელოზე ჩაფრენოდა ბიჭს, თითქოს ეშინია, არ გამექცესო, და ყოველ წამ-წუთში ან ერთ-ერთი, ან ორივე ერთად სიცილისაგან ისე ჩაბჟირდებოდა, რომ მათი ხმა მთელ უბანში ისმოდა.

ჰომერი სხვადასხვა განწყობილებისა და სტილის ლექსებს წერდა. ნაწილი ჰარტ კრეინის პოეზიას წაგავდა, ნაწილი კი სარა ტისდეილის ნაწარმოებებს ჩამოჰგავდა, მაგრამ ჰქონდა გულზე მოსახვედრი სტროფებიც, ისეთი მწვავე ხასიათისა და ახლებურად გადაწყვეტილი, ლახვარივით რომ ჩაგესობოდათ. როცა კლუბის სესიაზე ჰომერი თავის ლექსს წაიკითხავდა, ჰერზა ელდანაცემივით წამოვარდებოდა სკამიდან, ბეც თვალებს მოჭუტავდა და გამანად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურებელ მზერას მოავლებდა მსმენელებს, დამცინავი ღიმი რომ დასთამაშებ-დათ პირისახეზე. ხან უბრაზდებოდა, ხანაც სთხოვდა, აქაოდა დამეთანხმეთ, რომ ჩემი ქება ჰომერმა ნამდვილად დაიმსახურაო. ჰერზას შემდეგ მირა თუ იტყოდა ხოლმე რამეს, თორემ დანარჩენები ხმას არ იღებდნენ, რადგან ზოგს ზედმეტად მორეოდა გრძნობა, ზოგიც გულგრილი დარჩენილიყო, ან სულაც მტრულად იყო განწყობილი. პირისახეაჭრელებული ჰომერი კი თვალს არიდებ-და შეკრების მონაწილეთ. თითებით ისე ჭმუჭნიდა ნაწერ ქაღალდებს, თითქოს ეშინია, სტროფები არ ამოცვივდესო, ან თითქოს ფურცლებზე არაფერი სწერია და სუფთა ქაღალდები ტყუილუბრალოდ წამოიღო, თითები რომ გაავარჯი-შოსო.

მირას ყოველთვის მეტის თქმა სურდა, მაგრამ თავს ვერ ართმევდა სათქ-მელს, სიტყვები არ ჰყოფნიდა.

„ვფიქრობ, მშვენიერი იყო“, ძუნწად იტყოდა ხოლმე, ან „მე ძალი-ან მომეწონა“. ამ სიტყვების გაგონებაზე ჰომერი თავს არასოდეს არ ასწევდა. პირიქით, პირისახე უფრო ელუშებოდა. მირა კი დამნაშავესავით ენას მოიკვნეტ-და, თითქოს უსიამო რამ თქვა და ახლა სინდისი ქენჯნისო. უნდოდა მისულ-ყო ბიჭთან, ხელზე ხელი დაედო და დაემშვიდებინა, აღელვებული რომ ჭმუჭ-ნიდა ფურცლებს.

ეს იყო ივნისის დასაწყისში, წლის ბოლო სხდომა რომ დამთავრდა. მირამ პირველად გაბედა და გამოელაპარაკა. ჰომერი დერეფნის ბოლოს წყლის შად-რევანთან იდგა. მირა აღგზნებული მიეჭრა და ყველაფერი სულმოუთქმელად მიაყარა. უთხრა, რომ მისი ლექსები საუკეთესოა გამოუქვეყნებელ ლექსებს შორის, ოდესმე რომ წაუკითხავს, რომ ისინი აუცილებლად უნდა დაიბეჭდოს რომელიმე კარგ ლიტერატურულ ჟურნალში, რომ, მისი აზრით, კლუბის დანარ-ჩენი წევრები მიუხვედრელნი და ნამდვილი ყეყეჩები არიან.

ჰომერი იდგა, ხელები ჯიბეში ჰქონდა ჩაწყობილი. ლაპარაკის დროს თავიც არ აუღია. შემდეგ გრძნობამორეულმა ჩანთიდან დაწერილი ქაღალდების შეკვრა ამოიღო და მირას ხელში შეაჩეჩა.

„გთხოვთ წაიკითხოთ, — მობოდიშებით უთხრა მან, — და თქვენი აზრი მი-თხრათ.“

კიბეზე ერთად დაეშვნენ. ბოლო საფეხურზე ბიჭმა წაიფორხილა თუ ფეხი დაუცდა, მირამ მკლავში ხელი სტაცა, რომ არ დაცემულიყო. მირას აღელვებ-და და ართობდა ბიჭის მოუქნელობა და აშკარად სიამოვნებდა მის გვერდით სიარული. შენობიდან რომ გამოვიდნენ, ლიმონივით ყვითელმა საღამოს მზემ კეთილისმყოფელი სხივები მოჰფინა მათ სახეებს. ჰაერი მწუხრის ზარების რეკვას და მტრედების ღუღუნს აევსო. ერთი მტრედის თეთრი ბუმბული ძირს ფარფატით წამოვიდა და მირას თავზე დაეცა. ჰომერმა ნაზად აიღო და ქუდში ჩაიმაგრა. შინისკენ მარტოკა მიმავალი მირა მთელი გზა გრძნობდა ბიჭის თი-თების მსუბუქ შეხებას. ნეტავ შეინახავს მტრედის ბუმბულს?! შეიძლება გან-ძივით გაუფრთხილდეს, ბუმბული ხომ მირას შეეხო.

იმ ღამეს, როცა ქალთა საერთო საცხოვრებელი სიბნელემ მოიცვა, მი-რამ ლექსების შეკვრა აიღო და შეუსვენებლივ ჩაიკითხა. ღელავდა, კარგად არც კი ესმოდა, რას კითხულობდა, მაგრამ შთაბეჭდილება იმდენად დიდი იყო, კი-

თხვა რომ დაამთავრა, მთელი სხეული უთრთოდა. ისე კანკალებდა, თითქოს ცხელი წყლის შემდეგ ცივი ჰაერის ნაკადი გადაევლოო.

ჩაიცვა და დაბლა ჩავიდა. თვითონაც არ იცოდა, რისი გაკეთება სურდა, განსჯის უნარი დაჰკარგვოდა. ასეთი რამ არასოდეს დამართნია, ასე არასოდეს არევია გზა-კვალი.

საერთო საცხოვრებლის კარი გამოაღო და სირბილით გაუყვა მთვარით განათებულ ქუჩებს და მანამ იირბინა, ვიდრე გაკვირვებული უცებ არ მიხვდა, რომ ჰომერის სახლის წინ იდგა. დიდ მუხებში ჭრიჭინობელები დაჭრიჭინობდნენ — მათი ხმაც პირველად ესმოდა. ბაღლა აიხედა. სახლის სახურავს დასავლეთიდან ვარსკვლავთა გუნდი დაციმციმებდა. შვიდი დის თანასვარსკვლავედი იყო. ისინი ერთად შეყუჟულიყვნენ ულრან ტყეში მოხეტიალე ქალწულებივით. ჩამიჩუმი არ ისმოდა, მხოლოდ ჭრიჭინობელები და მისი თეთრი კაბის ჩუმი, ძლივს გასაგონი შრიალი არღვევდა მყუდროებას.

სწრაფად წავიდა სახლის იმ მხარეს, სადაც კარი ეგულებოდა. აქედან დილაობით ჰომერი გამოდიოდა ხოლმე. ორჯერ დააკაკუნა მსუბუქად და მკაფიოდ. შემდეგ აგურის კედელს მიეყრდნო. სწრაფად სუნთქავდა. ცოტა შეიცადა და კვლავ დააკაკუნა. ფანჯრის მინაში სარდაფში ჩამავალი კიბე დაინახა. ლია კარიდან სინათლის შუქი გამოდიოდა. მირამ ჯერ მოძრაგი ლანდი, მერე კი თვითონ ბიჭიც გაარჩია, მძიმე, ყავისფერ ხალათს რომ ისხამდა მხრებზე და თან იშმუშნებოდა.

კარი გაიღო და მირამ სახელი ძლივს ამოღერღა. ისე ბოეჩვენა. მთელი წელი გავიდა, სანამ პასუხს მიიღებდა. შემდეგ ბიჭმა მკლავზე ხელი მოჰკიდა და შეიყვანა.

„მირა, ეს თქვენა ხართ?!“

„დიახ, მე ვარ,—გაეცინა,—არ ვიცი, რა დამემართა. თქვენს ლექსებს ვკითხულობდი. უცბად ვიგრძენი, რომ სასწრაფოდ უნდა მენახეთ და მეთქვა...“

სუნთქვა შეეკრა. კარს მიეყრდნო. ამჯერად უკვე ბიჭის კი არა, მისი თვალები იყურებოდნენ შეპარვით. იგი დასცქეროდა მის უხეშ, ყავისფერ ხალათს, საიდანაც დიდი, ძლიერი და თეთრი შიშველი ფეხები მოუჩანდა. მათმა დანახვამ შეაცბუნა. უმალ გაახსენდა ბიჭის სწრაფი, ხარბად მოძრავი თვალები, როგორ ცახცახებდა იმ შუადღისას დერეფანში, ან როგორ წაიფორხილეს ამ დიდმა ფეხებმა კიბეზე და მან ხელი დასაჭერად რომ შეაშველა.

„ლექსებში იყო ერთი რამ, განსაკუთრებით საყურადღებო, — თავს ძალა დაატანა და განაგრძო მირამ. — იქ იყო რაღაც ლუღური ყვავილების მდელოზე...“

„ოჰ, დიახ, — წაიჩურჩულა მან, — შენ ცისფერ ბავშვებს გულისხმობ“.

„ჰო, ეს იყო!“ — თვალები ასწია და მომნუსხველად შეხედა.

„შემოდი ჩემს ოთახში, მირა“.

„არ შემიძლია!“

„არ შეგიძლია?“

„არა, რასაკვირველია, არა! ვინმემ რომ მნახოს...“

„ვერავინ გნახავს!“

„გამრიცხავენ!“

სიჩუმე ჩამოვარდა.

„წუთით შოშიცადე!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

მან სამი კიბე ჩაირბინა და შემოტრიალდა.

„მხოლოდ ერთი წუთით, მირა!“

თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. მირას ესმოდა, როგორ ჩაირბინა ბიჭმა კიბე, და შემდეგ როგორ დარბოდა ოთახში; კარს მიღმა იატაკსა და კედლებზე მოძრავი ლანდი ჩანდა. ჰომერი იცვამდა. წამით, ღრიჭოდ დატოვებული კარიდან, წელზევით შიშველ ჭაბუკს მოჰკრა თვალი. მისი სავსე, ძლიერი მკერდისა და მკლავების დანახვამ აღაგზნო და საოცრად ააღელვა. სინათლის შუქზე ჩრდილებად იკვეთებოდა სხეულის ყოველი კუნთი და ქალიშვილმა იფიქრა, სწორედ ახლა, ამ წუთში აივსება ბიჭი იმ ფიზიკური ჯანითა და ღონით, რაიც ადრე არ ჰქონიათ. ეს იყო ძალიან დიდი ძალა, ასეთი ძალა არც ერთი ახალგაზრდა კაცისაგან არ უგრძვნია, კირკ ებოტი იქნებოდა ეს თუ სხვა ვინმე, ვისაც ოდესმე შეხვედრია.

წუთის შემდეგ ჰომერი გამოვიდა, წყნარად დაკეტა კარი და კიბეს ამოჰყვა.

„ბოდიშს ვიხდი, დიდხანს გალოდინეთ“.

„სრულებითაც არა!“

ჰომერმა მკლავში ხელი გაუყარა და სადარბაზოდან გამოვიდნენ. სახლს შემოუარეს. სახლის წინ მდგარი მუხის ხე გოლიათივით მოჩანდა. ყველაფერი საოცრად დიდებული და გამოკვეთილი იყო; ქვიშის ხრაშუნის ხმაც ესმოდათ. იგი მოელოდა, აი, ახლა გამოჰყოფენ თავს ფანჯრებში ნამძინარევი, თმაგაჩეჩილი მობინადრენი, აი, ახლა დაედევნება გააფთრებული ბრბო, გაიგონებს მათ გამყინავ ხმებს, სახლის სახურავებიდან რომ უყიჟინებენ...

„სად მივდივართ?“ — იკითხა, როცა აგურით მოყრილ ბილიკს სამხრეთისკენ გაუყვნენ.

„მინდა ის მდელო განახო, ლექსში რომ აღვწერე“.

შორს არ წასულან. ბილიკი მალე დამთავრდა და ფეხქვეშ უკვე მიწის გამაგრილებელი სინოტივე იგრძნობოდა. მთვარე წყალივით იღვრებოდა მუხის ხშირ, მოშრიალე ფოთლებში. ბილიკზე კი ისე თამაშობდნენ ჩრდილები, რომ მდინარე გეგონებოდა. ხის ღობეს მიადგნენ. ბიჭი გადახტა. შემდეგ მკლავები გადმოჰყო და მირა გადაიყვანა. მაგრამ არ გაუშვა, უფრო ახლოს მიიზიდა.

„აი, ეს არის, — უთხრა მან, — ცისფერი ბავშვების მდელო“.

მხარს ზემოდან გახედა და მართლაც ასე იყო. მთელი მინდორი დაფარული იყო მოცეკვავე ცისფერი ყვავილებით. მათ შორის მოგოგმანე ნელი სიო ლურჯ ტალღებად ალივლივებდა ყვავილებს, და ისინიც მოთამაშე პატარა ბავშვებივით ნაზად ჩურჩულებდნენ თითქოს და მერე ხმა უსასრულობაში იფანტებოდა.

გაახსენდა ხედი, მისი ფანჯრიდან რომ ჩანდა, ტირილში გათენებული ღამეები, ადმინისტრაციული შენობის გუმბათი, თოვლიან მთას რომ აგონებდა, და მთვარის შუქით განათებული ტოტების მოუსვენარი შრიალი, მანქანების თუხთუხი და მოღრიალე ხმები, მთელ უბანში რომ ისმოდა, სულელური ანეგდოტები, თეთრი აკაციების ღამის სურნელება და ციცინათელებივით მოციმციმე ვარსკვლავები კუნაპეტ ცაზე, თავზარდამცემი გრძნობა, შიში და... აი, დასასრულიც, რამდენიმე თვეში მოულოდნელად რომ ესტუმრა. თავისი მკლავები ძალუმად შემოხვია ბიჭის მხრებს. ისიც სრულიად უცხო იყო მისთვის, ამ ღამემდე მასზე არასოდეს უფიქრია, და მაინც ეს ადამიანი ახლა მისთვის გამოუთქმელად ძვირფასი იყო, ყველაზე ახლობელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხან მოიყვანა აქ, ამ მდელოზე, სადაც ცისფერი ყვავილები ბალბლებდა ელამუნება მის მუხლებს, სადაც ყვავილის ფურცლები შიშველ სხეულზე რბილად ელაციცება, და ჩაწვა მათ შორის, მკლავები შემოხვია და ტუჩებით დააკვდა, მთლიანად შეისისხლხორცა. მათაც შეიგრძნეს და ჩაიხუტეს. მათრობელა გრძნობა მოერია. ბიჭმაც დაიჩოქა მის გვერდით, თითები ჯერ ღაწვებზე მოუთათუნა, შემდეგ ტუჩებზე, თმაზე; თავზე ხელი გადაუსვა, შემოეჭდო და ტუჩებით ტუჩებს მიეკრო. სუნთქვა შეეკრა, თავი გაინთავისუფლა, ხოლო შემდეგ გვერდზე გადაწვა მოჩურჩულე ცისფერ ყვავილებს შორის.

მოგვიანებით იგრძნო, რომ რაც მოხდა, დავიწყებას უნდა მისცემოდა. ამიტომ ბიჭს უკან გაუგზავნა ლექსები და პატარა წერილი. წერილი საოცრად არაბუნებრივი და მშრალი გამოუვიდა. ალბათ იმიტომ, რომ საკუთარი თავისა ეშინოდა. წერილში ყველაფერი უთხრა; უთხრა, რომ არსებობდა კირკ ებოტი და მას ამ ზაფხულს ცოლად მიჰყვებოდა. აუხსნა, რომ დავიწყებას უნდა მისცემოდა ის ლამაზი, მაგრამ ბედუკულმართი ღამე.

მას შემდეგ მირამ მხოლოდ ერთხელ დაინახა ჰომერი. ის საერთო საცხოვრებლის ახლოს მოსეირნობდა თავის მეგობარ ჰერზასთან ერთად, მალალ ჩხინკა გოგოსთან, სქელშუშიან სათვალეს რომ ატარებდა.. ჰერზა ჰომერის მკლავს ჩასჭიდებოდა. ანჯღრევდა მას და გიჟივით იცინოდა.

მირა და კირკი იმ წლის აგვისტოში დაქორწინდნენ. კირკმა პოპლა ფოლსის ტელეფონების კომპანიაში დაიწყო მუშაობა. ცხოვრობდნენ საკმაოდ კარგ ბინაში და ერთმანეთით ბედნიერები იყვნენ. მირა უკვე იშვიათად გრძნობდა მოუსვენრობას. ლექსებს აღარ წერდა. ეტყობოდა, ცხოვრება ულექსოდაც მოსწონდა. ხანდახან გაახსენდებოდა ჰომერი, ფიქრობდა, ნეტავ რა ბედი ეწიაო. რაკი არც ერთ ლიტერატურულ ჟურნალში მისი ლექსი დაბეჭდილი არასდროს უნახავს, თავს იმშვიდებდა, ალბათ პოეტურ სრულყოფას ვერ მიაღწიაო.

ერთხელ, გვიანი გაზაფხულის საღამოს, ქორწინებიდან რამდენიმე წლის შემდეგ, კირკ ებოტი სამსახურიდან დაღლილი და მშიერი დაბრუნდა. მაგიდაზე. საშაქრის ქვეშ წერილი იდო.

„რამდენიმე საათით მანქანით ქერსვილისკენ წავედი. მირა“.

ბნელოდა. წყნარი, მთვარიანი ღამე იყო. მირა ქალაქის სამხრეთით მიაქროლებდა მანქანას. გაშლილ მინდორს რომ მიადგა, შეჩერდა, მანქანიდან გადმოვიდა და ღობეზე გადაძვრა. მდელო ისეთივე იყო, როგორიც ახსოვდა. სწრაფად გაიარა ყვავილებში და მერე უცბად ქვითინით დაეცა მუხლებზე. დიდხანს ტიროდა, თითქმის მთელი საათი. შემდეგ წამოდგა, კაბა და წინდები ფრთხილად გაისწორა. ახლა უკვე ჭეშმარიტ სიმშვიდეს გრძნობდა. როგორც იქნა, საკუთარი თავი დაძლია და მანქანისკენ წავიდა. მან იცოდა, რომ მსგავს სისულელეს აღარასოდეს ჩაიდენდა. ამით უკან მოიტოვა უკანასკნელი, სიყმაწვილის მტანჯველი მოგონება.

□

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჰუგო რასი — ბელგია —

## ჩინებული კონიუნქტურა

ამონაბერი
თარგმნა დავით ქორაია

ორსინი ბევრნი არ იყვნენ. სასაზღვრო საგუშაგოსთან რამდენიმე მსუბუქი მანქანა ელოდა რიგს. ისმოდა ძრავების თახთახი. საბუთების მოგვარებას დიდი დრო არ სჭირდებოდა — მგზავრები ყოველი მოხუცისა თუ „ნიშანდებული პირისათვის“ ათას ბელგიურ ფრანკს ან სამოცდაათ გულდენს გადაიხდიდნენ და ბეჭედდასმული ნებართვაც ხელთ ჰქონდათ.

„კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ბენილიუქსში!“ — ღაღადებდნენ უშველებელ ფარებზე გაკეთებული წარწერები, ქვევით კი დევიზივით დაემატებინათ:—„გთავაზობთ მსოფლიოში საუკეთესო მომსახურებას!“

ჯეიმსი საბაჟოდან ცქაფად გამოვარდა და ნებართვა გამოაფრიალა. სწრაფად გამოაღო მანქანის კარი, საჭეს მიუჯდა და უკანა სავარძელზე მიყუჟულ მიხრწნილ მამას შეავლო თვალი. მძიმე სენისაგან ცვილივით გაყვითლებული მოხუცი გაუნძრევლად იჯდა ელინის გვერდით, ირგვლივ ბალიშები ჰქონდა შემოწყობილი, ფეხებზე კი პლედი ეფარა.

— ერთ საათში მივალთ, მამა! — გაამხნევა ჯეიმსმა მოხუცი.

მამამისმა პასუხის ნიშნად ტალაც ამოიხროტინა, თავი ძლივს მოაბრუნა და ფანჯარაში უაზროდ დაიწყო ყურება.

მანქანა მიჰქროდა. გზად ჯერ პატარ-პატარა თეთრი სახლებით დამშვენებული ფერმები ხვდებოდათ, მერე კი ერთმანეთზე ჯაჭვის ტგოლებივით გადაბმული მოზრდილი სოფლები გამოჩნდა. სოფლები ჩათავდა თუ არა, ერთბაშად დაიწყო ქალაქი.

— რამდენი ველოსიპედი და ბავშვია! — შესძახა ელინამ.

— მიხარია. ომამ პანსიონატში ადგილის დაჯავშნა მოვახერხეთ, —

უმისამართოდ თქვა ჯეიმსმა, — ახლა ალაბაფერი გვაქვს თავსატეხი, საბებარი და სანერვიულო.

ელინი ქმარზე ბევრად ახალგაზრდა ჩანდა. ქალს დიდი თვალები და კეთილშობილურად მოხაზული წარბები ჰქონდა, მაგრამ ტუჩ-პირს აშკარად აკლდა ლაზათი და მიმზიდველობა. ელინმა ტურისტული ცნობარი გადაფურცლა და ქალაქის გეგმას ჩაუკვირდა.

— ეკლესიასთან რომ მიხვალ, მარჯვნივ მოუხვევ, — დაიწყო ქალმა, — მერე დიდი გზაჯვარედინი შეგხვდება, იქაც მარჯვნივ გაუხვევ. მერე არხზე გამომავალ პატარა-პატარა ქუჩებსაც გაივლი და სასტუმროსაც მიადგები. გეგმაზე სასტუმრო წითელი წრით არის აღნიშნული.

ქალმა ტვიდის ქვედაკაბაზე დაისვა ხელი, ზედ მიკრული ძაფი მოაშორა და მოხუცს მოხედა: ავადმყოფს თვალები დაეხუჭა და გარინდულიყო. ქალს ხმა აღარ ამოუღია — ისევ გზას გახედა. ამასობაში ეკლესიასთან მივიდნენ და მარჯვნივ გადაუხვიეს ფართო ქუჩაზე.

— ჯერ გზაჯვარედინზე უნდა გავიდეთ, — წაილაპარაკა ქალმა.

— ვიპოვე, — თქვა ჯეიმსმა და ყურადღებით დააკვირდა ერთ-ერთი სახლის ფრონტონზე ამოკვეთილ მოოქროულ ასოებს: „ჰერცოგის გერბი", — ეწერა ზედ.

ჯეიმსმა დაინახა ორმოცდაათიოდე წლის წითელქუდიანი მამაკაცი, რომელიც სახლის წინ ბოლთას სცემდა და მანქანების კერძო სადგომს ყარაულობდა. მეთვალყურემ ჯეიმსს მანქანა თავისუფალ ადგილზე დააყენებინა, მერე ცნობისმოყვარე თვალით შეიჭვრიტა მანქანის საჭეში და იკითხა:

— შეიძლება გადმოვიყვანოთ, ბატონო?

— დიახ, — თავი დაუქნია ჯეიმსმა, უკანა საკარძლისაკენ გაიხედა და შუბლი შეჭმუხნა.

მამამ თვალი გაახილა.

— მოვედით? — ძლივს გასაგონად იკითხა მან.

მოხუცს პასუხი არ მიუღია. ჯეიმსი და ელინი ფაცაფუცით გადმოვიდნენ მანქანიდან. მათკენ უკვე სანიტრები მოიჩქაროდნენ საკაცით ხელში. ჯეიმსმა მანქანის კარი გამოაღო. სანიტრები თავაზიანად მიესალმნენ და საკაცე მანქანის გვერდით დადგეს. ერთი სანიტარი მანქანაში შეძვრა: კები რაღაცას გამოედო და კეფაზე მოეჭცა. მან ქუდი ვაისწორა, მოხუცს იღლიებში ამოსდო ხელი და შეეცადა ფეხები კარგად ვაებიჯგა. ძნელი იყო მანქანაში წელში წახრილი დგომა.

— ჯერ შენ ჩაავლე ფეხებში ხელი და შენკენ მისწიე, — უთხრა მან თავის მეწყვილეს.

სანიტრებმა გაჭირვებით შემოატრიალეს ავადმყოფი.

— ყოჩაღ, ვარგიხარ! — შეაქო ამხანაგი საკარძლებს შორის გაჩხერილმა სანიტარმა.

მოხუცი ციმციმ ასწიეს და საკაცეზე გადააწვინეს, ბლედი ფეხებზე გადააფარეს და წაიყვანეს.

— წავიდეთ, — უთხრა ჯეიმსმა ცოლს, — ბარგს მერე ჩამოვაკითხავ.

ჯეიმსს მანქანა არ ჩაუკეტია, წითელყურეს ანიშნა, მიხედეო. მათ წინ ფეხაწყობილი მიდიოდა ორი თეთრი ხალათი. თეთრ ხალათებს საკაცე მიჰქონდათ, ცოლი გვერდით მიჰყვებოდა ქმარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასტუმროს ჰოლში სანიტრებმა საკაცე იატაკზე დადგეს. მამა თავს ისე აწყვეტებდა აქეთ-იქით, თითქოს ტკივილები აეშალაო. ადმინისტრატორი, ნარინჯისფერ ფორმაში გამოწყობილი ქალიშვილი, ჯეიმსს ნასწავლი ღიმილით შეეგება. ჯეიმსმა თავისი გვარი და დაჯავშნული ოთახების ნომრები დაუსახელა.

— დიახ, დიახ, — დაუდასტურა ქალიშვილმა, — ინებეთ სამივე ნომრის გასაღებები, სააბაზანო ოთახებს შორისაა მოთავსებული. ბატონს, — ქალიშვილმა თვალით ანიშნა საკაცეზე, — პირველ ოთახში დავაბინავებთ. ბატონი შესძლებს რესტორანში ჩამობრძანებას?

— არა, იგი მძიმე ავადმყოფია, — უპასუხა ჯეიმსმა.

— ჩვენთან მხოლოდ სამი დღე დარჩებით თუ ექვს ან ცხრადღიან პანსიონს აიღებთ? იცით, ბევრი ჩამოსვლის შემდეგ ცვლის ხოლმე პირვანდელ შეკვეთას.

ქალიშვილმა ციფრებით გადააჭრელა დიდი, ვარდისფერი ფურცელი.

— არა, — უპასუხა ელინმა, — ჩვენ სამ დღეს დავრჩებით. ასე შევთანხმდით, არა, ჯეიმს?

— ჰო, მეც ასე ვფიქრობ, — წაიბურტყუნა ჯეიმსმა.

იგი უაზროდ უყურებდა ქალიშვილის ხელებს. ქალიშვილმა უცნაური ნიშნებითა და ციფრებით შეავსო მთელი კითხვარი, მერე კი მათი გვარები ჩაწერა.

— ნებართვა თუ გაქვთ?

— ნებართვა... — დაიბნა ჯეიმსი.

— საზღვარზე რომ უნდა მიგვეღოთ.

— დიახ, დიახ, ინებეთ!

ქალიშვილმა ნაცადი თვალით სწრაფად შეამოწმა ბესაბეთი ვარდისფერ ფურცელს ქინძისთავით მიამაგრა.

— ოროთახიანი ნომერი, ოცდამეშვიდე! — ისე წაიღიღინა მან, რომ ქალალდებისათვის თვალი არ მოუცილებია.

სანიტრებმა საკაცე ასწიეს და ლიფტისაკენ წაიღეს. ჯეიმსი და ელინი სანიტრებს გაჰყვნენ. ლიფტი პირველ სართულზე დაეშვა, გისოსებიანი კარი მსუბუქი ჩხაკუნით გაიღო და დაიკეტა.

— არ გვერჩივნა, რომ ჩვენ სასტუმროში "ძეგვეკვეთა ნომერი? — წაიბუზღუნა ელინმა.

— რა თქმა უნდა, მაგრამ სხვა სასტუმრო ორჯერ უფრო ძვირი დაგვიჯდებოდა. ესეც არ იყოს, მამას ველარ ვნახავდით და მაინც აქეთ მოგვიხდებოდა წამდაუწუმ სირბილი, — უპასუხა ჩემოდნის ქექვაში გართულმა ჯეიმსმა.

კარზე დააკაკუნეს. ელინი ამ დროს ფეხსაცმელს იცვლიდა. კაკუნი რომ გაიგონა, წელში გაიმართა, სახეზე ჩამოშლილი თმა უკან გადაიყარა და კარი გააღო. ოთახში სამი მამაკაცი შემოვიდა.

— ჩვენ სამედიცინო კონტროლი გახლავართ, — გაეცვნენ ისინი დამხვდურთ. — თუ შეიძლება გვაჩვენეთ თქვენი ექიმის სამედიცინო დასკვნა, — დასძინა უფროსმა. —

— სმიტსონის დასკვნას თხოულობენ, — უთხრა ელინმა ქმარს.

ჯეიმსმა ჩემოდანში მოაფათურა ხელი და პაკეტი იპოვა. მოსულებმა პაკეტიდან მანქანაზე დაბეჭდილი ფურცელი ამოიღეს და კითხვას შეუდგნენ. ერთ-ერთი მათგანი ამ დროს ქვედა ტუჩს იკვნეტდა, დანარჩენები კი სანთლის ტიკინებივით გაშეშებული იდგნენ. როცა კითხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დააამთავრეს, უფროსმა ჯიბიდან კალამი ამოიღო და ფურცელს ბოლოს რამდენიმე სტრიქონი მიაწერა. საბუთს სამივემ მოაწერა ხელი. შემდეგ კი ჯეიმსის ჯერი დადგა.

— აი, აქ მოაწერეთ ხელი,—უთხრა უფროსმა, — ქალბატონმაც მოაწეროს.

ოსტენდის, კალეს, ზეებრუგეს, ჰუკ-ვან-ჰოლანდისა და ფლისინგენის[1] საავტომობილო ბორნების მისადგომებთან დღითიდღე ცხოველდებოდა მოძრაობა. ბენილიუქსში, ჩვეულებისამებრ, გაზაფხულზე და შემოდგომაზე ჩამოდიოდა ყველაზე მეტი ხალხი. სასაზღვრო საგუშაგოებთან ტევა აღარ იყო ხოლმე. საგზაო პოლიცია ვერტმფრენებიდან ადევნებდა თვალყურს მოძრაობას და გზა თუ გაიჭედებოდა, განკარგულებას იძლეოდა მანქანების ნაწილი შემოსავლელ გზაზე გაეშვათ. ჯეიმსი, ელინი და სნეული მამა სწორედ გახურებულ სეზონზე ჩამოვიდნენ ბენილიუქსში. ჯეიმსი კმაყოფილი იყო, რომ ყველა ხარჯი წინასწარ ჰქონდა გასტუმრებული.

ისინი ბარში ისხდნენ და ვისკის წრუპავდნენ. ალრენილ გუნებაზე იყვნენ.

— ნეტავ გაუჭირვებლად მოგვარდებოდეს მისი საქმე, — თქვა ელინმა. მან მოკლე ნაფაზი დაარტყა და სიგარეტიდან ფერფლი ჩამოფერთხა. მერე ირგვლივ მიმოიხედა. მაგიდებთან რამდენიმე მოხუცი იჯდა — ისინი არაბუნებრივად აღგზნებულნი ჩანდნენ და მხიარულად ლაქლაქებდნენ. ჯეიმსი ჭიქას ატრიალებდა და ხანგამოშვებით ზანტად წრუპავდა მოყავისფრო სითხეს.

— მაინც ჯობია მამასთან ავიდე, — თქვა მან.

— რა აზრი აქვს? — დინჯად, მაგრამ ოდნავ გაღიზიანებული კილოთი ჰკითხა ცოლმა.—ნემსი გაუკეთეს. სძინავს. ჰოლანდიის ჰაერი უეჭველად არგებს. ექიმები ხვალ ისევ მოაკითხავენ.

ისინი გაჩუმდნენ და დარბაზისაკენ იბრუნეს პირი. დარბაზის შუაგულში ეულად ცეკვავდა ვიღაც მოხუცი. საბრალოს უცნაურად უბრწყინავდა თვალები, იგი ხან ელინს აშტერდებოდა მოურიდებლად, ხან კი თვალებით ბარმენ ქალს ელაციცებოდა. მისიანები მოხუცს შორიდან უთვალთვალებდნენ და პირისახეზე უხერხული და თან ალერსიანი ღიმილი ეფინათ. ვიღაც ცრემლს ჩუმად იწმენდდა და ქსუტუნებდა. ამ დროს ბარმენი ქალი სხვა სუფრაზე მიიხმეს და რაღაც უთხრეს. იგი აცუნდრუკებულ მოხუცთან მივიდა და ყურში რაღაც ჩასჩურჩულა. მან თავი დააქნია, ტყავგადაკრულ მერხზე ჩამომსხდარ თავისიანებს თვალი ჩაუკრა, ქალს ხელკავი გამოსდო და კარს უკან გაუჩინარდა. ქალი რამდენიმე წუთში უკანვე შემობრუნდა და მუშაობა განაგრძო. რამდენიმე მოხუცი ბართან მიყუჟულიყო, სასმელს წრუპავდნენ, ხელები უკანკალებდათ, დახლზე ძლივს დგამდნენ ჭიქებს და კვლავ დაცარიელებულ საცეკვაო მოედანს აშტერდებოდნენ.

— ეს რა ამბავია, ეს რაები მესმის! — ალერსგარეული ხმით შესძახა ჯეიმსმა მამას, ენა გააწკლაპუნა და საყვედურის ნიშნად თავი გადაქნია. — ასთაკვები, ხამანწკები, კიბორჩხალები და შამპანური? შენ აღარ ხუმრობ!

---

1 ოსტენდე, ზეებრუგე — ბელგიის ნავსადგურებია; ჰუკ-ვან-ჰოლანდი, ფლისინგენი — ნიდერლანდების ნავსადგურები; კალე — საფრანგეთის ნავსადგური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თუკი არ მაწყენს და შემიძლია ავირჩიო, რაც მინდა... — წამოიკვნესა ავადმყოფმა, — რამდენი ხანია მენატრება გემრიელი საჭმელი, აქ კი ყველაფრის ნება დამრთეს...

მოხუცმა ისევ მილულა თვალი. შვილი თვალებში შეჰყურებდა მამას. მოხუცს პირი საცოდავად მოელრიცა და ტუჩები აუცახცახდა.

— ჯერ შამპანური გადაჰკარი, მამა, — გაამხნევა მამა ჯეიმსმა.

მოხუცმა თავი ისე დაუქნია, თვალი არ გაუხელია.

ძინ-დონ, — გაისმა კარებთან და მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ მიხვდნენ, რომ მათთან რეკავდნენ. ელინი წამოხტა და კარი გააღო. ბიჭმა უხმაუროდ შემოაგორა გორგოლაჭებიანი მაგიდა. მაგიდაზე დაწყობილი ვერცხლის თასებიდან კიბორჩხალებისა და სხვა თევზეული კერძების მადის აღმძვრელი სურნელი იფრქვეოდა. მამამ ზანტად გაახილა თვალი და კოხტად გაწყობილ სუფრას გადახედა. ჯეიმსმა და ელინმა იგი საწოლში წამოაჯინეს, იროგვლივ ბალიშები შემოუწყეს და ხონჩაზე რამდენიმე თავი საჭმელი დაულაგეს. მოხუცი ნელა და ფრთხილად შეუდგა ჭამას. ილოღნებოდა და თან მათ შეჰყურებდა. მის მზერაში მადლიერებაც იყო, ნაღვლიც, სასოწარკვეთილებაც და ნაზი საყვედურიც.

ამ დროს ქვევით, დიდ საბანკეტო დარბაზში, მათთვის, ვისაც ფეხზე სიარული კიდევ შეეძლო, სასტუმროს მესვეურებს ნამდვილი ნადიმი გაემართათ. პაციენტებს რჩეული სასმელებითა და უცხო-უცხო კერძებით უმასპინძლდებოდნენ.

ჯეიმსი და ელინი ლიფტიდან გამოვიდნენ და თავიანთი ოთახებისაკენ გაემართნენ. ამ დროს [illegible] ნომრიდან შეშფოთებული კაცი გამოვარდა და მათ ყურს მომაკვდავის სუსტი შეკივლებაც მისწვდა. დერეფანში უკვე ექიმი და მედდა მოიჩქაროდნენ. ექიმმა განერვიულებულ მამაკაცს მოუსმინა, წარბები შეჭმუხნა და უკმაყოფილოდ თქვა რაღაც.

ელინი შეყოყმანდა.

— წამო, ბარში შევბრუნდეთ, კიდევ დავლიოთ ცოტა.

ჯეიმსს პირისახეზე კუნთი აუთამაშდა.

— ჯერ მამასთან შევიდეთ, — დაიჟინა მან.

მოხუცს უდრტვინველად ეძინა თავის საწოლში. სუფრა უკვე აეღლაგებინათ. ჯეიმსი საწოლზე დაიხარა და სუნთქვაშეკრული დააკვირდა, როგორ თანაბრად და ძლივს შესაჩნევად ადი-ჩადიოდა მოხუცის მკერდი. თითქოს უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ მამა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ელინი კარებში იდგა და ქმარს ოდნავ შეშფოთებული შესცქეროდა.

მეორე დილით, ათ საათზე, სასტუმროს ეზოდან ნაცრისფერი, ხურული ავტომანქანა გავიდა. მანქანამ იმ ლამით გარდაცვლილთა გვამები წაიღო.

— ინგლისელებიც მიდიან! — გაოცებით შესძახა ელინმა. იგი ფანჯარასთან იდგა და ავტომობილს გაჰყურებდა.

* * *

აგრარული პერიოდის დასასრული შემთხვევით დაემთხვა კონიუნქტურის გაუარესების დასაწყისს. თუმცა არა, ეკონომიური დრამა უფრო ადრე დაიწყო, დაიწყო იმ წუთიდან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც ეკონომიურად ძლიერმა სახელმწიფოებმა მრეწველობის ყველა დარგში ელვისებური სისწრაფით დანერგეს ავტომატიზაცია.

ინდუსტრიისა და მართვის სისტემის კიბერნეტიკის ბაზაზე გარდაქმნამ უზარმაზარი ხარჯები მოითხოვა. ამოდენა ხარჯების ხანმოკლე ვადაში დაფარვა შეუძლებელი აღმოჩნდა და ქვეყანა რამდენიმე წელიწადში ჩამორჩა დიდ ინდუსტრიულ სახელმწიფოებს. ეკონომიკის ძველ სისტემას თუ ვერ შეცვლიდნენ, მაშინ რაღა აზრი ჰქონდა სხვებთან კონკურენციას. ერთმანეთს მიჰყვა მთავრობის კრიზისები და დაიწყო კიდეც შეუჩერებელი დაღმავლობის ხანა. რამდენიმე თვეში თითქმის ნულამდე დავიდა ექსპორტი. ის დროც წავიდა, როცა ბენილიუქსს ტურისტების სამოთხეს ეძახდნენ: პატარა ქვეყანაში ტურისტს დასათვალიერებელი ბევრი არაფერი აქვს. კრიზისმა დააჩქარა გადაწყვეტილების მიღება. ამიტომაც აღარაფრად ჩაგდეს კათოლიკური ოპოზიციის წინააღმდეგობა და სულ რაღაც ორკვირიანი დისკუსიის შემდეგ პარლამენტმა მოიწონა კანონპროექტი, რომელიც აუქმებდა ევტანზიის [1] იურიდიულ შეზღუდვებს. ამასთან ახალი კანონი მოქალაქეობისა და ეროვნების განურჩევლად ვრცელდებოდა ყველაზე, ვინც კი საზღვარს გადმოლახავდა. სჰიპჰოლსა და ზავენტემისკენ [2] მიმავალ თვითმფრინავებზე ყველა ადგილი წინასწარ იყო გაყიდული, გაზაფხულზე და შემოდგომაზე კი დამატებითი რეისები ინიშნებოდა. ყოველ სასაზღვრო თუ საბაჟო საგუშაგოში სამოცდაათ-ოცდენად შეგეძლოთ მიგველოთ უმტკივნეულო სიკვდილის ნებართვა. სასტუმროებსა და ოტელებს არნახული აყვავების ხანა დაუდგათ. დაუყოვნებლივ შემოიღეს სერვისის ახალი ფორმა — „მომსახურება განუკურნებელი ავადმყოფებისა და მიხრწნილი მოხუცების ლიკვიდაციის დარგში“. ქიმიკოსი მეტრდოტელები უკანასკნელ საზეიმო ტრაპეზში ციანმჟავა კალიუმს, პენთოტალს, მორფსა და მათ მსგავს პრეპარატებს ურევდნენ და, ცხადია, არც კულინარული სიურპრიზები ავიწყდებოდათ. აიღებდით სამ, ექვს ან ცხრადღიან ნომერს პანსიონითურთ და ერთ მშვენიერ დღეს მედდა, ექიმი ან ოფიციანტი სამუდამოდ გაგანთავისუფლებდათ მძიმე ტვირთისაგან.

* * *

ჯეიმსმა კარი შემოიხურა. ელინი ფანჯარასთან იდგა და ქუჩაში იყურებოდა.

— მამას ისევ ჩაეძინა და მედდა შევიდა მასთან მისაშველებლად, — თქვა მან.

ჯეიმსი ცოლს გვერდით ამოუდგა, მერე თვალი მის მზერას გააყოლა და ქვევით დედაბერი დაინახა. იგი შვილის ხელს დაყრდნობოდა და ოტელის წინ მუხლის გასამართავად გამოსულიყო. დედაბერი ფეხზე ძლივს იდგა, მაგრამ მაინც მიბორძიკობდა და, შეშინებული, მაგრად ეკვროდა შვილს.

— თურმე მეექვსე დღეა აქ არიან,—თქვა ელინმა.

კარებზე დააკაკუნეს. ორივენი შემობრუნდნენ და ერთხმად დაიძახეს;

— მობრძანდით!

[1] ევტანზია — სიკვდილის გაიოლება ტკივილგამაყუჩებელი საშუალებებით (ლათ.).

[2] სჰიპჰოლი — ამსტერდამის აეროპორტი; ზავენტემი — ბრიუსელის აეროპორტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთახში მედდა შემოვიდა.

— მორჩა, — თქვა მან.

— უცნაურია, — წაიბურტყუნა ჯეიმსმა, — ხომ წინასწარ ვიცოდი ყველაფერი და ამ ამბავმა მაინც შემაძრწუნა.

— მძინარეს დარიშხანი შევუშხაპუნე, — დასძინა მედდამ და მონიკელებულ კოლოფს თავი დაახურა.

— როცა ჩემი ქამი დაჰკრავს, მეც აქ ვისურვებდი სიკვდილს, — ჩაილაპარაკა ჯეიმსმა,—აქაურ „სერვისს“ ვერ დაემდურები.

ქვევით, ქუჩაში შვილის ხელს კვლავინდებურად ჩაჰფრენოდა დედაბერი, გასეირნება დაემთავრებინა და ბორძიკით მიუყვებოდა სადარბაზო კიბეებს. ახალგაზრდა კაცს თავი ჩაექინდრა და თითქოს ფიქრებში ჩაძირულიყო, დედამისს კი სივრცისათვის გაეშტერებინა უჩინო, ბებრული თვალები.

□

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბურაქი

## სანთლის კაცები

### მოთხრობა

თარგმნა ამირან გაბეხკირიამ

ვინემ მარინერის სანთლის ქანდაკებათა მუზეუმის თანამშრომელნი უკანასკნელ მნახველთ გაისტუმრებდნენ, დირექტორი რაიმონდ ჰიუსონს ესაუბრებოდა თავის კაბინეტში.

თუმცა სადად, მაგრამ კოხტად და გემოვნებით ეცვა დირექტორს. რაიმონდ ჰიუსონის ოდესღაც ჩინებული, ხოლო ახლა გულდაგულ გაწმენდილი და გაუთოებული კოსტუმი კი მოწმობდა, რომ მის პატრონს ცხოვრებასთან ჭიდილში მარცხი მოსვლოდა. ეს პატარა, გამხდარი, გაყვითლებული და გაბელატებული კაცი დამაჯერებლად ლაპარაკობდა, მაგრამ ხმის კილო კი გამომწვევი ჰქონდა, როგორც ცხოვრებაში ხელმოცარულთ სჩვევიათ ხოლმე.

— თქვენ ახალს არაფერს მთხოვთ, — ეუბნებოდა დირექტორი. — მართალი გითხრათ, კვირაში სამჯერ მაინც უარით ვისტუმრებთ იმ ბედოვლათ ყმაწვილებს, სანაძლეო რომ დაუდვიათ, ღამეს კაცისმკვლელთა საკანში გავათენებთ მარინერის მუზეუმში. ჩვენ ეს არაფერს გვმატებს, დაკლებით კი ბევრს დაგვაკლებს. ვთქვათ და რომელიმე ყმაწვილი ჭკუაზე შეირყა, მე რალა ვქნა? თუმცა თქვენი ამბავი სხვაა, რადგან ჟურნალისტი ბრძანდებით.

ჰიუსონს გაეღიმა:

— მაშასადამე, ჟურნალისტები დამთხვეული ხალხიაო, ამას გულისხმობთ?

— რას ბრძანებთ, — გაეცინა დირექტორს, — მეტი პასუხისმგებლობა აქვთო, ამბობენ. გარდა ამისა, ჩვენც მოვიგებდით: ჯერ ერთი საბელს ოფრო გაგვითქვამდით და მეორეც — შემოსავალი გაიზრდებოდა.

— რასაკვირველია, — თქვა ჰიუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სონმა, — ამიტომაც მგონია, რომ შევთანხმდებით.

დირექტორს ისევ გაეცინა.

— ვიცი, ვიცი, რასაც მეტყვით! თქვენ ორმაგი საფასური გნებავთ მიიღოთ, ხომ? ამბობენ, ქალბატონმა ტიუსომ ოდესღაც ასი ფუნტი აღუთქვა იმას, ვინც იმ შემზარავ ოთახში გაათევდა ღამეს. არა მგონია, იფიქროთ, რომ ჩვენც ამდენსავე გავიღებთ. უკაცრავად, რომელ გაზეთში მუშაობთ, ბატონო ჰიუსონ?

— არსად არ ვმუშაობ, — გამოტყდა ჰიუსონი, — თუმცა რამდენიმე გაზეთისათვის კი ვწერ. ეს კია, არ გამიჭირდება ჩემი მოთხრობის გამოქვეყნება. „დილის ნახმევი“ ხელდახელ დამიბეჭდავს. განა რომელი გაზეთი იტყვის უარს იმ მოთხრობაზე, ასეთი სათაური რომ ექნება: „ერთი ღამე მარინერის კაცისმკვლელების საზოგადოებაში“.

დირექტორი ჩაფიქრდა.

— მაინც როგორი მოთხრობის დაწერას აპირებთ?

— შემზარავი რომ იყოს, შემზარავი და თან იუმორიც არ აკლდეს.

დირექტორმა მოწონების ნიშნად დააქნია თავი და მერე საპაპიროსე გაუწოდა ჰიუსონს.

— ჩინებულია, ბატონო ჰიუსონ. გამოაქვეყნეთ თქვენი მოთხრობა „დილის ნახმევში“ და ჩვენც ჩვენი მხრივ ხუთ ფუნტს მოგართმევთ. თუმცა იცოდეთ, ძალზე ძნელი გამოცდა გელით. გაქვთ კი თქვენი თავის იმედი? რა დაგიმალოთ და მე ვერ გავბედავდი ამას. ეგ ქანდაკებანი ჩაცმულიც მინახავს და გახდილიც, ვიცი მათი ყველა საიდუმლო. სხვებთან ერთად ისე მშვიდად შემიძლია გავიარ-გამოვიარო მათ შორის, თითქოს წყება-წყება კედელი მეწყოს წინ, მაგრამ არამც და არამც არ დავთანხმდებოდი, ღამე მათ საზოგადოებაში გაეთია. ბევრზე უფრო ზარავნი არიან. ჰოდა, თუ მხნეობაც გიღალატათ, გაფრთხილებთ, ფრიად ფსიამო ღამე მოგელით.

ჰიუსონმა თავადაც კარგად იცოდა ეს ამბავი იმ წუთიდან, რა წუთსაც პირველად მოუვიდა ეს აზრი თავში. შიშით გული ეწურებოდა, როცა ამ განსაცდელს წარმოიდგენდა. მაგრამ რა ექნა, ცოლ-შვილი ჰყავდა, უკანასკნელ ხანს კი ჟურნალისტობით გროშსაც ვერ შოულობდა. სხვა გზა არ ჰქონდა, ბანკიდან გამოჰქონდა ფული და გადანახული თანხაც სწრაფად ილეოდა. ამისთანა შემთხვევა ხელიდან არ უნდა გაუშვა კაცმა: ორმაგ გასამრჯელოს მიიღებს, ერთს „დილის ნახმევიდან“ და კიდევ ხუთ ფუნტსაც აქედან. მაშასადამე, ეს ერთი კვირა ცოტას მაინც ამოისუნთქავს, ორიოდე კვირა კი ვალებზე ფიქრი აღარ შეაწუხებს. თანაც თუ მისი მოთხრობა გახმაურდა, ვინ იცის, მუდმივი სამსახურიც იშოვოს.

— ჟურნალისტის ბედი არ გახლავთ იოლი, — თქვა მან. — უსიამო ღამე რომ მელოდა, წინასწარვე ვიცოდი. თქვენი კაცისმკვლელთა საკანი სასტუმრო რომ არ გახლავთ, ჩემთვის გასაგებია.

დირექტორს გაეღიმა და წამოდგა.

— კეთილი და პატიოსანი. მე მგონი, უკანასკნელი მნახველები უკვე წავიდოდნენ. ერთი წუთით მომითმინეთ. ახლავე ვეტყვი, ქანდაკებებს ფარდა არ ჩამოაფარონ და დარაჯებსაც გავაფრთხილებ, რომ აქ რჩებით. შემდეგ ქვევით ჩაგიყვანთ და ყველაფერს გაჩვენებთ.

დირექტორმა შიდა ტელეფონის ყურმილი აიღო და მცირე ხანს ელაპარაკა ვიღაცას.

— ვაი რომ ერთი პირობა უნდა დაგვიდოთ, — უთხრა მან ჰიუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სონს, — იქ არ შეიძლება მოსწიოთ. დღეს საღამოს კაცისმკვლელთა საკანში მეხანძრეები ყოფილან. არ ვიცი, ვინ ატეხა განგაში, მაგრამ ტყუილი კი გამოდგა. კიდევ კარგი, ხალხი ცოტა იყო, თორემ ერთი აურზაური შეიქნებოდა. ახლა კი, თუ მზად ბრძანდებით, ქვემოთ ჩავიდეთ.

კიბე ცუდად იყო განათებული. კიბის ძირში ეწყო ინკვიზიციის დროინდელი წამების იარაღები, შუა საუკუნეების ციხე-კოშკებიდან წამოღებული ძელი, რკინის შანთი, მარწუხები თუ სხვა რამ მოსაგონარი ადამიანის სისასტიკისა. იქით უკვე კაცისმკვლელთა საკანი ჩანდა. ნათურების შუქი ოდნავ ანათებდა ამ უცნაური მოყვანილობის ოთახსა და მის თაღიან ჭერს.

დირექტორმა დარბაზი შემოატარა ჰიუსონს და რამდენიმე ყველაზე უფრო „განთქმულ“ კაცისმკვლელზე მიუთითა.

— აი ეს გახლავთ კრიპენი, ალბათ თქვენც იცანით უკვე, პატარა ნადირია. რომ შეხედავ, იფიქრებ, ჭიასაც ვერ გასრესსო, თუმცა კი...

— აი ის ვინ არის? — ჩურჩულით შეაწყვეტინა ჰიუსონმა და ერთ სანთლის კაცზე მიუთითა.

— ჰოო, სწორედ მაგასთან უნდა მიმეყვანეთ ახლა, — ხმას დაუწია დირექტორმა, — მიდით ახლოს და კარგად დააკვირდით. ეს ჩვენი ვარსკვლავია. მთელი ამ საზოგადოებიდან ეგ ერთი გადაურჩა სახრჩობელას.

ეს სანთლის კაცი ხუთ ფუტზე მეტი სიმაღლისა არ იქნებოდა; ჩია და გამხდარი იყო, წვრილი ულვაშები ჰქონდა, დიდი სათვალე ეკეთა და კაპიუშონიანი პალტო ეცვა. ჰიუსონს მან თეატრალური ნიღაბი მოაგონა, გარეგნობით ისე გადამეტებულად ჰგავდა ფრანგს. თუ რად შეზარა ამ კაცის თითქოს უწყინარმა პირსახემ, ჰიუსონი ვერ იტყოდა; ეს კია, სასწრაფოდ გაეცალა და როცა დირექტორს გვერდში ამოუდგა, მაშინაც კი ძლივს გაბედა თავი მისკენ მიებრუნებინა.

— მაინც ვინაა?

— ეგ ექიმი ბურდე გახლავთ.

ჰიუსონი ჩაფიქრდა და თავი გააქნია:

— თითქოს სადღაც კი გამიგონია ეს სახელი, მაგრამ არ მახსოვს, სად და როდის.

დირექტორს ჩაეცინა.

— ფრანგი რომ ყოფილიყავით, კარგად გემახსოვრებოდათ. ეგ კაცი დიდი ხნის მანძილზე თავზარს სცემდა მთელ პარიზს. დღისით ხალხს ექიმობდა, ღამღამობით კი, როცა სიგიჟე წამოუვლიდა, ჰკლავდა თავის მსხვერპლთ. ჰკლავდა იმიტომ, რომ კაცის კვლა არაადამიანურ ნეტარებას ანიჭებდა, ჰკლავდა ყველას ერთნაირად, — სამართებლით ყელს ჭრიდა. უკანასკნელი მკვლელობის შემდეგ პოლიციამ ეჭვი მიიტანა მასზე და კვალში ჩაუდგა. მაგრამ ამ ჩვენმა მეგობარმა მაშინაც ჭკუაში მოატყუა ისინი. რა მიხვდა, ხაფანგში გავებიო, მყის გაუჩინარდა. ისე რომ დღემდე მისი ასავალ-დასავალი არავინ იცის.

ჰიუსონს გააჟრჟოლა.

— რაღაც არ მომწონს ეგ კაცი. რა თვალები აქვს!

— ჰოო, დიდად ნიჭიერად გახლავთ ჩამოსხმული. ასე გგონიათ, თვალი თვალში გამიყარაო, ხომ? დიახ, დიახ, დიდებულადაა ნაკეთები. ბურდე ჰიპნოზის ოსტატი იყო. ამბობენ, თავის მსხვერპლს ჯერ მონუსხავდა და მერე ჰკლავდაო. თორემ სხვანაირად ვერც ახსნის კაცი, ამისთანა ჩია ადამიანი ასეთ საზარელ საქმეებს როგორ სჩადიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის მსხვერპლთაგან არც ერთს არ ეტყობოდა ძალადობის კვალი.

— ისე მეჩვენა, თითქოს შეტოკდა, — თქვა ჰიუსონმა და ხმაში ბზარი შეეპარა.

— ამაღამ მაგისთანა მოჩვენებები ბლომად გექნებათ, კარს ნუ ჩაკეტავთ. თუ შეატყობთ, რომ მხნეობამ გიმტყუნათ, ზევით აბრძანდით, იქ დარაჯები არიან, ისე რომ მარტო არ იქნებით შენობაში.

მუზეუმის თანამშრომელმა ჰიუსონისათვის საკარძელი შემოიტანა.

— საღ დავდგა, ბატონო ჩემო?— იკითხა მან და ჩაიღიმა. — აქ ხომ არა, რომ უძრავად ჯდომით დაღლილი მერე კრიპენს გაესაუბროთ?

ჰიუსონს გაეღიმა. თანამშრომლის გახუმრება ეამა. წუთით მაინც ყოველივე ჩვეულებრივ ამბავს დაამსგავსა მისმა ხუმრობამ.

ჰიუსონმა თანამშრომელს ღამე მშვიდობისა უსურვა და საკარძელი განზრახ ისე მიაბრუნა, ექიმ ბურდესთან ზურგით მჯდარიყო. საკარძლის მიტრიალ-მოტრიალებამ თითქმის გაუქარვა ჰიუსონს შიში.

მკრთალი, მოციმციმე სინათლე ანათებდა ამ ქანდაკებებს, რომლებიც ისე საოცრად ჰგავდნენ ადამიანებს, რომ მათი სიჩუმე და უძრაობა არაბუნებრივი და ავის მომასწავებელიც კი ჩანდა.

ამ საზარელ ქანდაკებათ საკმაოდ უშიშრად შეჰყურებდა ჰიუსონი. ბოლოს და ბოლოს, ისინი სანთლის კაცები იყვნენ. თავი და თავია, ეს არ დაივიწყოს. მაგრამ მალე რაღაც უსიამო გრძნობამ აიტანა. იცოდა, ექიმი ბურდე უკნიდან რომ მიშტერებოდა. რაღაც ძალა აიძულებდა, თავი მიეტრიალებინა, ბოლოს ველარ გაუძლო ცთუნებას, ოდნავ მიაბრუნა საკარძელი და უკან მიიხედა.

ამდენ სანთლის კაცებში გასაოცრად გამოირჩეოდა ეს საზარელი ჩია ექიმი.

— ეგ ისეთივე სანთლის კაცია, როგორც სხვები, — გამომწვევად წარმოთქვა ჰიუსონმა, — თქვენ ყველანი სანთლის კაცები ხართ.

მაგრამ რაღაცა მოხდა. არა, ადგილი შეიცვალესო, ამას ვერ იტყოდა, თუმცა იმ ერთ წამში, ვინემ თავს მიატრიალებდა, წინა ჯგუფში რაღაც ცვლილება მოხდა, კრიპენმა თითქოს ცოტა მარცხნივ გადაიწია. ან იქნებ იმის ბრალია ყოველივე, რომ საკარძელი წინანდელ ადგილზე აღარ დადგა?

ჰიუსონმა ჯიბიდან უბის წიგნაკი ამოიღო და სწრაფად ჩასწერა: „დასამახსოვრებლად: გაქვავებული სანთლის კაცები. ისეთი სიჩუმე, როგორც ზღვის ფსკერზე. ექიმ ბურდეს მომნუსხველი მზერა. როცა არ უყურებ, სანთლის კაცები თითქოს მოძრაობენ“.

ანაზდად უბის წიგნაკი დაკეცა და მსწრაფლ მიატრიალა თავი მარჯვნივ. არც ჩქამი გაუგონია, არც მოძრაობა შეუმჩნევია, მაგრამ მეექვსე გრძნობამ თითქოს უკარნახა, რაღაცა მოხდაო. ჰიუსონმა ლეფროის შეხედა, ღიმილით რომ შემოჰყურებდა და თითქოს ეუბნებოდა: მე არ ვყოფილვარო.

ცხადია, ნერვებმა უმტყუნა, არც ლეფროი და არც სხვა აქ არაფერ შუაში გახლდათ. თუმც იქნებ არ იყო ასე? განა კრიპენმა არ მოინაცვლა ადგილი, როცა ჰიუსონმა თვალი მოაცილა? ამ ჩია კაცს ვერ ენდობი. როგორც კი თვალს მოაშორებ, მაშინვე იხელთებს და ადგილს ინაცვლებს. დიახ, დიახ, ყველანი ასე იქცევიან. ეს ამბავი რომ ადრევე სცოდნოდა, აქ ფეხს როგორ შემოადგამდა. ჰიუსო-

ნი წამოიწია. არა, უნდა გაეცალოს აქაურობას. მაგრამ ისევ დაჯდა. ეს სიმხდალეა და სისულელე. ისინი ხომ სანთლის კაცები არიან და მოძრაობა არ ძალუძთ. უნდა ჩააგონოს თავის თავს ეს ამბავი და ყველაფერი ჩინებულად იქნება. მაგრამ რატომ ჰზარავს ასე ეს სიჩუმე?

ჰიუსონი ანაზდად მიტრიალდა და ექიმ ბურდეს მზერას წააწყდა. ექიმი მშვიდად, მაგრამ მომნუსხველად მისჩერებოდა. ჰიუსონმა სწრაფად გადააგდო თავი და კრიპენს ჯიქურ შეხედა. ოჰო! ამჯერად თითქმის წაასწრო დანაშაულზე.

— შენ გირჩევნია ჭკუით იყო, კრიპენ! თქვენც ჭკუით იყავით! თუ შეგამჩნიეთ, რომელიმე გაინძერით, ყველას დაგამსხვრევთ! გესმით თუ არა?

„უნდა წავიდე“, — თქვა მან თავისთვის. უკვე იმდენი განიცადა, ერთს კი არა, ათ მოთხრობასაც ეყოფა. რისთვისღა დარჩეს აქ? „დილის ნახმევს“ ჭკუა მაინც არ მოემატება, მან რომ აქ მთელი ღამე გაათიოს. თუ კარგი მოთხრობა გამოუვიდა, ალბათ არც შეეკითხებიან, იმ სასანში დიდხანს დარჩიო თუ ცოტა ხანს. ჰო, მაგრამ ღამის დარაჯებმა ხომ სასაცილოდ აიგდეს. ვინ იცის, დირექტორმაც ალარ მისცეს ის ხუთი ფუნტი, ასე რომ სჭირდება.

არა, ეს უკვე მეტისმეტია! გარდა იმისა, რომ ეს სანთლის კაცები მოძრაობენ, თურმე სუნთქავენ კიდეც! დიახ, დიახ, ვილაც სუნთქავს. ან იქნება თავისი სუნთქვა ესმის თითქოსდა შორიდან? ჰიუსონი წელში გასწორდა, მიაყურა და შვებით ამოისუნთქა, — თურმე თვითონ სუნთქავდა. ხოლო თუ ასე არაა, მაშასადამე, ვილაცამ იცის, ჰიუსონმა რომ მიაყურა, და თვითონაც შეიკავა იმ დროს სუნთქვა. არა, ასე არ გამოვა! ასე არ შეიძლება გაგრძელდეს.

იგი — უიღბლო ჟურნალისტი რაიმონდ ჰიუსონი — ცოცხალი ადამიანია, ვინც სუნთქავს და მოძრაობს, ესენი კი, მას ირგვლივ რომ ახვევიან, მხოლოდ და მხოლოდ სანთლის კაცები არიან, არც მოძრაობა რომ არ შეუძლიათ და არც სუნთქვა. მერე რა, რომ ნამდვილ კაცისმკვლელებს ჰგვანან, მაინც ხომ სანთლისა და ნახერხისაგან არიან გაკეთებულნი და უსაქმო მნახველების გასართობად დგანან აქა. ჰო, მართლა, ნეტა რა სასაცილო ამბავი უამბეს გუშინ „ფალსტაფში“? მთლიანად მაინც ვერ მოიგონა, ვინაიდან ექიმ ბურდეს მომნუსხველი მზერა იწვევდა, ეძახდა და ბოლოს კიდეც აიძულა მიეხედა მისკენ.

ჰიუსონმა ჯერ ოდნავ მიატრიალა თავი, მერე ნელ-ნელა მიაბრუნა საკარძელი და ამ საშინელი, ამ მომნუსხველი თვალების პირისპირ აღმოჩნდა. ჰიუსონს თვალები გაუფართოვდა, შიშისაგან პირი მოელრიცა და ოდნავ ღია დარჩა.

— შენ გაინძერი, ჰო, ჰო, გაინძერი, დალახვროს ეშმაკმა, — წარმოთქვა ჰიუსონმა და მისი სიტყვები ავის მომასწავებლად გახმიანდა სასანში. — ვფიცავარ, რომ გაინძერი, მე დაგინახე!

მერე გაჩუმდა და ექიმს მიაშტერდა. იმ წუთს თვითონაც ქანდაკებასა ჰგავდა.

ექიმი ბურდე არ აჩქარებულა, ისე ფრთხილად, პრანჭვით ჩამოვიდა კვარცხლბეკიდან, როგორც ჩამოდის ხოლმე ავტობუსიდან ხნიერი მანდილოსანი, გაიღიმა და „საღამო მშვიდობისაო“, უთხრა ჰიუსონს.

— მე მგონი, იმის თქმა არ დამჭირდება, — განაგრძო მან წმინდა ინგლისურით, უცხოური კილო ოდნავ-ოდნავ თუ ეტყობოდა,—რომ პა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტივცემულ დირექტორთან თქვენი საუბრის გაგონებამდე აზრადაც არ მქონდა, თუ ლამეს თქვენთან გავატარებდი. მართალია, ჩემი ნებართვის გარეშე ვერც გაინძრევით და ვერც დაილაპარაკებთ, მაგრამ ჩინებულად კი უნდა გესმოდეთ ჩემი ნალაპარაკევი. მე მგონი, ცოტა უნდა ლელავდეთ. თავს ნუ მოიტყუებთ, ჩემო ძვირფასო. მე ერთი ამ საცოდავი სანთლის კაცთაგანი არ გახლავართ. მე ნამდვილი ექიმი ბურდე ვარ.

ექიმმა ცოტა ხანს იყუჩა, ჩაახველა და მუხლები გამართა.

— უკაცრავად, — განაგრძო მან,— ფეხები დამბუჟებია. ნება მიბოძეთ აგიხსნათ ყველაფერი. თავს არ შეგაწყენთ და არ მოგიყვებით, თუ რა გარემოებამ მაიძულა ინგლისში მეცხოვრა. დღეს საღამოს ამ შენობის ახლოს ვიდექი, როცა შევამჩნიე. ვილაც პოლიციელი დაჟინებით მომჩერებოდა. ვიაზრე, უკან ამედევნება და ვინ იცის, ისეთი რამ მკითხოს, პასუხი გამიჭირდეს-მეთქი. ამიტომაც ხალხს შევერიე და აქ შემოვედი. ვიყიდე ბილეთი და ამ ოთახში ამოვყავი თავი, სადაც ჩვენ ახლა ერთმანეთს შევხვდით. ამ დროს შთაგონებამ მიკარნახა, როგორ მეხსნა თავი და, „არიქა, ხანძარი-მეთქი“, ვიყვირე. ეს დოყლაპიები კიბისკენ გაცვივდნენ, მე კი ჩემს ორეულს კაპიუშონიანი პალტო გავხადე, როგორც ხედავთ, ზედ ჩავიცვი. თავად იგი კვარცხლბეკის ქვეშ დავმალე და მის ადგილზე მე დავდექი. აქ ჩემდა უნებურად მოვისმინე, როგორ დამახასიათა დირექტორმა. ვერ ვიტყვი, მთლად სწორი არ იყო-მეთქი მისი ნათქვამი. ცხადია, მე არ მოვმკვდარვარ, თუმცალა მთელ ქვეყანას ასე ჰგონია. ის, რაც დირექტორმა გიამბოთ ჩემი ჰობის თაობაზე, მე რომ დიდი ხანია მივსდევ, თუმცა ამ უკანასკნელ ხანს იძულებული ვარ ლამის სულ დავივიწყო, ძირითადად სწორი იყო, მაგრამ საკმაოდ ნათლად მაინც ვერ გადმოგცათ. მოგეხსენებათ, მთელი ეს ქვეყანა შედგება კოლექციის მოყვარულთა თუ არამოყვარულთაგან. არამოყვარულებზე არაფერს ვიტყვი. კოლექციის მოყვარულნი კი ყველაფერს აგროვებენ, ზოგი ფულს, ზოგი სიგარეტის კოლოფებს, ზოგი პეპლებსა და ასანთებს. მე კისრების კოლექციას ვაგროვებ. — ექიმი კვლავ დადუმდა და ჰიუსონის კისერს ცნობისმოყვარე თვალი შეავლო, თუმცა დიდად ალტაცებული არ უნდა დარჩენილიყო. — ჩვენ ამაღამ შემთხვევამ შეგვყარა, — განაგრძო მან, — ისე რომ ჩემი მხრივ ალბათ დიდი უმადურობა იქნებოდა ბედზე დამეწყო ჩივილი. საფრთხეს რომ გადავრჩენოდი, ამ ბოლო ხანს ჩემი საქმიანობა ცოტა შევანელე. ამიტომ მიხარია, რომ შემიძლია ისევ დავუბრუნდე ჩემს რამდენადმე უჩვეულო გატაცებას. მაგრამ ნუკი მიწყენთ, ჩემო ბატონო, ძალიან გამხდარი კისერი გქონიათ. მე თვითონ არჩევანს თქვენზე არასოდეს შევაჩერებდი. მე სქელკისრიანი ხალხი უფრო მიყვარს, სქელ და წითელკისერა. — ექიმმა ჯიბეში მოაფათურა ხელი, რაღაცა ამოიღო, საჩვენებელი თითით მოსინჯა და მერე მარცხენა ხელის გულზე აისვ-დაისვა აუჩქარებლად. — ეს პატარა ფრანგული სამართებელი გახლავთ, — აუხსნა მან ჰიუსონს თავაზიანად, — ინგლისში მაინცდამაინც დიდ გასავალში არაა, მაგრამ თქვენ შეიძლება ნანახი გქონდეთ. ამას ხეზე ლესავენ. ხედავთ, რა ვიწრო პირი აქვს. როგორც თავად დარწმუნდებით, ხორცში ღრმად არ ჩადის. ვითარცა ზრდილობიან დალაქს სჩვევია, მეც

ისე გკითხავთ: „ეს სამართებელი თუ გაწყობთ, ჩემო ბატონო?“ — იგი ავაზასავით შემპარავი ნაბიჯით მიუახლოვდა ჰიუსონს. — თუ შეიძლება, ნიკაპი ოდნავ ასწიეთ, ბატონო, აი ეგრე, მადლობას მოგახსენებთ. კიდევ ცოტაც, ჰო, ჰო, ცოტა კიდევ, დიდად გმადლობთ, ჩემო ბატონო, დიდად გმადლობთ...

ოთახის ერთ ბოლოში ჭერი სქელი შუშისა გახლდათ და დღისით მზის სხივებს ბუნდად ატარებდა. მზე რომ ამოვიდა, ჭერში ჩამოტანებული მისი შუქი ნათურების სუსტ სინათლეს შეერია და მკვდრისფერი მოჰფინა იმ ისედაც საზარელ სურათს.

სანთლის კაცები უძრავად იდგნენ თავიანთ კვარცხლბეკებზე და ელოდნენ, როდის მოაწყდებოდა მნახველთა ბრბო და აღტაცებისა თუ შიშის შეძახილებით შემოივლიდნენ ოთახს. შუა გასასვლელში კი, სანთლის კაცებს შორის, საკვირველში ჰიუსონი იჯდა უძრავად. თავი უკან გადაეგდო, ნიკაპი კი მაღლა აეწია, თითქოს ელოდა, დალაქი როდის ჩამოუსვამდა სამართებელს. და თუმცა არც კისერზე და არც სადმე სხვაგან ერთი ნაფხაჭნიც არ აჩნდა, იგი უკვე გაციებული, უსულო გვამი იყო. რიგად ცდებოდნენ მისი რედაქტორები, როდესაც შესწამეს, ფანტაზიის ნატამალი არ გააჩნიაო.

ექიმი ბურდე კი იდგა თავის კვარცხლბეკზე და გულგრილად დაჰყურებდა იქიდან მკვდარ ჰიუსონს. იგი არ ინძრეოდა, თუმცა განძრევა არც შეეძლო. იგი ხომ მართლაც სანთლის კაცი გახლდათ.

# ჰომეროსი

## ილიადა

ძველბერძნულიდან თარგმნა **რომან მიმინოშვილმა**

ქვეყნად არ შობილა ხელოვანი, რომელსაც მასზე დიდი ძეგლი აეგო, ქვეყნად არ შობილა მოძღვარი, რომელსაც მასზე მეტი თაობა აღეზარდა, ქვეყნად არ შობილა ადამიანი, რომელსაც ათასობით წელი ეცხოვრა და მასავით ჭაბუკი დარჩენილიყო...

ოცდარვა საუკუნის წინათ ცხოვრობდა ეს საოცარი კაცი, 2800 წლის წინათ.

ძველად ამბობდნენ, მას ჰომეროსი ერქვაო, მოხუცი და ბრმა იყოო... იქნებ არც მოხუცი იყო და არც ბრმა? იქნებ ლეგენდამ იმიტომ დაბერა და დაბრმავა, რომ, რაც მან შექმნა, არ შეეძლო ჩვეულებრივ ადამიანს შეექმნა: ათასი წლისა უნდა ყოფილიყო, ამდენი სიბრძნე რომ შეეძინა, სხვა თვალი უნდა ჰქონოდა, რომ ცხოვრების თვალისმომჭრელი ფერადოვნება ისე დაენახა, როგორც ჩვეულებრივი კაცი ვერ დაინახავდა!..

დღეს ქართველი მკითხველის სამსჯავროზეა ჰომეროსის უკვდავი ქმნილების პირველი სრული პოეტური თარგმანი. „ილიადას“ თარგმნა დამთავრებულია, მაკრამ წიგნად გამოცემამდე კიდევ რჩება ორიოდე წელი, რომელიც მის დასახვეწად უნდა გამოიყენოთ მეც და შენც, ძვირფასო მკითხველო! ოცზე მეტი წელი მარტო ვეჭიდებოდი თითქმის შეუძლებელს — ქართულად ამემეტყველებინა ქვეყნიერების ერთ-ერთი საოცრებათაგანი. კარგად მესმის, რომ ასეთი თხზულების თარგმნა არა მარტო ერთი პიროვნების, არამედ მთელი ლიტერატურული სახოგადოების ღირსების საქმეა.

მაპატიე, ძვირფასო მკითხველო, რომ ვბედავ და გთხოვ, იყო მონაწილე ჩემი მარცხისა თუ წარმატებისა. „საუნჯეში“ დაიბეჭდება რამდენიმე ქება „ილიადადან“ (ცამეტოვეებულ ქებათა ნაც-

ვლად მოკლე შინაარსს გადმოვცემთ). დიდი მადლობით მივიღებ შენიშვნებს და გამოვიყენებ წიგნის რედაქციის დროს.

აქვე მინდა მადლობით მივმართო ჩემს ძვირფას მოძღვარს აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილს, რომელმაც ანტიკური პოეზიის მშვენიერებას დამაწაფა, და წიგნის რედაქტორს ბაჩანა ბრეგვაძეს, რომელიც თავდადებით მუშაობს თარგმანის რედაქციაზე.

რ. ე.

— . —

## ქება პირველი

რისხვას, ღმერთქალო, უგალობე პელევსის წულის,
აქაველთ თავს რომ დაატეხა ვნება ულევი!
გმირთა მრავალი სული ქვესკნელს დაასავანა,
გვამნი დაყარა ყვავ-ყორანთა დასაყივარად
და ძაღლთა წილად... ზევსის ნება მაშინ აღსრულდა,
მტრად მოეკიდნენ ოდეს ერთურთს მამაცთა მეფე
აგამემნონ და აქილევსი ღმერთის სადარი.

რომელმა ღმერთმა გააღვივა ნეტავი შუღლი?
— ლეტოს და ზევსის ძემ, მეფეზე განრისხებულმა.
სასტიკი ჭირი ჯარს შეჰყარა, მუსრი გაავლო:
რად მოეპყრაო უპატიოდ ქურუმს ატრიდი!
მოსულა ქრისე აქაველთა მალემსრბოლ გემთან,
სურდა ასული გამოეხსნა ურიცხვი ძღვენით.
ხელთ ჰქონდა ოქროს კვერთხი უფალ აპოლონისა,
თავსაკრიანი, აქაველებს ევედრებოდა,
ყველაზე მეტად — ორსავ ატრიდს, სპათა მესვეურთ:

„ატრიდნო! ლამაზ საბარკულით მოსილნო სპანო!
ოლიმპოს ღმერთნი შეგეწიონ, რომ პრიამოსის
ციხე დალეწოთ და კეთილად ეწვიოთ მამულს!
ჩემი ასული დამიბრუნეთ, ძღვენი ინებეთ,
პატივი დასდეთ შორსმოისარ უფალ აპოლონს!“

ერთხმად გაისმა აქაველთა მძლავრი ყიჟინა —
მოგვს პატივი ვცეთ, მივიღოთო ძღვენიც მდიდარი.
მხოლოდ ატრიდმა გულთან ახლოს არ გაიკარა
მამის ვედრება, მოიშორა მრისხანე სიტყვით:

„გასწი, ბებერო! ხომალდებთან აღარ გიხილო!
ფეხს ნუ აითრევ და ნურასდროს ნურც მობრუნდები,
თორემ ვერ გიხსნის ვერც კვერთხი და ვერც ღვთის გვირგვინი!
ქალს ვერ გავუშვებ, ტყვეობაში შემაბერდება,
არგოსში წავალთ, მოვაშორებ მშობლიურ მხარეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ სარეცელიც დამიმშვენოს სელის მბეჭველმა.
ნულარ მარისხებ, გამეცალე ცოცხალი თავით!“

ასე თქვა. თრთოლვით შეისმინა სიტყვა მოხუცმა.
უხმოდ გაუყვა მრავალხმიან ზღვის სანაპიროს...
35 გაცილდა გემებს. შეევედრა გულამოხვინჩვით
ლამაზთმიანი ლეტოს პირმშოს უფალ აპოლონს:
„მიხსენ მე, ვერცხლისმშვილდოსანო, ქრისეს ქომაგო,
კილას მფარველო, მძლე მეუფევ ტენედოსისა,
სმინთევსო! თუკი შემიმკია ტაძარი შენი,
40 თუ შემიწირავს საზვარაკო მსუყე ბარკალი
ჯიხვთა და ხართა, შემეწიე! ჩემი ცრემლები
ბასრი ისრებით აზღვევინე დანაელთ ლაშქარს!“

ასე ღაღად-ყო და სხივოსან აპოლონს ესმა.
გული ირისხა, ოლიმპოდან ზეგარდმოიჭრა,
4 5 ბეჭზე **კაპარჭი მოსალტული, ბაგეთ** მოეგდო
და ფრთოსან ისრებს აწივლებდა სისწრაფე სრბოლის, —
ღმერთი მაღალი მოღელავდა პირღამიანი.

გემებთან ახლოს ჩაიმუხლა, ტყორცნა ისარი,
ზარისმცემელი ვერცხლის მშვილდი **ააზუზუნა.**
50 მუსრი გაავლო მაწანწალა ძაღლებს, სახედრებს,
შემდეგ სიკვდილის მთესველ ისრით მიწვდა მხედრობას.
გვამთა შთანმთქმელი კოცონები დააგზნო ყველგან.

ცხრა დღე და ღამე ღვთის ისარი მუსრავდა ლაშქარს.
მეათე დღეს კი კრებად უხმო ხალხს აქილევსმა.
55 ხელთეთრა ჰერამ შთააგონა ვაჟკაცს ეს აზრი,
ქალღმერთს დანაელთ სპათა ხილვით გული ეწვოდა.
ოდეს აქაველთ მოიყარეს კრებაზე თავი,
ადგა ფეხმარდი აქილევსი და ასე ბრძანა:

„ასე მგონია, მრავალტანჯულთ გვმართებს, მეფეო,
60 შინ გავეშუროთ, თუ სიკვდილი გვსურს ავიცდინოთ:
აქაველთ მუსრავს სნეულება, სასტიკი ომი!..
ქურუმს მივმართოთ, ან მისანმა აგვიხსნას ეგებ —
სიზმრის ამხსნელმა (სიზმარსაც ხომ ზევსი მოგვივლენს) —
აპოლონ ღმერთი ასე რისთვის შემოგვწყრომია?
65 აღთქმის გატეხამ განარისხა, თუ ჰეკატომბეს
ითხოვს და ზვარაკს ელის ჩვენგან ვერძთა და ჯიხვთა,
რომ შეგვეწიოს, აგვაშოროს იავარყოფა!“

ასე თქვა. მაშინ თესტორის ძე წამოდგა კალხას,
ფრთოსან ფრინველზე მკითხაობით სახელგანთქმული,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

70 წარსული, აწმყო და მყოფადი სრულად უწყოდა,
აქაველთ გემებს მიუძღოდა ილიონისკენ
აპოლონისგან ნაბოძები მისნობის ძალით.
კეთილგანწრახვით უპასუხა გმირს თესტორიდმა:

75 „ო, აქილევსო, ღვთის რჩეულო, გიბრძანებია
აგიხსნათ რისხვა შორსმმუსვრელი აპოლონისა.
მე თანახმა ვარ, ოღონდ შენგან ველი ზენაარს:
შემფიცე, გმირო, რომ დამიცავ სიტყვით თუ საქმით!
ვშიშობ — ვაი თუ მზოლოდ მეფე გავაგულისო,
80 არგიველთა და აქაველთა ლაშქრის უფალი.
მდაბიოს მართებს არ აღაგზნოს სახმილი რისხვის,
ძრწოდეს, თუ სცოდა! მეფე ბოღმას თავდაპირველად
გულში ინახავს, ჯავრს სანამდის არ ამოიყრის...
მაშ, თვით განსაჯე, შეძლებ იყო შემწე, შემხიდე?“

85 მაშინ ფეხმარდმა აქილევსმა მიუგო კალხასს:
„ღვთის ნება გვამცნე გაბედულად, რაც უნდა იყოს!
ვფიცავ აპოლონს, ზევსის რჩეულს, რომელსაც, კალხას,
შენც ჰფიცავ ხოლმე, როს დანაელთ ღვთის ნებას ამცნობ, —
სანამდის პირში სული მიდგას და ვჭვრეტ მზის ნათელს,
90 დანაელთ შორის შენზე ვერვინ ხელს ვერ შემართავს!
თუნდ იყოს იგი თვით მრისხანე აგამემნონი,
მთელს მხედრობაში ზვიადობით აღმატებული“.

მაშინ თამამად თქვა მისანმა სწორუპოვარმა:
„აღთქმას და ზვარაკს არ მოითხოვს, ღმერთი შემოგვწყრა,
95 როს მოგვი ქრისე შეურაცხყო აგამემნონმა,
ასული აღარ დაუბრუნა, ძღვენიც უარყო.
არვის დაგვინდობს ამისათვის შორსმოისარი
და არ მოიშლის არგიველთა განადგურებას,
სანამ არ მივგვრით მშობელ მამას პირმშოს შავთვალას,
100 და ჰეკატომბეს არ შევწირავთ კუნძულ ქრისეზე.
მხოლოდ მაშინლა დამშვიდდება ღმერთი მრისხანე“.

ეს თქვა თუ არა, აგამემნონ ზეწამოიჭრა —
სივრცეთმპყრობელი ატრევსის ძე განრისხებული.
პირქუში გული აღვსებოდა ბოღმით და ბრაზით,
105 აალებული თვალებიდან სულ ცეცხლსა ყრიდა.
კალხასს შეხედა ღვარძლიანად და ასე უთხრა:

„შე ყიამყრალო! სასიკეთო რომ არ დაგცდება,
და გეამება ხალხს აუგი აუწყო მხოლოდ!
არასდროს გითქვამს სიტყვა გულის საამებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აი ახლაც დანაელებს ამცნობ ღვთის ნებას,
110 თითქოს ხალხს ღმერთი შორსმმუსვრელი განრისხებია,
რომ არ მივიღე ქრისეიდას გამოსასყიდი!
როგორ მეწადა ეს გოგონა შინა მყოლოდა,
ლამის მერჩივნა კლიტემნესტრას, ჩემს შესართველად
ქალწულად მოსულს! ქრისეიდას ვერვინ დაჩრდილავს
115 ვერცა მშვენებით, ვერც გონებით და ვერცა საქმით.
მაგრამ მაინც ვთმობ, რაკი არ ჩანს ხსნა არსაიდან,
ვინძლო მხედრობას ავაცილო გაცამტვერება!
ოღონდ სანაცვლოდ სხვა საუნჯე უნდა მომართვათ,
საკადრისია არგიველთა შორის მე დავრჩე
120 გამოქუცვნილი? თქვენ ხომ ხედავთ, ვთმობ, რაც მეხადა!“

მაშინ მიუგო აქილევსმა ღმერთის სადარმა:
„ატრევსის ძეო, თვალხარბო და გაუმაძღარო!
აქაველ მოყმეთ დიდსულოვანთ რა შეუძლიათ
მოგართვან? განა აქვთ საერთო საუნჯე სადმე?
125 ციხე-ქალაქთა ნანგრევებში განძი გავყავით,
რაც გაგვიყვია, მას ხელს ჰყოფდე, არ გეკადრება.
სჯობს ღვთის გულისთვის შენი დათმე და აქაველნი
სამგზის, ოთხწილად მაგ დანაკარგს გადაგიხდიან,
როს მტკიცე ტროას დაანგრევენ ზევსის შეწევნით!

130 მყისვე მიუგო მძლე ატრიდმა აგამემნონმა:
„უბადლო კი ხარ, აქილევსო, ღმერთის სადარო,
მაგრამ ნუ ფლიდობ, ასე უცბად ვერ მოიატყუებ.
შენ არხეინად გსურს განძს ფლობდე, მე კი დამტოვო
უაზნოქმნილი! დაბრუნებას მირჩევ ქალისა?
135 მაშინ აქაველთ დიდსულოვანთ სამაგიეროდ
შესაფერისი სხვა საუნჯე უნდა მიბოძონ!
თუ არ ინებებთ, თვითონ მოვალ, დავეუფლები
სიმდიდრეს შენსას, აიანტის, ოდისევსისა,
ვაი — უბედურს, ვისაც რისხვით თავს დავატყდები!
140 მაგრამ ამაზე შემდეგა ვთქვათ, ახლა კი დროა
შავმკერდა გემი ჩავაცუროთ ღვთაებრივ ზღვაში,
მძლე მეხოფურნი შევარჩიოთ, დავსხათ ზვარაკი,
ტუროფალაწვება ქრისეიდა დავსვათ გემბანზე.
წინამძღვრად წაჰყვეს მას რჩეული მბჭობელი ვინმე —
145 იდომენევსი, აიანტი ან ოდისევსი,
ან თვითონ შენა, პელევსის ძევ უმამაცესო,
რომ შორსმმუსვრელმა მსხვერპლშეწირვის შემდეგ შეგვინდოს“.

ცვრად გახედა აქილევსმა, მრისხანედ უთხრა:
„ეჰ, შე ურცხვობის საბუდარო, პატიგმოყვარეო!
150 აქაველთაგან შენს ბრძანებას ვინ ემორჩილება?!

ვინ ეომება მტერს, ლაშქრობას ვინლა ისურვებს?
განა მოვსულვარ, რომ ტროელებს შუბის მტყორცნელებს
შევრკინებოდი? მე არ მახსოვს მათგან ზიანი:
ცხენთა რემა და ჯოგი როდი გაუტაცნიათ
155 უხვნაყოფიან და ხალხმრავალ ფთიიდან ტროელთ,
ჯეჯილი როდი უთელიათ! გვაშორიშორებს
ჩრდილის დამფენი მთაგრეხილი, ზღვა — მოგუგუნე.
შენდა შემხიდედ შევიკრიბეთ, შენს სახეიროდ,
მენელაოსის ნამუსისთვის ვიბრძვით, პირძალლო!
160 აინუნშიაც არას აგდებ, მეც მემუქრები,
ჩემი ნადავლის მიტაცებას იქადი კიდეც,
აქაველებმა რომ მომიძღვნეს ბრძოლით დაქანცულს.
მე ხომ ნადავლი შენოდენი არ მღირსებია,
ოდეს ტროელთა აყვავებულ ქალაქს ვანგრევდით.
165 თუმც ბრძოლის მთელი სისასტიკე მე გადამქონდა,
მთელი სიმძიმე — ჩემს მარჯვენას, როს ვყოფდით დავლას,
შენ — უკეთესი, მე კი — მცირე... მას ვჯერდებოდი,
უხმოდ ბანაკში ვბრუნდებოდი ბრძოლით მაშვრალი.
ახლა ფთიაში მივიჩქარი ო, რა ტკბილია
170 შინ დაბრუნება მალემსრბოლი გემებით! კმარა —
შენგან შერცხვენილს არ მსურს შენი განძი ვამრავლო!..“

მყისვე მიუგო აგამემნონ ერისმთავარმა:
„თუ გული გერჩის, მაშ გაკურცხლე და არ გეგონოს,
ვერ შეგელიო! უშენოდაც სხვანი შველიან
175 ღირსებას ჩემსას, — უწინარეს — ზევსი დიადი.
ყველაზე მეტად შენა მძულხარ ბელადთა შორის!
შენ მხოლოდ ომი გიხარია, სისხლისღვრა გატკბობს,
თუმც ძალა გამკობს, ეგეც ღვთისგან მოგნიჭებია!
შენი გემებით გამეცალე! მხედრობას შენსას —
180 მირმიდონელთა ტომს უმეფე! არად მიღირხარ!
რა ბედენაა. რისხვა შენი! თვით მე გიქადი:
რაკი აპოლონს ქრისეიდას გაშვება უთქვამს,
დავთმობ! ჩემივე გემით წავა, ჩემს რაზმს ვაახლებ...
თვით კი აწ მნებავს ბრისეიდა ლამაზლაწვება
185 შენ გამოგტაცო, რომ შეიცნო, ამაყო კაცო,
ჩემი უფლების სისასტიკე! და ყველა ძრწოდეს,
ვინცა ეცდება გამიტოლდეს და გამეჯიბროს!“

ასე თქვა. პელიდს მწუხარება მოჰვევარა ამით.
გმირის მძლე გული ორ აზრს შუა იტანჯებოდა:
190 ან უნდა ებრო ხმალი, თეძოს რომ ეხლებოდა,
დამხვდურს დასხმოდა, დაცაევკლა აგამემნონი,
ან კი დაეხშო მრისხანება, დაეცხრო გული.
როცა ამ ფიქრით ემღვრეოდა სული, გონება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზარელ მახვილს იშიშვლებდა, ცით მოევლინა
ათენა ჰერას დავალებით: ღმერთს თეთრხელებას
თურმე ორივე მოყმის ბედით გული ეწვოდა.
ღმერთქალი გმირის ქერა კულულს ხელით შეეხო —
მისთვის საჩინო, სხვათათვის კი უჩინოქმნილი.
შეკრთა აქილევს, უკუმიდგა, იცნო პალადა,
ათენას თვალნი შესაზარი ცეცხლით აენთო.
ქალღმერთს მიმართა აქილევსმა ფრთიანი სიტყვით:
„ფაროსან ზევსის პირმშოვ, მამცნე, რად მომევლინე,
ავამემნონის ვერაგობა ვსურდა გენახა?
მითქვამს და ვიცი, რომ ნათქვამი ამისრულდება:
ამ თავხედობას გადაჰყვება ამპარტავანი!“

ფეხმარდ გმირს უთხრა მყის ათენამ თვალებბრიალამ:
„ცით მოველ, რათა რისხვა დათმო, დაგვემორჩილო.
გამომაგზავნა თეთრხელება ქალღმერთმა ჰერამ,
ვისაც თანაბრად აწუხებდა ორივეს ბედი.
სჯობს შულს ერიდო, დაიმშვიდო მრისხანე გული,
სიტყვებით კენწლე, ხოლო მახვილს ნუ შეეხები.
მითქვამს და ვიცი, რომ ნათქვამი ამისრულდება:
მოვა დრო, სამჯერ უძვირფასეს ჯილდოს მიიღებ
დამცირებისთვის! დაშოშმინდი, დაგვემორჩილე!“
ქალღმერთს ფეხმარდმა აქილევსმა ასე მიუგო:
„ვალად მმართებსო შევასრულო სურვილი თქვენი,
რაც უნდა რისხვით ვმძვინვარებდე, დაგყვებით ნებას,
ვინც ღმერთს მორჩილებს, მოწყალებას მისგანვე ელის“.
მძლავრი მარჯვენა დააბჯინა ვადას ვერცხლისას,
საზარი ხმალი კვლავ ჩააგო, ღმერთს დაუჯერა.
ათენამ მყისვე მიაშურა ოლიმპოს მწვერვალს,
ეგიოხ ზევსის სრა-სასახლეს და უკვდავ ღმერთებს.
ხოლო პელიდმა კვლავ მიმართა განრისხებულმა
ატრიდს — ბასილევსს, გულში ბოლმა არ დასცხრომია:

„მშიშარა ირმისგულიანო, ძაღლისთვალებავ,
მემთვრალევ, ლოთო! არ აგისხამს თორნ-მუზარადი
და სანგარშიაც არასოდეს ჩასაფრებულხარ
ლაშქართან ერთად, სიკვდილივით შიშს გგვრიდა ბრძოლა.
რალა თქმა უნდა, ადვილია ბანაკში მალვა
და გამოძალვა ქვეშევრდომთა მონაპოვრისა!
კაცთა შთანმთქმელო, ლაჩართ ზედა მეფობის ღირსო,
ვაჰ, სხვა დროს ვინღა შევარჩენდა მაგ თავხედობას!
გეტყვი ჩემს სათქმელს და შეგფიცავ საფიცარს ჩემსას, —
ამ კვერთხსა ვფიცავ, აწ რომ ველარ აიყრის ფოთლებს,
ან შტოებს, მთაში მოკვეთილი ერთხელვე ხიდან,
არც იყვავილებს, რადგან მძიმე ბრინჯაოს ცულმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შტონი მოსხეპა და ფოთოლნი... დღეს ხელთ უპყრიათ
აქაველთ ძეებს, კრონიონის წესთა დამცველებს...
დე საწინდარად ექმნეს კვერთხი ზენაარს ჩემსას —
240 დრო მოვა, კვლავაც აქაველებს მოენატრებათ
პელევსის წული. შენც ინანებ, როდესაც ლაშქარს
ველარ დაიხსნი კაცთამჭლეტი ჰექტორის ხმლისგან.
დალუპვა გელით, სინანულით მჯიდს იცემ მკერდში,
რადგან შენ დამთმე, შენ შერისხე უმამაცესი!“

245 ასე იტყოდა პელევსის ძე. ძირს დასცა კვერთხი
გარე ოქროთი მოოჭვილი. სხვებთან ჩამოჯდა.
პირისპირ ჰყავდა აგამემნონ გააფთრებული.
ნესტორმა ამოდ მოუბარმა, პილოსის მეფემ
გოლეულივით ტკბილი სიტყვით მიმართა მოყმეთ.
250 უკვე გამქრალა ქვეყნად მოკვდავთ ორი თაობა,
მის დროს შობილი და პილოსში დასახლებული.
მესამე მოდგმას ხელმწიფობდა ახლა მოხუცი.
კეთილი გულით მიუბრუნდა თანამებრძოლებს:
„ღმერთო, აქაველთ მიწას დიდი ურვა დაატყდა,
255 გაიხარებენ პრიამე და პრიამეს ძენი,
ყველა ტროელი გაიხარებს, სულს იხალისებს,
თუ ყური მოჰკრა და გაიგო თქვენი ქიშპობა,
ხმალშიც, ბჭობაშიც უბადლონი დანაელთ შორის!
ნებას დამყევით, თქვენ ხომ ჩემზე უმრწემესნი ხართ!
260 ბევრი მიხილავს თქვენზე უფრო სვიანი გმირი,
მქონია ტკბილი საუბარი მათთან ბევრჯერაც.
არც მინახავს და ვერცა ვნახავ, ვინმე რომ ჰგავდეს
გინდ პერითოეს, გინდა დრიანტს ხალხის მესვეურს,
გინდა კაინევსს, ექსადიეს, ღვთის სწორ პოლიფემს,
265 ეგეოსის ძეს დიად თესევსს, უკვდავთა ბადალს!..
აი, ვინ იყო მოკვდავთაგან ღირსი დიდების!
თვით უძლეველნი უძლიერესთ ძლევდნენ სპილენძით,
ტოლს არ უდებდნენ მთის ურჩხულებს და ამარცხებდნენ.
მათ ვმეგობრობდი, როს განვშორდი პილოსის მხარეს,
270 აპიეს მიწას შორეულსა. თვითონ მიმიხმეს.
რაც ძალა მქონდა, მეც ბრძოლაში მხარს ვუმაგრებდი.
ვინ შეედრება დღეს იმ გმირებს ძალგულოვნებით,
ვინ გაუბედავს შერკინებას? მაგრამ ჩემს რჩევას
ყურად იღებდნენ, არც თქვენ გაწყენთ ჩემი თათბირი.
275 შენ, აგამემნონ, რაც არ უნდა ძლიერი იყო,
აქაველთ ჯილდოს — ლამაზ ასულს ნუ სტაცებ პელიდს.
და შენც, აქილევს, პაექრობას ერიდე, გიჯობს,
არ ღირსებია ესოდენი დიდება არც ერთს
მეფეს სკიპტროსანს, ზევსის მიერ აღზევებულსა.
შენ განთქმული ხარ სიმამაცით, ქალღმერთმა გშობა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ის შენზე ძლიერია: უთვალავ ხალხს ფლობს.
გული იყუჩე, აგამემნონ, მე გთხოვ, მხცოვანი,
დაიცხრე რისხვა აქილევსზე, ყველა აქაველს
აღემატება, უძლეველი ბურჯი ბრძოლისა!“

მყისვე მიუგო მამაცთ მეფემ აგამემნონმა:
„სამართლიანად, გონივრულად ბრძანებ, მოხუცო!
მაგრამ ამ კაცმა აღზევება მოიწადინა,
სურს მბრძანებელად მოევლინოს ლაშქარში ყველას,
სურს გვიბატონოს! მორჩილება ფიქრად არ მომდის!
განა მამაცად რომ უშვიათ უკვდავ ღვთაებებს,
იმიტომ აძლევს თავს უფლებას პირში მაგინოს?“

სიტყვა მრისხანედ ჩამოართვა გმირმა ფეხმარდმა:
„მხდალად მიხმობენ და ლაჩარი ვიქნები მართლაც,
თუ შენს ბრძანებას უდრტვინველად დავემონები!
სხვისგან ელოდე მორჩილებას, ჩემგან ნუ ელი!
აინუნშიაც არ ჩავაგდებ ბრძანებას შენსას!
ერთს კიდევ გეტყვი და განსაჯე გულში, მეფეო:
ქალისთვის არც შენ, არც არავის შევებრძოლები —
ნება თქვენია, თქვენვე მიგაქვთ თქვენივე ჯილდო!
ოღონდ გახსოვდეს, ჩემს მალემსრბოლ, შავ ხომალდებზე
სხვას უნებართვოდ ველარაფერს ვერ ახლებ ხელსა!
თუ გული გერჩის, ერთი სინჯე, იხილოს ყველამ —
ვით დამელვენთოს შუბზე შენი ზანგელა სისხლი!..“

ასე კენწლავდნენ ერთურთს გმირნი მხედართმთავარნი.
წამოიმართნენ, წამოშალეს აქაველთ კრება.
მირმიდონელთა გემებისკენ გამწყრალ აქილევსს
გაჰყვა ერთგული მენეტიდი და რაზმი მისი.
აგამემნონმა ჩააცურა ზღვაში ხომალდი,
ოცი ცენიჩბე აარჩია, ღმერთის სამსხვერპლო
და ქურუმ ქრისეს ქალიშვილი დასვა ხომალდზე.
გემს მიუძღოდა ოდისევსი, ყრმა ჭკუაუხვი.
სწრაფად გასწიეს, სველ შარაზე გაფრინდა გემი.
ლაშქარს უბრძანა მხნე ატრიდმა — განწმენდილიყვნენ.
აქაველთ მტვერი სხეულისა ზღვას გაატანეს.
აპოლონისთვის აარჩიეს შემდეგ ზვარაკი,
ჯიხვნი და ხბონი უნაყოფო ზღვის პირას დაწვეს,
აბოლქვილ კვამლით ცას აღწევდა მსხვერპლის სურნელი.
ასე იღწვოდნენ არგიველნი. ატრიდს კი რისხვა
არ დასცხრომია და ახსოვდა, რაც დაიქადა.
მყისვე მოიხმო ევრიბატე და ტალთიბიოს,
მრისხანე მეფე ერთგულ შიკრიკთ ასე მოძღვრავდა:
„ჩემო ერთგულნო, აქილევსის ბანაკს ეწვიეთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელი ჩასჭიდეთ, აქ მომგვარეთ ბრისეს ასული.
თუ არ დაგითმოთ, გამობრუნდით, მე თვითონ მივალ,
ძალით მოვტაცებ და გაჩენის დღეს ვაწყევლინებ!“

ასე უთხრა და დაადევნა მრისხანე სიტყვა,
უხმოდ გაუდგნენ მრავალხმიან ზღვის სანაპიროს.
ბანაკს ეწვივნენ, მირმიდონელთ მალემსრბოლ გემებს
და იქ იხილეს აქილევსი კარავთან მჯდომი,
ჩაფიქრებული. ნახვა მათი როდი ეამა.
ორივ დაიბნა. შიშით ძრწოდნენ, რიდით ელოდნენ.
ვერც დანაბარევს ეტყოდნენ და ვერც რას ჰკითხავდნენ.
მალე მიუხვდა გულისწადილს, მიუგო გმირმა:
„სალამი თქვენდა, უკვდავთა და მოკვდავთ მაცნენო!
თქვენ კი არა და ბრალი ატრიდს მოეკითხება —
მან მოგავლინათ ჩემი ნორჩი ბრისეიდასთვის.
ძმაო პატროკლევ, მოიყვანე და მიეც ქალი,
დე წარიტაცონ, მაგრამ თვითვე მეყოლონ მოწმედ
ღმერთთა წინაშე, ყველა მოდგმის კაცთა წინაშე,
წინაშე მეფის მძვინვარისა, რომ დრო დადგება —
დაუმძიმდება ჩემი წასვლა, არ აცილდება
ლაშქარს შერცხვენა და სიკვდილი... მძვინვარებს ალბათ,
არ ძალუძს აწმყოს და მყოფადის დაკავშირება,
არ იცის, როგორ უზრუნველყოს ხსნა მხედრობისა“.

ასე თქვა. ძმობილს მენეტიდი დაემორჩილა,
ხელით მიჰგვარა კარავიდან ლამაზღაწვება,
მოციქულთ მისცა. გზას გაუდგნენ აქაველთ მხარეს,
თან ქალი გაჰყვა ნალვლიანი. ცრემლმორეულმა
პელიდმა მყისვე მეგობრები დატოვა მარტო,
ჭალარა ზღვასთან დაჯდა, ტალღებს ბნელს გაცქეროდა,
ცრემლებს იწმენდდა ძვირფას დედის მავედრებელი:
„დედაო, როცა მშობე ქვეყნად საწუთრო-მცირე,
რატომ დიდება არ მარგუნა მაღლით მგრგვინავმა
დიადმა ზევსმა, რად ღირსება არ მომანიჭა?
ძალა-უფლებით აგამემნონს თავს გაუვიდა,
წილ-ხვედრი ჩემი მომტაცა და დაეპატრონა!“

ასე გოდებდა ცრემლიანი. დედა უსმენდა
მოხუც ნერევსის სავანეში ზღვის ჯურღმულებში.
ქაფქაფა ზღვიდან გაჩნდა, როგორც ღრუბელი მჩატე,
სანუკვარ შვილთან ახლოს დაჯდა, ცრემლის მფრქვეველთან,
ეფერებოდა, ხელს უსვამდა, ეუბნებოდა:
„რა, შვილო ჩემო, რადა გმინავ, რა დარდი სერავს
შენს გულს, მითხარი, ნუ მიმალავ... მინდა ვიცოდე!“
ამოიხვნეშა და პასუხად უთხრა ფეხმარდმა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ᲒᲐᲜᲐ ᲐᲠ ᲘᲪᲘ? ᲧᲝᲕᲚᲘᲡ ᲛᲪᲝᲚᲜᲔᲡ ᲠᲐᲚᲐ ᲒᲘᲐᲛᲑᲝ?
ᲓᲐᲕᲔᲡᲯᲘᲗ ᲗᲔᲑᲔᲡ, ᲰᲔᲥᲢᲘᲝᲜᲘᲡ ᲙᲣᲠᲗᲮᲔᲣᲚ ᲥᲐᲚᲐᲥᲡ,
ᲘᲐᲕᲐᲠᲕᲧᲐᲕᲘᲗ, ᲠᲐᲪ ᲮᲔᲚᲗ ᲕᲘᲒᲓᲔᲗ, ᲨᲘᲜ ᲬᲐᲛᲘᲕᲐᲡᲯᲘᲗ;
ᲐᲥᲐᲕᲔᲚᲔᲑᲛᲐ, ᲕᲘᲗ ᲬᲔᲡᲘᲐ, ᲒᲐᲘᲧᲕᲔᲡ ᲓᲐᲕᲚᲐ:
ᲐᲢᲠᲘᲓᲡ ᲕᲐᲠᲒᲣᲜᲔᲗ ᲥᲠᲘᲡᲔᲡ ᲥᲐᲚᲘ ᲚᲐᲛᲐᲖᲚᲐᲬᲕᲔᲑᲐ...
ᲛᲐᲚᲚᲔ ᲨᲝᲐᲓᲒᲐ ᲐᲞᲝᲚᲝᲜᲘᲡ ᲥᲣᲠᲣᲛᲘ ᲥᲠᲘᲡᲔ
ᲐᲠᲒᲘᲕᲔᲚᲗ ᲒᲔᲛᲔᲑᲡ ᲠᲕᲐᲚᲘᲗ ᲜᲐᲭᲔᲓᲡ, ᲨᲐᲕᲒᲕᲔᲠᲓᲔᲑᲘᲐᲜᲡ,
ᲡᲣᲠᲓᲐ ᲐᲡᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲔᲮᲡᲜᲐ ᲣᲠᲘᲪᲮᲕᲘ ᲫᲚᲕᲔᲜᲘᲗ.
ᲮᲔᲚᲗ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲝᲥᲠᲝᲡ ᲙᲕᲔᲠᲗᲮᲘ ᲣᲤᲐᲚ ᲐᲞᲝᲚᲝᲜᲘᲡᲐ,
ᲗᲐᲕᲡᲐᲙᲠᲘᲐᲜᲘ. ᲐᲥᲐᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲔᲕᲔᲓᲠᲔᲑᲝᲓᲐ,
ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲝᲠᲡᲐ ᲐᲢᲠᲘᲓᲡ, ᲡᲞᲐᲗᲐ ᲛᲔᲡᲕᲔᲣᲠᲗ.
ᲔᲠᲗᲮᲛᲐᲓ ᲒᲐᲘᲡᲛᲐ ᲐᲥᲐᲕᲔᲚᲗᲐ ᲛᲫᲚᲐᲕᲠᲘ ᲧᲘᲟᲘᲜᲐ —
ᲛᲝᲒᲕᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲘ ᲕᲪᲔᲗ, ᲛᲘᲕᲘᲚᲝᲗᲝ ᲫᲚᲕᲔᲜᲘᲪ ᲛᲓᲘᲓᲐᲠᲘ.
ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲐᲢᲠᲘᲓᲛᲐ ᲒᲣᲚᲗᲐᲜ ᲐᲮᲚᲝᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲘᲙᲐᲠᲐ
ᲛᲐᲛᲘᲡ ᲕᲔᲓᲠᲔᲑᲐ, ᲛᲝᲘᲨᲝᲠᲐ ᲛᲠᲘᲡᲮᲐᲜᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ.
ᲬᲐᲕᲘᲓᲐ ᲥᲠᲘᲡᲔ ᲒᲣᲚᲜᲐᲢᲙᲔᲜᲘ. ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡᲛᲨᲕᲘᲚᲓᲐᲛ ᲙᲘ
ᲛᲐᲚᲚᲔ ᲣᲡᲛᲘᲜᲐ ᲛᲚᲐᲚᲐᲓᲔᲑᲔᲚᲡ — ᲣᲧᲕᲐᲠᲓᲐ ᲥᲠᲘᲡᲔ:
ᲣᲡᲛᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲯᲐᲠᲡ ᲓᲐᲛᲚᲣᲞᲕᲔᲚᲘ ᲘᲡᲠᲔᲑᲘ ᲡᲢᲧᲝᲠᲪᲜᲐ.
ᲛᲣᲡᲠᲘ ᲒᲐᲐᲕᲚᲝ ᲮᲐᲚᲮᲡ. ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲘ ᲦᲛᲔᲠᲗᲘᲡ ᲘᲡᲠᲔᲑᲘ
ᲗᲐᲕᲘᲗ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲛᲗᲔᲚᲡ ᲑᲐᲜᲐᲙᲨᲘ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲡ ᲗᲔᲡᲐᲕᲓᲜᲔᲜ.
ᲑᲠᲫᲔᲜᲛᲐ ᲙᲐᲚᲮᲐᲡᲛᲐ ᲒᲕᲐᲛᲪᲜᲝ ᲜᲔᲑᲐ ᲤᲝᲘᲑᲝᲡᲘᲡᲐ.
ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲛᲔ ᲕᲗᲥᲕᲘ, ᲓᲐᲕᲐᲪᲮᲠᲝᲗ-ᲗᲥᲝ ᲦᲛᲔᲠᲗᲘ ᲛᲫᲕᲘᲜᲕᲐᲠᲔ.
ᲠᲘᲡᲮᲕᲘᲗ ᲐᲘᲜᲗᲝ ᲐᲒᲐᲛᲔᲛᲜᲝᲜ, ᲖᲔᲬᲐᲛᲝᲘᲭᲠᲐ,
ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ ᲛᲔᲥᲐᲓᲐ ᲓᲐ ᲥᲐᲓᲘᲚᲘ ᲐᲙᲘ ᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ!
ᲥᲠᲘᲡᲔᲨᲘ ᲛᲘᲰᲧᲐᲕᲗ ᲐᲥᲐᲕᲔᲚᲑᲡ ᲥᲣᲠᲣᲛᲘᲡ ᲥᲐᲚᲘ,
ᲛᲡᲣᲑᲣᲥ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲘᲗ ᲐᲞᲝᲚᲝᲜᲘᲡ ᲖᲕᲐᲠᲐᲙᲘ ᲛᲘᲐᲥᲕᲗ.
ᲩᲔᲛᲗᲐᲜ ᲙᲘ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲝᲠᲘ ᲛᲐᲪᲜᲔ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲐᲮᲚᲐ,
ᲑᲠᲘᲡᲔᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲢᲐᲪᲔᲡ, ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘ ᲯᲘᲚᲓᲝ!
ᲓᲔᲓᲐᲝ, ᲨᲔᲜ ᲮᲝᲛ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲮᲐᲠ, ᲛᲔᲝᲮ-ᲛᲔᲧᲐᲕᲘ,
ᲝᲚᲘᲛ�პᲝᲡ ᲬᲐᲓᲘ, ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲨᲔᲛᲫᲚᲔ ᲖᲔᲕᲡᲡ ᲨᲔᲔᲕᲔᲓᲠᲔ,
ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ ᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲘᲗ ᲗᲣ ᲝᲓᲔᲡᲛᲔ ᲒᲘᲐᲛᲔᲑᲘᲐ.
ᲡᲘᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲘᲡ ᲯᲐᲛᲡ ᲛᲔ ᲛᲡᲛᲔᲜᲘᲐ, ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ
ᲐᲛᲐᲧᲐᲓ ᲒᲘᲗᲥᲕᲐᲛᲡ, ᲠᲝᲛ ᲗᲕᲘᲗ ᲖᲔᲕᲡᲘ, ᲦᲠᲣᲑᲔᲚᲗᲛᲥᲣᲤᲠᲐᲕᲘ
ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲨᲔᲜᲚᲐ ᲘᲮᲡᲔᲜ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡᲒᲐᲜ;
ᲝᲓᲔᲡ ᲦᲛᲔᲠᲗᲔᲑᲛᲐ ᲒᲐᲣᲑᲔᲓᲔᲡ ᲛᲐᲛᲐᲡ ᲨᲔᲗᲝᲙᲕᲐ —
ᲞᲝᲡᲔᲘᲓᲝᲜᲛᲐ, ᲐᲗᲔᲜᲐᲛ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲗᲔᲗᲠᲐ ᲰᲔᲠᲐᲛ,
ᲥᲐᲚᲦᲛᲔᲠᲗᲝ, ᲨᲔᲜᲚᲐ ᲓᲐᲐᲛᲡᲮᲕᲠᲘᲔ ᲖᲔᲕᲡᲘᲡ ᲑᲝᲠᲙᲘᲚᲘ!
ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲥᲔᲓᲘᲐᲜ ᲝᲚᲘᲛᲞᲝᲖᲔ ᲣᲮᲛᲔ ᲐᲡᲮᲔᲚᲐᲡ
(ᲦᲛᲔᲠᲗᲜᲘ ᲑᲠᲘᲐᲠᲔᲡ ᲣᲬᲝᲓᲔᲑᲔᲜ, ᲙᲐᲪᲜᲘ — ᲔᲒᲔᲝᲜᲡ), —
ᲡᲐᲨᲘᲜᲔᲚ ᲢᲘᲢᲐᲜᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲯᲐᲠᲑᲔᲑᲡ ᲛᲐᲛᲐᲡᲐᲪ ᲫᲐᲚᲘᲗ.
ᲙᲠᲝᲜᲘᲓᲗᲐᲜ ᲓᲐᲯᲓᲐ ᲑᲣᲛᲑᲔᲠᲐᲖᲘ, ᲛᲫᲚᲐᲕᲠᲘ, ᲐᲛᲐᲧᲘ.
ᲚᲕᲗᲐᲔᲑᲔᲑᲡ ᲨᲘᲨᲘ ᲨᲔᲔᲞᲐᲠᲐᲗ, ᲣᲙᲣᲓᲒᲜᲔᲜ ᲛᲧᲘᲡᲕᲔ...
ᲔᲡ ᲛᲝᲐᲒᲝᲜᲔ, ᲛᲣᲮᲚᲖᲔ ᲮᲔᲚᲘ ᲛᲝᲮᲕᲘᲔ ᲐᲯᲘᲗ,
ᲠᲝᲛ ᲛᲐᲛᲐᲡ ᲩᲕᲔᲜᲡᲐᲡ ᲢᲠᲝᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲔᲯᲘᲠᲝᲡ ᲛᲮᲐᲠᲔ,
ᲐᲠᲒᲘᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲒᲔᲛᲔᲑᲐᲛᲓᲔ, ᲖᲚᲕᲐᲛᲓᲔ ᲛᲘᲯᲕᲔᲯᲧᲝᲡ,

410 მოსრას და მოსპოს. დაე, მეფის ფასიც შეიცნონ,
იგრძნოს ატრიდმაც ქედმალალმა — რა დააშავა,
რომ შეურაცხყო გულუმხნესი აქაველთ შორის!“

პასუხად უთხრა შვილს თეტიდამ თვალცრემლიანმა:
„შვილო, რად გზარდე, ვარამისთვის მხოლოდ შობილო!
415 ღმერთმა ქნას, შეძლო აქვე დარჩე უცრემლ-უნაღვლოდ,
მცირე გაქვს დღენი სიცოცხლისა, ახლოა ბოლო,
ყველა მოკვდავზე უფრო ადრე შეხვდები სიკვდილს!..
ავ დღესა გშობე, შვილო ჩემო, მშობლიურ სახლში...
წავალ თოვლიან ოლიმპოზე და ელვისმტყორცნელს
420 წვრილად ვუამბობ ყოველივეს, იქნებ მისმინოს.
ხოლო შენ დარჩი მირმიდონელთ მალემსრბოლ გემთან —
განრისხებული და ლაშქრობას თავი არიდე.
მეხისმტყორცნელი წუხელ შორეთს, ოკეანეში
ღმერთებთან ერთად ეთიოპებს სტუმრად ეწვია.
425 მეთორმეტე დღეს დაბრუნდება ოლიმპოს მთაზე.
მაშინ სასახლეს მივადგები სპილენძით ნაგებს,
მეუფის მუხლებს მოვეხვევი და გულს მოვულბობ“.

თქვა და დატოვა. მოყმე სატრფოს ლამაზსარტყლიანს,
ატრიდის მიერ მიტაცებულს, დარდობდა ისევ...
430 და ბრძენთა ბრძენი ოდისევსიც ამ დროს მიადგა
აპოლონ ღმერთის ჰეკატომბით ლაღ ქრისეს ყურეს.
მსუბუქი გემი შესრიალდა ღრმა ნავსადგურში.
სწრაფად დაკეცეს იალქნები შავი ხომალდის.
ანძა ბაგირით დაუშვეს და მოარგეს ბუდეს.
435 ნავსაყუდელში დაამაგრეს გემი უმალვე —
ქვები ჩაყარეს, ნავსაბმელით მიაბეს სადგომს.
სანაპიროზე გადმოვიდნენ, ჩამოიყვანეს
ხმელეთზე ხბონი — ჰეკატომბე აპოლონისა.
მშობელ მიწაზე ქრისეიდა ჩავიდა ბოლოს.
440 საკურთხეველთან მიიყვანა ის ოდისევსმა,
მოხუცს მიჰგვარა. მიესალმა ბრძნული სიტყვებით:
„ატრიდის ნებით ფოიბოსის ქურუმს გეახელ,
თან მომყავს ქალი, ჰეკატომბეს ვუძღვნი აპოლონს
დანაელთაგან. მუხლს მოვიდრეკთ მის საამებლად,
445 ვინც გაგვირისხდა და არგიველთ ურვა არგუნა“.
თქვა და მიჰგვარა ქრისეიდა, მოხუცი შვებით
სანუკვარ პირმშოს ჩაეკონა. აქაველებმა
წმიდა ზვარაკი მიიყვანეს საკურთხეველთან.
წყლით განიბანნენ, მარილი და ქერი აიღეს,
450 ლოცვა წარმოთქვა ქრისემ ცისკენ ხელაპყრობილმა:
„გენუკვი, ვერცხლისმშვილდოსანო, ქრისეს ქომაგო,
კილას მფარველო, მძლე მეუფევ ტენედოსისა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ გულმოწყალე იყავ, ოდეს გეაჯებოდი,
შენ განმადიდე, როს დათრგუნე აქაველები!
455 ახლაც მისმინე, აღასრულე მოხუცის აჯა,
დანაელთ დასჯა აკმარე და სენი აშორე!“

ასე ღაღადყო და სხივოსან აპოლონს ესმა.
მყის წმიდა ზვარაკს მარილი და ქერი აყარეს,
გადაუწიეს მათ კისერი, გამოჭრეს ყელი,
460 ტყავი გააძვრეს და ბარკლები ქონში ორკეცად
გახვიეს. ზედვე შემოაწყვეს ხორცის ნაჭრები.
ნელ ცეცხლზე წვავდა მათ მოხუცი და წითელ ღვინოს
ზედ ასხურებდა. ყრმებს ხუთკბილა ეჭირათ ხელში.
ბარკლები შეწვეს და იგემეს შიგნეულობა,
465 რაც დარჩა, ისიც წვრილად დაჭრეს და შამფურებზე
წამოგებული ნაკვერჩხლებზე ააშიშხინეს.
როს დაამთავრეს სამზადისი, ნადიმად დასხდნენ.
საერთო ლხინში არვინ დარჩა მოულხენელი.
როცა დაიცხრო შიმშილი და წყურვილი ყველამ,
470 ყრმებმა მარჯვნიდან დაუარეს, ღვინით პირთამდე
სავსე სასმისი მონადიმეთ ჩამოურიგეს.
მთელი დღე ჰანგით აამებდნენ უფალ აპოლონს,
ხმამაღალ პეანს უმღეროდნენ ყრმა აქაველნი.
მას ადიდებდნენ, ისრის მტყორცნელს, მას ახარებდნენ.
475 მზე ჩაესვენა და წყვდიადი ჩამოწვა ღამის.
ძილს მისცეს თავი ზღვაოსნებმა გემის სადგომთან.

ღამე ვარდისფერ თითებიან ეოსს გაეპო,
როს გზას გაუდგნენ აქაველნი ბანაკისაკენ.
ზურგქარი ვერცხლისმშვილდოსანმა თან მიადევნა.
480 ანძა დადგეს და თეთრი აფრა ააფრიალეს,
ქარმა დაბერა მეყსეულად, გემის კიჩოსთან
აფორიაქდნენ, ახმაურდნენ უმალ ზვირთები.
გემი მიქროდა და ტალღებზე კვალსა ტოვებდა.

როს მიაღწიეს აქაველთა მხედრობის ბანაკს,
485 გამოათრიეს ზღვის ნაპირზე გემი შავმკერდა,
მაღლა ქვიშაზე ააცურეს, მორი დაუდეს
და გაიფანტნენ თავ-თავიანთ ხომალდებისკენ.

ამ დროს შავმკერდა გემთან მარტო იჯდა მრისხანე
ყრმა ღვთისმიერი, აქილევსი, გმირი ფეხმარდი.
490 აღარც ბჭობაში — გმირთ დიდების მოსახვეჭელში,
აღარც ბრძოლაში აღარ იყო. დარდი სერავდა
მის გულს, ნატრობდა ბრძოლასა და თავგამოდებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლოს გავიდა თორმეტი დღე და დაუბრუნდნენ
მარადიული ღვთაებანი დიად ოლიმპოს.
495 წინ მიუძღოდა ზევსი. შვილის ვედრება დედას
ახსოვდა, ადრე ამოვიდა ქაფქაფა ზღვიდან,
დილის ბურუსში გაეშურა ოლიმპოს მთისკენ.
განმარტოებულს ელვისმტყორცნელ კრონიონს შეხვდა
მრავალქედიან ოლიმპოს მთის მაღალ მწვერვალზე.
500 წინ დაუჩოქა, მეყსეულად მარცხენა ხელი
მუხლზე მოხვია, მარჯვენით კი ნიკაპს შეეხო,
მავედრებელმა ასე უთხრა უკვდავთა მამას:
„თუკი ოდესმე, მამა ზევსო, მიამებია
სიტყვით ან საქმით, ამისრულე ერთი მუდარა!
505 შური მიძიე პირმშოსათვის. საწუთრო-მცირე
აგამემნონმა დაამდაბლა, მამაცთა მეფემ,
ჯილდო წაართვა და თვითონვე დაეპატრონა.
შური იძიე, ზეციურო მეუფე ზევსო!
იყავ ტროელთა შემწე, სანამ აქაველები
510 არ მიაგებენ კვლავ აქილევსს კუთვნილ ღირსებას“.

ასე ამბობდა. უბრად იჯდა ღრუბელთმქუფრავი.
თეტიდა კვლავაც ჩახვეოდა მეუფის მუხლებს.
ფეხქვეშ განრთხმული ელოდა და ევედრებოდა:
„აღთქმა მომეცი და თანხმობით თავი დახარე.
515 ან უარმყავი, უშიშარო, თქვი და ვირწმუნებ,
უკვდავთა შორის მე რომ გძულვარ ყველაზე მეტად“.
ამოიხვნეშა და მიუგო ღრუბელთმქუფრავმა:
„ვწუხვარ, რომ ჰერას კვლავ აღუძრავ სიძულვილს ჩემსას.
დამამცირებელ სიტყვებს მეტყვის და გამაშმაგებს,
520 უკვდავთ კრებულში განუწყვეტლივ ისეც მაყვედრის,
რომ თითქოს ტროელთ ვეხმარები მძიმე ბრძოლაში.
გამცილდი ახლა, ოლიმპოზე თვალი არ მოგკრას.
სხვა დანარჩენზე მე ვიზრუნებ და შევასრულებ:
აჰა, დამშვიდდი, თანახმა ვარ, დაბლა ვხრი თავსა.
525 ეს უკვდავთათვის უდიდესი საწინდარია —
სიტყვას არ გავტეხ, განმტკიცებულს სამარადისოდ,
და არ აღსრულდეს — არ იქნება, რასაც კვერს დავკრავ!“
**თანხმობის ნიშნად** ძირს დახარა შავი წარბები,
მყისვე კრონიდის უჭკნობ თავზე სურნელოვანი
530 თმები შეირხა და ოლიმპო იძრა დიადი.

შემდეგ ვერცხლისფერ მუხლიანი თეტიდა ადგა
და ოლიმპოდან გაეშურა ზღვის ჯურღმულისკენ.
ზევსი დაბრუნდა სასახლეში. წამოიშალნენ
ძვირფასი მამის შესახვედრად მარადუკვდავნი,
535 ვერვინ გაბედა, კრონიდს რომ არ შეგებებოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოლიმპიელი ტახტზე დაჯდა. ქალღმერთმა ჰერამ
იგრძნო ყოველი, ზევსთან ნახა გმირის მშობელი,
ღმერთი ვერცხლისფერ მუხლიანი — შვილი ნერევსის.
ღვარძლით მიმართა მეყსეულად ქალღმერთმა კრონიდს:
„ვერაგო, შენთან რომელ უკვდავს მოუნდა ბჭობა?
შენ ხომ გჩვევია საიდუმლო ფიქრებს მიეცე
და მე ყოველი დამიმალო! შენი სურვილით
ოროდეს გითქვამს ჩემთვის ერთიც რამ ხვაშიადი“.
მას უთხრა ზევსმა, უკვდავთა და მოკვდავთა მამამ:

„ნუ გაქვს იმედი, ყოველივე იცოდე, ჰერა,
დაგიმძიმდება, თუმცა შენ ხომ ცოლი ხარ ჩემი!
რისი გაგებაც შეიძლება, არ გაიგება
შენზე უადრეს არც მოკვდავთა, არც უკვდავთ მიერ.
ხოლო თუ ღმერთთა უკითხავად გადავწყვეტ რასმე,
ნულარ ჩამკითხავ, ნურც მიხვედრას ეცდები შენით!“
ზევსს კვლავ შესძახა ხარისთვალა ქალღმერთმა ჰერამ:
„ღრუბელთმქუფრავო! კრონიონო, აბა რას ბრძანებ?
მე არც მიკითხავს, უშენოდაც არ მდომებია
მივხვედრილიყავ. რაიც გინდა, კიდეც ასრულებ.
მხოლოდ ერთს ვშიშობ, ვაი თუკი გადაგიბირა
ღმერთმა ვერცხლისფერ მუხლიანმა, ნერევსის შვილმა!
პელიდის დედა სისხამ დილით მუხლთ გეხვეოდა,
თანხმობა მიეც, როგორც ვატყობ და განიზრახე
არგიველთ ჯარზე პელიდისთვის შური იძიო“.

ჰერას მიუგო კრონიონმა ღრუბელთმქუფრავმა:
„მაოცებ, ამჩნევ ყოველივეს და მითვალთვალებ,
მაგრამ ვერაფერს ვერ იღონებ, ამით მხოლოდღა
მე განმარისხებ, უარესი დღეც დაგადგება!
თუ ასე მოხდა, ჩანს, რომ მსურდა ეს მომხდარიყო!
იყუჩე, ჰერა, და ჩემს ნებას დაემორჩილე!
თორემ ვერ გიხსნის ღვთაებათა მთელი კრებული,
თუ ქედზე ჩემი უძლეველი ხელი დაგადე“.
თქვა.. .და შეძრწუნდა ხარისთვალა ქალღმერთი ჰერა
ხმა გაიკმინდა, დაიოკა გულისთქმა მყისვე.
ზევსის სავანეს ღმერთთა ჩუმი ოხვრა ისმოდა.
ოლიმპიელი დიდოსტატი ჰეფესტო ადგა,
სანუკვარ დედას ამშვიდებდა, მშვენიერ ჰერას:
„აბა როგორი ასატანი იქნება ჩემთვის,
მოკვდავთა გამო თუ ერთმანეთს წაეკიდებით!
რალა დარჩება სიკეთისგან, როცა ნადიმზე
ღმერთების დასში ბოროტების ზარ-ზეიმია!
დედავ, გარწმუნებ, სანუკვარო, — თუმც თვით ხარ ბრძენი, —
დაემორჩილე ზევსს, მეუფეს, რათა უკვდავმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისხვით ნადიმი უდარდელი არ აგვიშალოს.
580 თუ მოინდომებს ოლიმპელი, მეხით ელვარე,
ყველა ღვთაებას დაბლა დასცემს უძლიერესი!
ეცადე, დედავ, ტკბილი სიტყვით დაიყოლიო,
დაუყოვნებლივ მოწყალებით მოგვხედოს ყველას!“

ასე წარმოთქვა და წამოდგა, ბრწყინვალე თასი
585 ორფსკერიანი მიართვა და კვლავ უთხრა დედას:
„დედავ, ითმინე, რაც არ უნდა გული გერჩოდეს,
შვილს ნუ მომასწრებ შენს სატანჯველს, ზევსის განაჩენს,
ვერ გადაგარჩენ გულმოკლული, ვერც შეგელევი!
არ ძალუძს არც ერთ ოლიმპიელს ზევსს შეერკინოს!
590 აკი ერთხელაც გულაღგზნებულს მოსაშველებლად,
ფერხთ ხელი მტაცა, გადამტყორცნა ზეცის ზღურბლიდან:
მთელი დღე სწრაფად ძირს მივქროდი და მზის ჩასვლის ჟამს
ღვთაებრივ ლემნოსს დავენარცხე, ძლივს დამყვა სული.
სინტიელებმა იქ მიმიღეს და მომიარეს“.

595 ასე თქვა, ჰერამ გაიღიმა — ხარისთვალებამ,
შვილს ღიმილითვე ჩამოართვა ელვარე თასი.
ჰეფესტომ თასით კრატერიდან ამოღებული
ნექტარი ღმერთებს დაურიგა. მარჯვნიდან დაჰყვა.
ცის ნეტარ ღმერთებს აუვარდათ სიცილ-ხარხარი,
600 როცა ჰეფესტო თასით ხელში დაკელანობდა.
ასე მთელი დღე, მზის ჩასვლამდე, ნეტარნი ღმერთნი
საერთო ლხინით გულს იტკბობდნენ და იხარებდნენ
ფორმინგის ხმებით, აპოლონი რომ აჟღერებდა,
ნაზი მუზები ტკბილ მოძახილს ეუბნებოდნენ.
605 მაგრამ როდესაც ჩაესვენა მზის ელვარება,
ძილმორეულნი თვის სავანეს ეწვივნენ ღმერთნი,
ყოველს ცალ-ცალკე რომ აუგო კოჭლმა ჰეფესტომ
ოლიმპოს მთაზე ოსტატობით და შთაგონებით.
ზევსი ეწვია სანთიობოს — ოლიმპოს მეფე.
610 იქ, სადაც მუდამ მიმწუხრისას ტკბილ ძილს ელოდა.
შევიდა. დაწვა. გვერდით ჰყავდა ქალღმერთი ჰერა.

□

# ბიკენტი ვერესაევი

## ექიმის ჩანაწერები

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსულიდან თარგმნა **რამაზ კობიძემ**

•

სამედიცინო ფაკულტეტი შვიდი წლის წინათ დავამთავრე. მკითხველი ალბათ მიხვდება, თუ რას უნდა მოელოდეს ჩემი ჩანაწერებიდან. ეს არ არის დღიური ძველი, გამოცდილი ექიმისა, ხანგრძლივ დაკვირვებებს თავს რომ უყრის და საექიმო მეცნიერების, ეთიკისა და პროფესიის რთულ საკითხებზე პასუხებს გვთავაზობს; ეს არც ფილოსოფოსი-ექიმის ჩანაწერებია, მეცნიერების არსს ღრმად რომ ჩაწვდომია და ბოლომდე ამოუხსნია. მე ჩვეულებრივი ექიმი ვარ, საშუალო ჭკუისა და ასეთივე ცოდნის პატრონი; ხშირად თავადაც ჩიხში ვექცევი და ვერასგზით ვერ გადამიჭრია ბევრი რთული საკითხი, ყოველ ნაბიჯზე წინ რომ მეღობება, არადა ამ საკითხების გადაჭრა მართლაც აუცილებელია. ჩემი ერთადერთი უპირატესობა ის გახლავთ, რომ პროფესიის კაცი ჯერაც არ გავმხდარვარ, ჩემს თვალში ჯერაც არ დაუკარგავს ძალა და სიმკვეთრე იმ შთაბეჭდილებებს, ადამიანი დროთა განმავლობაში უნებურად რომ ეჩვევა. მე გიამბობთ, თუ რას ვგრძნობდი ჩემი ხელობის დაუფლებისას, რას მოველოდი მისგან და რა შემრჩა ხელთ. მოგითხრობთ პირველ დამოუკიდებელ ნაბიჯებზე, საექიმო ასპარეზზე გამოსვლისას რომ გადავდგი; გაგიზიარებთ ექიმად მუშაობის დროს მიღებულ შთაბეჭდილებებს. შევეცდები ყველაფერი ვაგანდოთ, არც რაიმე დავმალო და ვიყო გულწრფელი.

**1**

გიმნაზიაში კარგად ვსწავლობდი, მაგრამ თანაკლასელთა უმრავლესობისა არ იყოს, გიმნაზიის მეცნიერება სულის სიღრმემდე მძულდა. ეს იყო მძიმე, უსიამო ბეგარა, რაც სულაც არ მიზიდავდა, მაგრამ რატომღაც ეს ბეგარა აუცილებლად უნდა მომეხადა. რაში მეპიტნავებოდა, თუ რომელ საუკუნეში დაიწერა „დანიელ პყრობილისგან თქმული“, ვისი შვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



იყო ოტონ დიდი და როგორი იქნება „persuadeo tibi“-ს ვნებითი გვარი? მე სკოლის კედლებს გარეთ ვყალიბდებოდი, ვიძენდი ცოდნას, ვიგებდი ყველაფერს, რაც მიტაცებდა.

უნივერსიტეტში შესვლისთანავე ყველაფერი ძირფესვიანად შეიცვალა. სამედიცინო ფაკულტეტის პირველ ორ კურსზე თეორიული საბუნებისმეტყველო მეცნიერული საგნები — ქიმია, ფიზიკა, ბოტანიკა, ზოოლოგია, ანატომია და ფიზიოლოგია იკითხებოდა. ეს მეცნიერებანი იმდენად ახალ და მნიშვნელოვან ცოდნას მაძლევდნენ, რომ მთელი ჩემი არსება დაიმორჩილეს: ნათელი და გასაგები შეიქნა ყველაფერი, რაც აქამდე გაუგებარი იყო. მიკვირდა კიდეც, როგორ მოვიყარე ოცი წლისა ისე, რომ არაფერი მაინტერესებდა და არც არაფერი ვიცოდი-მეთქი? ყოველ დღესა და ყოველ ლექციას ახალი „აღმოჩენა“ მოჰქონდა: განცვიფრებული დავრჩი, როცა შევიტყვე, რომ ბიფშტექსები და კატლეტები სწორედ ის იდუმალებით მოცული „კუნუბი“ ყოფილა, რუხი ძაფების გორგლებად რომ წარმომედგინა. წინათ მეგონა, მუცლიდან მყარი საკვები ნაწლავებში მიდიოდა, თხიერი კი — თირკმელებში. მეგონა, ჩასუნთქვისას მკერდი იმიტომ განიერდებოდა, რომ რაღაც გაუგებარ ძალას მასში ჰაერი შეჰყავდა; ვიცოდი მატერიისა და ენერგიის შენარჩუნების კანონები, მაგრამ სულის სიღრმეში იგი სრულიადაც არა მჯეროდა. დროთა განმავლობაში დავრწმუნდი, რომ ადამიანების უმრავლესობას ასეთივე უსუსური წარმოდგენა ჰქონდა ყველაფერზე, რაც მათ თვალწინ იყო და ეს გარემოება მათ ოდნავადაც არ აწუხებდათ. ისინი სიცხვილისაგან გაწითლდებიან, თუ ვერ გიპასუხეს, რომელ საუკუნეში ცხოვრობდა ლუი XIV, მაგრამ მშვიდად მოგიგებენ, არ ვიცი, თუ ჰკითხეთ, რა არის მხუთრი, ან რატომ ანათებს ფოსფორი სიბნელეში.

ახლა ანატომიას არ იკითხავთ? ხშირად იტყვიან, მისი შესწავლა მეტად მძიმე და უსიამო რამ არის, რადგან აუცილებელია გვამთა პრეპარირებაო. მართლაც, ზოგი ჩემი ამხანაგი დიდხანს ვერ შეეჩვია გატყავებული, თვალებამღვრეული, კბილებდაღრჭენილი და თითებდაგრეხილი გვამებით სავსე ანატომიურ თეატრს; ერთი ამხანაგი ამის გამო სხვა ფაკულტეტზეც კი გადავიდა: ჰალუცინაციები დაეწყო და ღამღამობით ეჩვენებოდა, თითქოს ოთახის ყველა კუთხიდან მისკენ გასისხლიანებული ხელები, ფეხები და თავები მიცოცავდნენ. პირადად მე გვამებს მალე მივეჩვიე და, თავდავიწყებული, საათობით ვაკვირდებოდი პრეპარირების პროცესს, რაც ადამიანის სხეულის საიდუმლოებებს მიხსნიდა; შვიდი-რვა თვის მანძილზე ანატომიას გატაცებით ვსწავლობდი და ალბათ ამიტომ რაღაც საოცრად გამარტივდა ჩემი წარმოდგენა ადამიანზე. აი, ქუჩაში მივდივარ და ჩემ წინ მიმავალ ადამიანს ვუთვალთვალებ. ჩემთვის იგი ცოცხალი გვამია, არც მეტი და არც ნაკლები: აი, ახლა მას შეეკუმშა glutaeus maximus, ახლა კი — quadriceps femoris. ყელზე რომ ამობურცული ადგილი აქვს, ეს განპირობებულია sternocleidomastoideus რეფლექსით: აი, იგი ჯოხის ასაღებად დაიხარა — მაშ, musculi recti abdominis შეიკუმშნენ და გულ-მკერდი მენჯისაკენ დასწიეს. ახლობელი, ძვირფასი ადამიანები ჩემს თვალში როგორღაც გაორდნენ; აი, ეს ქალიშვილი — რაოდენ მომხიბლავი და იშვიათი არსებაა იგი, მისი სიახლოვე სულს სინათლით და სიკეთით ავსებს; მაგრამ ყველაფერი, რისგანაც ეს ქალიშვილი შედგება, ჩემთვის კარგადაა ცნობილი და განსაკუთრებულს არაფერს შეიცავს: მის ტვინს ისეთივე ხვეულები აქვს, როგორიც ჩემს მიერ ასობით ნანახ სხვა ტვინს, მისი კუნთებიც ისევეა ქონით გაპოხილი, რაც ძალიან უსიამოვნოს ხდის ქალის გვამის პრეპარირებას, და საერთოდ მასში მიმზიდველი და პოეტური სრულიად არაფერია.

თვით მეცნიერებაზე უფრო ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ამ მეცნიერებაში გაბატონებულმა მეთოდმა. მას ფრთხილად და ჯიუტად მივყავდი წინ, გულდასმით მამოწმებინებდა თითქოსდა სრულიად უმნიშვნელო წვრილმანებსაც, გამოცდილებისა და დაკვირვების საფუძველზე მკაცრად აკონტროლებდა ჩემს ყოველ ნაბიჯს; ის მონაკვეთი, ამ გზაზე რომ გაივლიდით, საბოლოოდ იყო განვლილი, უკან მობრუნების შესაძლებლობა აღარსად ჩანდა. ეს მეთოდი გონებას იმიტომაც აჯადოებდა, რომ სასკოლო წესების განყენებული ლოგიკის სახით კი არ გვეცხადებოდა, არამედ უშუალოდ გამომდინარეობდა თვით საქმის არსიდან: ყოველი ფაქტი, ყოველი ახსნა თითქოსდა თავისთავად ადასტურებდა ბეკონის ოქროს სიტყვებს: non fingendum aut excogitandum, sed inveniendum, quid natura faciat aut ferat“ (ნუკი ვიგონებთ, არამედ ვეძიოთ, რას ჰქმნის და რას ატარებს თავის თავში ბუნებაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიძლებოდა არაფერი გცოდნოდათ თავად ლოგიკის არსებობის თაობაზე — მეცნიერება თავის მეთოდს უფრო უკეთ შეგასწავლიდათ, ვიდრე ამ მეთოდზე დაწერილი დაწვრილებითი ტრაქტატები. მეცნიერება ისე წვრთნიდა გონებას, რომ თვით მასში — მეცნიერებაში — სწორი გზიდან ოდნავი გადახვევაც კი საოცრად არამეცნიერული, აუტანელი იყო, — მსგავსად ვეისმანის „განუწყვეტლივ ჩასახვადი პლაზმისა“ ან მხედველობის თეორიისა.

მეორე კურსზე მოსამზადებელი თეორიული საგნები გათავდა. გამოცდები ჩავაბარეთ და კლინიკებში მეცადინეობას შევუდექით.

ახლა შემოთავაზებული ცოდნა სულ სხვანაირი იყო. განყენებულ მსჯელობათა ნაცვლად ჩვენ წინ ცოცხალი ადამიანი აღიმართა. ანთებათა თეორიების, სიმსივნეთა და ბაქტერიათა მიკროსკოპული პრეპარატების ადგილი ნამდვილმა წყლულებმა და ჭრილობებმა დაიკავეს. ჩემ თვალწინ სნეული, დასახიჩრებული, წამებული ადამიანების უსასრულო ნაკადი დაიძრა; უბრალო ავადმყოფებს კლინიკებში არ ღებულობენ, აქ მხოლოდ მძიმე, აუტანელი ტანჯვის მოწმენი გახლდით. პირდაპირ გამაოგნა ტანჯვათა სიმრავლემ და ნაირსახოვნებამ. თურმე რამდენნაირი წარმოუდგენელი წამება მოუმზადებია ჩვენთვის დედა ბუნებას, — მათ დანახვაზეც კი სული ძრწოლვით ივსება.

კლინიკური მეცადინეობა ახალი დაწყებული გვქონდა, როცა უფროსი კურსების კლინიკაში ტეტანუსით დაავადებული მებოსტნე დააწვინეს. სანახავად წავედით. პალატაში სიჩუმე იდგა. ავადმყოფი გოლიათური აგებულების, მკვრივი, დაკუნთული, სახეზე მზემოკიდებული კაცი იყო. გულიმა იწვა, ერთიანად ოფლში ცურავდა, გიჟივით ღრიალებდა და თვალებს ატრიალებდა: ოდნავი ხმაურისას — ქუჩაში მიმავალი კონკის ზარის, ან ქვედა სართულში კარების დახურვის ხმაზე ავადმყოფის სხეული ნელ-ნელა ამოიზნიქებოდა, კეფა უკან უვარდებოდა, ყბები კანკალით აციგდებოდა ერთმანეთს, ისე, რომ ცბილებს ცრაჭუნი გაჰქონდათ. ზურგის კუნთების საშინელი, ხანგრძლივი კრუნჩხვა ავადმყოფის სხეულს ზევით ეწეოდა. ბალიშზე ოფლის წვეთები ელვენთებოდა. ეს კაცი ორი კვირის წინ ბოსტანში ფეხშიშველა მუშაობდა და ფეხის ცერში ხიწვი შეერჭო, და ერთი ბეწო ხიწვმა ჩაგდო ამ დღეში.

ამაზრზენი იყო ამ წამების ყურება, მაგრამ უფრო მზარავდა იმის წარმოდგენა, თუ რა ახლოსაა ყველა ჩვენგანთან ეს საატანჯველი და რა მცირედაა მისგან დაზღვეული თვით უჯანმრთელესი ადამიანიც კი.

ორი კვირის წინ მებოსტნის ჯანი ხომ ყველას შეშურდებოდა... ანდა: მიდიოდა ეზოში კაჟივით ბიჭი — მეჯინიბე, ფეხი დაუსხლტა, ზურგი ვარცლს დაჰკრა და — აი უკვე მეექვსე წელია კლინიკაში წევს: უმოძრაო ფეხები მათრახებივით ჩამოჰკიდებია, ყოველგვარ მოთხოვნილებას იქვე იკმაყოფილებს, სადაც წევს; ძუძუმწოვარა ბავშვივით უსუსური, წევს მთელი დღეები, თვეები, წლები და აღარ არის იმედი, რომ წარსული ოდესმე დაბრუნდება... აი, ამ ჩინოვნიკს საჯდომი ნერვის ანთება აქვს, ტანჯვას სიგიჟის პირას მიუყვანია და პროფესორს უყვირის:

— ყველანი არამზადები და ყალთაბანდები ხართ! იწამეთ ღმერთი, მომკალით! ეს ერთადერთი სათხოვარი მაქვს... მომკალით!

ზაფხულის მშვენიერ საღამოს იგი ნამიან ბალახზე ჩამომჯდარა.

ყოველ წუთსა და ყოველ ნაბიჯზე საშიშროება გვემუქრება. მისგან თავს ვერ დაიცავ, იმიტომ, რომ მეტად მრავალსახოვანია; მას ვერც გაექცევით, რადგან ყველგან ბუდობს. ორგანიზმი მოსვენებული მაშინაც კი არ არის, როცა ჯანმრთელადა ვართ: ყლაპვისა და სუნთქვისას ორგანიზმში მილიონობით ბაქტერიები შედის, ჩვენს სხეულში განუწყვეტლივ წარმოიქმნება ძლიერი შხამები. ჩვენდა შეუმჩნევლად ორგანიზმის ძალები სასტიკად ებრძვიან მავნე ნივთიერებებს და არასოდეს არა ვართ დაზღვეული იმისაგან, რომ აი ახლა, სწორედ ამ წუთში ორგანიზმს ძალები აღარ ეყოფა და დამარცხდება. მაშინ უმნიშვნელო განაკაწრისაგან წითელი ქარი, ფლეგმონა ან სისხლის ხრწნადობა წარმოიქმნება, უმნიშვნელო დაჟეჟილობა კიბოს ან სარკომას გაგვიჩენს. მსუბუქი ბრონქიტი კი, ორპირი ქარისას რომ შეგვეყარა, ჭლექად იქცევა.

იმისათვის, რომ ავადმყოფობა მართლაც „შემთხვევითობად“ იქცეს, საჭიროა რაღაც იდეალური, ჩვენი ცხოვრებისათვის სავსებით უჩვეულო პირობები. ახლა კი ყველა ავადმყოფობს: ღარიბები — სიღატაკის, მდიდრები — ფუფუნების, მუშა-მოსამსახურენი — დაძა-

ბული ცხოვრების, უსაქმურნი — უნიათობის, გაუფრთხილებელნი — გაუფრთხილებლობის, წინდახედულნი — წინდახედულობის მიზეზით. ყოველი ადამიანის არსებაში პატარაობიდან-ვე საფრთხე ჩაბუდებულა; ორგანიზმს ჯერ განვითარებაც ვერ მოუსწრია — უკვე რღვევას იწყებს. ბოსტონში ოთხი ათასი მოსწავლის კბილები შეამოწმეს და ნახეს, რომ ჯანსაღი კბილები ათ წელს გადაცილებულ ბავშვებში გამონაკლისს წარმოადგენს. ბავარიის სახალხო სკოლების ხუთასი მოსწავლიდან სრულიად ჯანსაღი კბილები მხოლოდ სამს აღმოაჩნდა. დოქტორმა ბაბესმა ბუდაპეშტის საავადმყოფოში ასი ბავშვის გვამი გაკვეთა და სამოცდათოთხმეტს ბრონქიალურ ჯირკვლებში ტუბერკულოზის ჩხირები უპოვნა. არადა ასევე ბავშვი ტუბერკულოზისაგან სრულიად განსხვავებული სნეულებებით იყო დაღუპული... გაღვიძებისას ბავშვებს „ნამძინარევი", წირპლიანი თვალები აქვთ; ბავშვობაში თითქმის ყველას ქრონიკული სურდო სჭირს და უცხვირსახოცობა ვერ წარმოუდგენია. ყველას ძალიან გააოცებს აზრი, რომ ჯანსაღ ადამიანს ცხვირსახოცი სრულიად არ სჭირდება. აღარას ვამბობ მოწიფულ ქალებზე, ისინი ხომ ფიზიოლოგიურად განწირულნი არიან იმისათვის, რომ თვეში რამდენიმე დღე იავადმყოფონ.

ახალი, შეუცნობელი გრძნობით ვაკვირდებოდი გარშემო მყოფთ და სულ უფრო და უფრო მიკვირდა, თუ რა ცოტა იყო მათ შორის ჯანსაღი ადამიანი. თითქმის ყოველ მათგანს რაიმე სნეულება სჭირდა. მეჩვენებოდა, მთელი მსოფლიო ერთი მთლიანი, ვეებერთელა საავადმყოფოა-მეთქი. თანდათან სულ უფრო და უფრო ვრწმუნდებოდი, რომ ნორმალური ადამიანი — ეს არის სნეული, სიჯანსაღე კი არის იღბლიანი სიმახინჯე, ნორმის მკვეთრი დარღვევა და მეტი არაფერი.

თეორიული მეანობის შესწავლას რომ შევუდექი და წიგნი გადავშალე, გათენებამდე ხელიდან აღარ გამიშვია. მძიმე, საშინელი კოშმარივით აბორგდა ჩემს თვალწინ მშობიარობის „ნორმალური", „ფიზიოლოგიური" პროცესი. ორსული საშოთი შევიწროებული მუცლის ორგანოები, ტიპიური, მტკივნეული სამშობიარო ჭინთვები, საშინელი, სისხლიანი გზა, რასაც მშობიარობისას ბავშვი გადის, ზომათა წარმოუდგენელი შეუსაბამობა, ნაჭდევები მუცელზე (ამ ნაჭდევებით შეიძლება გამოიცნოთ ქალი, ვისაც თუნდაც ერთხელ უმშობიარია), ყველაფერი ეს საოცრად არანორმალურია. დღევანდელ დღესავით მახსოვს პირველი მშობიარობა, მე რომ დავესწარი. მშობიარობდა ახალგაზრდა ქალი, ფოსტის წვრილი მოხელის ცოლი. ეს მისთვის მეორე მშობიარობა იყო. მუცელგამობერილი, სამშობიარო მაგიდაზე იწვა და ხელები ულონოდ ჩამოეყარა. შუბლზე ოფლის წვეთები უბრწყინავდა. ჭინთვები რომ დაეწყებოდა, მუხლებს ღუნავდა და კბილს კბილზე აჭერდა, იქნება კვნესა შევიმაგროო, მაგრამ ამაოდ...

— ცოტაც, ცოტაც მოითმინეთ, ქალბატონო! — გულგრილად ამშვიდებდა ასისტენტი.

გათენებას საშველი არ დაადგა. მშობიარე უკვე აღარ ცდილობდა თავის შეკავებას. იგი მთელი პალატის გასაგონად კვნესოდა, ქვითინებდა, ცახცახებდა და თითებს იმტვრევდა. კვნესის ხმა დერეფანს აღწევდა და სადღაც შორს, თაღებში იკარგებოდა. ერთი, განსაკუთრებით ძლიერი შეტევის შემდეგ გაწამებული ქალი ასისტენტს ხელზე ჩააფრინდა და მავედრებელი მზერა მიაპყრო:

— ექიმო, მითხარით, ვკვდები? — კაეშანს დაესადგურებინა მის ხმაში.

დილით კლინიკაში ამბის გასაგებად აღელვებული, დაბნეული ქმარი მოვიდა. მძიმე, უსიამო გრძნობით შეპყრობილი მივჩერებოდი მას. ახლა ხომ მეორე ბავშვი უნდა შესძენოდათ. მაშასადამე, ქმარმა იცოდა, რა წამება მოელოდა ცოლს და მაინც გასწირა იგი... ქალმა მხოლოდ გვიან საღამოს მოიმშობიარა. გამოჩნდა ბავშვის თავი. მშობიარე ქალის აკანკალებული სხეული განწირულად იკლაკნებოდა, ცდილობდა ბავშვი როგორმე გარეთ გამოეგდო; როგორც იქნა ბავშვი გამოვიდა. კეფის მარცხენა მხარეს დიდი ჩასისხლიანებული სიმსივნე მოუჩანდა, თავის ქალა კი დამახინჯებული, წაგრძელებული ჰქონდა; შორისებჩახეული უგონო მშობიარე სისხლის ტბაში ცურავდა.

— იოლი და უინტერესო მშობიარობა იყო, — თქვა ასისტენტმა. თურმე ეს ყველაფერი აგრეთვე „ნორმალური" ყოფილა! საქმე მარტო ის კი არ გახლავთ, რომ „ცივილიზაციამ" მშობიარობა გააძნელა; ქალისათვის მშობიარობა მუდამ მძიმე წამება იყო. ამ უცნაურობამ ჯერ კიდევ უძველესი ადამიანი გააოცა და რაკი ვერ ამოხსნა, იგი ღვთის რისხვად ჩათვალა.

ასეთი შთაბეჭდილებანი უფრო და უფრო მისერავდა სულსა და გულს.

ერთხელ ღამით გამეღვიძა. მესიზმრა, თითქოს რაღაც ვიწრო, ბნელ ჩიხში მივდიოდი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარეტა დამეჯახა, ხელნა სახეში მომხვდა და pneumothorax დამემართა. საწოლზე წამოვხტი. ფანჯარაში გაცრეცილი ღამე იცქირებოდა. დაუზეთავი ვენტილატორის გააფთრებული, წყვეტილი ხროტინი ავსებდა სიჩუმეს, სამზარეულოში დიასახლისის ავადმყოფი ბავშვი ტიროდა. უეცრად უკანასკნელ დღეებში ნანახი და ნაფიქრი ამეშალა, შემზარა იმის წარმოდგენამ, თუ რა უსუსურია ადამიანი შემთხვევითობათა წინაშე და როგორ ბეწვზე ჰკიდია მისი ჯანმრთელობა. სანამ ჯანსაღი ხარ — ნურაფრის, ნურავითარი განსაცდლის ნუ შეგეშინდება; ხოლო თუ ჯანმრთელობა დაჰკარგე, მაშ, ყველაფერი დაგიკარგავს. უიმისოდ არ არსებობს თავისუფლება, დამოუკიდებლობა; ავადმყოფი ადამიანი გარშემომყოფთა და გარემოებათა მონაა. ჯანმრთელობა — უმაღლესი, უსაჭიროესი სიკეთეა, და ამავე დროს რა ძნელია მისი შენარჩუნება! სასაცილოა ამ მიზანს მთელი სიცოცხლე, მთელი ძალები შეესწიროო. არადა, სულერთია, მაინც ვერაფერს გახდები, თუნდაც მარტო ამისათვის იცოცხლო. თავს გაუფრთხილდები? მაგრამ ამით ხომ შეგუების უნარს დაჰკარგავ, ჩიტი არხეინად იძინებს წვიმაში, მთლად სველდება და — არაფერი! ადამიანი კი ასეთ პირობებში ისე გაცივდება, რომ იქნებ ველარც გადარჩეს. ანკი როგორ უნდა გაუფრთხილდეს თავს ადამიანი? არავინ უწყის, თუ საიდან ჩნდება კიბო, სარკომა, უამრავი ნერვიული დაავადება, შაქრის ავადმყოფობა, გამაწამებელი კანის სნეულებათა უმრავლესობა... კეთილი და პატიოსანი, თავს გაუფრთხილდები, მაგრამ ვინ იცის, იქნებ გაისად pemphigo foliaceo შემეყაროს და ლოგინად ჩამაგდოს! ამ დაავადებისას კანი დონდლო ბუშტებით იფარება. მერე ბუშტები სკდება და კანქვეშა კუნთები შიშვლდება; კანი აღარ იზრდება. გატყავებულმა, კუნთებგაშიშვლებულმა ადამიანმა აღარ იცის, როგორ დაჯდეს ან როგორ დაწვეს. სხეულზე ოდნავი მიკარებაც კი ჯოჯოხეთურ ტკივილებს იწვევს. რაო, იქნებ თქვათ, ამაზე ფიქრიც კი სასაცილოაო? კარგი, მაგრამ ის, pemphigus-ით დაავადებული, ამას წინათ რომ კლინიკაში ვნახე, ექვსი თვის წინათ ხომ სრულიად ჯანმრთელი იყო და არავითარი უბედურება არ მოელოდა. არც ერთ წუთს არ უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ ჯანმრთელი ვიქნებით! არადა, ადამიანებს გვინდა სიცოცხლე, გვწყურია ბედნიერება. ეს კი შეუძლებელია... მაშ, რიღასთვის არსებობს სიყვარული მთელი თავისი პოეზიითა და ბედნიერებით? რაღა აზრი აქვს სიყვარულს, თუ მას ამდენი ტანჯვა-წამება მოჰყვება? განა „სიყვარული" საკუთარ თავს არ ამასხარავებს, როცა ადამიანი საყვარელ ქალს აყენებს იმ წამებას, მე რომ სამეანო კლინიკაში ვიხილე. ათასნაირი ტანჯვა-წამებაა ადამიანის ორგანიზმის არსი და სიცოცხლე.

ეს ტანჯვა-წამება მალე რეალურად წარმომესახა. მარცხენა იღლიის ქვეშ პატარა ხალი მქონდა. მოულოდნელად და სრულიად უმიზეზოდ ხალი გაიზარდა და ამტკივდა. თვალებს არ ვუჯერებდი, მაგრამ ხალი დღითიდღე იზრდებოდა და სულ უფრო და უფრო მატულობდა ტკივილი. მალე სიმსივნე თხილისოდენა გახდა. ეჭვი აღარ იყო: ხალიდან სარკომა განვითარდა, ის საშინელი მელანოსარკომა, ჩვეულებრივ, უწყინარი ხალებიდან რომ ვითარდება. ქირურგ პროფესორთან მიღებაზე ისე წავედი, გეგონებათ, ეშაფოტზე ავდიოდი.

— პატივცემულო პროფესორო, მგონი, ხელზე სარკომა მაქვს, — ამოვილუღლუღე.

პროფესორმა ყურადღებით შემომხედა.

— თქვენ მესამე კურსზე ხართ? — [illegible], ითხა მან.

— დიახ!

— მაჩვენეთ თქვენი სარკომა.

გავიხადე. პროფესორმა მაკრატლით ამიჭრა თხელი კანი, ზედ რომ სიმსივნე ეკიდა.

— სახელოთი ხალი გაგიღიზიანებიათ, ეს არის და ეს. გქონდეთ სახსოვრად თქვენი სარკომა, — მან კეთილად გამიღიმა და ხორცის პაწია სორსალი მომაწოდა.

დაბნეული და გახარებული გამოვტრიალდი; მრცხვენოდა კიდეც, რომ ასე ბავშვურად ვიეჭვიანე. არ გასულა კარგა ხანი და შემდეგ შევამჩნიე, რომ რაღაც ცუდი ამბავი ხდებოდა: გამიჩნდა საერთო მოთენთილობა, შრომა შემზიზღდა, წამიხდა მადა, გავხდი, გამუდმებით მწყუროდა. სხეულზე, ხან ერთ და ხან მეორე ადგილას, მუწუკები მიჩნდებოდა. შარდი გავასინჯე, მაგრამ შაქარი არ აღმოჩნდა. ყველა სიმპტომი ძალიან უდგებოდა უშაქრო დიაბეტს. შტრიუმბელის სახელმძღვანელოში დადარდიანებულმა გადავიკითხე ამ ავადმყოფობისადმი მიძღვნილი თავი: „უშაქრო დიაბეტის გამომწვევი მიზეზები ჯერ კიდევ გაურკვეველია ჩვენთვის. ეს ავადმყოფობა უმთავრესად ახალგაზრდებს, ან საშუალო ასაკის ადამიანებს სჭირთ, ამასთან უფრო ხშირად მამაკაცებს ემართებათ. შაქრის ავადმყოფობას წაგავს, ზოგჯერ ერთი მათგანი მეორეში გადაიზრდება ხოლმე. დაავადება შეიძლება წლობით და ათეულ წლობითაც კი გაგრძელდეს; იშვიათად თუ ვინმე ძორჩეს..."

ავდექი და ახლა თერაპევტ პროფესორთან წავედი. ჩემი ეჭვები არ გამიმხელია, ისე, უბრალოდ ვუამბე ყველაფერი, რაც მემართებოდა. რაც უფრო მეტს ვლაპარაკობდი, პროფესორი სულ უფრო და უფრო იღუშებოდა:

— თქვენ გგონიათ, რომ diabetes insipidus დაგემართათ, — მკვახედ მომიგო მან, — არა, ძალიან კარგია, რომ შტრიუმბელს ასე გულდასმით სწავლობთ: არც ერთი სიმპტომი არ გამოგრჩენიათ. გისურვებთ ასევე კარგად უპასუხოთ, თუ გამოცდაზე დიაბეტი შეგხვდათ, ნაკლები აბოლეთ, მეტი ჭამეთ, იმოძრავეთ და დიაბეტზე ნულარ იფიქრებთ.

## II

ახლა უკვე ავადმყოფების შესწავლა დავიწყეთ. ძნელია უყურო მათ ტანჯვა-წამებას, მაგრამ თავდაპირველად ის უფრო გვიძნელდებოდა, რომ სწორედ ეს ტანჯვა-წამება უნდა შეგვესწავლა. ავადმყოფს, რომელსაც მხარი ულრძვია, გულის მანკიც აქვს; ამიტომ მისთვის ნარკოზის მიცემა არ შეიძლება და ნაღრძობ მხარს უნარკოზოდ უსწორებენ; ფერწლები ჩაფრენიან ავადმყოფს, ფართხალებს და ტკივილისაგან ბღავის საცოდავი, ჩვენ კი ყურადღებით უნდა ვუცქიროთ, პროფესორის მოძრაობა არ უნდა გამოგვეპაროს, ის ხომ ნაღრძობს ასწორებს. უნდა წაუყრუო ოპერირებულის ბღავილს, თვალი უნდა დაიბრმავო და არ შეხედო ტკივილებისაგან დაგრეხილ სხეულს, გულში უნდა ჩაიხშო თანაგრძნობა და მღელვარება. ეს ძალიან ძნელია მიუჩვეველი კაცისათვის, ყურადღება მუდამ გვეფანტებოდა. საკუთარ თავს ვარწმუნებდით, — მე ხომ არ მტკივა, მე სრულიად ჯანსაღი ვარ, სხვას სტკივაო. ველარ ვსწავლობდი: სისხლის ნაკადები ქირურგიული ოპერაციებისას, მშობიარე ქალების კვნესა, ტეტანუსით დაავადებულთა ძიგძიგი, — თავდაპირველად ყველაფერი ძალიან მოქმედებდა ნერვებზე და სწავლაში ხელს მიშლიდა. ყველაფერს უნდა მივჩვეოდი.

უნდა ითქვას, კაცი უფრო სწრაფად ეჩვევა ყველაფერს, ვიდრე ერთი შეხედვით გგონიათ. მე არ ვიცი არც ერთი შემთხვევა, რომ მედიკოსი, ვინც გვამების გაკვეთას ესწრებოდა, კვნესასა და სისხლს ვერ შესჩვეოდეს და ექიმის პროფესიას განდგომოდეს. რაღა თქმა უნდა, ამისათვის ღმერთს მადლობა უნდა შევწიროთ, იმიტომ, რომ ეს შედარებითი „გულქვაობა“ მარტო აუცილებელი კი არ არის, პირდაპირ სასურველიცაა. ეს ხომ ისედაც აქსიომაა. მაგრამ მედიცინის შესწავლას აქვს მეორე, გაცილებით უფრო მძიმე და რთული მხარეც, და აი, აქ კი საკამათო მართლაც ძალიან ბევრია.

ჩვენ ავადმყოფებზე ვსწავლობთ; ავადმყოფებს კლინიკაში სწორედ ამისათვის იღებენ. აბა გაბედოს რომელიმემ და სტუდენტებს არ ეჩვენოს, მას დაუყოვნებლივ, ულაპარაკოდ გასწერენ კლინიკიდან. საინტერესოა, როგორ ეკიდება ავადმყოფი ამ გამოკვლევასა და დემონსტრაციას?

რა თქმა უნდა, ამ დროს ცდილობენ ავადმყოფს შეძლებისდაგვარად ანგარიში გაუწიონ. მაგრამ საქმე ხომ მარტო ეს არ არის.

ახლაც თვალწინ მიდგას ნახევრადჩაბნელებული პალატა. საღამოს შემოვლაა. ჩვენ სტეტოსკოპები გვიჭირავს და ასისტენტს მივჩერებივართ, ამფორულ სუნთქვას ვსწავლობთ. ავადმყოფს, ქაღალდის ფაბრიკის მუშას, ჭლექის უკანასკნელი სტადია აქვს. მის ახალგაზრდა გალეულ სახეს სილურჯე დაჰკრავს. სნეული სწრაფად და ზერელედ სუნთქავს; ჭერს მიშტერებია, თვალებში ენით გამოუთქმელი ტანჯვა ჩაბუდებია.

— თუ ავადმყოფის მკერდს სტეტოსკოპს მიადებთ, — და თანაც იქვე ჩაქუჩის სახელურით პლესიმეტრზე დააკაკუნებთ, მაშინ სუფთა, ლითონისებურ, ევრეთწოდებულ „ამფორულ“ ხმას გაიგონებთ... აბა, აბა, კოლეგა, გთხოვთ, — ასისტენტმა სტუდენტს მიმართა, მერე ავადმყოფს მიუბრუნდა: — აბა, ჩემო კარგო, გვერდზე გადმობრუნდი! წამოიწიე, დაჯექი!

გულს მიღრღნის, კონტრასტად მესახება ამ მარტოხელა ადამიანის წამება, გულგრილი ახსნა-განმარტების და ვარჯიშის საგნად რომ ქცეულა. ვინ-ვინ და ავადმყოფი ამ კონტრასტს ძალიან მძიმედ განიცდის.

მაგრამ აი, ავადმყოფი მოკვდა. როგორც ყველა ავადმყოფი ვალდებულია მოსწავლეებს ულაპარაკოდ გაესინჯოს, ასევე უნივერსიტეტის საავადმყოფოში გარდაცვლილი ყველა უნდა გაიკვეთოს.

კლინიკის სადარბაზო შესასვლელთან და უკანა კარებთან ყოველ დილით ნახავთ ატუზულ ქალებს, ასისტენტს საათობით რომ ელოდებიან. საცოდავები იხვეწებიან, შვილის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქმრის, დედის გვამი გაუკვეთავად გაგვატანეთო. აქ ხშირად საშინელ სცენას შეესწრებით... რაღა თქმა უნდა, ყოველ თხოვნაზე მტკიცე უარით უპასუხებენ. გაცრუებული მთხოვნელი ახლა სხვებთან მიდის, თავგზააბნეული დარბის უფროსებთან, თვით პროფესორთანაც კი შეაღწევს, ფეხებში უვარდება და ევედრება, მიცვალებულს ნუ გაჰკვეთავთო, — ისედაც ხომ იცით, რაც სჭირდა მკვდარს, რაღას აწვალებთო?

რა თქმა უნდა, აქედანაც უარით ისტუმრებენ. მიცვალებული უთუოდ უნდა გაიკვეთოს, უამისოდ კლინიკურ მედიცინას ყოველგვარი აზრი ეკარგება. მაგრამ დედისათვის ბავშვის გვამის გაკვეთა არანაკლებ სატანჯველია, ვიდრე თვით სიკვდილი. ინტელიგენტი ადამიანებიც კი მეტად უხალისოდ თანხმდებიან ახლობელის გაკვეთაზე, უმეცარი ღარიბისათვის კი ეს საშინელებაა. ხშირად ფაბრიკის მუშა-ქალი, დღეში ორმოც კაპიკად რომ მუშაობს, ასისტენტს სამმანეთიანს ჩრიდა და ქრთამით ცდილობდა გარდაცვლილი ბავშვი „შეგინებისაგან" დაეხსნა. რა თქმა უნდა, გვამის გაკვეთაზე ასეთი შეხედულება ცრურწმენაა, მაგრამ დედას ამით გულს არ ეფონება. გაიხსენეთ ნეკრასოვის ტიმოფეევნას გოდება გარდაცვლილ დიმუშკას გვამზე.

აქვე უნდა ითქვას, რომ გარდაცვლილი ავადმყოფების გაკვეთის უფლება კლინიკებთან ერთად ყველა საავადმყოფომ მიითვისა, — მიითვისა სავსებით თვითნებურად, იმიტომ რომ კანონი მათ ამის უფლებას არ აძლევს. კანონით გაკვეთა აუცილებელია მხოლოდ სასამართლო-სამედიცინო მიზნებისათვის, მაგრამ ვერ ნახავთ საავადმყოფოს, სადაც ნათესავებს გვამებს გაუკვეთავად აძლევდნენ, თვით ნათესავებმა კი არ იციან, რომ უფლება აქვთ მოითხოვონ ეს. ყოველი, თუნდაც ძალზე „ჩვეულებრივი" სნეულებით გარდაცვლილი ავადმყოფის გაკვეთას ექიმისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს.

გაკვეთა ააშკარავებს შეცდომებს და სხვა შეცდომებისაგან თავის დაღწევის გზებს სახავს, გვასწავლის, როგორ გამოვიკვლიოთ ავადმყოფი ყურადღებით, ყოველმხრივ, იძლევა ყოველი სნეულების დაწვრილებით ანატომიურ სურათს; უამისოდ მედიკოსისაგან კარგი ექიმი ვერ დადგება, ვერ განვითარდება და სრულყოფილი ვერ იქნება საექიმო მეცნიერება. ეს ყველამ აუცილებლად უნდა შეიგნოს და ნებაყოფლობით დათანხმდეს თუნდაც ძალიან ახლობლის გაკვეთაზე. მაგრამ ჯერჯერობით ჩვენ ამას ვერ მივაღწევთ. საავადმყოფოები გარდაცვლილებს ნათესავების დაუკითხავად ჰკვეთენ; ნათესავები თავს იმცირებენ, ექიმებს ფეხებში უვარდებიან, ქრთამს აჩეჩებენ, — და სულ ამაოდ. გაკვეთის შიშით ახლობელნი არა იშვიათად ყოველგვარ ღონეს ხმარობენ, რათა ავადმყოფი საავადმყოფოში არ წაიყვანონ, და იგი ცუდი მოვლისა და სათანადო პირობების უქონლობის გამო შინ იღუპება...

აი, რა მოხდა საავადმყოფოში, სადაც მე ვმუშაობდი: ჩვენთან იწვა მუცლის ტიფით დაავადებული ხუთი წლის ბიჭუნა. მას ნაწლავების გახვრეტის ნიშნები გაუჩნდა. ამ დროს ავადმყოფი გაუნძრევლად უნდა იწვეს. და, აი, მოულოდნელად ბავშვის დედამ მორიგე ექიმს მოსთხოვა, ბავშვი დაუყოვნებლივ გამიწერეთო. დედას არაფრის გაგონება აღარ სურდა, ერთსა და იგივეს გაიძახოდა: „სულ ერთია, იღუპება; შინ თუ მოკვდა, გაკვეთას მაინც გადარჩებაო". მორიგე ექიმი იძულებული გახდა, ბავშვი შინ გაეწერა: ბავშვმა სახლამდე ვერ მიაღწია, გზაში გარდაიცვალა. ამ შემთხვევამ საავადმყოფოს ექიმებში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია; ლაპარაკობდნენ, რა თქმა უნდა, რუსი ხალხის სისასტიკესა და ველურობაზე; იმასაც ამბობდნენ, მორიგე ექიმს ბავშვის გაწერის უფლება არ ჰქონდაო, იტყვევდნენ, ბავშვის დაღუპვაში ექიმს ზნეობრივი დანაშაული მიუძღვის თუ იურიდიულიო და სხვა. მაგრამ აქ საინტერესოა მეორე მხარეც: როგორ უნდა ეშინოდეს დედას გაკვეთისა, რომ თავისი ბავშვის სიცოცხლეც კი სასწორზე შეაგდოს! მორიგე ექიმი, რა თქმა უნდა, არც „ველური" ადამიანი იყო და არც „სასტიკი". მაგრამ, როგორც ჩანს, მას აზრადაც არ მოსვლია, უფრო ბუნებრივი გამოსავალი ეპოვნა და დედისათვის სიტყვა მიეცა, თუ ბავშვი მოკვდა, არ გავკვეთავთო.

საინტერესოა, ვინ იტანჯება უფრო მეტად იმის გამო, რომ იძულებულნი ვართ, ადამიანებზე ვისწავლოთ? იტანჯებიან ის ქალები, ვინც კლინიკაში წამლობენ. გახსენება მიმძიმს. ვინაიდან სირცხვილისაგან ვწითლდები, მაგრამ აკი ვთქვი, ყველაფერს ვიამბობთ-მეთქი.

პროპედევტიული კლინიკა. ესტრადაზე, პროფესორთან, ორი სტუდენტი-კურატორის თანხლებით ადის პლევრიტით დაავადებული ახალგაზრდა ქალი. სტუდენტმა ანამნეზი წა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იკითხა, ქალს მიუახლოვდა, მხრებზე მოხვეულ შალს შეეხო და ანიშნა, გაიხადეო. სისხლი ამივარდა თავში: ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა ჩვენ წინაშე ახალგაზრდა პაციენტი ქალი გამოიყვანეს. ავადმყოფმა შალი მოიხსნა, კოფთა გაიხადა და პერანგი წელამდე ჩამოუშვა. იდგა მშვიდი და ამაყი, ექიმები კი სინჯავდნენ. სირცხვილისაგან გაწითლებული ავადმყოფს მზერას ვარიდებდი. მეგონა, ქვეყანა მე მომჩერებია-მეთქი. ავიხედავდი და ჩემ წინ ისევ იმ, თეთრი მკერდისაკენ დახრილ. ამაყ, მშვენიერ სახეს ვხედავდი. თითქოს უცხო მამაკაცები ხელებს მის სხეულს არ უფათურებდნენ. როგორც იქნა ლექცია დამთავრდა. წამოვდექი უეცრად, თითქმის უცნობი სტუდენტის მზერას შევეფეთე, ორივემ ერთმანეთის თვალებში ერთიდაიგივე რამ ამოვიკითხეთ, ერთმანეთს მტრულად შევხედეთ და მზერა ავარიდეთ.

ნეტავ თუ ვგრძნობდი, რომ ჩემ წინაშე შიშველი ქალი იდგა? ჩვენ თვალწინ გაიხადა? რა თქმა უნდა, ოღონდ ეს არ იყო მთავარი, მთავარია ის, რომ მეშინოდა არ გამჩენოდა ეს გრძნობა. კარგა ხნის მერე ყოველივე ამის გახსენებამ ნატიფი ვნებიანი ელფერი შეიძინა და მე ფარული კმაყოფილებით ვფიქრობდი იმაზე, რომ ასეთი რამ წინ ბევრი მელოდა. განსაკუთრებით დამამახსოვრდა ერთი ავადმყოფი, — ანა გრაჩევა, — თვრამეტი წლის, საოცრად ლამაზი ქალიშვილი. პროფესორმა გვირჩია, ხშირ-ხშირად მოუსმინეთო. მას გულის მანკი ჰქონდა, მეტად დამახასიათებელი პრესისტოლური შუილითურთ. მიუახლოვდები და იგი მორჩილად, მშვიდად ჩაიწევს პერანგს, წელამდე გაშიშვლებული წამოჯდება საწოლზე, ასე ზის, სანამ ერთიმეორის მიყოლებით ჩვენ ყველანი არ მოვუსმენთ. ეცდილობდი მისთვის გულგრილი ექიმის თვალებით მეცქირა, მაგრამ მაინც ვხედავდი, ანას რა ლამაზი მხრები და მკერდი ჰქონდა; იმასაც მშვენივრად ვგრძნობდი, რომ ჩემი ამხანაგები რაღაც ძალიან დაინტერესდნენ პრესისტოლური შუილით და სირცხვილით ვიწვოდი, ალბათ იმიტომ, რომ ვგრძნობდი ჩვენი მზერის უწმინდურობას, განსაკუთრებით გული შემტკიოდა ამ ქალიშვილზე: რა აიძულებს, რომ ჩვენ წინაშე გაშიშვლდეს? იქნებ უკვალოდ ჩაიაროს მისთვის ყველაფერმა? ეცდილობდი მის ლამაზ, ჯერ კიდევ ბავშვურ სახეზე კლინიკაში ყოფნის მთელი ისტორია ამომეკითხა, — როგორ აღშფოთდა იგი, როცა პირველად აიძულეს ჩვენ წინაშე გაშიშვლებულიყო; როგორ შეურიგდა ბედს, რაკი არ შეეძლო არ ემკურნალა, და როგორ მიეჩვია ყველაფერს თანდათანობით.

ჩვენს პროფესორ-სიფილიდოლოგთაგან საამბულატორიო მიღების დროს ახალგაზრდა ქალი მოვიდა, თან წერილი მოიტანა. ექიმი თხოვდა პროფესორს, დაედგინა, ავადმყოფის გამონაყარი სიფილიდური წარმოშობისა იყო თუ არა.

— სად გამოგაყარათ? — ჰკითხა პროფესორმა ქალს.

— ხელზე.

— აჰ, ეს არაფერი, ძირმაგარების ნაკვალევია. კიდევ სად?

— მკერდზე, — ქალს ენა დაება; — იქაც ასეთივე გამონაყარია.

— მაჩვენეთ!

— რა გაჩვენოთ, ზუსტად ასეთივეა, — შეეკამათა ქალი და გაწითლდა.

— არა, მაინც გვაჩვენეთ; ჩვენ ძალიან ცნობისმოყვარენი ვართ! — დამცინავი ღიმილით წარმოთქვა პროფესორმა.

დიდი ხნის ყოყმანის შემდეგ, როგორც იქნა, ქალმა კოფთა გაიძრო.

— ესეც არაფერია, — თქვა პროფესორმა, — კიდევ გაქვთ სადმე? უთხარით თქვენს ექიმს, რომ ცუდი არაფერი გჭირთ.

ამასობაში ასისტენტმა ქალს უკან პერანგი ჩაუწია და ზურგი შეუთვალიერა.

— სერგეი ივანოვიჩ! აი, ნახეთ! — ხმადაბლა უთხრა მან პროფესორს.

პროფესორმა ავადმყოფს პერანგს შიგნით ჩაჰხედა.

— ოო, ეს კი სხვა საქმეა! — წარმოთქვა მან, — აბა, გაიხადეთ ყველაფერი. მიბრძანდით შირმის უკან! შემდეგი!

ქალი ნელა წავიდა შირმისაკენ. პროფესორმა რამდენიმე ავადმყოფი კიდევ გასინჯა.

— აბა, რას შვრება ჩვენი ავადმყოფი? გაიხადა? — იკითხა მან.

ასისტენტმა ქალთან შეიხედა. საცოდავი ქალი ჩაცმული იდგა და ტიროდა. ასისტენტმა იგი აიძულა გაეხადა. პერანგისამარა ქალი ტახტზე დააწვინეს და გასინჯვა დაუწყეს. დიდხანს, საზიზღრად და ურცხვად სინჯავდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩაიცვით, — უთხრა ბოლოს პროფესორმა, — ჯერ ვერაფერს ვიტყვით, ბატონებო, — მოგვიბრუნდა ჩვენ, თან ხელებს იბანდა. — აი, რა, ჩემო კარგო, ასე, ერთი კვირის შემდეგ კიდევ შემოიარეთ.

ქალს ტანთ ჩაეცვა, მძიმედ სუნთქავდა და ფართოდ გახელილი თვალებით იატაკს დაშტერებოდა.

— არა, მე აქ აღარ მოვალ! — ათრთოლებული ხმით წარმოთქვა მან, გატრიალდა და წავიდა.

— რა დაემართა? — გაკვირვებული პროფესორი ჩვენ მოგვაჩერდა.

საღამოს ნაცნობი სტუდენტი ქალი მესტუმრა. მე ეს შემთხვევა ვუამბე.

— საშინელებაა! — თქვა მან. — მაგრამ ბოლოს და ბოლოს მეტი რა გზაა? სხვაგვარად ვერაფერს ისწავლით, ამიტომ ამას უნდა შეურიგდეთ.

— მართალი ბრძანდებით. მაგრამ მითხარით, გეთაყვა, თქვენ რომ მსგავსი რამ მოგელოდეთ, მოხვიდოდით ჩვენთან?

ქალმა იყუჩა.

— არა... არავითარ შემთხვევაში არ მოვიდოდი! — მან დამნაშავესავით გაიღიმა. მხრები უკანკალებდა, — მაგას სიკვდილი მირჩევნია.

ეს ქალი მეცნიერებას დიდ პატივსა სცემდა და ისიც შეგნებული ჰქონდა, რომ „სხვა გზა არ არსებობს". ჩვენს პაციენტს კი არაფერი არ ესმოდა და მხოლოდ ის იცოდა, რომ კერძო ექიმისათვის ფული არ ჰქონდა და თანაც სამი შვილის დედა იყო.

სწორედ ხელმოკლეობას მიჰყავს ღარიბები კლინიკებში, სადაც მათ მეცნიერებისათვის სარგებლობა მოაქვთ. მკურნალობაში ფულის გადახდა არ შეუძლიათ და საფასურს საკუთარი სხეულით იხდიან. მაგრამ ეს საფასური ძალზე მძიმეა და ამიტომ ბევრი ექიმთან წასვლას სიკვდილს არჩევს. აი, მაგალითად, რას ამბობს ცნობილი გერმანელი გინეკოლოგი, პროფესორი გოფმაიერი: „სწავლა ქალების კლინიკებში უფრო ძნელია, ვიდრე სხვაგან — ქალების ბუნებრივი სიმორცხვისა და იმის გამო, რომ სტუდენტების წინაშე გაშიშვლება ქალს ეკრძალება. თუ ერთი ექიმი იკვლევს ავადმყოფს, სირცხვილი ბევრად უფრო საგრძნობია, ხოლო თუ გამოკვლევას ბევრი სტუდენტი ერთად აწარმოებს, მაშინ იგი საშინელებაა. ამიტომ საკუთარი გამოცდილება მაფიქრებინებს, რომ პატარა ქალაქებში საერთოდ შეუძლებელი იქნებოდა გინეკოლოგიური კლინიკის არსებობა, გამოკვლევის წინ უკლებლივ ყველა პაციენტ ქალს ქლოროფორმს რომ არ ვაძლევდეთ. სწავლების უშუალო მიზნებისათვის თითქმის გამოუყენებელია გინეკოლოგიური ამბულატორია, განსაკუთრებით პატარა ქალაქებში. ვისაც აქ რაიმე უნდა ისწავლოს, ავადმყოფი პირადად უნდა გამოიკვლიოს. სადაც გამოკვლევას სტუდენტები ესწრებიან ან თვითონ სტუდენტები აწარმოებენ, პაციენტი ქალები მკურნალობას გაურბიან".

თუ განყენებულად ვიმსჯელებთ, ასეთი წრეგადასული სიმორცხვე უაზრობად მოგვეჩვენება: სტუდენტებიც ხომ ექიმები არიან, ექიმების წინაშე დამორცხვება კი რა სათქმელია. მაგრამ აბა თავი ავადმყოფის ადგილზე წარმოიდგინეთ, ყველაფერი შეიცვლება. ჩვენ, მამაკაცები ნაკლებად მორცხვნი ვართ, მაგრამ პირადად მე არაფრის გულისათვის არ დავთანხმდებოდი დედიშობილა გავეყვანე ქალების წინაშე, ან ქალებს გავესინჯე, გამოვეკვლიე, დაურიდებლად გამოეკითხათ ჩემთვის ყველაფერი. გასაგებია ისიც, რომ ეს ზედმეტი სიმორცხვე უაზრობაა, მაგრამ ანგარიში მაინც უნდა გაეწიოს.

მაგრამ საეჭვოა სხვაგვარად რაიმე ისწავლო. შუა საუკუნეებში სამედიცინო სწავლება მხოლოდ თეორიული ლექციებით იფარგლებოდა. ლექციებზე არაბი და უძველესი დროის ექიმების თხზულებებს კომენტარებს უკეთებდნენ. მოსწავლეთა პრაქტიკული მომზადება უნივერსიტეტის ამოცანებში არ შედიოდა. პიროგოვის ცნობით, ჩვენი საუკუნის ორმოციან წლებში კი ზოგ პროვინციულ უნივერსიტეტში „სისხლის გამოღებას საპნის ნაჭრებზე და ამპუტაციას ჭარხალზე ასწავლიდნენ". მედიცინისა და ავადმყოფების საბედნიეროდ ეს დრო სამუდამოდ წავიდა, ვინ სულელი იოცნებებს მის დაბრუნებაზე. პრაქტიკულ უმწეობას არსად იმდენი ბოროტების მოტანა არ შეუძლია, როგორც საექიმო საქმეში. ხოლო პრაქტიკას მხოლოდ ავადმყოფების გვამების გამოკვლევა გვძენს.

აქ ვაწყდებით ერთ იმ წინააღმდეგობათაგანს, მერე და მერე უფრო ხშირად რომ გვხვდება. სამედიცინო სკოლის, — მეცნიერებათა შორის ყველაზე ჰუმანური სკოლის — არსებობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოუდგენელია ელემენტალური ჰუმანურობის სრული უგულვებელყოფის გარეშე. ჩვენი სკოლა სარგებლობს იმით, რომ ღარიბებს სამკურნალო სახსრები არ გააჩნიათ და ავადმყოფებს სავარჯიშო მანეკენებად აქცევს, დაუნდობლად თელავს ქალის კდემამოსილებას და კიდევ უფრო ამძაფრებს დედის ისედაც ღრმა კაეშანს, — მას გარდაცვლილი შვილის სხეულს „უჯინებს“, მაგრამ უამისობა მედიცინას არ შეუძლია. მეცნიერებას ნებაყოფლობით ძალიან ცოტა ავადმყოფი მოემსახურებოდა.

მართალი გითხრათ, არ ვიცი, სად არის გამოსავალი, მხოლოდ ის ვიცი, რომ მედიცინა აუცილებლად საჭიროა და სხვაგვარად ვერაფერს შეისწავლი. ამასთან ისიც ვიცი, რომ სიფილიდოლოგთან მოსული ქალის ყოფაში ჩემი ცოლი, ან და რომ ჩავარდეს, მაშინ მე ვიტყოდი, არაფერი მესაქმება სამედიცინო სკოლასთან და არ შეიძლება ადამიანის პიროვნების ასე გაქელვა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ადამიანი ღარიბია-მეთქი.

## III

მესამე კურსზე, სწავლის დაწყებიდან ორიოდე კვირის შემდეგ, პირველად დავესწარი გაკვეთას. მარმარილოს მაგიდაზე ორმოციოდე წლის ჩონჩხივით გამხდარი ქალის გვამი ესვენა. პათოლოგიური ანატომიის ტყავის წინსაფრიანი პროფესორი გუტაფისის ხელთათმანებს იცვამდა და თან ხუმრობდა, მის გვერდით თეთრხალათიანი პროფესორი-ქირურგი იდგა. ქალი მის კლინიკაში მომკვდარიყო. სასექციო მაგიდის გარშემო ამფითეატრად შემოჯარულ სკამებზე სტუდენტები ისხდნენ.

ქირურგი აშკარად ღელავდა: ნერვიულად იგრეხდა ულვაშებს და ვითომც დაღვრემით შესცქეროდა სტუდენტებს. პათოლოგიის პროფესორის ხუმრობაზე ქირურგი თავაზიანად, ნაჩქარევად იღიმებოდა. საერთოდ, ქირურგი პათოლოგს თითქოს ეპირფერებოდა, გეგონებოდათ, მოწაფე დგას გამომცდელის წინაშეო. მივჩერებოდი მას და ვერაფრით ვერ ამეხსნა, რომ ეს კაცი ის მრისხანე პროფესორი იყო, ვინც თავის კლინიკაში დიდებულ ოლიმპიელად გამოიყურებოდა.

— პერიტონიტით მოკვდა? — მოკლედ მოჭრა პათოლოგმა.

— დიახ!

— ნაოპერაციევია?

— დიახ!

— ჰმ! — ჩაიბურტყუნა პათოლოგმა, წარბი ოდნავ შეატოკა და გაკვეთას შეუდგა.

ასისტენტ-პროზექტორმა გვამი დანით ნიკაპიდან ბოქვენამდე გასერა. პათოლოგმა ფრთხილად გახსნა მუცლის ღრუ და ნაანთებარი მუცლის აპკისა და ნაწლავების შეწებებული მარყუჟების თვალიერებას შეუდგა... ქირურგმა წინა დღით კლინიკაში გაგვიზიარა თავისი ვარაუდი ავადმყოფის სიკვდილის მიზეზის გამო. სიმსივნე ძლიერ შეზრდილიყო შიგნეულთან; ალბათ ამის გამო ოპერაციის დროს უცაბედად ნაწლავი გაიჭრა და ამან მუცლის ფარის ლპობადი ანთება გამოიწვია. გაკვეთამ დაადასტურა ეს ვარაუდი. პათოლოგმა გაჭრილი ადგილი იპოვნა, ნაწლავის ჭრილობიანი ნაკვეთი ამოჭრა, თეფშზე დასდო და სტუდენტებს გვაჩვენა. სტუდენტები ინტერესით ათვალიერებდნენ ავისმქმნელი ჩირქით დაფარულ პაწია ჭრილობას. ქირურგი იღუშებოდა და ულვაშებს აწვალებდა. მე დაჟინებით, ღვარძლით ვაკვირდებოდი მას: აი, სამსჯავრო, სადაც სააშკარაოზე გამოდის და ისჯება ყველა მედიკოსის ცოდვები და შეცდომები! ეს ქალი კლინიკაში დახმარებისათვის მივიდა და სწორედ მათი წყალობით გაშოტილიყო ახლა ჩვენ წინაშე: საინტერესოა, იციან თუ არა ეს გარდაცვლილის ახლობლებმა, აუხსნა თუ არა პროფესორმა მათ სიკვდილის მიზეზი?

გაკვეთა დასრულდა. თავის ეპიკრიზაში პათოლოგმა განაცხადა, პერიტონიტი უთუოდ ნაწლავის გაჭრამ გამოიწვია, მაგრამ იმ უამრავ შეზრდილობათა და ზღუდეებს შორის, რომლებიც სიმსივნეს ახლდა, ამ ჭრილობის შემჩნევა ძალიან ძნელი იყო და ასეთი მძიმე ოპერაციების დროს თვით საუკეთესო ქირურგიც არ არის დაზღვეული უბედური შემთხვევისგან.

პროფესორებმა ერთმანეთს თავაზიანად ჩამოართვეს ხელი და წავიდნენ. სტუდენტებმა გასასვლელს მიაშურეს.

უცნაური და მძიმე შთაბეჭდილება დასტოვა ჩემზე ამ პირველმა გაკვეთამ. „პერიტონიტი ნაწლავის გაჭრამ გამოიწვია; ამ ჭრილობის შემჩნევა ძნელია, უბედური შემთხვევები თვით საუკეთესო ქირურგებსაც ემართებათ“... რა უბრალოდ ხდება ყველაფერი! თითქოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაპარაკი მარცხით დამთავრებულ ქიმიურ ცდას ეხებოდეს, სადაც საქმის მთელი აზრი თვით ამ მარცხშია! ამ მარცხის კონსტატაცია სავსებით მშვიდად ხდება. მართალია, დამნაშავე ღელავს, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ თავმოყვარეობა შეელახა... არადა, საქმე ეხება ადამიანის დალუპულ სიცოცხლეს, ეს ხომ საშინელებაა! წესით აქ უეჭველად უნდა დაისვას კითხვა: აქვს თუ არა უფლება ასეთ დასტაქარს განაგრძოს საექიმო მოღვაწეობა? ექიმ-მკურნალმა ავადმყოფი მოკლა! ეს ხომ ისეთი გაუგონარი წინააღმდეგობაა, რომ მისი დაშვებაც უაზრობაა. თანაც საოცარია, ეს წინააღმდეგობა თითქოს არავის შეუმჩნევია.

ასე მეგონა, ავგურების სკოლაში მოვხვდი-მეთქი. ჩვენ თვითონაც ხომ ავგურები ვართ, ჩვენგან დასამალი არაფერი აქვთ, არ გვერიდებიან, და აი, ყველაფერი გადმოგვიშალეს. უმეცრებს შეუძლიათ აღშფოთდნენ ამ ამბის გამო, ჩვენ კი უნდა ვისწავლოთ. საქმისადმი უფრო „გონივრული“ მიდგომა.

რაც უფრო ვეცნობოდი მედიცინას, მით უფრო ძლიერდებოდა ის შთაბეჭდილება, პირველსავე გაკვეთაზე რომ დამეუფლა. კლინიკებში, თეორიულ ლექციებში, სახელმძღვანელოებში — ყველგან ერთსა და იგივეს ნახავდით. იმ საპარადო მედიცინის გვერდით, ადამიანს რომ ჰკურნავს და მკვდრეთით აღადგენს (სწორედ ამან მიმიყვანა სამედიცინო ფაკულტეტზე), იდგა მეორე მედიცინა — ყალბი, სუსტი და უსუსური, შეცდომებით აღსავსე, მედიცინა, თავისთვის უცნობ სნეულებათა მორჩენას რომ გვპირდება და დიდის ამბით განუკურნებელ სნეულებათა განსაზღვრას რომ ცდილობს. სახელმძღვანელოებში შემხვედრია სნეულებათა აღწერანი, ასეთი შენიშვნებით რომ ბოლოვდება: „ამ სნეულების დიაგნოზი შესაძლებელია მხოლოდ სასექციო მაგიდაზე“. თითქოს ასეთი „დროული“ დიაგნოზი ვინმეს სჭირდებოდეს! ჩვენ წინ ტუბერკულოზური pyo-pneumothorax დაავადებული ბავშვი გამოიყვანეს, გამხდარი, გამოფიტული, ძვლებამოჩრილი და სახეჩალურჯებული: ბავშვი იჯდა და სწრაფად, ხშირად სუნთქავდა, ხოლო როცა ზურგზე დააწვენდნენ, ისეთი ხველება აუტყდებოდა, იფიქრებდით, მთელი შიგნეული გადმოუბრუნდაო. პროფესორი კი, თითქოს რაღაც მნიშვნელოვან საქმეს აკეთებსო, დინჯად იკვლევდა მოყრუების საზღვრებს, შუასაფარის გადაადგილების ხარისხს და სხვა ამგვარებს.

პროფესორს თვალყურს ვადევნებდი და დამცინავ ღიმილს ძლივს ვმალავდი: რამდენ შრომას ხარჯავს იგი ამ გამოკვლევაზე, და მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ გვითხრას: ავადმყოფი განწირულია და ჩვენ მისი მორჩენა არ ძალგვიძსო! მაშ, რაღა აზრი აქვს თვით ამ დიაგნოზს? ძალზე ჭკვიანური დიაგნოზიც კი მოლიერის სიტყვებს გვაგონებს: „ისინი ლათინურად გეტყვიან, თუ რა სჭირს თქვენს ქალიშვილს“. ეს ყველაფერი კი საცოდავად და სასაცილოდ ჟღერს.

სნეულებათა მკურნალობის დროს მაოცებდა უკიდურესად გაურკვეველი და მერყევი ჩვენებები, ყოველი ავადმყოფის საწინააღმდეგო საშუალებები და ამ საშუალებების უმოქმედობა. „აორტის ანევრიზმის მკურნალობა, — ნათქვამია, მაგალითად, შტრიუმბელის სახელმძღვანელოში, — დღემდე საეჭვო შედეგებს იძლევა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყოველ კერძო შემთხვევაში ჩვენ უფლება გვაქვს მივმართოთ ამა თუ იმ რეკომენდირებულ საშუალებას“. გულის ანგინის შეტევების თავიდან ასაცილებლად, — ნათქვამია იქვე, — რეკომენდირებულია ძალზე ბევრი საშუალება: დარიშხანი, გოგირდმჟავა თუთია, აზოტმჟავა ვერცხლი, ბრომიანი კალიუმი, ქინაქინა და სხვ. შეგვიძლია რომელიმე საშუალება ვსინჯოთ, მაგრამ სრული წარმატების იმედი არ უნდა ვიქონიოთ“. და ასე დაუსრულებლივ. „შეიძლება ვიხმაროთ ესა და ეს“, „ზოგი კმაყოფილია ამა და ამ წამლის“, „ეს წამალი შეიძლება მოვსინჯოთ“... მე აქ იმისათვის მოვედი, რომ ვისწავლო, როგორ მოვარჩინო ავადმყოფი, ესენი კი შეუბნებიან — „მოსინჯეო“, და თანაც აყოლებენ: წარმატების იმედი მაინცდამაინც ნუ გექნებაო!

ყოველ ნაბიჯზე ვგებულობდი ამბებს, უფრო და უფრო რომ მირყევდნენ პატივისცემასა და ნდობას მედიცინისადმი. ფარმაკოლოგია გვაცნობდა მთელ რიგ საშუალებებს, რომელნიც არავითარ შედეგს არ იძლეოდა, — ეს იცოდა და მაინც გვირჩევდა, ეს საშუალებანი გამოიყენეთო. დავუშვათ, ჩვენთვის გაურკვეველია პაციენტის სნეულება და სნეულების გასარკვევად საჭიროა მოცდა, ან სენი უკურნებელია, ხოლო ავადმყოფობას დამახასიათებელი სიმპტომები არ ახლავს და მაინც „ავადმყოფს უწამლოდ ხომ არ დასტოვებთ“, — სწორედ ასეთ შემთხვევაში უნდა დაუნიშნოთ ის „სასხვათაშორისო“ საშუალებანი. მათ მედიცინაში საგანგებო ტერმინითაც კი აღნიშნავენ: „გამოუწერეთ წამალი, ut aliquid fiat“ (შემოკლებულია, ნაცვლად ut aliquid fieri videatur — ავადმყოფს ხომ უნდა ეგონოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემთვის რაღაცას აკეთებენო"). ყველაფერ ამას პროფესორი სრულიად მშვიდად გვეუბნებოდა. თვალებში მივჩერებოდი პროფესორს, გუნებაში კი მეცინებოდა და ვფიქრობდი: „მაშ შენ ავგური არა ხარ? განა მე და შენ ავგურებივით არ უნდა გვეცინებოდეს იმის დანახვაზე, როცა ავადმყოფი საათს დასჩერებია. აქაოდა იმ თხელ სიროფიანი სიმყავის მიღება არ დამაგვიანდესო?" საერთოდ, ვხედავდი, რომ მედიცინაში საკმაოდ ბევრია ჭკუისსასწავლი „სპეციალური ტერმინები"; აი, მაგალითად, ტერმინი „დიაგნოზის დასმა" — exjuvantibus— ავადმყოფს გარკვეულ წამალს უნიშნავენ და თუ ამ წამალმა უშველა, მაშ, ადამიანი ამა და ამ სნეულებით ყოფილა შეპყრობილი. მეორე ნაბიჯს პირველზე ადრე დგამენ და მთელ მედიცინას თავდაყირა აყენებენ: ჯერ სნეულება არ იციან და ავადმყოფს კი მკურნალობენ, რათა მკურნალობის შედეგის მიხედვით განსაზღვრონ, მართლა ამ სნეულებისაგან უნდა განეკურნათ თუ არა იგი!

თანდათან სამედიცინო ნიჰილიზმმა შემიპყრო. იმ ნიჰილიზმმა, დილეტანტებს რომ ახასიათებთ ხოლმე. მეჩვენებოდა, თითქოს სწორად შევიცანი მედიცინის მთელი არსი და შევიტყვე, რომ მას მხოლოდ თითო-ოროლა ნამდვილი საშუალება თუ გააჩნია, სხვა საშუალებანი კი „ლათინური სამზარეულოა", და მეტი არაფერი — „ut aliquid fiat". შევიტყვე, რომ მედიცინა დიაგნოსტიკის საცოდავი, არასრულყოფილი საშუალებების ამარა ფათურობს სიბნელეში და თვალთმაქცობს, თითქოს რაიმე იცოდეს. არამედიკოსებთან მედიცინაზე ლაპარაკისას მრავალმნიშვნელოვნად ვიღიმებოდი და გულახდილად ვამბობდი: მთელი ჩვენი „მედიცინა" თაღლითობაა და მეტი არაფერი-მეთქი.

როგორ გამოვიტანე ზემოთ აღწერილი ამბებიდან ასეთი მკაცრი და გადამწყვეტი დასკვნა? ვფიქრობ, ამის საფუძველი იყო ის მეტად გავრცელებული აზრი, ქვეცნობიერად მეც რომ ვიზიარებდი: „თუ ექიმი გქვია, ყოველგვარი სნეულების გამოცნობა და მორჩენა უნდა შეგეძლოს; და თუ ასე არ აღის, თაღლითი ყოფილხარ". მე უგულვებელვყოფდი მეცნიერების საშუალებებსა და საზღვრებს, არ მინდოდა მისი წარმატებების დანახვა, როდესაც უძლური იყო, დავცინოდი. სწორედ ასევე ეპყრობა მედიცინას უგნურ ადამიანთა უმრავლესობა. 1893 წელს პეტერბურგში, ჰიგიენის გამოფენაზე, პათოლოგიური ანატომიის სხვა პრეპარატებს შორის გამოფენილი იყო „გულის პოლიპი", შემთხვევით რომ იპოვნეს გაკვეთის დროს. ამ პოლიპმა ძალიან გაართო პეტერბურგის ერთი დიდი გაზეთის ფელეტონისტი: ესეც ჩვენი ესკულაპები, „შემთხვევით" კარგ რამეებს პოულობენო! ფელეტონისტისათვის არ არსებობდა თვით ჰიგიენური გამოფენაც. მედიცინაზე ასე ბევრი რომ მოუთხრო მნახველებს. მთელ გამოფენაზე მან მხოლოდ ეს „შემთხვევით ნაპოვნი პოლიპი" ნახა, ამიტომ ზიზღი შეანთხია ექიმებსა და მედიცინას. ფელეტონისტი აღარც იმას დაეძებდა, ცოცხალი ადამიანის ორგანიზმში ამ პოლიპის აღმოჩენა შესაძლებელი იყო თუ არა. ექიმისათვის შეუძლებელი არა უნდა იყოს რა, — აი, რას ამბობს ადამიანთა უმრავლესობა; ამ თვალსაზრისს ვიზიარებდი მეც.

ერთმა შემთხვევამ სრული გადატრიალება მოახდინა ჩემს სულში. კლინიკაში ორმოცდაათიოდე წლის ქალი დააწვინეს. მუცლის მარცხენა არეში დიდი სიმსივნე ჰქონდა. ამ ავადმყოფის კურატორად მე დამნიშნეს. სტუდენტ-კურატორის მოვალეობაა პაციენტის გამოკვლევა, სნეულების დადგენა და მისი მიმდინარეობისათვის თვალყურის დევნება. როცა ავადმყოფს სტუდენტებს აჩვენებენ, კურატორი აუდიტორიას უამბობს ავადმყოფობის ისტორიას, ამცნობს, რა ნახა გამოკვლევისას და რა შეხედულებისაა ამ დაავადებაზე, მერე პროფესორი სინჯავს ავადმყოფს, უთითებს კურატორს შეცდომებზე, დაწვრილებით იკვლევს ავადმყოფს და სვამს თავის დიაგნოზს. ჩემი ავადმყოფის სიმსივნეს მუცლის მთელი მარცხენა ნახევარი ეჭირა, ნეკნებქვეშა არიდან თეძოს ძვლამდე. რა სიმსივნე იყო ეს და რომელ ორგანოში იღებდა სათავეს? არც ავადმყოფის გამოკითხვამ, არც გამოკვლევამ არ მიშველა, ვერა და ვერ დავადგინე ავადმყოფობის ნათელი სურათი. ერთნაირად შეგვეძლო გვევარაუდა საკვერცხის კისტომაც, მუცლისქვეშა ჯირკვლების სარკომაც, ელენთის ექინოკოკიც, ჰიდრონეფროზიც, კუჭქვეშა ჯირკვლის კიბოც. ვიქექებოდი სახელმძღვანელოებში. და აი, რას ვპოულობდი შიგ:

„ჰიდრონეფროზი ადვილად შეიძლება თირკმელების ექინოკოკში აგვერიოს: ბევრი გვინახავს თირკმელების ასეთი რბილი, სარკომატოზული სიმსივნეები და ყოველთვის გვეგონა, რომ საქმე ჰიდრონეფროზთან გვქონდა" (ტილმანსის „კერძო ქირურგია").

„თირკმელების კიბოს ხშირად ურევენ მუცლის ჯირკვლების ანთებაში, თირკმელებისა და საკვერცხის სიმსივნეში. დიდრონ წელქვეშა ჩირქგროვებში და ა. შ." (შტრიუმპელი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საკვერცხის კისტის დროს ვაწყდებით მეტად უსიამო დიაგნოსტიკურ შეცდომებს... საკვერცხის კისტის დიფერენციალური გარჩევა ჰიდრონეფროზისგან ყველაზე სამიში რამაა, ვინაიდან ჰიდრონეფროზი, თუ იგი დიდია, გარეგანი გასინჯვისას ზუსტად ისეთსავე სურათს იძლევა; ამიტომ ასეთი რიგის დიაგნოსტიკური შეცდომები საკმაოდ ხშირია“ (შრედერის „გინეკოლოგია“).

„ყუჭქვეშა ჯირკვლის კიბოს კლინიკური სურათი თითქმის არასოდეს არ არის ნათელი, ამიტომ დიაგნოზის დასმა ყოველთვის ჭირს“ (შტრიუმპელი).

მედიცინისადმი სკეპტიკურად და მტრულად განწყობილი, ზიზღნარევი ღიმილით ვკითხულობდი ამ შენიშვნებს. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი მედიცინის უძლურებასა და უნიათობაში. თითქოს მიხაროდა კიდეც, რომ ავადმყოფობა ვერ დავადგინე. განა ჩემი ბრალია, თუ ჩვენი „მეცნიერება“ ამ შემთხვევაში არავითარ სახელმძღვანელო აზრს არ მაწვდის? ჩემს ავადმყოფს მუცლის სიმსივნე აქვს, — აი, რისი თქმა შემიძლია მხოლოდ. თუ საქმისადმი ოდნავ კეთილსინდისიერი ვიქნები, თაღლითობას კი სრულიადაც არ ვაპირებ და არც განვაცხადებ, რომ საქმე ჰიდრონეფროზთან გვაქვს, — ვიცი, რომ ეს შეიძლება საოკომაც იყოს, ექინოკოკიც და სხვა რამეც.

ავადმყოფის დემონსტრაციის დროც დადგა. იგი საკაცით შემოიტანეს აუდიტორიაში. მეც მიმიწვიეს. ავადმყოფის ანამნეზი წავიკითხე და პროფესორს მოვახსენე ჩემი გამოკვლევის შედეგი.

— როგორია თქვენი დიაგნოზი? — მკითხა პროფესორმა.

— არ ვიცი, — მივუგე მოღუშულმა.

— მაინც?

მხრებიღა ავიჩეჩე.

— მდგომარეობა მართლაც რთულია, — თქვა პროფესორმა და ავადმყოფის გამოკითხვა დაიწყო. ავადმყოფის ნაამბობი მთელი გამოკვლევის საფუძვლად გამოვიყენე. პროფესორმა კი იგი თითქმის არაფრად ჩააგდო. ავადმყოფს რომ მოუსმინა, მერე გულდასმით, დაწვრილებით გამოჰკითხა დასნეულებამდე ჯანმრთელობის მდგომარეობა. ჰკითხა სნეულების დასაწყისზე, ავადმყოფობის მიმდინარეობა. ამ ოსტატური გამოკითხვის შედეგად სულ სხვა სურათი მივიღეთ. ჩემ თვალწინ სხვადასხვა სიმპტომების გროვის ნაცვლად ავადმყოფი ორგანიზმის მთელი ცხოვრება გადაიშალა — ყველა სიმპტომმა, რითაც ავადმყოფი ჯანმრთელი ადამიანისაგან განსხვავდებოდა, ერთად მოიყარა თავი. პროფესორი ავადმყოფის გამოკვლევაზე გადავიდა: მან ყურადღება მიაქცია სიმსივნის კურსისტენციას: იმას, იცვლის თუ არა სიმსივნე ადგილს ავადმყოფის სუნთქვისას, დაკავშირებულია თუ არა იგი საშოსთან, რა მდგომარეობა უჭირავს დალმავალ სქელ ნაწლავთან მიმართებაში, და ა. შ. ბოლოს პროფესორი დასკვნებზე გადავიდა. იმ ბრმასავით ნელა და ფრთხილად მიდიოდა, კლდოვან ბილიკს რომ მიჰყვება; არც ერთი, თუნდაც პატარა წვრილმანი ამბავიც არ გამორჩენია, რომ მასზე მკაცრად და ყურადღებით არ ემსჯელა; იმ სიმპტომების ასახსნელად, რომლისთვისაც მე ყურადღებაც კი არ მიმიქცევია, მან ანატომიის, ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის ულევი არსენალი გადმოაპირქვავა; იგი თვითონ მიეშურებოდა ამ წინააღმდეგობათა და გაურკვევლობათა შესახვედრად და ისე ხსნიდა ყოველგვარ წვრილმანს. დაბოლოს, როცა პროფესორმა მოპოვებული მაჩვენებლები ერთმანეთს შეაფარდა, დიაგნოზი დასვა — „მარცხენა თირკმლის კიბო — მოზვოვიკით“. ეს დიაგნოზი წანამძღვრებიდან თავისთავად გამოვიდა.

აღტაცებული და გაოცებული ვუსმენდი; რა საოცდავი, რა უსუსური იყო ახლა ჩემი გამოკვლევაც და სკეპტიციზმიც!.. უთავბოლო, არეული სურათი, ჩემი აზრით რომ საერთოდ გაურკვეველი იყო, სავსებით ნათელი და გასაგები გახდა. და ეს მიღწეული იქნა ისეთი უმნიშვნელო მონაცემების მეშვეობით, რომ სასაცილოდაც კი მოგეჩვენებოდათ...

ერთი კვირის შემდეგ ავადმყოფი გარდაიცვალა. უწინდელივით სასექციო მაგიდაზე გვამი იდო, ორ პროფესორს სტუდენტები შემოხვეოდნენ და გაკვეთას დაძაბულები მისჩერებოდნენ.

პათოლოგ-პროფესორმა გარდაცვლილის მუცლიდან ქაცის თავისოდენა სიმსივნე ამოიღო, გულდასმით გამოიკვლია და განაცხადა, ჩვენ წინაშეა მარცხენა თირკმლის კიბო. ვერ აგიწერთ იმ აღტაცებისა და სიამაყის გრძნობას, ამ სიტყვების გაგონებისას რომ შემიპყრო. ხის თეფშზე დადებულ რბილ, სისხლიან სიმსივნეს ვათვალიერებდი და უეცრად ჩვენი სოფლის მამასახლისი, მედიცინის და ექიმების მოძულე მტერი ვლასი გამახსენდა. „რა იციან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექიმებმა, რა ხდება ჩემს შიგნეულში? შიგნით იჭვრიტებიან თუ რა?“ — ამბობდა იგი და გულ-ლიანად იღიმებოდა. დიახ, აქ მართლაც რომ შიგნით იჭვრიტებოდნენ.

ამიერიდან ჩემი აზრი მედიცინაზე მკვეთრად შეიცვალა. როცა მედიცინის შესწავლა დავიწყე, იგი ყოვლისშემძლე მეგონა. მერე, რაკი დავინახე, რომ მედიცინა ზოგჯერ უძლური იყო, დავასკვენი, მას არაფერი შეუძლია-მეთქი; ახლა კი ვხედავდი, მაინც რამდენის გაკეთება შეეძლო და აღსავსე ვიყავ ნდობითა და პატივისცემით მეცნიერებისადმი, სულ ცოტა ხნის წინათ სულის სიღრმემდე რომ მძულდა.

აი, ჩემს წინაშე ავადმყოფია. ციებ-ცხელებას შეუპყრია და გვერდში ტკივილებიც აწუხებს; გვერდს ვსინჯავ: ხმის მოყრუება მიუთითებს, რომ კულ-მკერდის ღრუში ფილტვისეული ჰაერის ნაცვლად სნეული გამონაყოფებია; მაგრამ მაინც სად არის ეს გამონაყოფი — ფილტვში თუ პლევრაში? ავადმყოფს გვერდზე ხელს ვადებ და ვთხოვ, ხმამაღლა დაითვალოს: „ერთი, ორი, სამი“. გულ-მკერდის ხმოვანი ვიბრაცია მტკივნეულ მხარეზე შესუსტებულია. ეს გარკვევით მიუთითებს, — თითქოს საკუთარი თვალითაც კი ვხედავ, — რომ გამონაყონი ფილტვებშია და არა პლევრაში. ავადმყოფს პარალიზებული აქვს მარცხენა ფეხი. ჩაქუჩს მუხლის მყესზე ვარტყამ და ფეხი მაღლა ხტება. ეს იმაზე მიუთითებს, რომ დაზიანებას ადგილი აქვს არა პერიფერიულ ნერვებში, არამედ სადღაც, იმ ადგილის ზემოთ, სადაც ისინი ზურგის ტვინიდან გამოდიან; საინტერესოა, მაინც სად? გულდასმით ვიკვლევ, შენარჩუნებული აქვს თუ არა კანს მგრძნობიარობა, დაზიანებულია თუ არა სხვა კიდურები, ხომ არ შეცვლილა თავის ნერვების ფუნქცია და სხვა. ბოლოს და ბოლოს შემიძლია სრული დარწმუნებით ვთქვა: დაზიანება, ამ შემთხვევაში მარცხენა ფეხის დამბლა რომ გამოიწვია, ტვინის მარცხენა ნახევარსფეროს ცენტრალური ხვეულის გარსში, კეფასთან ახლოს მდებარეობს... რა უზარმაზარი, მრავალსაუკუნოვანი მოსამზადებელი მუშაობა უნდა ჩატარებულიყო იმისათვის, რომ გამოემუშავებინათ გამოკვლევის ერთი შეხედვით ასე უბრალო ხერხები; რამდენი დაკვირვება, გენია, შრომა და ცოდნა დასჭირდებოდა ამას! და რა დიდი სფეროები აქვს მეცნიერებას უკვე დაპყრობილი! გულის მოსმენის შემდეგ შეგიძლიათ ზუსტად განსაზღვროთ, მისი ოთხი სარქველიდან რომელი მოქმედებს არასწორად და რა არის მიზეზი ამ დარღვევისა, — სარქველის შეზრდა თუ მისი უკმარისობა.

სათანადო სარკეები ჩვენ საშუალებას გვაძლევს დავათვალიეროთ თვალის შიგნითა მხარე, ცხვირისა და საყლაპავის არეები, ხორხი, საშო, თვით შარდის ბუშტი და მუცელი. უხილავი და იდუმალი სენი გამოცნობილია; ჩვენ ახლა შეგვიძლია ეს სენი სინჯარაში მოვამზადოთ და მიკროსკოპში დავათვალიეროთ. მეანობის სფეროში თითქმის მათემატიკური სიზუსტითაა შესწავლილი მშობიარობის მთელი რთული მექანიზმი; განსაზღვრულია ყველა ფაქტორი, რომელიც ჩვილის ასე თუ ისე მობრუნებას განაპირობებს; დახმარების ხელოვნური ხერხები მკაცრად ეფარდებიან ამ რთულ ბუნებრივ მოძრაობას... ბავშვის ცხვირის ნიჟარას კოკაინით ასველებენ და გახურებული შანთით სწვავენ; ცოცხალი სხეული შიშინებს, ირგვლივ დამწვარი ხორცის სუნი ტრიალებს, ბავშვი კი ზის, იღიმება, ნესტოებიდან კი არხეინად გამოდის ბოლი...

მაგრამ ყველაფრის ჩამოთვლა შეუძლებელია. რა თქმა უნდა, ბევრი რამ ჯერ მიუღწეველია. ეს უკვე დროის საქმეა და იმის წარმოდგენაც კი გვეძნელება, თუ რა შორს წავა მედიცინა. რამდენიმე წლის წინათ ხომ გაგვეცინებოდა, რომ გაგვეგო, ადამიანის სხეულის განჭვრეტა შეიძლებაო — ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. ახლა კი რენტგენის წყალობით ეს სისულელე სინამდვილედ იქცა. ორმოცი წლის წინათ ნაოპერაციევთა ორმოცი პროცენტი ჩირქოვანი განგრენით იღუპებოდა. ჩირქოვანი განგრენა ქირურგისთვის უბედურება იყო, — წყალში იყრებოდა დასტაქარის შრომა. „მე ნამდვილად არაფერი ვიცი ქირურგიული პრაქტიკის ამ საშინელ უბედურებაზე, — სასოწარკვეთილი წერდა პიროგოვი 1854 წელს, — მასში ყველაფერი იდუმალებითაა მოცული: წარმოშობაც და განვითარებაც. იგი დღემდე ისეთივე განუკურნებელია, როგორც კიბო“. „სასაფლაოზე, — წერს იგი მეორეგან, — სადაც წვანან ჰოსპიტლებში განგრენით დაღუპულნი, არ ვიცი, რამ უფრო უნდა გამაკვირვოს: ქირურგების სტოიციზმმა, კიდევ ახალ ოპერაციებს რომ იგონებენ თუ ნდობამ, რითაც დასტაქარი კვლავ სარგებლობს საზოგადოების თვალში“... გამოჩნდა ლისტერი, შემოიღო ანტისეპტიკა, ეს უკანასკნელი კიდევ უფრო სრულყოფილი ასეპტიკით შეიცვალა და დასტაქრებმა ჩირქოვანი განგრენის მონობას დააღწიეს თავი. მეტიც, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, მის ბატონებად იქცნენ. თუ ახლა ნაოპერაციევი ჩირქოვანი განგრენით კვდება, ამაში უკვე დასტაქარია დამნაშავე და არა მეცნიერება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა მეცნიერებამ ახლა ამდენს მიაღწია, რაღა იქნება მომავალში! ჩვენ ყინ ბევრი ნათელი პერსპექტივები იშლება. რომ სიცოცხლე მიხარია და ადამიანებსაც შევხარი. ჭეშმარიტი გზა ნაპოვნია და მისგან გადახვევა უკვე აღარ შეიძლება. Natura parendo vincitur — ბუნებას იგი ამარცხებს, ვინც მას ემორჩილებაო; ბუნების ყველა კანონს ამოხსნიან და ადამიანი მათი შეუზღუდველი მბრძანებელი გახდება. მაშინ გაქრება ახლანდელი ცალმხრივი მკურნალობაც და სნეულებათა თავიდან აცილების ხელოვნური ხერხები. ადამიანი თავის ორგანიზმს ასწავლის უძლეველი მკურნავი ძალების შექმნასა და განვითარებას, მას აღარც მოარული სენი შეაშინებს და აღარც გაცივება; აღარც სათვალეები დასჭირდება და აღარც კბილის დაპლომბვა და აღარც ის ეცოდინება ვინმეს, თუ რა არის შაკიკი ან ნევრასტენია. იცხოვრებენ ძლიერი, ბედნიერი და ჯანსაღი ადამიანები; ჯიშიანი, ჯანმრთელი ქალები გაარჩენენ ბავშვებს; ამ ქალებს არ ეცოდინებათ, რა არის ფერშლის მაშა, არ დასჭირდებათ არც ქლოროფორმი თუ სხვა რამ.

რაც უფრო ვეცნობოდი მედიცინას, მით უფრო მიზიდავდა იგი. მაგრამ ამასთან ერთად სულ უფრო მაოცებდა მისი შესწავლის გრანდიოზული სფერო. ეს გარემოება ძალიან მაფიქრებდა. ყოველ დღეს ახალი, ნაირგვარი, მაგრამ აუცილებელი ცოდნა მოჰქონდა. პირდაპირ თავი მიბრუოდა. დილიდან საღამომდე დაკავებული ვიყავით და არამცთუ გარეშე, არამედ სამედიცინო ლიტერატურასაც კი ვერ ვკითხულობდით. საშინელმა ციებ-ცხელებამ შეგვიპყრო. დამდეღრულებივით დავრბოდით კლინიკიდან კლინიკაში, ლექციიდან ლექციაზე, კურსიდან კურსზე. კალეიდოსკოპივით ტრიალებდა ჩვენ თვალწინ სხვადასხვა ამბები: მუხლის რეზექცია, დამბლადაცემულის აგონია, საფერშლო მაშის დადება, სიდენგამის მნიშვნელობა მედიცინაში, საცრემლო არხების ზონდირება, ლეფერის ბაცილების შეფერადების ხერხები, ლავიწქვეშა არტერიის ადგილსამყოფელი, მასაჟი, დახრჩობით მოკვდინების ნიშნები და ა. შ.

ყველაფერს მექანიკურად ალვიქვამდით. ხანდახან გვინდოდა გაგვეზიარებინა რამე, შეგვეცნო მიღებული ცოდნა. ახალი ცოდნაც თავში ისევე მექანიკურად ლაგდებოდა. ერთი რამ გვანუგეშებდა — მერე, როცა დრო მექნება, ყველაფერს გავიაზრებ და გავაანალიზებ-მეთქი.

ამასობაში მიღებული შთაბეჭდილებანი თანდათან იშლებოდა, წამოჭრილი საკითხები გვავიწყდებოდა, ათვისება კი მოწაფური, ზედაპირული ხდებოდა.

პირველ კურსზე დამოუკიდებლად აზროვნება და მოქმედება არც იყო საჭირო. ჩვენ თვალწინ პროფესორები ოსტატურად ატარებდნენ ურთულეს ოპერაციებს და სისტემატურად ხსნიდნენ იმ ურთულეს ამოცანებს, სნეული ადამიანები რომ ეწოდებათ, ჩვენ კი... ჩვენ უჩუმრად ვუსმენდით, თითქოს ყველაფერი მარტივი, ლოგიკური და თავისთავად საგულისხმო იყო. მაგრამ თუ შემთხვევით გარეშე ავადმყოფს გადავაწყდებოდი, ყოველთვის გამოტყვრებოდა რაღაც, რაც გამოუვალ ჩიხში მამწყვდევდა. თავდაპირველად ეს ამბავი არ მწყინდა: აქაოდა, ჯერ სტუდენტი ვარ, ბევრი რამ არ ვიცი, მოვესწრები სწავლას-მეთქი... მაგრამ დრო გადიოდა, იზრდებოდა ჩემი ცოდნა. მეხუთე კურსი ჩავათავე, უკვე გამოსაშვები გამოცდები დაიწყო, მე კი წინანდებურად უმწეო და უცოდინარი ვიყავი და ერთი დამოუკიდებელი ნაბიჯის გადადგმაც კი არ შემეძლო. ვხედავდი, რომ ამხანაგები ვერ მჯობნიდნენ, პირიქით, უმრავლესობას მე ვჯობდი... ნეტა რა გამოვა ჩემგან?

## IV

გამოსაშვები გამოცდები დამთავრდა. ყველანი სააქტო დარბაზში მიგვიწვიეს. ექიმის ფიცს ხელი მოვაწერეთ და დიპლომები მივიღეთ. სახელმწიფო გერბითა და უნივერსიტეტის ბეჭდით დამშვენებული დიპლომები ადასტურებდნენ, რომ წარმატებით ჩავაბარეთ ყველა, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული გამოცდა, სამედიცინო ფაკულტეტმა გვცნო ექიმის ღირსად, ხოლო კანონმა „ამ წოდების ყველა უფლება და უპირატესობა მოგვანიჭა“.

მძიმე, უსიამო გრძნობით აღვსილი ვტოვებდი ჩვენს alma mater *. ის, რასაც უკანასკნელ კურსზე თანდათან უფრო ნათლად ვგრძნობდი, ახლა მთელი სიგრძე-სიგანით წამოიმართა: მე, ვისაც რაღაც არეული, დაულაგებელი, უსისტემო ცოდნა გამაჩნდა, მიჩვეული ვარ სხვის ცქერასა და მოსმენას, სრულ უმოქმედობას, არც კი ვიცი საიდან მივუდგე ავად-

1 მშობელ დედას (ლათ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მყოფს, ექიმი ვარ და ავადმყოფები ხსნას ჩემგან ელიან! მერედა, რა შემიძლია გავუკეთო მათ? ჩემი ამხანაგებიც ამასვე განიცდიდნენ. მწარე შურით შეპყრობილნი მივჩერებოდით იმ ილბლიანებს, კლინიკებში ორდინატორებად რომ დატოვეს: მათ შეეძლოთ სწავლის გაგრძელება, ისინი საკუთარი პასუხისმგებლობით კი არ იმუშავებდნენ, არამედ გამოცდილი, ხელმარჯვე პროფესორების ხელმძღვანელობით. ჩვენ კი, დანარჩენები დამოუკიდებელი ექიმები ვიყავით. უნდა გვეტარებინა არა მარტო უფლება და უპირატესობა, არამედ ვალდებულებანიც, რაც „კანონით ამ წოდებას ეკისრება“.

ზოგიერთ ამხანაგს ბედი ეწია — საავადმყოფოში მოხვდა. ზოგი ერობის ექიმად მოეწყო, ზოგი კი — მათ შორის მეც — ვერსად მოვეწყვეთ. ერთიღა დაგვრჩენოდა — ბედი კერძო პრაქტიკაში გვეცადა.

შუა რუსეთის პატარა საგუბერნიო ქალაქში დავსახლდი. იქ მეტად ხელსაყრელ დროს ჩავედი. ცოტა ხნით ადრე ქალაქის განაპირას მცხოვრები ექიმი გარდაცვლილიყო, ვისაც საკმაოდ დიდი გამოცდილება ჰქონდა. ბინა იმ უბანში დავიქირავე, გამოვკიდე კარებზე აბრა — „ექიმი ესა და ეს“, — და ავადმყოფებს ლოდინი დავუწყე.

ველოდებოდი ავადმყოფებს და თან ყველაზე მეტად იმისი მეშინოდა, ღმერთი არ გაუწყრეთ და მართლა არ მოვიდნენ-მეთქი. ზარის ყოველ წკრიალზე შიშისაგან გული ამიძგერდებოდა ხოლმე და რაკი გავიგებდი, ავადმყოფი არ რეკავდა, შვებით ამოვისუნთქავდი. შევძლებ დიაგნოზის დასმას და მკურნალობის დანიშვნას? კიდევ კარგი, თუ ავადმყოფს ისეთი სნეულება აღმოაჩნდა, რაც ცოტა ხანს დაგაცდის, მაშინ რაიმე „სულ ერთიას“ გამოვწერ, შინ დავბრუნდები და წავიკითხავ, ასეთ დროს ვიცი, როგორ უნდა მოვიქცე. მაგრამ თუ ისეთ ავადმყოფთან მოვხვდი, გადაუდებელი დახმარება რომ ესაჭიროება? ახალბედა ექიმები ჩვეულებრივ სწორედ ასეთ ავადმყოფებთან მიჰყავთ ხოლმე... რაღა ვქნა მაშინ?..

ექიმ ლუი ბლაუს აქვს ასეთი წიგნი: „დიაგნოსტიკა და თერაპია ავადმყოფების სახასიათო სიმპტომებისას“. ეს წიგნი ვიყიდე და თავიდან ბოლომდე ჩემს უბის წიგნაკში ჩავაკონსპექტე. ზოგი რამ სახელმძღვანელოდანაც დავუმატე. ყოველგვარი სნეულება სიმპტომების მიხედვით სათანადო რუბრიკების ქვეშით მქონდა ჩამოწერილი. დაახლოებით აი, ასე: ძლიერი ქოშინი: 1. კრუპი, 3. ხორხის შეშუპება. 4. ხორხის სპაზმი. 5. ბრონქიალური ასთმა, 6. ფილტვების შეშუპება, 7. კრუპოზული პნევმონია, 8. ურემიული ასთმა, 9. პლევრიტი, 10. პნევმოტორაქსი. ყოველი სნეულების გვერდით ჩამოთვლილი იყო მისი სიმპტომები და მითითებული სათანადო მკურნალობა. ამ კონსპექტმა დიდი სამსახური გამიწია და უიმისობა კარგა ხანს, თითქმის ორ წელიწადს არ შემეძლო. როცა ისეთ ავადმყოფთან მიმიწვევდნენ, ვისაც ძლიერი ქოშინი ჰქონდა, ვითომდა ავადმყოფის ვინაობის ჩასაწერად, უბის წიგნაკს ვხსნიდი, ვადარებდი, იქ ჩამოთვლილ სნეულებიდან ამ შემთხვევას რომელი ედრებოდა და სათანადო მკურნალობას ვუნიშნავდი.

ჩემი სახლის ახლომახლო მეტი ექიმი არ ჰაჰანებდა. ავადმყოფებმა თანდათან ჩემთან დაიწყეს სიარული. მალე ადგილობრივ ობივატელებს შორის ისეთი პრაქტიკა გამიჩნდა, რომ ყოველი დამწყები ექიმი ინატრებდა.

სხვათა შორის, ერთი მეწაღის ცოლს, ასე ოცდაათი წლის ქალს ვმკურნალობდი. დიზენტერია ჰქონდა. საქმე კარგად მიდიოდა, ქალი უკვე გაჯანსაღების პირას იყო, როცა უეცრად ერთ დილას მუცლის მარჯვენა მხარეში საშინელი ტკივილები დაეწყო. ქმარი მაშინვე ჩემთან მოვარდა. ავადმყოფი გამოვიკვლიე: ხელის დადებისას მთელი მუცელი სტკიოდა. ღვიძლის არეში ისეთი ძლიერი ტკივილები ჰქონდა, რომ ხელის ოდნავ შეხებასაც ვერ იტანდა. კუჭი, ფილტვები და გული წესიერად მუშაობდა. ტემპერატურაც ნორმალური ჰქონდა. რა უნდა ყოფილიყო? ღვიძლის ყოველგვარ დაავადებებს ვიხსენებდი და ვერც ერთზე ვერ შევჩერდი. ახალი დაავადება ძველთან უნდა დამეკავშირებინა. ეს იყო ყველაზე ბუნებრივი გამოსავალი. დიზენტერიისას ზოგჯერ ღვიძლის დაჩირქება ხდება. მაგრამ ტემპერატურა რომ ნორმალური იყო! ავადმყოფს მორფი გავუკეთე და დაბნეული წავედი. საღამოს ტემპერატურა 40-მდე ავარდა. ავადმყოფს აჟრჟოლებდა და ქოშინი აუტყდა. ღვიძლის არეში ტკივილებმა იმატა. ახლა უკვე ეჭვიც აღარ შემეპარა: დიზენტერიის შედეგად ავადმყოფს ღვიძლი დაუჩირქდა, გასიებული ღვიძლი ფილტვს აწვება და ქოშინს იწვევს-მეთქი. ამ გონებამახვილური დიაგნოზით კმაყოფილი დავრჩი.

მაგრამ თუ ავადმყოფს ღვიძლი დაუჩირქდა, აუცილებელია ოპერაცია (რა ადვილია ამის თქმა კლინიკაში!). ავადმყოფის ქმარს შთაგონება დავუწყე: — ბედგამარეობა ძალიან რთუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია, ავადმყოფს შიგნეული დაჩირქებული აქვს და თუ იარა შიგნით, მუცლის ღრუში გაიხსნა, სიკვდილი გარდუვალია-მეთქი. ქმარი დიდხანს ყოყმანობდა, მაგრამ ბოლოს დამიჯერა და ცოლი საავადმყოფოში გადაიყვანა.

ორი დღის შემდეგ ამბის გასაგებად საავადმყოფოში მივედი, პალატის ორდინატორი გამოვიძახე და... თურმე ჩემს ავადმყოფს... ფილტვების კრუპოზული ანთება არა ჰქონია! საკუთარ ყურებს არ ვუჯერებდი... ორდინატორმა პალატაში შემიყვანა და ავადმყოფი მაჩვენა... აქ გამახსენდა, რომ თავის დროზე ვერ მოვიფიქრე, მეკითხა, თუ გახველებს-მეთქი, ქალს რომ აჭრელებდა, ეს კიდევაც გამეხარდა. ფილტვები მეორეჯერ აღარც გამისინჯავს, და ეს ჟრჟოლა ჩემი დიაგნოზის აშკარა დასტურად მივიჩნიე. ისე, გავიფიქრე კი, კარგი იქნება, თუ ფილტვებს ერთხელაც გავსინჯავ-მეთქი, მაგრამ ავადმყოფი ყოველი განძრევისას ისე ჰკიოდა, რომ ვერც კი გავბედე, წამომეჯინა და რიგიანად გამესინჯა.

— კი მაგრამ, ღვიძლი და მთელი მუცელი სტკივა, — დაბნეულად წავილაპარაკე მე.

— ჰო, ღვიძლიც სტკივა, — მიპასუხა ექიმმა, — მაგრამ მარჯვენა პლევრა უფრო მტკივნეული აქვს.

— ღვიძლი კი არა, მთელი მუცელი სტკივა.

მუცელს ოდნავ მივაკარე თითი თუ არა, ქალმა შეჰკივლა. ორდინატორი ქალს ელაპარაკებოდა, ეკითხებოდა, ღამე როგორ გეძინაო, და ამასობაში ორდინატორის ხელი თითქმის მთლად ჩაეფლო ქალის მუცელში. ქალი ვერაფერს ამჩნევდა.

— აბა, დედილო, წამოჯექი, — უთხრა ორდინატორმა.

— აჰ, არ შემიძლია!

— არაფერია, არაფერი! დაჯექი!

ქალი წამოჯდა. შეიძლებოდა მისი გასინჯვაც, გამოკვლევაც. მას ტიპიური კრუპოზული პნევმონია ჰქონდა — ამაზე უფრო ტიპიური რაღა უნდა ყოფილიყო...

როგორ მოხდა, რომ გამოკვლევა ასე ზერელედ და უგულისყუროდ ჩავატარე? პროფესორები ხომ სულ ამას ჩაგვჩიჩინებდნენ, — ყოველი ავადმყოფი, რასაც არ უნდა უჩიოდეს, უთუოდ თავით ფეხებამდე უნდა გასინჯოთო. დიახ, ამას გაუთავებლად გვიმეორებდნენ და გამოცდაზე მე უამრავი მაგალითის მოყვანას შევძლებდი იმის დასამტკიცებლად, რომ ამ წესის დაცვა სრულიად აუცილებელია. მაგრამ თეორია ერთია, პრაქტიკა კი — მეორე; საქმე საქმეზე რომ მიდგა, აზრადაც არ მომსვლია ცხვირის, თვალების თუ ფეხისგულების გამოკვლევა, თანაც მაშინ, როცა ავადმყოფი კუჭის აშლილობას უჩიოდა. ასეთ წესებს მხოლოდ მაშინ ასრულებ, როცა თეორია კი არა, გამოცდილება გაიძულებს იგრძნო და შეიგნო ამ წესის დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა. კლინიკებში კი ამის შესაძლებლობა არ იყო.

საგულისხმოა ისიც, რომ დიაგნოზის დასმისას იშვიათ ავადმყოფობაზე შევჩერდი, — უიშვიათესზე იმათგან, რაც კი შეიძლებოდა გვევარაუდა. ჩემს პრაქტიკაში ეს ერთად-ერთი შემთხვევა არ ყოფილა: ნაწლავების ჭვალი პერიტონიტად მომჩვენებია, ბუასილის ნაცვლად სწორი ნაწლავის კიბო მელანდებოდა და ა. შ. ძალიან ნაკლებად ვიცნობდი ჩვეულებრივ სნეულებებს და, უპირველეს ყოვლისა, კლინიკაში ნანახი მძიმე, იშვიათი და „საინტერესო“ შემთხვევები მახსენდებოდა.

მიუხედავად ამისა ავადმყოფობის გამოცნობისას, ასე თუ ისე, ფეხქვეშ მაინც მყარ ნიადაგს ვგრძნობდი; კლინიკებში ავადმყოფს დიაგნოზს ჩვენ თვალწინ უსვამდნენ ხოლმე; მართალია, ამაში ჩვენ ძალზე უმნიშვნელო მონაწილეობას ვღებულობდით, მაგრამ საკმაოდ ბევრს ვხედავდით. და მაინც სრულიად არ ვიცნობდი სნეულებათა მიმდინარეობას და მათზე სხვადასხვა სამკურნალო საშუალებათა მოქმედებას. ერთიც და მეორეც მხოლოდ და მხოლოდ წიგნებიდან ვიცოდი. ავადმყოფი, მთელი ავადმყოფობის განმავლობაში სულ ოთხჯერ-ხუთჯერ რომ ეჩვენებინათ, ესეც დიდი იყო. მთელი ჩემი სტუდენტობის მანძილზე სნეულების განვითარებისათვის თვალი მიდევნებია მხოლოდ მაშინ, როდესაც ავადმყოფის კურატორად მნიშნავდნენ, ესე იგი, სულ ათჯერ ან ხუთმეტჯერ. ეს იმას ნიშნავს, რომ საერთოდ არაფერი გენახოს.

ერთხელ, ჩემი პრაქტიკის დაწყებიდან ორიოდე თვის შემდეგ, ვიღაც შალეულის ფაბრიკის პატრონის ცოლთან მიმიწვიეს. პირველად მიწვევდნენ მდიდარ ოჯახში. მანამდე ჩემი პაციენტები ხელოსნები, წვრილი ვაჭრები თუ ოფიცრების ქვრივები იყვნენ.

— ექიმო, ინსტიტუტი დიდი ხანია დაამთავრეთ? — ასეთი იყო პირველი კითხვა, რითაც ავადმყოფმა — ინტელიგენტური შესახედაობის ოცდაათიოდე წლის ქალმა მოიკითხა.

ძალიან მინდოდა მეპასუხა, — „ორი წლის წინათ-მეთქი“, მაგრამ მეუხერხულა და ისევ სიმართლე ვუთხარი.

— ძალიან კარგი! — კმაყოფილებით წარმოთქვა ავადმყოფმა, — ესე იგი, თქვენ მეცნიერების დღევანდელ დონეზე დგახართ. გულახდილად გითხრათ, გაცილებით უფრო მჯერა ახალგაზრდა ექიმებისა, ვიდრე „სახელგანთქმულებისა“. იმათ აღარაფერი ახსოვთ და იმასღა ცდილობენ, თავისი სახელით გავიდნენ ფონს.

ქალს შენაწევრებულ სახსართა მწვავე რევმატიზმი აღმოაჩნდა, — ამ ავადმყოფობის წინააღმდეგ მედიცინას სალიცილის მჟავას სახით უტყუარი, სპეციფიური საშუალება მოეპოვება. პრაქტიკის დასაწყისისათვის უფრო ხელსაყრელ შემთხვევას ვერც ვინატრებდი.

— ექიმო, დიდხანს იავადმყოფებს? — შემეკითხა ავადმყოფის ქმარი, როცა წინა ოთახში გამოვედით.

— არა-ა, — მივუგე მე, — ახლა მდგომარეობა დღითიდღე გაუმჯობესდება, ტკივილი უკლებს, ოღონდ ყურადღება მიაქციეთ — წამალი დროზე მიიღოს ხოლმე.

ორი დღის შემდეგ ამ კაცისაგან წერილი მივიღე: „მოწყალეო ბატონო! ჩემი ცოლის მდგომარეობა გაუმჯობესების მაგივრად ძალიან გაუარესდა. კეთილინებეთ და მობრძანდით“.

მივედი. ქალს წინა მარჯვენა მუხლი და მარცხენა ტერფი ჰქონდა დაავადებული. ახლა მას მარცხენა მხრის სახსარი და მარცხენა მუხლიც სტკიოდა. ქალმა ცივი, მტრული მზერა შემავლო.

— აი, ექიმო, თქვენ ამბობთ, მალე ყველაფერი გაივლისო, — მითხრა მან, — გამიარა კი არა, პირიქით, სულ უფრო და უფრო უარესად ვარ. ღმერთო, რა საშინლად მტკივა! არც მეგონა, ასე თუ გამაწამებდა რამე.

ესეც შენი სალიცილიანი ნატრიუმი — სპეციფიური საშუალება. ხმაამოუღებლად ვხსნიდი ავადმყოფს სახსარზე შემოხვეულ ქლოროფორმისა და ვაზელინის ნარევწასმულ სახვევს.

— ეს რა არის, საცხს უდის მკვდრის სუნი, თუ მე ვიხრწნები ცოცხლად? — ბუზღუნებდა ავადმყოფი, — თუ კვდები, ბარემ მოკვდე, ჩემთვის ყველაფერი სულ ერთია, მაგრამ ამ წამებას ვერ ვიტან!

— დაწყნარდით, ქალბატონო, როგორ შეიძლება ასე სულით დაცემა, სიკვდილზე ლაპარაკი როგორ გვეკადრებათ, მალე სრულიად გამოჯანმრთელდებით..

— დიახ... მაგას დასამშვიდებლად მეუბნებით... უმჯობესია მითხრათ, კიდევ დიდხანს ვიწვალებ ასე?

რაღაც წავილუღლუღე და დავბირდი, ხვალ ვამოვიარ-მეთქი.

მეორე დღეს ტკივილები შეუნელდა, ტემპერატურა დაეცა, ავადმყოფი მხნედ და მხიარულად გამოიყურებოდა. ქალი მხურვალედ მოძესალმა.

— მგონი, სასიკეთოს მაქვს პირი! — მითხრა მან, — გამოტყდით, ექიმო, ალბათ თავი მოგაბეზრეთ, არა? პირდაპირ მრცხვენია, რომ ასეთი სულწასული ვარ. აი, ქმარიც მეუბნება... მითხარით, ახლა ხომ უნდა მქონდეს მორჩენის იმედი?

— რა თქმა უნდა!.. თქვენ გინდოდათ წამალს დაუყოვნებლივ ემოქმედა, ეს კი შეუძლებელია. ასე სწრაფად იგი არ მოქმედებს, სამაგიეროდ უტყუარი საშუალებაა. ოღონდ სიფრთხილეს თავი არ ასტკივა. წამალი ჯერჯეროობით ისევ უნდა მიიღოთ.

მეორე დღეს ავადმყოფი ისევ ვინახულე. არც განძრეულა. ბოლოს, როგორც იქნა, თავი უხალისოდ მოაბრუნა ჩემკენ. პირისახე ჩაფერფლილი ჰქონდა, თვალები ჩალურჯებული.

— ტკივილები მარჯვენა მხარშიც დამეწყო, ექიმო, — ნელა თქვა მან და ზიზღით შემათვალიერა. სალიცილს გულდასმით ვსვამდი, მაგრამ მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს. თქვენთვის ეს ალბათ მოულოდნელია, არა?

დიახ, უნდა გამოვტყდე, რომ ჩემთვის ეს სრულიად მოულოდნელი ამბავი იყო!.. იქნება დაუფიქრებლად მოვიქეცი, როცა დასაწყისშივე სწრაფი გამოჯანმრთელება აღვუთქვი? სახელმძღვანელოებში ხომ წერია, ზოგჯერ რევმატიზმის დროს სალიცილიუმიანი ნატრიუმი არ მოქმედებსო, მაგრამ რას ვიფიქრებდი, რომ ეს წამალი ჯერ იმოქმედებდა, მერე კი მოქმედებას შეწყვეტდა? წიგნებში საქმე ვეტად სქემატურად იყო წარმოდგენილი, მაგრამ მე რა მექნა, თუ მხოლოდ წიგნებით ვხელმძღვანელობდი? დამშვიდობებისას აღარ უთხოვიათ, კიდევ მობრძანდითო. რა თქმა უნდა, დიდი შეურაცხყოფა მომაყენეს, მაგრამ გულში მიხაროდა, რომ ამ პაციენტთან საქმე აღარ მექნებოდა. მეყო, რაც გავწვალდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთოდ პრაქტიკა ძალიან ცოტა სიხარულს მანიჭებდა. ერთთავად ბოლმა მჭამდა. ჩემს ცოდნაზე ხომ არ მქონდა დიდი წარმოდგენა. მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, აღმოჩნდა, რომ ჩემს თავზე დიდი წარმოდგენისაც ვყოფილვარ. თითქმის ყოველდღე ისე თვალსაჩინოდ, ისე ნათლად ვლინდებოდა ჩემი უვიცობა და უმეცრება, რომ მუხლები მეკვეთებოდა. უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა ქაოტური გროვა აღმოჩნდა, მე ვერ გავერკვიე მასში. ეს ჩემი წიგნიერი, განყენებული, პრაქტიკულად შეუმოწმებელი მეცნიერება ყოველ ნაბიჯზე მატყუებდა. ვერ ეგუებოდნენ ერთმანეთს გაყინული უძრავი ცოდნა და ცოცხალი ცხოვრება. არადა, ჩემს ცოდნას ელასტიურობა და მოქნილობა ვერა და ვერ მივანიჭე. ჩემი დიაგნოზები და ავადმყოფობის მიმდინარეობის განჭვრეტა ისეთი მცდარი გამოდგებოდა ხოლმე, რომ ავადმყოფებს თვალით ველარ ვენახვებოდი. როცა მეკითხებოდნენ, თქვენი გამოწერილი წამალი ტკბილია თუ მწარეო, არ ვიცოდი, რა მეპასუხნა, იმიტომ, რომ ეს წამალი არამცთუ გამესინჯა, თვალითაც არ მენახა. ძრწოლით ველოდი იმ დღეს, როცა მშობიარესთან მიმიწვევდნენ. უნივერსიტეტში სწავლისას მხოლოდ ხუთ მშობიაობას დავესწარი და ერთადერთი, რაც მეანობის სფეროში მტკიცედ ვიცოდი, ის გახლდათ, რომ გამოუცდელი კაცი მშობიარობას ვერ გაუძღვება. ავადმყოფი ადამიანის ცხოვრება, მისი სული ჩემთვის შეუცნობელი იყო. კლინიკებში თავადიშვილებივით ვცხადდებოდით და ავადმყოფის ლოგინთან ათ-თხუთმეტ წუთს თუ ვრჩებოდით. ერთი ეაინაჩროობით ვსწავლობდით სნეულებებს, ხოლო სნეულ ადამიანებს არკი ვეცნობოდით.

მაგრამ რაღა ისეთ მატერიებზე ვლაპარაკობთ, როგორიც არის სნეული ადამიანის ფსიქოლოგია? ხშირად სულ უბრალო რამის გამო ჩიხში მოვმწყვდეულვარ! მე ხომ არ ვიცოდი და არც შემეძლო იმის გაკეთება, საავადმყოფოში ყოველმა მესასთუმლე ქალმა რომ იცის. გარშემომყოფებს ვეუბნებოდი, — „ავადმყოფს ოყნა გაუკეთეთ, საფენი დაადეთ“, — და თან მეშინოდა, ღმერთი არ გაუწყრეთ და არ მკითხონ, „როგორ გავაკეთოთ?“ ასეთი „წვრილმანები“ ჩვენთვის არ უჩვენებიათ: ეს ხომ ფელშლების, მესასთუმლეების საქმეა, ექიმმა კი მხოლოდ სათანადო ბრძანება უნდა გასცეს... მაგრამ აქ არც ფელშლები მყავდა, არც მესასთუმლეები და ყველანი მე მეკითხებოდნენ რჩევას.. რა მექნა? დიდი, „სერიოზული“ სახელმძღვანელოები გვერდზე გადავდე და ისეთ წიგნებს ჩავუჯექი, როგორიცაა, ვთქვათ, ბილტოის „ავადმყოფის მოვლა“ — მოწყალების დათა სახელმძღვანელო. და მე, გამოსაშვებ გამოცდაზე გვამს არტისტულად რომ გავუკეთე მუხლის ამპუტაცია საბანევის მეთოდით, ახლა მონდომებით ვსწავლობდი, როგორ უნდა წამომეჯინა ავადმყოფი და როგორ დამედო სალბუნი.

ჩემთან ახლოს მოხუცებული ექიმი ივან სემიონოვიჩი ცხოვრობდა. ავადმყოფებს არ ღებულობდა. იქნებ მოხდეს. ეს სტრიქონები წაიკითხოს, დეე, კიდევ ერთხელ მიიღოს ჩემი მხურვალე მადლობა იმ დახმარებისა და თანაგრძნობისათვის, იმ მძიმე დროს რომ აღმომიჩინა. გულახდილად ვუამბობდი შეცდომებზე და გაუგებრობებზე. ვეკითხებოდი რჩევას ყველაფერზე, ხანდახან ჩემს პაციენტებთანაც კი მიმყავდა. ივან სემიონოვიჩი მუდამ მამასავით მექცეოდა, — მეხმარებოდა — არ იშურებდა არც ცოდნას, არც გამოცდილებას და ყოველთვის, როცა ორივენი ავადმყოფის საწოლთან ვიდექით, — ის მშვიდი, საზრიანი და თავის თავში დარწმუნებული, მე კი — უსუსური და გაუბედავი, — განა შეიძლებოდა, რომ ორივეს კოლეგები გვრქმეოდა და ერთნაირი დიპლომები გვქონოდა.

ერთ მეწვრილმანეს ვმკურნალობდი. მას ძალიან მძიმე ფორმის პარტახტიანი ტიფი ჰქონდა, ავადმყოფობას ზედ დაერთო მარჯვენა პნოტიტი (ყურსუკანა ჯირკვლის ანთება).

ერთხელ, დილაადრიანად მეწვრილმანის ცოლმა ბავშვი გამომიგზავნა და მთხოვა, სასწრაფოდ მოდითო: ქმარი ლამით ძალიან ცუდად გამხდარიყო და სუნთქვა ეკვროდა. მივედი, ავადმყოფი თითქმის უგონოდ იყო, მძიმედ, ხიხინით სუნთქავდა, გეგონებოდათ, ყელზე რაღაც წაუჭირესო. ყოველი ჩასუნთქვისას ისედაც გამხდარი ფერდები შიგნით უცვივდებოდა. შემხმარი ლორწო ყავისფერ გარსად ეკვროდა მის კბილებსა და ტუჩებს. პულსი ძლივს ისმოდა. გასივებული ჯირკვალი პირის რიგიანად გაღებას უშლიდა და პირის ღრუსა და ხახის დათვალიერება ვერ მოვახერხე. სასწრაფოდ სახლისაკენ გავეშურე, ვითომდა შპრიცის მოსატანად და ავადმყოფისათვის ჭაფურის შესაშხაპუნებლად, სინამდვილეში კი სახელმძღვანელოში მინდოდა ჩამეხედა, რა იწვევს ტიფის დროს სუნთქვის გაძნელებას? ერთადერთი, რაც სახელმძღვანელოში ამოვიკითხე, იყო ხორხის შეშუპება ხაპისებული ხრტილების ანთების შედეგად. ამ დაავადების საწინააღმდეგოდ ჩემს უბის წიგნაკში ეწერა: „მიეცით ძლიერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასაქმებელი, ჩააყლაპეთ ყინულის ნატეხები. თუ არაფერმა არ უშველა, სასწრაფო ტრაქეოტომია". ავადმყოფთან მივბრუნდი, კანქვეშ ქაფური შევუშხაპუნე, ყინული და ერთი ყველაზე აქტიური სასაქმებელთაგანი — კოლოჭვინტა დავუნიშნე.

რამდენიმე საათის შემდეგ ისევ მივედი. კოლოჭვინტას უმოქმედნია, მაგრამ ავადმყოფს სუნთქვა კიდევ უფრო მეტად უჭირდა. ერთი გამოსავალიღა რჩებოდა — ტრაქეოტომია. ივან სემიონიჩს მივაშურე. მან ყურადღებით მომისმინა, თავი გადააქნია და გამომყვა.

ივან სემიონოვიჩმა ავადმყოფი გასინჯა, მერე წამოსვა, გუდაპერჩის ბალონში თბილი წყალი ჩაასხა, ბუნიკი კბილებს შუა გაუკეთა და პირი გამოურეცხა. პირიდან ბლანტე, ლორწოიანი მასა გამოიწელა. ავადმყოფი იჯდა და ახველებდა, ივან სემიონოვიჩი კი ენერგიულად ურეცხავდა პირს. არა, ავადმყოფის დახრჩობისა მაინც როგორ არ შეეშინდა? ურეცხავდა და ლორწო გაუთავებლად გამოდიოდა. გაოცებული ვიყავი, რამდენი ლორწოს დატევა შეუძლია ადამიანის პირს!

— აბა, აბა, დაახველეთ, გამოაფურთხეთ! — ხმამაღლა, მბრძანებლურად იმეორებდა ივან სემიონიჩი. და მოცოცხლებული ავადმყოფიც იფურთხებოდა...

ახლა სრულიად თავისუფლად სუნთქავდა.

— მე კი მას კოლოჭვინტა დავუნიშნე, — მორცხვად წავილაპარაკე მე, როცა ავადმყოფის სახლიდან გამოვედით.

— ერიჰაა — ივან სემიონიჩმა თავი გადააქნია, — ასე დასუსტებულს! თქვენ კაცი შემოგაკვდებათ! ან სამაგისოდ განა რა ჩვენებები გქონდათ? უბრალოდ, ადამიანი უგონოდ იყო, ცუდად ყლაპავდა და პირში ათასი უბედურება დაუგროვდა.

წიგნებში არსად წამიკითხავს, ტიფის დროს ასეთი „გართულებები" შეიძლებაო, მაგრამ წიგნებში განა ყოველი წვრილმანის გათვალისწინება შეიძლება? პირდაპირ სასოწარკვეთილებამ შემიპყრო: იმდენად სულელი და მოუსაზრებელი ვარ, რომ ექიმად არ ვივარგებ და მხოლოდ ფერშლობა — მზა შაბლონებით მკურნალობა შემიძლია-მეთქი. ახლა იმ სასოწარკვეთილების გახსენებაზე მეცინება. სტუდენტებს ბევრს ჩასჩიჩინებენ, აუცილებელია ყოველი შემთხვევის ინდივიდუალიზაციაო, იმას კი არ ამბობენ, რომ ინდივიდუალიზაციის უნარი მხოლოდ გამოცდილებით შეიძინება.

გადიოდა დღეები და სულ უფრო და უფრო მეტი დაჟინებით მატრიალებდა თავში აზრი: რაკი რაღაც გაუგებრობის შედეგად ექიმის დიპლომი მაქვს, შემიძლია თავი მართლა ექიმად ჩავთვალო-მეთქი? ცხოვრება ყოველდღე გადაჭრით მიპასუხებდა: არა, არა გაქვს!

ბოლოს აი რა შემემთხვა. ამის გახსენებაზე ახლაც კაეშანი და ძრწოლა მიპყრობს. მაგრამ რაკი წამოვიწყე, ბარემ გიამბობთ.

ქალაქის განაპირას, უბადრუკ ქოხში ქვრივი მრეცხავი ქალი ცხოვრობდა. სამი შვილი ჰყავდა. ორი ქუნთრუშით მოუკვდა საავადმყოფოში. არ გასულა ცოტა ხანი და ავად გახდა უკანასკნელი შვილიც — რვა წლის გამხდარი, შეუხედავი ბიჭუნა. დედამ არასგზით არ წაიყვანა ბავშვი საავადმყოფოში. გადაწყვიტა, სახლში ვუმკურნალებო, და მე მომმართა. ბავშვს ძალიან მძიმე ფორმის ქუნთრუშა ჰქონდა, — აბოდებდა, ბორგავდა, ტემპერატურა 41 გრადუსს აღწევდა. პულსი თითქმის სულ არ იგრძნობოდა. ავადმყოფი რომ გავსინჯე, დედამისს სიმართლე ვერ დავუმალე, ალბათ ვერ გადაიტანს-მეთქი. ქალი ჩემ წინ მუხლებზე დაეცა, — გადამირჩინეთ შვილი, ბატონო! ეგ ერთიღა დამრჩა! ვზრდიდი, სიბერეში მომხედავს-მეთქი... რამდენიც შემეძლება, გადაგიხდით... მიმსახურეთ, სანამ ცოცხალი ვარ, მუქთად გაგირეცხავთ ხოლმე!

ბიჭუნას სიცოცხლე მთელი კვირის მანძილზე ბეწვზე ეკიდა. მერე სიცხემ თანდათან უკლო, გამონაყარი გაუფერულდა, ავადმყოფმა თითქოს მოიხედა. მეც სასიკეთო დასასრულის იმედი გამიჩნდა. ჩემთვის უკვე ძვირფასი იყო ეს გამხდარი, შეუხედავი, სახეაქერცლილი, აპატიური ბიჭუნა. ბედნიერი დედა აღტაცებული მიხდიდა მადლობას. რამდენიმე დღის შემდეგ ავადმყოფს ისევ ციებ-ცხელება დაეწყო; მარჯვენა ყბისქვედა ჯირკვლები დაუსივდა და ატკივდა. სიმსივნე ყოველდღე იზრდებოდა. თავისთავად ეს არ იყო საშიში. უარეს შემთხვევაში ჯირკვლები დაჩირქდებოდნენ და მუწუკი წარმოიქმნებოდა. მაგრამ ასეთი გართულება არ მესიამოვნა. მუწუკი ხომ უნდა გაიკვეთოს. კისერზე გაკვეთა კი, სადაც ამდენი არტერიები და ვენებია, ძნელია, მერე? შემთხვევით რომელიმე მსხვილი ძარღვი რომ გავჭრა, შევძლებ სისხლისდენის შეჩერებას? აქამდე ცოცხალ სხეულს დანით არ მივკარებოდი. ურთულესი და უძნელესი ოპერაციებისათვის მიცქერია, მაგრამ ახლა, საკუთარ თავს მინდობილს, უბრალო მუწუკის გაჭრისა მეშინოდა. ჯირკვლების ანთების საწყის სტადიაზე ძალიან კარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გად მოქმედებს ვერცხლისწყლის ნაცრისფერი საცხის შეზელვა. თუ წამალს დროულად შევუზელთ, შეიძლება ანთება ჩაქრეს და ჯირკვალი აღარ დაჩირქდეს. გადავწყვიტე ჩემი ავადმყოფისათვის სწორედ ეს ნაცრისფერი საცხი შემეზილა. სიმსივნე ძალიან მტკივნეული იყო, ამიტომ პირველ ჯერზე საცხი ძლიერ არ შემიზილავს. მეორე დღეს ბავშვი უფრო ხალისიანად გამოიყურებოდა. აღარ ჩიოდა, სიცხემაც დაუკლო, იღიმებოდა და საჭმელს თხოულობდა. ჯირკვლების ტკივილმაც უკლო, სიმსივნეში საცხი მეორედ, ახლა უფრო მაგრად შევუზილე. დედა ლამის იყო ლოცულობდა ჩემზე და მწარედ ნანობდა, გარდაცვლილი ბავშვების გასასინჯადაც მე რომ არ მომიყვანა, ახლა ხომ ისინიც ცოცხლები მეყოლებოდნენო.

მეორე დღეს ავადმყოფთან მივედი. მკვეთრი ცვლილება დამხვდა. გულაღმა მწოლარე ბავშვს თავი გვერდზე გადაეგდო და განუწყვეტლივ კვნესოდა. მარჯვენა ლავიწქვეშა ღრმულში, პირველი სიმსივნის ქვემოთ, წითლად ღვიოდა ახალი, დიდი სიმსივნე. გავფითრდი, გულაძგერებული შევუდექი ავადმყოფის გამოკვლევას. სიცხე 39,5 ჰქონდა. მარჯვენა იდაყვის სახსარი გასივებოდა და ისე სტკიოდა, რომ თითსაც ვერ მიაკარებდით. შეშფოთებული დედა მაინც ნდობითა და იმედით მომჩერებოდა. მე მკვდარივით გამოვედი. ყველაფერი ნათელი იყო: ჩემი შეზელვით ჯირკვლიდან ჩირქი მთელ ორგანიზმში გავდენე და ბავშვს საერთო სისხლის ხრწნადობა დაეწყო, ამას კი ვერაფრით ვერ უშველი...

მთელი დღე გამშრალი დავეხეტებოდი. ძრწოლვითა და სასოწარკვეთილებით შეპყრობილი, არაფერზე აღარ ვფიქრობდი. ხანდახან ცნობიერებაში იელვებდა: „მე ხომ ადამიანი მოვკალი!“ სანუგეშოს ვერაფერს ვიგონებდი, ბავშვისათვის ყელი რომ გამომეჭრა, ამაზე მეტი არ მომივიდოდა.

ბავშვმა კვირანახევარი იცოცხლა; ყოველდღე ახალ-ახალი მუწუკები უჩნდებოდა სახსრებთან, ღვიძლზე, თირკმელებზე. უსაზღვროდ იტანჯებოდა და ისღა დამრჩენოდა, მორფი შემეშხაპუნებინა ხოლმე. დღეში რამდენჯერმე ვნახულობდი. შესვლისას ბავშვის ჩაფერფლილ, ჩამუქებულ სახეზე განაწამებ თვალებს ვხედავდი. ბავშვი სიმწრისაგან კბილებს აღრჭიალებდა და გაბმით, სუსტად კვნესოდა. დედამ უკვე იცოდა, რომ არაფერი ეშველებოდა. ბოლოს, საღამოხანს ქვრივის ქოხში მაგიდაზე გაშოტილი ჩემი პაციენტი დავინახე. ყველაფერი გათავებულიყო... შეძრწუნებული, მტანჯველი ცნობისწადილით ატანილი მივუახლოვდი ცხედარს. ბავშვის გამხდარ, ცვილისფერ სახეს ჩამავალი მზე ანათებდა. ბავშვი წარბშეკრული იწვა, თითქოს ნაღვლიანად ფიქრობდა რაღაცაზე, — მე კი, მისი მკვლელი, მივჩერებოდი... დაობლებული დედა კუთხეში ქვითინებდა. ქოხის შიშველ კედლებზე მტვრიანი აბლაბუდა ეკიდა, ჭუჭყიან მიწის იატაკს ნესტის სუნი ასდიოდა. ირგვლივ საოცარი სიცივე და სიცარიელე გამეფებულიყო. ყელში ბურთი გამეჩხირა. დედასთან მივედი და ვცადე დამემშვიდებინა.

ნახევარი საათის შემდეგ წამოსვლა დავაპირე. ქალი უცბად აფუსფუსდა, ზანდუკს თავი ახადა და გაქონილი სამმანეთიანი გამომიწოდა.

— მიიღეთ, ბატონო... შრომისათვის. — მითხრა მან, — ბევრს ეცადეთ, ღვთისმშობელი იყოს თქვენი მფარველი!

უარზე დავდექი. ჩაბნელებულ წინკარში ვიდექით.

— ალბათ. ღმერთმა არ ინება! — წავილაპარაკე და ქალს თვალი მოვარიდე.

— იმის ნებაა... მან უკეთ იცის.. — მიპასუხა ქალმა და ტუჩები ისევ ქვითინმა დაუმანჭა, — გმადლობთ, ბატონო, ბიჭი რომ გეცოდებოდა!..

აქვითინებული ჩემ წინ მუხლებზე დაეცა და შეეცადა, ხელზე ეკოცნა. უნდოდა მადლობა გადაეხადა ალერსისა და სიკეთისათვის... არა, ეს აუტანელია! პეტერბურგისკენ, სასწავლებლად, თუნდაც იქ შიმშილისაგან სული ამოძვრეს!

# ვივეკანანდა

თარგმნა თამაზ ჩხენკელმა

## ნაწყვეტები ლექციებიდან

ვივეკანანდას (1862—1902) სახელთან არის დაკავშირებული ახალი დროის ინდური ფილოსოფიისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფურცელი...

ვივეკანანდა — ნორენდრანათ დოტო — დაიბადა და აღიზარდა მდიდარ, განათლებულ და თავისუფლად მოაზროვნე ოჯახში. ყმაწვილი ადრე დაეწაფა ფილოსოფიურ ლიტერატურას. ბიოგრაფოსები გვამცნობენ, რომ მასზე „თავზარდამცემი" შთაბეჭდილება მოახდინა დ. ს. მილის „რელიგიის გამოკვლევამ". შემდგომ მან შეისწავლა დეკარტეს, სპინოზას, იუმის, კანტის, ფიხტეს, ჰეგელის, შოპენჰაუერის, კონტისა და დარვინის თხზულებები.

ვივეკანანდას თავი მიაჩნდა რამაკრიშნას მოწაფედ: მე დიდხანს ვცხოვრობდი პარამახანსა რამაკრიშნას გვერდით და მისი ხელმძღვანელობით განვისწავლებოდი, — წერდა იგი. — ყველაფერს, რაც ჩემშია, მე ვუმადლი ჩემს მოძღვარს რამაკრიშნას...

ვივეკანანდამ თავისი ფილოსოფიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა XIX ს. 80-იან წლებში დაიწყო. ეს იყო ინდოელ ხალხსა და ინგლისელ კოლონიზატორთა შორის დამოკიდებულების მზარდი გამწვავების ხანა. აფასებდა რა მდგომარეობას მაშინდელ ინდოეთში, კ. მარქსი ნ. ფ. დანიელსონისადმი გაგზავნილ ბარათში წერდა: ბრიტანეთის მთავრობისათვის ინდოეთში საყოველთაო აჯანყებას ვერ ვიტყვი, მაგრამ სერიოზული გართულებანი კი მომწიფდაო...

ვივეკანანდა ემზადებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად. დატა იმასაც კი ამტკიცებს, რომ ვივეკანანდას სურდა შეექმნა „რევოლუციონერთა პარტია"...

კოლონიური და ფეოდალური კირთების წინააღმდეგ რომ იმაღლებდა ხმას, ვივეკანანდა ამავე დროს ეძიებდა არა მარტო პასუხს ინდოეთის ისტორიულ ბედზე, არამედ გზასა და საშუალებას ინდოეთის მდიდარ, ძლიერ და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გადაქცევისათვის...

ვივეკანანდა ეროვნული თავისუფლების ბრძოლით მოპოვების პირდაპირი მოწოდებით გამოდიოდა და შეგნებულად უკავშირებდა ამ ბრძოლის ამოცანებს ხალხის მასების მდგომარეობას. სამართლიანად შენიშნა ჯ. ნერუმ: იგი იყო ერთ-ერთი უდიდესი დამაარსებელთაგანი ინდოეთის ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციონალური მოძრაობისა, და უამრავი ხალხი, რომელიც მოგვიანებით ჩაება ამ მოძრაობაში, თავისი ენთუზიაზმით დავალებულია სვამი ვივეკანანდასაგან... პირდაპირ თუ არაპირდაპირ მან უდიდესი გავლენა მოახდინა თანადროულ ინდოეთზე.

(წიგნიდან „ახალი დროის ინდური ფილოსოფია". ბ. ბ. ბროდოვი, მოსკოვი, 1967 წ.).

—— . ——

1. ყოველი კაცის მოვალეობაა თავისი ხალხის იდეალების შესაბამისად იქცეოდეს. კაცმა ის უნდა აკეთოს, რაც აამაღლებს და ხიქველით შემოსავს მას თანამემამულეთა თვალში.

2. ნურასოდეს დაივიწყებთ, რა დიადია ადამიანი თავისი ბუნების მეოხებით. მე ვარ უდიდესი ღვთაება, ვინც ოდესმე ყოფილა ან იქნება. ქრისტე და ბუდა და სხვანი მხოლოდ ტალღებია თვალუწიერი ოკეანისა, ოკეანე კი მე ვარ.

3. უდიდესი ადამიანები შეუმჩნეველნი იყვნენ მუდამ. ჩვენთვის ცნობილი ქრისტე და ბუდა მეორე თანრიგის გმირები არიან იმ დიდებამოსილებთან შედარებით, რომელთა შესახებ მსოფლიომ არაფერი იცის... ამნაირ უცნობ გმირთა ასეულნი ცხოვრობდნენ ყველა ქვეყანაში. ისინი ჩუმად მუშაკობდნენ, ჩუმად ცხოვრობდნენ და ჩუმადვე კვდებოდნენ. მაგრამ დროთა მანძილზე ბუდათა და ქრისტეთა მოძღვრებაში პოულობდა გამოძახილს მათი აზრები. და ამიტომ მხოლოდ ესენი ხდებიან ჩვენთვის ცნობილნი. კაცთა შორის უფრო მაღალთა და მაღლად მხედთათვის არარაა სახელის მოხვეჭა. ისინი თავიანთ იდეებს მსოფლიოს ანდობენ და საკუთარი სახელობის არავითარ სკოლასა და სისტემას არ აარსებენ. ეგ უხამსობა იქნებოდა მათთვის. მათ არაფრის დაჩემება არა სურთ, რაკი უჩუმარი, სიყვარულში განზავებული წმიდა სატვიკასები არიან...

გაუტამა ბუდამ თქვა, რომ იგი ოცდამეხუთე ბუდა იყო. ოცდათხი მისი წინამორბედი უცნობია ისტორიისათვის, თუმცა ჩვენთვის ცნობილმა ოცდამეხუთემ მათ მიერ ჩაყრილ საძირკველზე იწყო შენება. კაცთა შორის მაღლად მხედნი შეუმჩნეველნი არიან მუდამ, რადგან მათ იციან ჭეშმარიტი აზრის ძალმოსილება. მათ იციან, რომ მლვიმეში ამოქოლილებმა ხუთი ჭეშმარიტი აზრიც რომ მოიაზრონ, ეს ხუთი აზრი მარადისობას გასწვდება. და მართლაც, ეს აზრები გაჰკვეთენ წყალსა და ქარს, გადალახავენ მთებსა და ზღვებს და მთელ მსოფლიოს მოეფინებიან. ისინი შეალწევენ და კაცთა სულსა და გულში დაიბუდებენ. ისინი შობენ ქალებსა და კაცებს, რომლებიც კაცობრიობის ცხოვრებაში პრაქტიკულად განახორციელებენ მათ.... ბუდანი და ქრისტენი მოევლინებიან ქვეყანას და იქადაგებენ ამ ჭეშმარიტებებს. მაგრამ სატვიკასები მეტად მიახლოვებულნი არიან ღმერთთან, რათა იბრძოლონ და იმოქმედონ, რათა იქადაგონ, ანუ — როგორც ქვეყნიერნი იტყვიან — სიკეთე მოუტანონ კაცობრიობას.

4. უკეთუ ეძიებთ ღმერთს სიყვარულისას, ნურასოდეს დაივიწყებთ, რომ იგი ძალაა უმაღლესი. სიწმინდეზე უფრო დიდი ძალმოსილება არ არსებობს... ღვთისადმი დიდი სიყვარული ძაბუნთათვის მიუწვდომელია. მაშ, ნურც სულით და ნურც სხეულით დაძაბუნდებით. ძლიერნი, ძლიერნი, ძლიერნი იყავით!

ძლიერება, ვაჟკაცური გონი, მუდმივი ზრუნვა საზოგადო სიკეთისათვის და სრული უანგარობაა პირობა მიზნის მისაღწევად... და კიდევ ერთი რამ: სურვილი მისი მიღწევისა.

5. კაცმა შეიძლება არ იცოდეს არც ერთი ფილოსოფიური სისტემა, არ ირწმუნოს არც ახლა და არც მომავალში არავითარი ღმერთი, შეიძლება თავის სიცოცხლეში არც ერთხელ არ ილოცოს, მაგრამ უკეთუ მას ძალა კეთილი საქმეებისა იქამდე მიიყვანს, რომ მზად იქნება სხვებისთვის გასწიროს სიცოცხლე და ყველაფერი, რაც აბადია ან რაც ახლავს, — იგი შეიმართება უმაღლეს მწვერვალამდე, რასაც მორწმუნენი თავიანთი ლოცვებით, ხოლო ფილოსოფოსნი თავიანთი ცოდნით აღწევენ.

6. მამაცნი იყავით! სიმამაცე უმაღლესი სიკეთეა. ყველას შეუპოვრად უქადაგეთ სიმართლე — დაუფარავად, უშიშრად, უკომპრომისოდ. და ნუ ზრუნავთ მდიდართა და ქედმალალთათვის! მდიდრებთან ჩვენ არაფერი გვესაქმება. მათ წინაშე ლაქუცი, ლიქნა და პირფერობა როსკიპი ქალის საქმეა.

ჩვენი ვალია გლახაკთა და უპოვართა მახლობლად ყოფნა. ესენი უნდა შევიყვაროთ, სიხარულით ვემსახუროთ, თავი შევწიროთ.

7. შივა, შივა! განა ოდესმე დიდი საქმე მდიდართა მეოხებით გასრულებულა? ჰქმნის გული და გონება, და არა ფულით გატენილი ქისა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. ჩვენ უპოვარნი ვართ, ჩემო შვილებო, ჩვენ არარანი ვართ, მაგრამ სწორედ ისინი, ვისაც არარაობად თვლიან, სწორედ ისინი არიან საჭურველნი ზენაარისა...

9. თუკი თქვენ მოინდომებთ საკუთარი თავის ხსნას, ჯოჯოხეთში მოხვდებით. სხვების ხსნას უნდა ეცადოთ. უმჯობესია სხვებისთვის მეცადი ჯოჯოხეთში მოხვდე, ვიდრე საკუთარი თავის ხსნისათვის ცა მიითვალო... რამაკრიშნამ ქვეყანას შესწირა თავი და მეც მსხვერპლად მინდა გავიღო სიცოცხლე. და თქვენც, თქვენ ყველამ იგივე უნდა მოიმოქმედოთ. ყველა ეს მსხვერპლი დასაწყისი იქნება მხოლოდ. ჩვენგან დანთხეულ სისხლზე ბუმბერაზნი დაიზრდებიან, — გმირი მუშაკები, რომლებიც მსოფლიოს გადაატრიალებენ.

10. მსოფლიოს ისტორია რამდენიმე თვითმრწმენი კაცის ისტორიაა. ეს რწმენა იხმობს ხოლმე გულში დამარხულ ღვთაებას: თქვენ ძალგიძთ ყოველი! და მხოლოდ მაშინ დამარცხდებით, თუ არ დაძაბავთ ძალას თქვენშივე დაფარული დაუსაბამო ძლიერების გამოსავლენად. იმწამსვე, — დაჰკარგავს თუ არა კაცი ან ერი საკუთარი თავის რწმენას, — სიკვდილი მოდის. უპირველეს ყოვლისა საკუთარი თავი ირწმუნეთ და მერე ღმერთი. ძალგულოვანთა ერთი გუნდი მთელ ქვეყანას ააყირავებს.

11. ყოველ ერს, ისევე როგორც ყოველ ცალკეულ ადამიანს, სიცოცხლის საფუძვლად უდევს ერთადერთი თემა, ცენტრალური ბგერა, რომლის გარშემო ჰარმონიის ყველა დანარჩენი ბგერა იკრიბება... თუკი ერი მას უკუაგდებს, თუკი იგი უკუაგდებს საკუთარი ცხოველმყოფელობის პრინციპს, საუკუნეთა მიერ გადმოცემულ გ ე ზ ს, ეს ერი კვდება. ინგლისელებისათვის სასიცოცხლო პრინციპი პოლიტიკური ძლევამოსილებაა, სხვა ხალხისათვის მხატვრული გატაცება. ინდოეთისათვის მთელი აკორდის ტონიკას რელიგიური ცხოვრება წარმოადგენს, და ამიტომ თუკი თქვენ უკუაგდებთ რელიგიას და სასიცოცხლო ცენტრად მას პოლიტიკასა და სოციოლოგიას გაუხდით, თქვენ ჩააქრობთ მის სიცოცხლეს... პოლიტიკური და სოციოლოგიური რეფორმები ინდოეთში რელიგიის გათვალისწინებით უნდა ხორციელდებოდეს.

ყოველი კაცი, ყოველი ერი მოწოდებულია აირჩიოს თავისი ხვედრი. ჩვენ მრავალი საუკუნის წინ ავირჩიეთ ჩვენი ხვედრი. ეს არის რწმენა უკ ვ დ ა ვ ი ს უ ლ ი ს ა... მე გაფრთხილებთ, არ ულალატოთ მას. თქვენ ვერ ულალატებთ საკუთარ ბუნებას.

12. ნუ ჭმუნავთ! თქვენ აირჩიეთ მადლიანი, კეთილი ხვედრი. დიდი ძალაა თქვენს ხელთ. თუკი შეიცნობთ მას და იქნებით მისი ლირსნი, მთელ მსოფლიოს გადააბრუნებთ. ინდოეთი სულიერების განგია. ანგლო-საქსური რასის მატერიალური მიღწევები, რომლებსაც არ ძალუძს მისი ოდნავადაც შეფერხება, შექმნილია სწორედ მის განსაფენად. ინგლისის ძლევამოსილებამ შეაკავშირა მსოფლიოს ხალხები, გაკვალა გზები ოკეანისა, რათა ამ გზებზე ინდოეთის სულმა იდინოს, ვიდრე დედამიწის კიდეებამდე არ მიიქცევა.

13. იგი, რასაც ელოდება დღეს მთელი მსოფლიო და შესაძლოა უფრო მეტად დაბალი კლასები, ვიდრე მაღალი, უბირნი უფრო მეტად, ვიდრე გონების არისტოკრატია, დამთრგუნველებზე უფრო დათრგუნვილები, — ეს არის მსოფლიოს სულიერი ერთიანობის გრანდიოზული იდეა. ეს არის ერთადერთი და დაუსაბამო არსი, რომელიც ყოველში არსობს, თქვენშიც და ჩემშიც, ჩემს გულში და ყველას გულში... ეს არის დაუსაბამო ერთობა სულისა, იდეა, რომ მ ე და შ ე ნ არა მარტო ძმები ვართ, არამედ ეს ერთი და იგივეა. ევროპას ესაჭიროება იგი ისევე, როგორც ჩვენს დათრგუნვილ მასებს. ეს დიადი პრინციპი ამჟამად საფუძვლად უდევს, თუმცა კი გაუცნობიერებლად, ინგლისის, გერმანიის, საფრანგეთისა და ამერიკის ყოველ ახალ პოლიტიკურ და სოციალურ მისწრაფებას.

და სწორედ ეს არის საფუძველი უძველესი ვედანტური მოძღვრებისა, ინდური გონის ათასწლოვან ქმნილებათაგან ყველაზე უფრო ლრმა და წმიდა მოძღვრებისა.

მე მისაყვედურებენ, რომ ასე ბევრს ვქადაგებ ა დ ვ ა ი ტ ი ზ მ ს და ასე ცოტას დუალიზმს. დიახ, მე ვიცი, რა სიდიადეს, სიყვარულის რა ოკეანეს, რა კურთხევასა და ექსტაზურ სიხარულს აფრქვევენ დუალისტური რელიგიები... მე ვიცი ეს. მაგრამ ჩვენ ახლა დრო არა გვაქვს გულჩვილობისა. ამდენი ხნის გულჩვილობამ ბამბის ნაკრაულს დაგვამსგავსა.

ჩვენს ქვეყანას ახლა სჭირდება რკინის კუნთები, ფოლადის ნერვები, უტეხი ნება, რომელსაც ვერაფერი დაუდგება წინ და რომელიც მიზნის მისაღწევად, თუ საჭიროა, ზღვის ფსკერზე დაეშვება და პირისპირ შეხვდება სიკვდილს. აი, რა გვჭირდება ჩვენ! და ყოველივე ეს შეიქმნება, დადგინდება და განმტკიცდება, თუკი ჩვენ განვახორციელებთ ა დ ვ ა ი ტ ა ს იდეალს — საყოველთაო ერთობას.

რწმენა, რწმენა, რწმენა საკუთარი თავისა!

თუკი თქვენ იწამებთ იმ თქვენს სამას მილიონ მითოლოგიურ ღმერთს და სხვა ღმერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თებსაც, რომლებსაც უცხოელები მოგიტანენ, თქვენი ხსნა არ იქნება. ირწმუნეთ თავი თვისი!..

რატომ არის, რომ ერთი მუჭა უცხოელები ათასი წლის განმავლობაში თავზე ასხედან სამასმილიონიან ხალხს? იმიტომ, რომ მათ ჰქონდათ რწმენა საკუთარი თავისა, ჩვენ კი არა გვქონია. მე ვკითხულობ გაზეთში, თუ როგორ მოჰკლა ან შეურაცხყო რომელიღაც უბედური ინდოელი ინგლისელმა. და მთელი ქვეყანა ჰგოდებს. მაგრამ მერე ვეკითხები თავს, — ვინ აგებს ამისთვის პასუხს? და ვპასუხობ: ჩვენ და არა ინგლისელები. ჩვენ ვაგებთ პასუხს ინდოეთის დაცემისა და დაკნინებისათვის. ჩვენი არისტოკრატი წინაპრები ისე დიდხანს თრგუნავდნენ მდაბიორთა მასებს, რომ ისინი უმწეონი გახდნენ, — ისე დიდხანს, რომ ტანჯვა-წამებამ ამ უბედურ ხალხს გადაავიწყა ადამიანური არსებობა. ისინი ისეთ დაბალ საფეხურზე დაეშვნენ და იქამდე მივიდნენ, რომ ფიქრობენ, მონებად ვართო დაბადებულნი...

თქვენ, — პატრიოტებად და რეფორმატორებად წოდებულნო, — გრძნობთ თუ არა, რომ ლმერთთა და ბრძენთა შთამომავალი ხალხი ნახირს დაემსგავსა? გიღონდებათ თუ არა ამის გამო გული, გიფრთხებათ თუ არა ძილი? გრძნობთ თუ არა, რომ უმეცრება შავი ნისლივით დააწვა ქვეყანას და ამისაგან ჭკუაზე იშლებით?

საუკუნეთა განმავლობაში ჩვენს ხალხს უნერგავდნენ მისთვის დამამცირებელ აზრებს. მთელი დედამიწის ზურგზე მასებს ეუბნებიან, რომ ისინი არარა არიან. მათ ისე აშინებდნენ საუკუნეთა განმავლობაში, რომ თითქმის ცხოველთა ჯოგს დაემსგავსნენ. მათ არასოდეს აძლევდნენ ნებას მოესმინათ საუბარი ატმანის შესახებ... დაე, მათაც გაიგონ საუბარი ატმანის შესახებ. დაე, იცოდნენ, მათ შორის უდაბლესიც თავის გულში რომ ატარებს ატმანს, ატმანს, რომელიც არასოდეს შობილა და არასოდეს არ კვდება, ატმანს, რომელსაც ხმალი არა სჭრის და ცეცხლი არა სწვავს, — უკვდავ დაუსაბამო, უსასრულო, უწმინდეს, ყოვლისშემძლე ატმანს!

დაე, ყოველმა კაცმა, ყოველმა დიაცმა, ყოველმა ბავშვმა, — განურჩევლად წარმოშობისა, კასტისა, ძლიერებისა და უძლურებისა, — შეიცნოს და იცოდეს, რომ ძლიერთა და უძლურთა მილმა, აღზევებულთა და მდაბალთა მილმა, ყველასა და თვითეულის მილმა დგას ეს უსასრულო სული, რომელიც თვითეულისათვის უსასრულო შესაძლებლობებისა და დიდების, სიკეთის უსაზღვრო ნიჭის საწინდარია.

აღდექით, აღდექით ძილისაგან! და ნუ შეჩერდებით, ვიდრე მიზანს არ მიაღწევთ. გამოფხიზლდით! გაიღვიძეთ ამ მომნუსხველი სიძაბუნისაგან! ნამდვილად არც არავინაა სუსტი: უსასრულოა, ყოვლისშემძლეა, ყოვლისმცოდნეა სული.

აღდექით!

ჩვენ რელიგია გვინდა, რომელიც ადამიანებს შეჰქმნის!

ჩვენ აღზდა გვინდა, რომელიც ადამიანებს შეჰქმნის!

ჩვენ მოძღვრება გვინდა, რომელიც ადამიანებს შეჰქმნის!

აი, ჭეშმარიტების თვალი პატიოსანი: ყველაფერი, რაც გაძაბუნებთ, რაც აძაბუნებს თქვენს სხეულს, გონებასა და სულს, — უკუაგდეთ! ჭეშმარიტება — სიძლიერეა! ჭეშმარიტება სიწმინდეა! ჭეშმარიტება სინათლეა! იგია წყაროსთვალი ენერგიისაა...

უკუაგდეთ ეგ თქვენი დამაძაბუნებელი მისტიციზმი და ძალგულოვნება შეიმოსეთ! სამყაროს უდიდესი ჭეშმარიტებანი უბრალოა, უბრალოა, როგორც თქვენივე ყოფიერება.

აი, რატომ მაქვს დასახული გეგმად შევქმნა ინდოეთში დაწესებულებანი, სადაც ჩვენს ჭაბუკებს შეასწავლიან მარადიულ ჭეშმარიტებათა ქადაგებას ინდოეთსა და ინდოეთს გარეთ. ადამიანები გვინდა, — ადამიანები! ყოველივე დანარჩენს მერეც მოვესწრებით. ახალგაზრდა, ლომგული, ენერგიული, თხემით ტერფამდე რწმენით სავსე გულწრფელი ადამიანები — აი, როგორი ხალხი მჭირდება მე! მომეცით მათი ასეული და ქვეყანას ავაყირავებ. ნება ქვეყანაზე ძალუმია. ნებას უნდა დაეთმოს ყოველი, რამეთუ იგია ლმერთი. წმიდა, ძალმოსილ ნებას ყოველი ძალუძს!

მომავალი ოცდასუთი წლის მანძილზე ჩვენი გონებიდან უნდა გაჰქრეს ყველა ცრუ ლმერთი. ჩვენი საკუთარი ხალხია ის ერთარსი ლმერთი, რომელმაც უნდა გაიღვიძოს. ყველგან მისი ხელ-ფეხია. ყველგან მისი ასოები და სხეულია. ყველა სხვა ლმერთს ძინავს. რად გინდათ უსაშველოდ ეძებოთ ლმერთები, უკეთუ თაყვანს არა სცემთ ლმერთს ვ ი რ ა ტ ა ს, რომელსაც თქვენ გარშემო ხედავთ? ყველა კულტთა შორის უპირველესია ვირატა — თქვენ გარშემო მყოფი ადამიანების კულტი. ადამიანები, ცოცხალი ადამიანები, — აი, ჩვენი ლმერთები! და უპირველესი ლმერთები, ვისაც ჯერ არს თაყვანი ვცეთ, ჩვენი თანამემამულენი არიან.

□

# პუბლიცისტიკა

ვენერა ურუშაძე

## „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ ენაზე თარგმნის ზოგიერთი საკითხი

ბევრი რამ შეიძლება ითქვას „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანის სიძნელეებზე, მაგრამ მე მინდა მხოლოდ რუსთაველის მეტრის თავისებურების ზოგიერთ საკითხზე შევაჩერო მკითხველის ყურადღება. ამ ბოლო ხანს რუსთველური მეტრისა და რითმის უცხო ენაზე გადატანის საკითხი სულ უფრო და უფრო ხშირად იპყრობს სპეციალისტთა ყურადღებას. ეს ბუნებრივიცაა. რადგან რუსთველური მეტრი ჰმატებს პოემას იმ სიდარბაისლესა და მელოდიურობას, რაც მას მსოფლიო ლიტერატურაში ერთ-ერთ უბრწყინვალეს შედევრად აქცევს. ამ თავისებურების გადატანა განსაკუთრებით ძნელდება, როცა საქმე გვაქვს ქართულ და ინგლისურ ენებთან, რომლებიც ძირეულად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

მაგრამ ჯერ მოკლედ განვიხილოთ, თუ რა დაბრკოლებანი ელობება წინ მთარგმნელს ქართული ნაწარმოებების ინგლისურად თარგმნის დროს. ქართულ ლექსს, ისე როგორც ქართულ ხელოვნებას, უძველესი ტრადიცია აქვს. ხალხური შემოქმედების ნიმუშების ძირითად საზომად გვევლინება დაქტილური ჰეგზამეტრი. დაქტილურ ტერფიანი ლექსი იმიტომ აღმოჩნდა ესოდენ პოპულარული, რომ ქართული ენის ბუნებას იგი ყველა სხვა საზომზე უფრო შეეფარდება. აღსანიშნავია, რომ ქართული ხალხური სიმღერების მთავარი რიტმი არის დაქტილური რიტმი.

ამიტომ ბუნებრივია, რომ ამ საზომს იყენებს უმთავრესად ხალხური პოეზია, ამ საზომით არის გამართული არა ერთი პოემა და, სხვათა შორის, ამავე საზომით არის შესრულებული შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ უმეტესი ნაწილი.

მაშინ როცა მე-12 საუკუნეში ქართულმა ლექსმა თავისი განვითარების მწვერვალს მიაღწია და ქართული ლექსთწყობა დაქტილურ ბუნებას ამჟღავნებს, ინგლისურ პოეზიაში და საერთოდ ყველა ძველ ტევტონურ ლექსში თვით იამბიც არ იყო სავსებით ჩამოყალიბებული, თუ მხედველობაში არ მივიღებთ გოდრიკის ცდას, ვინც პირველმა გაილაშქრა ანგლოსაქსური ლექსთწყობის მეთოდების (ძლიერი მახვილის სისტემისა და ალიტერაციის) წინააღმდეგ. გოდრიკის ნაწარმოებთა ნაწყვეტებში ჩანს პირველი ნიშნები ინგლისური ლექსის ფორმის ჩამოყალიბებისა. მხოლოდ ჯეფრი ჩო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერმა (1350—1400) მიაღწია ბგერათა თავისუფლებას პაუზების ვარიაციებით, ქორეისა და იამბის ცვალებადი მოძრაობით. ხოლო XV—XVI ს.ს. დაიწყო ხალხური ბალადების განვითარება და სწორედ ამ ბალადებმა დიდი ცვლილებები შეიტანა ინგლისურ ლექსში. აქედან დაწყებული დღემდე ინგლისური ლექსთწყობა იამბური რიტმით ხასიათდება. იამბი ყველაზე მეტად მიღებული და გავრცელებული ტერფია ევროპულ ენებზე დაწერილ ლექსებში, კერძოდ კი ინგლისურში.

ქართული ლექსისათვის ბუნებრივი ქორეული ტერფი ინგლისურისათვის თუმცა უცხო არ არის, მაგრამ შედარებით მაინც იშვიათია, ქართული ლექსის ბუნება კი თხოულობს ქორეული სახის ტერფებს. ქართულში ორმარცვლიანი სიტყვა ქორეულია: მო-დი, წა-დი, სკა-მი, კა-ცი. ინგლისურში კი უფრო მეტად ასეთი სიტყვები იამბურია: be-lieve, re-ceive, di-vide, re-ply.

დაქტილი — ქართული ლექსის ძირითადი, დამახასიათებელი ტერფი — ინგლისურში იშვიათად იხმარება. ეს გარემოება ქართული ლექსის ინგლისურ ენაზე თარგმნის დროს ერთგვარ დაბრკოლებას ქმნის. ქართულ ლექსს სილაბურ-ტონურ ლექსთწყობას აკუთვნებენ. სილაბურ ლექსთწყობას საფუძვლად უდევს მარცვალთა რაოდენობა სალექსო სტრიქონში. ამ ხერხით დაწერილ ლექსს მარცვლის სიგრძე-სიმოკლე არ ახასიათებს, იგი თანაბარი ზომისაა. ზოგადად, სილაბური-ტონურობა უფრო იმ ენებს ახასიათებს, რომლებსაც მახვილი ერთ გარკვეულ ადგილზე აქვს. და სწორედ ქართულ ენაში მახვილი უმთავრესად სიტყვის წინა მარცვალზე გვხვდება (ამ წესს სავსებით ემორჩილება ორ-სამმარცვლიანი ქართული სიტყვები).

იმის გარდა, რომ ქართული ლექსთწყობა ტაეპებში მარცვალთა თანაბარი რაოდენობით ხასიათდება, მას ახასიათებს აგრეთვე მახვილიან და უმახვილო მარცვალთა გარკვეული თანმიმდევრობაც — ეს ტონურ ლექსთწყობას მოგვაგონებს. ტონური ლექსთწყობა მახვილიან მარცვალთა რაოდენობას ემყარება.

ქართულ ლექსთწყობაში არჩევენ ქორეულ და დაქტილურ ტერფს. ქორეული ტერფი ორმარცვლიანია: პირველი მარცვალი მახვილიანია, ხოლო მეორე — უმახვილო. ყოველი ორმარცვლიანი სიტყვა ქართულ ენაში უსათუოდ ქორეულია. შეიცვლება მაშინ, როცა მეტმარცვლოვან სამახვილო ჯგუფში მოხვდება.

შე-მო-დი — დაქტილურია,
მო-დი — ქორეულია;

მოკლედ, ძირითადად ქართული ლექსთწყობისათვის არის დამახასიათებელი დაქტილური ტერფი, ამიტომაც, ქართული ლექსი არის დაღმავალი რიტმისა, მაშინ როცა ინგლისური ლექსი აღმავალია ე. ი. ერთ ან ორ უმახვილო მარცვალს მოსდევს მახვილიანი მარცვალი. ამგვარად ასეთი ლექსის დამახასიათებელი ტერფი არის იამბი:

be-lieve, ze-gard (ან ანაპესტი) re-a-lize:

ინგლისური ენა იძლევა ამის საშუალებას. ინგლისურში არსებით სახელებს უმრავლეს შემთხვევაში აქვთ ე. წ. არტიკლები (a, the), რომლებიც განსაზღვრავენ არსებით სახელს. არტიკლი არის ერთმარცვლიანი უმახვილო სიტყვა, ამიტომ მომდევნო სიტყვა მახვილიანი ხდება, როგორც მაგალითად: a book, the book. იგივე ითქმის ინგლისურ ზმნებზეც, წინასართებზე და ნაცვალსახელებზე — he comes, his book, my pen.

როგორც აღვნიშნეთ, ქართული სინთეტიკურ ჯგუფს ეკუთვნის და ამიტომაც, როდესაც ვამბობთ „წავიდა“ — ჩვენ ვიცით, რომ ვიღაცა ან რაღაცა წავიდა, ე. ი. იგულისხმება მესამე მხოლობითი პირი „ის“.

ძირითადად, ქართული ლექსთწყობისათვის დამახასიათებელია დაქტილური ტერფი. იგი სამი მარცვლისაგან შედგება, პირველი მახვილიანია, დანარჩენი ორი — უმახვილო.

რო-მელ-მან; ძა-ლი-თა

როგორც ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, ორმარცვლიანი და სამმარცვლიანი ტერფი ქართული ლექსის ძირითადი ტერფებია.

სწორედ მეტრის ეს თავისებურება ქმნის დიდ დაბრკოლებას რუსთაველის პოემის უცხო ენაზე თარგმნის დროს.

მეტრი, რომელზედაც რუსთაველმა ბრწყინვალედ აგო თავისი პოემა, როგორც ვიცით, ეგრეთ წოდებული მაღალი და დაბალი შაირია. მაღალი შაირი ქმნის მუსიკალურ მაჟორს, დაბალი — მუსიკალურ მინორს. დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ რითმული სქემაც არ არის ისეთი მდიდარი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთული, როგორსაც ვხვდებით „ვეფხისტყაოსანში“. დანტეს პოემა აგებულია ორმარცვლიან რითმებზე, მაშინ როცა „ვეფხისტყაოსანი“ დაწერილია ორ, სამ, ოთხმარცვლიანი რითმებით.

რუსთაველის მეტრი არის მისი დიდება და ამავე დროს პოემის ცხოველ ნაწილს წარმოადგენს. თუ მთარგმნელი ვერ შეძლებს ისევე გადაიტანოს პოემის მეტრი, როგორც ეს ორიგინალშია, მაშინ ისეთი ფორმა მაინც უნდა მიუსადაგოს, რომელიც არ გააუბრალოებს ორიგინალის მელოდიურობას.

ეს იყო ჩემი მიზანი, როცა შევუდექი ამ მეტად საპასუხისმგებლო საქმეს. პირველი პრობლემა, ჩემ წინაშე რომ წამოიჭრა, იყო ფორმის პრობლემა. შეიძლებოდა გამომეყენებინა თავისუფალი ლექსის ფორმა, რადგან ზოგი ფიქრობს, რომ ინგლისურს არ გააჩნია ზუსტი ან პირდაპირი ექვივალენტი და არც კი ღირს რაიმე ცდა ჩატარდეს იმისათვის, რომ მოინახოს შესაფერისი ფორმა ინგლისურში. აგრეთვე შესაძლებელი იყო შემესრულებინა უბრალოდ პროზაული თარგმანი. მაგრამ მე მინდოდა, რომ ინგლისელ მკითხველს თუნდაც ოდნავი, მაგრამ მაინც რაიმე წარმოდგენა ჰქონოდა ორიგინალის პოეტურ სილამაზეზე, ჩაწვდომოდა პოემის სულს. ამიტომ არჩევანი შევაჩერე ჰეგზამეტრით აგებულ თეთრ ლექსზე. რადგან თავისუფალი ან პროზაული თარგმანი არაფერ ახალს არ მისცემდა მკითხველს. მარჯორი უორდროპის მიერ შესრულებული სტროფული თარგმანი ჯერ კიდევ 1912 წელს გამოქვეყნდა. გარდა ამისა, დღეს შეუძლებელია დაიწეროს ისეთი დიდი ეპიური ლექსი, როგორც „ვეფხისტყაოსანია“, ინგლისური გარითმული კუპლეტებით ან თუნდაც თავისუფალი ლექსით.

წამოიჭრა საკითხი — თუ რა პოეტური ფორმა გამომეყენებინა ინგლისური თარგმანისათვის. ჩემ წინ მდიდარი არჩევანი იყო. ვეძებდი შესაფერის მაგალითებს კლასიკოსთა ინგლისურ თარგმანებში. ჰომეროსის „ილიადა“ დაწერილია ჰეგზამეტრით, რუსთაველის დაბალი შაირის მსგავსად. მაგრამ ინგლისურად ის სხვადასხვა მეტრითაა თარგმნილი — გარითმული და ურითმო იამბური პენტამეტრით, სპენსერისებური ლექსით და სხვ. მაგრამ რაოდენ ჩინებულად არ უნდა იყოს შესრულებული ზოგიერთი მათგანი, ვერც ერთმა ვერ შეძლო გადმოეცა ორიგინალის სული და განწყობა. გავიხსენოთ ერთი რამ: მაშინ, როცა ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში ქართულმა ლექსმა თავისი განვითარების მწვერვალს მიაღწია, ინგლისურ პოეზიაში და, საერთოდ, ყველა ძველტევტონურ ლექსში თვით იამბიც არ იყო სავსებით ჩამოყალიბებული.

ინგლისურ ლექსთწყობას იამბიკური რიტმი ახასიათებს. იამბი, რომელიც უჩვეულოა ქართული ლექსისათვის, ყველაზე მეტად ღირებული ტერფია დასავლეთ ევროპის ენებზე დაწერილ ლექსებში და, კერძოდ, ინგლისურ ლექსში. სულ უკანასკნელ ხანამდე იამბიკური პენტამეტრი ანუ ინგლისური გმირული ლექსი იყო ტრადიციულად მიღებული, როგორც ყველაზე შესაფერისი ფორმა გმირულ თემებზე დაწერილი ლექსისათვის. თავისთავად ბუნებრივია, რომ იმან, ვინც მხოლოდ ინგლისური იცის და არ იცის ქართული, იფიქროს, იამბიკური პენტამეტრი ანუ ათმარცვლიანი იამბიკური ტერფით დაწერილი ლექსი რუსთაველისათვისაც შესაფერისი ფორმა იქნებოდა.

შეიძლება ითქვას, რომ შეუძლებელია ქართული ლექსის მეტრის შენარჩუნება თარგმანში და ამის ცდა ერთგვარად დიდი გაბედვაა.

როგორც ცნობილია, ანტიკური ლიტერატურის მთარგმნელების უმრავლესობას, როგორიცაა ალექსანდრე პოუპი (1688—1744), ჯონ დრაიდენი (1631—1700), ედუარდ დერბი, გამოყენებული აქვთ ინგლისური პენტამეტრი — თეთრი ან გარითმული ლექსით. ეს ტრადიციულად დამკვიდრებული იყო მე-19 საუკუნის ბოლომდე. ამას ყველაზე უფრო შესაფერისად მიიჩნევდნენ იმ ამაღლებული და გმირული თემებისათვის, რაც შექსპირმა და მილტონმა გამოიყენეს თავიანთი უკვდავი ნაწარმოებისათვის, და ამის გათვალისწინების შედეგად ეს მეტრი თითქოს ყველაზე შესატყვისი ფორმა უნდა იყოს ინგლისურში რუსთაველის პოემისათვისაც.

ასეთი მეტრითაა გამართული ჯონ მილტონის (1608—74) ეპიკური პოემა „დაკარგული სამოთხე“, ჯონ დრაიდენის მიერ თარგმნილი ვირგილიუსი და ალექსანდრე პოუპის მიერ თარგმნილი ჰომეროსის პოემები.

„ოდისეას“ ინგლისური თარგმანი, შესრულებული ჯორჯ ჩეპმენის მიერ, არის დაწერილი თოთხმეტმარცვლიანი ლექსით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარგმანი შედარებით მაღალი ღირსებისაა. ჯონ დრაიდენი, ვინაც ინგლისური ეპიკური ზომით თარგმნა „ენეიდა“, აკრიტიკებს ჩეპმენს (1559—1634), რომ მან ინგლისური თარგმანის ტრადიციას უღალატა. ჯონ კიტსი (1795—1821), ინგლისის ერთ-ერთი უდიდესი პოეტი, აღტაცებულია ჩეპმენის თარგმანით. თავისი აღტაცება მან გამოხატა ლექსში — „ჩეპმენის ჰომეროსისადმი“.

მიუხედავად ჰომეროსის ნაწარმოებთა ინგლისურ თარგმანების სიმრავლისა, ჩეპმენის თარგმანს დღესაც საუკეთესოდ მიიჩნევენ.

მაგრამ ყოვლად შეუძლებელია რუსთაველის ლექსის მუსიკალობა, მისი სიტყვიერი და აზრობრივი მასალის ინგლისური ეპიკური მეტრის ფარგლებში მოთავსება. განა შეიძლება რუსთაველის რომელიმე ეპიკური მეტრის ფარგლებში მოთავსება. განა შეიძლება რუსთაველის რომელიმე სტრიქონი, როგორიცაა მაგალითად: ბო-როტ-ს| სძლი-ა | კე-თილ-მან, | არ-სე-ბა | მი-სი| გრძე-ლი-ა | მოათავსო ათმარცვლიან ლექსში, როგორც არის —

To be | or not | to be, | that is | the huestion.

თუმცა მთარგმნელები ამ აზრისანი არიან, რომ გმირული პოემა, მიუხედავად ორიგინალის მეტრისა, ინგლისურად გადმოტანილი იყოს ინგლისური ტრადიციული გმირული ფორმით, მას შემდეგ, რაც ლონგფელომ თავის პოემებში—„ევანგელინა“, „ჰაიავათა“, „მაილს სტანდიში“ და სხვა — დაქტილური და ქორეული ტერფებისა, ანუ ინგლისური ჰეგზამეტრის გამოყენება სცადა, სხვა მთარგმნელები უკვე აღარ ზრუნავენ თავიანთ ლექსებს ტრადიციული ინგლისური ეპიკური ფორმა მიუსადაგონ. თავდაპირველად ამან გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ ლონგფელოს და ბევრ სხვას სწამდათ, რომ ასეთი რიტმული სტრიქონები თავიანთი დინჯი, დალმავალი და დარბაისლური კადანსით შესაფერისი იყო გმირული ხასიათის პოემებისათვის. ამის შემდეგ სხვა პოეტებმაც მიბაძეს ლონგფელოს და ახლა ძნელი წარმოსადგენია მათი დიდებული პოემები სხვა მეტრით იყოს დაწერილი.

როგორც ვიცით, ქართულ ლექსთწყობაში არჩევენ ქორეულ და დაქტილურ ტერფს. გავიხსენოთ, რომ ქორეული ტერფი ორმარცვლიანია, რომელთაგან პირველი მახვილიანი არის, ხოლო მეორე — უმახვილო. ყოველი ორმარცვლიანი სიტყვა ქართულ ენაში უთუოდ ქორეულია: სახ-ლი, კა-რი, მო-დი, წა-დი და ა. შ. ძირითადად, ქართული ლექსთწყობისათვის დამახასიათებელია დაქტილური ტერფი. იგი სამი მარცვლისაგან შედგება. პირველი მარცვალი მახვილიანია, ხოლო მეორე და მესამე უმახვილო:

რო-მელ-მან, ძა-ლი-თა, სამ-ყა-რო

ამის გამო გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ რუსთაველის რითმის დაცვა მთელი პოემის მანძილზე ინგლისურად ან რომელიმე ევროპულ ენაზე ყოვლად შეუძლებელია. ინგლისურ ლექსში არამცთუ სამმარცვლიანს, არამედ ქალურ (ე. ი. ორმარცვლიან) რითმასაც იშვიათად ვხვდებით. მოკლედ, ქართულისა და ინგლისური ლექსთწყობის სისტემათა სხვაობა ინგლისურ თარგმანში ქართული ლექსისათვის დამახასიათებელი ყოველგვარი რიტმის გადატანას შეუძლებელს ხდის.

ლექსი ხომ მჭიდროდაა დაკავშირებული თვით ენასთან. ინგლისური ენა, მიუხედავად იმისა, რომ იგი ჰიბრიდული ენაა, მაინც თავისი შინაგანი სტრუქტურითა და გრამატიკით ეკუთვნის ტევტონურ ენათა ჯგუფს (ძველ საქსურ შტოს). ინგლისურ პოეზიაში ჭარბობს ტევტონური ელემენტები, მაშინ როცა ფილოსოფიური და მეცნიერული ხასიათის ნაწარმოებებში ჭარბობს რომანული ელემენტები და სწორედ ეს ანგლოსაქსური სიტყვები, რომლებიც ინგლისური ენის საფუძველია, არის მეტწილად მოკლე, უბრალო და კონკრეტული, როგორც — go, love, come, sit. ერთ-ორმარცვლიანი ტერფები და სიტყვები თავისთავად ითხოვს ერთმარცვლიან რითმას.

ინგლისური ენის სპეციალისტები და ენათმეცნიერნი დაბეჯითებით მოითხოვენ, რომ გამოყენებულ იქნას მოკლე სიტყვა, ანდა, სხვანაირად რომ ვთქვათ, საქსური სიტყვები, თავიანთი ბუნებით მოკლენი რომ არიან და გარდა იშვიათი შემთხვევებისა ხასიათდებიან ერთმარცვლიანი რითმით:

And there will I keep you for ever,
Yes, for ever and a day,
Till the walls shall crumble to ruin.
And moulder in dust away.

H. W. Longfellow.

One of my wishes is that those dark t r e e s,
So old and firm they scarcely show the
b r e e z e,
Were not, as 'twere, the merest mast of
gloom,
But stretched away into the edge of d o o m.
Robert Frost.

პერსი შელის „ისლამის აჯანყება“ შედგება ოთხი ათას რვაას ოცდაექვსი გარითმული სტრიქონისაგან: ამათგან არა უმეტეს სამასი სიტყვისა ორმარცვლიანია. ჯონ დრაიდენის პოემა — „ენტიმიონი“ შედგება დაახლოებით სამი ათას სამასი სტრიქონისაგან, აქ კი გარითმულ სიტყვებს შორის დაახლოებით ას ორმოცდაათი სიტყვა ორმარცვლიანია, არც ერთი წყვილი რითმისა დაქტილური ან სამმარცვლიანი არ არის. დანარჩენი გარითმული სიტყვები ერთმარცვლიანია, ე. ი. ვაჟური რითმა.

ინგლისურ პოეზიაში, თუ არ შემთხვევით, არ გვხვდება ისეთი რითმები, როგორიცაა —

| | |
|---|---|
| მოისმინებდა | დილისა |
| მოიწყინებდა | მშვიდისა |
| მოილხინებდა | ხიდისა |
| თინათინებდა | კიდისა |

დაქტილური რითმა იმდენად შეუფერებელი და შეიძლება ითქვას შეუძლებელი აღმოჩნდა ინგლისურისათვის, რომ ლონგფელომ (1807—1882) მისი ბევრი პოემისათვის სტრიქონთა ბოლოში დაქტილური ტერფის მიღების მიზნით სრულიად თქვა უარი ჩვეულებრივი წესით ლექსის გამართვაზე და თეთრი ლექსი გამოიყენა. ლონგფელოს „ევანგელინა“ იმდენად უცხო იყო ინგლისელი მკითხველის ყურისათვის, რომ იგი კრიტიკის საგანი გახდა. ლონგფელოს სჯეროდა და გრძნობდა, რომ გრძელი რითმული სტრიქონები — თავისი დარბაისლური კადანსით — ყველაზე შესაფერისი ფორმაა პოეტის სულიერი განწყობის, მისი აზრების გამოსახატავად. დაქტილური სტრიქონი მოითხოვს დაქტილურ ანდა ქალურ რითმას. უხეში და ტლანქი იქნებოდა ასეთი ლექსი ერთმარცვლიანი სიტყვით რომ დამთავრებულიყო და ამიტომაც, ვინაიდან ინგლისური ენა ღარიბია დაქტილური და ქალური რითმებით, ლონგფელომ შეგნებულად იხმარა თეთრი ლექსი, რათა სტრიქონის უკანასკნელი ტერფი ქორეულით დაემთავრებინა.

ჰეგზამეტრს თავისი გრძელი რითმული სტრიქონითა და დალმავალი მოძრაობით ბევრი საერთო აქვს ქართულ ლექსთან. ჰეგზამეტრის გამო ლორდ ედვარდ დერბი „ილიადას“ მის მიერ შესრულებული თარგმანის წინასიტყვაობაში წერდა: „ჰეგზამეტრი არის ყოვლად მიუღებელი მეტრი“. მას კი ნახმარი აქვს ათმარცვლიანი იამბი. სწორედ ამ დროს გამოქვეყნდა ლონგფელოს „ევანგელინა“. მან დაამტკიცა ერთხელ და საბოლოოდ ინგლისური ჰეგზამეტრის სიმდიდრე, დიდებულება და მოქნილობა. ეს მეტრი დღეს უკვე მიღებულია ინგლისურ პოეზიაში, როგორც მშვენიერი პოეტური მემკვიდრეობა. ლონგფელომ და ბევრმა სხვა პოეტმა (ტენისონი, ედგარ პო) ჰეგზამეტრი იმდენად დამაჯერებლად გამოიყენეს, რომ ლექსის ეს სახეობა უკვე დამკვიდრდა მყარ ინგლისურ პოეტურ მემკვიდრეობაში. ამ მეტრით შესრულებული მათი ნიმუშები აღიარებულია, როგორც ინგლისური პოეზიის ბრწყინვალე შედევრები.

ჰეგზამეტრით და ქორეით დაწერილი თეთრი ლექსი ერთადერთი მეტრია, რომელიც არ შეურაცხყოფს რუსთაველის პოემას. ის მიედინება დიდებულად, მოქნილად, ადვილად ეგუება პოემის სულსა და განწყობას და, რაც მთავარია, ის რუსთაველის მეტრს მისთვის დამახასიათებელ დინამიურობას უნარჩუნებს.

ინგლისში ყოფნის დროს სავსებით დამტკიცდა, რომ ჩემი არჩევანი სწორი იყო. წაღებული მქონდა რუსთაველის პოემის ინგლისური თარგმანის ორი ვარიანტი: ერთი — შესრულებული ინგლისური ტრადიციული ლექსით, ე. ი. დაწერილი ათმარცვლიანი გარითმული იამბით, მეორე კი — თექვსმეტმარცვლიანი ჰეგზამეტრით, ე. ი. დაქტილური და ქორეული ტერფებით და ორ-სამმარცვლიან რითმით (თეთრ ლექსად). ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ ეს მეტად შეეფერებოდა რუსთაველის დიდებულ ლექსს, მაგრამ ვშიშობდი, როგორ მიიღებდა მას თანამედროვე ინგლისელი საზოგადოება. პოემა წაიკითხა ბევრმა მოწინავე ინგლისელმა პროფესორმა, მოდერნისტმა პოეტებმაც და თავისუფალი ლექსის მიმდევრებმაც. პროფესორმა მორის ბაურამ, ლორდ ჩარლზ სნოუმ, პროფესორმა დევიდ ლანგმა, ალან სილიტოუმ, ჯეკ ლინდსეიმ, რობერტ სტივერსონმა, პამელა ჯონსონმა, კევინ კროსლი-ჰოლანდმა და სხვ. ერთხმად აღიარეს, რომ მხოლოდ ჰეგზამეტრითა და ქორეით შეიძლება შენარჩუნებული იქნას პოემის სიდიადე, დარბაისლობა და მისი მუსიკა. ამას მოწმობს მათ მიერ გამოქვეყნებული მრავალი წერილი ამერიკაში, ინგლისსა თუ საფრანგეთში.

□

# იოან გრიგორესკუ

თარგმნა სოსო ჯაიჯაძემ

## ჯუჯყიანი სამოთხე

1972 წლის ივნისში მსოფლიოს ას ცამეტი ქვეყნის რამდენიმე ათას წარმომადგენელთან ერთად სტოკჰოლმში ბუნების დაცვის კონფერენციას ვესწრებოდი.

გულისყურით ვაკვირდებოდი ფოლკეტს ჰუსის ამფითეატრზე შეფენილ სხვადასხვა ფერისა და ეროვნების ადამიანებს და თვალწინ მესახებოდა მთელი დედამიწა, ამ ბოლო წლებში კიდით-კიდემდე რომ შემოვიარე: თითქოს კვლავ ვმოგზაურობდი აზიის ამტვერებულ გზებზე, ამერიკის ავტოსტრადებზე და ატლანტიკის ცისფერ სივრცეებში, რომლის ზედაპირზე ევროპისაკენ პირმიქცეული უზარმაზარი თბომავალი სიბინძურის უსასრულო კუდს მიითრევდა; თითქოს ისევ დავსეირნობდი პარიზის ბულვარებში, კალკუტის ეგზოტიკურ ქუჩაბანდებსა და ჯაკარტის კულებში, გადავყურებდი რაინის წყლით მოწამლულ თევზთა ქარავნებს, ვეფერებოდი ბერლინის ცაცხვების მოშუშებულ იარებს, ვტკებებოდი დალმაციის ხანახებით, ნავებით დავცურავდი ფინეთის ტბებში, ვისლის ტალღებში ვირწეოდი ან კასპიის მარილოვანი ქერქით ვიმოსებოდი... და კვლავ ვახარებდი თვალს კუნძულ ბალის ქალიშვილთა სილამაზით, ავდიოდი როტერდამის ხომალდთა გემბანზე, მოციმციმე მტვერს ვაროვებდი ანტვერპენელ ალმასის ოსტატთა სახელოსნოებში, ვოცნებობდი პელოპონესის ზეთისხილის ბაღებში, ვიცრემლებოდი ხიროსიმას გადაბუგულ მიწაზე... და ჩემს თავს ვეკითხებოდი: ნუთუ მართლა დასნეულდა ჩვენი დედამიწა? ჯერ მხოლოდ მოახლოებული ავადმყოფობის ნიშნები აღმოვაჩინეთ თუ დაავადებამ უკვე ღრმად გაიდგა ფესვი და ახლა მწვავე შეტევებს უნდა ველოდეთ? ავადმყოფის მოსარჩენად ჰომეოპატიური წამლებიც კმარა თუ საფუძვლიანი მკურნალობაა საჭირო?

ვიღაცას უთქვამს, ჩვენი დედამიწა კოსმოსური ხომალდია და მცირე მარაგი გააჩნია, ხომალდზე კი ოთხ მილიარდამდე კოსმონავტია და მათ გონიერებასა და შეგნებაზეა დამოკიდებული ფრენის წარმატებაო...

და, აი, გაჩნდა ახალი ზმნა — „გაჭუჭყიანება“. იგი მოქმედების გამომხატველ ყველა სხვა ზმნის დარად იუღლება: „მე ვაჭუჭყიანებ“, „შენ აჭუჭყიანებ“, „ის აჭუჭყიანებს“, „ჩვენ ვაჭუჭყიანებთ“, „თქვენ აჭუჭყიანებთ“... მაინც ვინ აჭუჭყიანებს? ისინი აჭუჭყიანებენ!.. „ისინი“, რადგან არაფერს ასე ზედგამოჭრილად არ ესადაგება ჟან-პოლ სარტრის თქმა: ჯოჯოხეთი — ეს არის ყველაფერი დანარჩენიო, მაგრამ კაცობრიობა განტევების ვაცს ხომ არ დაეძებს?

**ვინ მოიგონა** ყველასათვის თავზარდამცემი

ეს სიტყვა? რატომ გვაშფოთებს იგი ისევე, როგორც სიტყვა „ომი“? რატომ გაისმის მილიარდობით ადამიანის ერთსულოვანი ძახილი: „SOS! ბუნება იღუპება!“ რა არის ის საშინელი ძალები, ადამიანს რომ გაუღვიძებია და დედამიწაზე სიცოცხლის დღეგრძელობას საჭოჭმანოდ ხდის?

1971 წლის 11 მაისს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა თავის შტაბ-ბინაში მიიღო ოცდასამი ქვეყნის ორი ათას ორასი მეცნიერის მიმართვა, შედგენილი „პლანეტა ტერას“ სამმილიარდნახევარი მცხოვრების სახელით. ეს იყო გაფრთხილება „გარდაუვალი საფრთხის“ გამო, კაცობრიობას რომ ემუქრება. ამ მიმართვას ხელს აწერდა მსოფლიოს ბევრი უბრწყინვალესი მეცნიერი, მათ შორის ნობელის პრემიის ოთხი ლაურეატი.

„კაცობრიობამ შეიგნო, რომ დედამიწაზე და მის გარშემო არსებულ ფიზიკურ და ბიოლოგიურ ელემენტთა თანაფარდობა მერყევია და ჩვენგან დაწყებულმა უდიდესმა ტექნოლოგიურმა შეტევამ იგი არ უნდა დაარღვიოს. საერთო ძალით წინ უნდა აღვუდგეთ იმ დიდ საშიშროებას, კაცობრიობას დალუპვით რომ ემუქრება. სიცოცხლის გადარჩენა მხოლოდ ყველა ეროვნების ადამიანთა ერთიანი სულისკვეთებით შეიძლება...“

ყველა მატერიკის მეცნიერები ერთხმად აცხადებენ: „თუ მომდევნო ათწლეულებში ტექნიკურად ცივილიზებული ერები თავგამოდებით არ იზრუნებენ ბუნების გადასარჩენად, მერე გვიანღა იქნება. ან დავიცვათ ბუნება გაჭუჭყიანებისაგან, თუ არადა დავიღუპებით“.

* * *

„შეგნებული გვაქვს თუ არა, — ამბობს ცნობილი იტალიელი ბიოლოგი მარიო ჰავანი, — რომ თანამედროვე სამყაროს შეუძლია შექმნას მავნებლებთან საბრძოლო ყოველგვარი ქიმიური პრეპარატი, მაგრამ იგი ვერასოდეს შექმნის თუნდაც ერთ ქინქლას“.

— 1970 წელს თქვენ სწავლობდით ადამიანსა და ბუნებას შორის არსებულ აშკარა უთანხმოებებს, რაც ამ უკანასკნელ ასწლეულში გაშლილ, ეგრეთწოდებულ „მშვიდობიან ბიოლოგიურ ომს“ ახლავს. თქვენი აზრით, ამ უცნაური „ეპოპეის“ რომელი ეტაპია განსაკუთრებით საგულისხმო?

— თუ არ გავიხსენებთ ზოგიერთი ცივილიზაციის ამბავს, მაგალითად, მესოპოტამიისას, — საკუთარი ეკოლოგიური სისტემის განადგურებამ რომ იმსხვერპლა, და უფრო ახალ დროებაზე ვილაპარაკებთ, მე, მაგალითად, მადაგასკარის ტრაგედიას ვიტყოდი. ოდესღაც კაცი იფიქრებდა, სწორედ აქ, იშვიათი ფლორითა და ფაუნით გამორჩეულ კუნძულზე უნდა იყოს ამქვეყნიური სამოთხე, — ბუმბერაზი ცხოველებით მდიდარი უსიერი ტყეები, რბილი, მუდამ საგაზაფხულო, სალისიანი ჰავა, მრავალრიცხოვანი მოსახლეობა, ყოველ ორ წელიწადში რომ ორჯერ მეტად იზრდება. ეს მაშინ, როცა მთელ დედამიწაზე ორმაგი მატების ნორმა საშუალოდ ოცდაათი წელიწადია — და აი, ამ „სამოთხეში“ ადამიანისა და ბუნების კონფლიქტი ისე გამწვავდა, რომ ტყეების ოთხმოცი პროცენტი სრულიად აღიგავა პირისაგან მიწისა, დანარჩენი კი საგალალო დღეშია: უწინდელი დაბურული ტყეების ადგილას ქაცვნარითა და ბირკავებით გაოხრებული სავანები გაჩნდა, მიწა გაუდაბურდა, წყაროები დაიშრიტა, ცხოველები გადაშენდნენ. სავანები, ყოველ წელიწადს ცეცხლს რომ უკიდებენ, რათა საძოვრებად აქციონ, წვიმიანობისას წყალდიდობით წაილეკება ხოლმე. მერე კი გაისმა განწირული ყვირილი, ვუშველოთ მადაგასკარს, თითქოს ოკეანეში გზადაბნეული სომალდი ყოფილიყოს, სადაც შვიდი მილიონი კაცი სარჩოს უკანასკნელ ნამცეცებს იზოგავდა. შემდეგ რა მოხდება? ჩაიძირებიან თუ გადარჩებიან? ამ დროს კი სულ ახალი და ახალი ქვეყნები იმავე დღეში ვარდებიან, ზოგჯერ კი უარესიც ემარდებათ, ვითომ ერთი მაგალითი არ კმაროდეს საიმისოდ, რომ ადამიანებმა ჭკუა ისწავლონ და ბუნებას უფრო მოკრძალებით მოექცნენ.

— კი მაგრამ, ადამიანი ხომ მუდამ უკეთესს მიელტვის?

— რა თქმა უნდა, ოღონდ ყოველთვის არ იცის, საწადელს როგორ მიაღწიოს. ხშირად, ბუნების კანონთა უცოდინარობის ან უგულვებელყოფის გამო, კაცი ამ თავის ლტოლვას ბოროტებად აქცევდა. იტალიაში, კუნძულ სარდინიაზე, თხებმა და ადამიანთა დაუდევრობამ იმსხვერპლა ტყე. პერუში, ტიტიკაკას ტბის სანაპიროზე მოსახლე ხალხის მთავარი სარჩო თევზია. და აი, ტბაში თევზის გასამრავლებლად ხალებიანი კალმახი მოაშენეს. შედეგი? განადგურდა ადგილობრივი ჯიშები, გაღატაკდა მოსახლეობა, რადგან უცნობი თევზის დასაჭერი მოწყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბილობა არ ჰქონდათ... 1872 წელს იამაიკაზე შემოიყვანეს მანგუსტი — ღორმუცელობით განთქმული პატარა ძუძუმწოვარი ცხოველი, ქვეწარმავლებისა და მღრღნელების დაუძინებელი მტერი. მოსახლეობას უნდოდა ამით აღეკვეთა შაქრის პლანტაციებში თაგვების თარეში. ათ წელიწადში მანგუსტები ისე მომრავლდნენ, რომ კუნძულზე ქვეწარმავლების, ფრინველებისა და კიბორჩხალასნაირი ცხოველების ნასახიც კი არ დარჩა, ხოლო შეშინებული თაგვები ხეებზე ამვრნენ. ან კიდევ მეორე შემთხვევა: ცეცხლოვან მიწაზე, სადაც უზარმაზარი ფეხდაუდგმელი ტყეები იყო, 1950 წელს კანადიდან გადმოასახლეს რამდენიმე წყვილი თახვი. აქაური ბუნებრივი პირობები მათთვის ზედგამოჭრილი გამოდგა და რაკიღა არც ადამიანები უშლიდნენ ხელს, გალაღებული მღრღნელები დაფაცურდნენ და აურაცხელი კაშხალი ააშენეს. ხე-ტყე თავზე საყრელად ჰქონდათ, არც ცივი მდინარეები აკლდათ და სულ მალე მორებისაგან აგებულმა კაშხალებმა ისეთი წყალდიდობა გამოიწვია, რომ კინალამ მთელი მხარე დაიქცა. არგენტინელმა მეტყევეებმა კაშხალების აფეთქება დაიწყეს, მაგრამ საქმეს ვერც ამან უშველა. აგერ უკვე ოცი წელია, თავგამოდებით ეძებენ თახვების ბუნებრივ მტერს და ჯერაც ვერ მიუკვლევიათ. იმავე არგენტინაში, ნუელის ტბის შუაგულში, არის ოთხი ათასი ჰექტარი ფართობის კუნძული — ვიქტორია, რომლის სამი მეოთხედი გაუვალი ჯუნგლებითაა დაბურული. ბიოლოგებს ეს კუნძული „მეცნიერების ტაძრად“ მიაჩნდათ. ოცი წლის უკან, ვიდრე კუნძულს ეროვნულ პარკად გამოაცხადებდნენ, აქ ჩამოიყვანეს რამდენიმე ცალი ევროპული ირემი. რაკი აქ ბუნებაც შესაფერისი იყო და აღარც ტრადიციული მტრები ჰყავდათ, ირმები სწრაფად გამრავლდნენ და რამდენიმე წელიწადში მთელ კუნძულს მოედვნენ — ჯერ ველ-მინდვრები გადაჭამეს და მერე მთელი ტყეები გადაკორტნეს. მაშინ ბიოლოგებმა ამერიკული პუმის გადმოსახლება მოინდომეს, მაგრამ, შეშინებულებმა, მალე ხელი აიღეს განზრახვაზე, რადგან არ იცოდნენ, რით ავნებდა ეს ნაბიჯი კუნძულის დანარჩენ ფაუნას. ტყესთან ერთად რამდენიმე ჯიშის ცხოველიც იღუპებოდა, ამიტომ ერთადერთი ხსნა ტყვია იყო და დაშვებული შეცდომის გამოსასწორებლად ადამიანებმა ირმების მასობრივი განადგურება დაიწყეს. მაგრამ, საბწუხაროდ, ევროპული ირემი ანდების ტყეებში გადავიდა, სადაც მათთან ბრძოლა გაცილებით ძნელია, ვიდრე კუნძულზე. ახლა პატაგონიის მთათა კალთებზე ნელ-ნელა, მაგრამ შეუჩერებლად მოცოცავს უდაბნო, ეროზია შეუბრალებლად აწყლულებს ნიადაგს, ბობოქრობენ ნიაღვრები, სიცოცხლე თანდათან კვდება...

— და მაინც ბიოლოგიური საშუალებები შხამქიმიკატებზე უკეთეს საშუალებად ითვლება...

— დასავლეთში შხამქიმიკატების უკეთესობაზე სარეკლამო ხმაურით დაყრუებული გლეხები მათ ყველაფერში განუკითხავად იყენებენ და იმას კი არ უკვირდებიან, რომ ამით მავნებელ მწერებთან ერთად სასარგებლოსაც მუსრს ავლებენ.

— აბა რა უნდა ვქნათ?

— განათლების კულტურის დონე უნდა ავამაღლოთ. მავნებელთა ბუნებრივი მტრები უნდა დავიცვათ, ქიმიური საშუალება კი მაშინ უნდა გამოვიყენოთ, როცა სხვა ხერხი აღარ ჭრის. მაგრამ ამ შემთხვევაშიაც გონივრული შერჩევაა საჭირო.

— როგორ, „ბრმა“ შხამქიმიკატებიც არსებობს?

— რა თქმა უნდა. მაგალითად დდტ. კუნძულ ბორნეოზე ამ შხამქიმიკატს მალარიის კოღოს — ანოფელესის მოსასპობად იყენებდნენ და ერთხელ მთელი კატები გაწყდნენ, რადგან დდტ-თი დახოცილ კოღოებს ხვლიკები ჭამდნენ. ამ ხვლიკებზე კიდევ კატები ნადირობდნენ. გამრავლდნენ თაგვები, სოფელს მოედვნენ და გლეხობას აუწონელი ზარალი მიაყენეს. საჭირო შეიქნა კატების შემოყვანა და ყველაზე მიუვალ ადგილებში პარაშუტებით ჩამოშვება. ამ უკიდურეს ღონისძიებას უნდა აღედგინა ადამიანის „სასწაულმოქმედი“ ჩარევით დარღვეული ბიოლოგიური თანაფარდობა.

* * *

... ორი-სამი გოჯის სისქე ფენა თუ იქნება, მეტი არა, რამდენიც სახნისს უნდა, ხნული რომ გაავლოს. ზოგჯერ უფრო ნაკლები — რაც მარცვალს ყოფნის ფესვის გასადგმელად. და ისიც დედამიწის მთელ ზედაპირზე კი არა, ხმელეთის მხოლოდ თხუთმეტ პროცენტზე. იგი გვაპურებს ჩვენ; ორი ათასი წლის უკან სამ მილიონ კაცს ინახავდა, დღეს კი სამნახევარი მილიარდი ადამიანი უნდა არჩინოს. ამ შავ თუ ყომრალ ფენას ვუკავშირებთ ცნებას, ეს ცნება თვით სიცოცხლის სინონიმია — „ნაყოფიერება“. ნიადაგი, არსობის პურს რომ გვაწვდის, ლითოსფეროს, ატმოსფეროსა და ბიოსფეროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრავალათასწლოვანი ურთიერთზემოქმედებითაა წარმოქმნილი. იგი ორგანული და არაორგანული მატერიების შერწყმის, მზის, ქარის, წვიმის მოქმედებისაგან ქანების დაშლისა და ყოველივე იმის მიცერაციის შედეგია, რაც ამ ფენაში იბადება, იზრდება, კვდება. მცენარეული სამყაროს ფოტოსინთეზი—მზის ენერგიის ქიმიურ ენერგიად გარდაქმნის ჯადოსნური პროცესი არის მატერიის მირიად ფორმათა შექმნის პირველი ეტაპი. ვითომ მართლა განუსაზღვრელია ეს ფორმები? ასე მეგონა, ვიდრე არ მივხვდი, რომ თურმე ოდესმე ბუნებაც კი დასაპყარდება, რომ კვლავწარმოების კლასიკური ციკლი შესაძლოა დაირღვეს დედამიწის ბიოლოგიური თანაფარდობის რღვევის, სამყაროს ყველაზე გონიერი არსების — ადამიანის უხეში და მედიდური ჩარევის წყალობით.

„ადამიანი — ეს ამაყად ჟღერს“, — ამტკიცებდა გორკი. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ „ადამიანების მიწა“ არანაკლებ ამაყად ჟღერს, რადგან ამ თქმაში გამოსჭვივის სამყაროს მბრძანებლის ღრმა პასუხისმგებლობა ბუნების წინაშე. „ადამიანის მიწა“ — ეს არის მიწა ადამიანის სასიკეთოდ და არა სამტროდ. მიწა რომ ადამიანს ეკუთვნოდეს, თვით ადამიანიც უნდა ეკუთვნოდეს მიწას. საკუთრების სხვა ფორმა არ არსებობს.

ადამიანმა კარგა ხნის დაგვიანებით შეიგნო, რომ ბუნებასთან მეგობრულად უნდა ცხოვრობდეს, რომ მხოლოდ ბუნებისადმი მოკრძალებით შესძლებს კაცი მის დამორჩილებას. მაგრამ ის, თუ როგორ ცდილობდა ადამიანი ამ თვისებით ცხოვრებას, ნათლად ჩანს დედამიწის სხვადასხვა მხარის თავგადასავლებიდან. მესოპოტამია, ნილოსის ველი, კართაგენი, ცენტრალური აზია ოდესღაც საკაცობრიო კულტურის აკვნებად და მის მარადიულ სამკვიდრებლებად ითვლებოდა, მაგრამ იქ, სადაც ადამიანები ამქვეყნიურ სამოთხეს ხედავდნენ, დღეს უდაბურება მეუფებს.

რა თქმა უნდა, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ყოველივე ეს ღიდი ხნის ამბავია, ძველ ეპოქაში მოხდა; რომ ეს იყო ევოლუციების გარდუვალი პროცესები და მას შემდეგ არაფერი მსგავსი არ მომხდარა. უდაბნოები უკვე აღარ ჩნდება და დედამიწის ნაყოფიერებაც დაუშრეტელია.

სინამდვილეში კი აღმოსავლეთ აფრიკის რაიონებში ახლაც ბევრია ნიადაგის განუკითხავი ჩაგვრის, მიწის ბარბაროსული გაპარტახების, ბუნების კანონებთან შეუთანხმებელი მოქმედების მაგალითები. ნიგეერიის ჩრდილოეთიდან საჰარის უდაბნო ყოველწლიურად რამდენიმე კილომეტრს აპარტახებს და მოსახლეობას სამხრეთისაკენ მიერეკება. უნაყოფო ზონები თანდათან ავიწროებენ სახნავ-სათესებს ბრაზილიაში, მექსიკაში, ინდოეთში, მადაგასკარზე, ავსტრალიასა და ინდონეზიაში. სულ რაღაც ასი წლის წინ, როცა შორეული დასავლეთის ათვისება იწყებოდა, ჩრდილოეთ ამერიკაში ჩასული მოგზაურები პირდაპირ განაცვიფრა აქაური ნიადაგის პოხიერებამ. თანამედროვე სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ აშშ-ის მთელი ტერიტორიის მხოლოდ ორმოცი პროცენტია სახნავ-სათესად ვარგისი. ხუთასი ათას კვადრატულ კილომეტრზე მეტი მიწა — შვიდი საქართველოსოდენა ფართობი — დიდი გაჭირვებით მუშავდება, თხუთმეტი ათასი კვადრატული კილომეტრი კი საბოლოოდ შთანთქა უდაბნომ. საშინელი გვალვები ხრუკავს ნიადაგს, წარმოშობს მტვრის ღრუბლებს, მუსრს ავლებს ცხოველებს, აჩანაგებს მოსახლეობას. ამას ემატება უეცარი კოკისპირული წვიმები, „კატასტროფული წყალდიდობები ტბორავს უზარმაზარ ფართობებს, ანგრევს მრეწველობას, მოაქვს აურაცხელი ზარალი...“ და ისევ ამ ნიადაგზე მრუჯავი პაპანაქება ისადგურებს, რის მერეც უდაბნოა.

დღეს დედამიწის ზედაპირის მხოლოდ ათ პროცენტზეა ნაყოფიერი მიწები, საძოვრები, ბაღ-ვენახები. სავარგულების სიდიდით პირველ ადგილზეა საბჭოთა უკრაინა — მთელი ტერიტორიის 67 პროცენტი. საფრანგეთში სახნავ-სათესი ფართობი 45 პროცენტია, გდრ-ში 32,5 პროცენტი, აშშ-ში — 26,5 პროცენტი.

მკვლევარმა ალექსის გერენმა დაიანგარიშა, რომ ჩვენს საუკუნეში ეროზიამ გააპარტახა თითქმის ორი მილიარდი ჰექტარი დამუშავებული მიწა და საძოვრები. ეს მთელი ხმელეთის თხუთმეტი პროცენტია და ნაყოფიერი მიწების თითქმის ოცდაშვიდი პროცენტი.

მსოფლიო კულტურის ცნობილი მოღვაწეები — ოსბორნი, კარლსონი, ტეილორი, პაუსტოვსკი, შვაბი, ლეონოვი და სხვები გვაფრთხილებდნენ იმ საშიშროების გამო, რაც ტყეების გაჩანაგებას, ნიადაგის გამოფიტვას, წყლების გაბინძურებას ახლავს. მათ დაასკვნეს, რომ მეტი გასაჭირი, უპირველეს ყოვლისა, განვითარებულ ქვეყნებს ადგებათ.

მტვრის ქარბორბალები (1934 წელს მთელი ოკლაჰომა და ტეხასი უდაბნოდ რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქცია) ადამიანმა გამოიწვია სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მონოკულტურების შეუბრალებელი ექსპლოატაციით, მიწის გამოფიტვით, გამწირიანებით. მსოფლიოს ახსოვს დიდი „ცივილიზატორული პროცესი", ოკლაჰომასა და ტეხასის სოფლის მეურნეობის არნახული ნაყოფიერებით რომ აოცებდა კაცობრიობას, მაგრამ სწორედ ეს იყო ის ძძიმე ლახვარი, რომლის სამაგიეროც ბუნებამ ნახევარი საუკუნის შემდეგ გადაგვიხადა. 1882 წელს ამერიკის მატარებლებმა ველური დასავლეთის ტყეებიდან აშშ-ს აღმოსავლეთ სანაპიროს ქალაქებში შეზიდეს ბიზონების ორასი ათასი ტყავი. ერთი წლის მერე ტყეებში მხოლოდ ორმოცი ათასი ბიზონი დარჩა. კიდევ წელიწადიც და — სამასი. გულმოდგინე შრომა „დაგვირგვინდა"! და აი, ერთხელ 1934 წლის 12 მაისს უეცრად ამოვარდა გრიგალი, დაუბერა საშინელი ძალის გაზაფხულის ხორშაკმა ქარმა. იგი ორ დღეღამეს ბობოქრობდა; დღის სინათლე გაწყვდიადდა, მზეს მტვრის შავი ჭერი აეფარა და მნათობი ძლივს გასარჩევ სინსლივით წითელ დისკოდ იქცა. ხოლოროცა ქარი ჩადგა, ყველამ დაინახა, რომ კანზასის, ოკლაჰომას, ტეხასის ველ-მინდვრები თვალსა და ხელშუა გამქრალიყო — უზარმაზარ ფართობს გადაგლეჯოდა ცხოველმყოფელი ფენა, თითქოს ერთ ღამეში რკინის ჭანგებით აეხოჭნესო, და დარჩენილიყო მხოლოდ შიშველი ქვა. მტვრადქცეული ნიადაგი სამი ათას მეტრ სიმაღლეზე ავარდა და ასეული ათასობით კვადრატული მეტრი ფართობის მტვრის ღრუბელმა შეერთებული შტატების აღმოსავლეთ სანაპირომდე და ატლანტიკის ოკეანემდე მიაღწია. და ამ გრიგალის მიზეზიც მძვინვარე ქარიშხალი ან ნიადაგის დამნაცრებელი გვალვა კი არა, ადამიანის უმეცრება იყო.

ერთ დროს ადამიანმა გადაწყვიტა, ყველა ცხოველი, რომლის მოშინაურება ვერ შევძელი, მავნებელიაო. შემდეგ მიხვდნენ, რომ არც ყველა მოშინაურებული ცხოველია სასარგებლო და არც ყველა ველური — უსარგებლო. ოფიციალურ წიგნს, სადაც გადაშენების პირას მისული ცხოველთა ჯიშებია აღნუსხული, წითელ, უფრო ზუსტად „სისხლიან წიგნს" უწოდებენ. აქ ჩამოთვლილ ცხოველთაგან უმრავლესობა კატისებურია — ვეფხვიდან და ჯიქიდან დაწყებული ციცქნა ოცელოტამდე და მარგვამდე. ნუსხაში პირველია ბენგალური სამეფო ვეფხვი. ორმოცი ათასი სულიდან, 1930 წელს ინდოეთში, პაკისტანსა და ნეპალში რომ ცხოვრობდნენ, დღესდღეობით ოცი ათასიც აღარ ტარბა. კენიასა და ტანზანიაში ვეფხვისა და ჯიქის ტყავის გატანა აიკრძალა, სხვა ქვეყნებმა კი ბევრფასი ბეწვეულის შემოტანაზე მეთვალყურეობა გააძლიერეს. მაგრამ, ამის მიუხედავად, 1969 წელს ამერიკაში, 133064 ოცელოტისა და 9831 ვეფხვის დაუმუშავებელი ტყავი შეზიდეს. ინგლისს ყოველწლიურად 30 ათასი ოცელოტის ტყავი შემოაქვს. ოთხი დათვიც შეტანილია „სისხლიან წიგნში". მათზე განუკითხავი ნადირობა მთელ ჯიშს გადაშენებით ემუქრება. ერთ დროს მურა დათვებით განთქმულ იტალიის ალპებში ახლა ასამდე დათვი ძლივსღა დარჩა. ეს შემზარავი ნუსხა ძუძუმწოვართა სამასამდე სახეობას აერთიანებს.

— ჩვენს ეპოქაში საშუალება გვაქვს შევაჯამოთ ზოგიერთი შედეგი და გამოვიტანოთ მომავლისათვის სასარგებლო დასკვნა, — მეუბნება გამოჩენილი ფრანგი ნატურალისტი ჟან დორსტილი. — უეჭველია, ჩვენ ისტორიის გარდატეხის ეპოქაში ვცხოვრობთ. კაცობრიობას ათეულ-ათასობით წელი დასჭირდა, რომ მოსახლეობის ახლანდელი სიმრავლისათვის მიეღწია. მის გაორმაგებას მხოლოდ ოცდახუთმეტი წელიწადი მოუნდება. მაშასადამე, მალე გაცილებით მეტი „მომხმარებელი" ვვეყოლება, მაგრამ გაცილებით მეტი იქნებიან ისინიც, ვისაც დედამიწის გარდაქმნა შეეძლება. ჩვენ კარგად ვართ აღჭურვილნი, ვფლობთ უზარმაზარ ენერგიას და ბევრად უფრო სრულყოფილი იარაღი გვაქვს, ვინემ ჩვენს წინაპარს.

— მიუხედავად ამისა, თქვენი წიგნი „სანამ ბუნება არ დაღუპულა" — მარტო სათაურითაც კი საგანგაშო დაფდაფებს სცემს, ამასთანავე შინაარსშიც საკმაო სევდაა გარეული. ახლა თვალსაზრისი ხომ არ შეგცვლიათ?

განგაშის ხმები დღეს ყოველი მხრიდან გაისმის, მაგრამ რაკი მასების შეგნება ასე იზრდება, წინანდელი უიმედობა გარკვეული იმედის გრძნობამ გაგვინათა. რა თქმა უნდა, ბუნებასთან ჩვენი დამოკიდებულების შედეგები კვლავაც საძწუხაროა, მაგრამ უკვე გაჩნდა უკეთესი მომავლის იმედი, თუმცა საამაყო ბევრი არაფერი გვაქვს. ადამიანის მიერ ცხოველთა ბევრი ჯიშის გაქრობა ბუნების საშინელი ნეკროლოგია. საჭიროა უფრო ენერგიულად ვიბრძოლოთ პირველყოფილი ბუნების გადასარჩენად. მაგრამ თავდაპირველად ბუნებრივ რესურსებს უნდა ვუშველოთ, რათა ადამიანს ჰქონდეს საარსებო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შეგიძლიათ სანუგეშო მაგალითების მოტანა?

— რასაკვირველია. გარეულ იხვებზე მომჭირნე ნადირობა ამერიკაში, სელაპების დაცვა წყნარი ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში, პრიბილოვის კუნძულებზე. 1911 წელს ფიქრობდნენ, რომ ეს ცხოველები დასაღუპავად იყვნენ განწირულნი, დღეს კი ყოველწლიურად სამოცი ათას ძვირფას ტყავს ამზადებენ, თანაც ეს საქმე აქაური ხალხის ერთადერთი საარსებო წყაროა. რუსეთის სამხრეთსა და ცენტრალურ აზიაში მობინადრე საიგებს ჯერ კიდევ ორმოციან წლებში, სრული გადაშენება ელოდათ, მაგრამ საბჭოთა მეცნიერებმა შეიმუშავეს მათი დაცვის ღონისძიებანი და ახლა ყოველწლიურად სამასი ათასი ცალის მონადირება შეიძლება ისე, რომ ამით მთელი სახეობის არსებობას არავითარი საფრთხე არ ემუქრებოდეს. ეს მაგალითები გვიჩვენებენ, რომ ჩვენ გვაქვს საიმისო ცოდნა და ტექნიკა, რათა საქმით უარვყოთ გაუბრალოებული მოსაზრება, რის თანახმადაც საჭიროა დედამიწის მთელი ზედაპირის გარდაქმნა და მხოლოდ იმ მცენარეთა და ცხოველთა ჯიშების გამოყენება, ადამიანმა ათასწლეულთა განმავლობაში რომ შეითვისა. ისე კი არ უნდა ვქნათ, რომ მთლიანად განადგურდეს პირველყოფილი ბუნება და ყველგან ნახნავებითა და ხელოვნური ველ-მინდვრებით შეიცვალოს, არამედ დედამიწის მთელი მრავალფეროვნება, ყოველი ზონის თავისებურება, ბუნების ნაირსახეობა უნდა შევინარჩუნოთ.

* * *

„დედამიწის ზედაპირის ყოველ კვადრატულ მეტრზე მოდის ათი ტონა ჰაერის ჭავლი, რის მეხუთედ ნაწილს ჟანგბადი შეადგენს, — გვიხსნის ფრანგი ეკოლოგი ლუსენ ბარნიე. — აი, თითქმის ათეული მილიონობით წელია ჟანგბადის ეს მარაგი არ იცვლება. დღესდღეობით სახმელეთო და საზღვაო ფლორა წელიწადში ამ მარაგის მხოლოდ შვიდი ათას მეხუთასე ნაწილს აწარმოებს და ეს ბუნებრივი პროდუქცია თითქმის მთლიანად ხმარდება დედამიწაზე სიცოცხლის უზრუნველყოფას, ნივთიერებათა ჟანგვისა და სამრეწველო დანადგარებში წვის პროცესებს. თუ გარემოს გაჭუჭყიანება გაგრძელდა, მაშინ უახლოეს ოც წელიწადში დიდი ჯაფა დაგვადგება შიდაწვის ძრავებში გამომუშავებული ნახშირორჟანგის გაზისაგან თავის დასაცავად. ნამდვილი საშიშროება მაშინ დადგება, როცა ჰაერში არსებული ჟანგბადის მთელი მასის ორ მესამედ ნაწილზე მეტს გავაჭუჭყიანებთ. ამის მერე ნახშირორჟანგი გამუდმებით დაემუქრება ადამიანის სიცოცხლეს“.

„მაგრამ სტრატოსფეროდან და ატმოსფეროს მაღალი ფენებიდან მიწაზე დავეშვათ და საკუთარი ფილტვებით ვიგემოთ დიდი ქალაქების მწარე, სულის შემხუთავი ჰაერი. სპეციალისტების დაანგარიშებით, — გვიყვება ქალაქ ბუდაპეშტის ადმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ლაიოშ შკოდა, — მარტო უნგრეთის დედაქალაქში ჰაერის გაჭუჭყიანებით მოტანილი ზარალი მილიარდ ფორინტს აღწევს. მაგრამ განა შესაძლებელია იმ ზარალის აღნუსხვა, რაც გაჭუჭყიანებას ადამიანთა ჯანმრთელობისათვის მოაქვს? ჩვენთვის, საქალაქო მეურნეობის მუშაკებისათვის, გაჭუჭყიანება უმნიშვნელოვანესი პრობლემაა და ძალ-ღონეს არ ვიშურებთ, რათა როგორმე გადავჭრათ იგი და ბუნებისა და ადამიანის ჰარმონიულ ურთიერთობას კეთილსასურველი ნიადაგი შევუქმნათ. ჩვენს დედაქალაქში ჰაერის გაჭუჭყიანების მთავარი წყაროა კვამლი და ქვანახშირის წვის შედეგად გამოყოფილი გაზები. 1960 წლამდე მრეწველობასა და გათბობის სისტემაში გამოყენებული საწვავის სამოცდაათი პროცენტი მურა ქვანახშირი იყო. გადაწყვეტილია, რომ უახლოეს თხუთმეტ — ოც წელიწადში რაც შეიძლება გავადიდოთ თბოცენტრალებისა და გაზმომარაგების ქსელი და ამის ხარჯზე თითქმის მთლიანად უარვყოთ მურა ქვანახშირი. მარტო ბუდაპეშტში ამ ბოლო ოთხ წელიწადში გაზით გათბობაზე გადაყვანილია ცამეტი ათასზე მეტი ბინა. ყოველდღიურად ათასამდე დიდი და მცირე ფაბრიკა ცაში აფრქვევს კვამლისა და გაზის ვეება მასას და ჰაერს წამლავს. 1945 წელს მთელი უნგრული მრეწველობის დაახლოებით ორმოცდაცამეტი პროცენტი ბუდაპეშტში იყო თავმოყრილი. ქალაქი თანდათან იზრდება და სამოცი-სამოცდაათი წლის წინათ გარეუბანში აშენებული ბევრი საწარმო ახლა ცენტრში მოექცა. გადავწყვიტეთ ზოგიერთი მათგანი ქალაქგარეთ გაგვეტანა. მაგალითად, 1966-70 წლებში ქალაქიდან გაიტანეს ქიმიური და მეტალურგიული მრეწველობის ორმოცდაცამეტი საწარმო. ახალ ხუთწლედში კიდევ სამოცდათხუთმეტი საწარმოს გატანაა განზრახული. დღეს ბუდაპეშტის წილი ქვეყნის მრეწველობაში მხოლოდ ორმოცდაერთ პროცენტს შეადგენს, ხოლო 1980 წლისათვის ოცდათხუთმეტ—ოცდათექვსმეტ პრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენტზე მეტი არ იქნება. ამ ღონისძიებათა სიკეთემაც მალე იჩინა თავი. იმ რაიონებში, საიდანაც საწარმოები გაიტანეს, ჰაერი შესამჩნევად გასუფთავდა. ამჟამად სპეციალისტები გულმოდგინედ ეძებენ საავტომობილო ტრანსპორტის ჭუჭყისაგან გარემოს დაცვის საშუალებებს. დადგენილია გამონაბოლქვი გაზების დასაშვები მოცულობის მტკიცე ლიმიტები და მკაცრი ნორმები. ამ ნორმების გადამჭარბებელ ავტომანქანებს აუქმებენ კიდეც. შორს არაა ის დღე, როცა ბუდაპეშტის ცა მოკრიალდება და დახუთულ ფილტვებს ცინცხალი, სუფთა ჰაერი დაგვიამებს“.

ორჯერ საკუთარ თავზე გამოვცადე სმოგის მხუთავი ზემოქმედება. ეს იყო ნიუ-იორკსა და ტოკიოში. ჩემი მოგზაურობა ერთსა და იმავე თვეს ნოემბერს დაემთხვა, მაგრამ ამ ორ შემთხვევას ერთმანეთისაგან შვიდი წელი აშორებს და ამბავიც დედამიწის ორ სხვადასხვა კიდეზე ხდებოდა. როცა ნიუ-იორკის სმოგი მანჰეტენს გუდავდა და დაცხავებულ ცარგვალში წვერგაყოფილი ზოგიერთი ცათამბჯენიღა თუ ხედავდა მზის სინათლეს, ტოკიო ჯერ არ იცნობდა ამ ახალშობილ სიტყვას. სმოგის რეკორდსმენებად ლოს-ანჯელოსი, ნიუ-იორკი და ლონდონი ითვლებოდნენ. „აპოლონ-8“-ს ქიმიდან გადაღებულმა ფოტოსურათებმა გვიჩვენა, რომ ამ უამურ პაექრობაში ტოკიო-ოსაკას ზონა დაწინაურდა. იაპონელი ეკოლოგები ამტკიცებენ: ორი ათასი წლისათვის იაპონია, რომლის ფართობი 27-ჯერ ნაკლებია აშშ-ზე, მას ჰაერის გაჭუჭყიანების დონით გაუთანაბრდებაო.

პარიზი, უპირველეს ყოვლისა, სენის აუზის საჰაერო დინებების წყალობით ჯერ-ჯერობით არ იცნობს ამ მოვლენას, მაგრამ უკანასკნელ ნახევარ საუკუნეში აქ მზიანი დღეების რიცხვმა ერთი მესამედით იკლო. ქალაქს მუდამ ახურავს ორი ათასი მეტრი სიმაღლისა და ოცი კილომეტრი სიფართის გაზის ფენა. ბოლო ხუთ წელიწადში ეს ფენა ოცდაათი პროცენტით გამკვრივდა. პარიზელები ფიქრობენ, რომ სანამ მთლად დაგვიანებული არ არის, კიდევ შეიძლება მისი თავიდან აცილება. ეს საქმე ყოველწლიურად 133 მილიონი ფრანკი დაჯდებოდა, ათჯერ იმაზე ნაკლები, რაც დასჭირდებოდა სმოგისაგან ხელოვნების ძეგლთა გადარჩენას. საფრანგეთის დედაქალაქის ჰაერში გაბნეული სპილენძის ჟანგი და სხვადასხვა საწამლავი ნივთიერებანი შხამიანი ქერქით ფარავს მარმარილოს ქმნილებებს. კარპოს ცნობილი სკულპტურული ფიგურა „ცეკვა“, პარიზის ოპერის ფრონტოპისს რომ აშშვენებდა, გაჭუჭყიანებამ დაღუპა, და იძულებულნი გახდნენ, იგი ასლით შეეცვალათ. 1967 წელს გამოქვეყნდა მოხსენება, სადაც ნაჩვენები იყო, თუ როგორ სპობს გაჭუჭყიანება პარიზის ხელოვნების დიად ქმნილებებს. აქ ლაპარაკი იყო ნოტრ-დამის ტაძრის, წმინდა კაპელის, პერ ლაშეზის სასაფლაოს ძეგლთა სერიოზულ დაზიანებაზე. ამის შემდეგ ნოტრ-დამის ტაძრის ყოველწლიურ სარესტავრაციო სამუშაოებზე ათეული მილიონობით ფრანკი იხარჯება. ამავე დღეშია ცნობილი კელნის ტაძარი. პადუაში ჯოტოს ფრესკას (XIV ს.) საავტომობილო ქარხნის კვამლით მოწამლული ჰაერის ზემოქმედება ანადგურებს, იშლება საღებავი და გრუნტი. ფლორენციაში გაჭუჭყიანების მთავარი მსხვერპლია პონტეფეკი, პიტის სასახლე და წმინდა ლავრენტის ბაზილიკა.

მაგრამ მარტო ძეგლები, ქვები, კედლები და საღებავი ხომ არ ფუჭდება! — იხუთებიან ჩვილი ბავშვები, სულს ველარ ითქვამენ ხანში შესულები. ლონდონში მარტო ერთ **დღეში.** სმოგისაგან მოკვდა 40 ათასი კაცი — ეს ციფრი მოსალოდნელი საყოველთაო კატასტროფის რეალობაზე მიგვანიშნებს.

ომის შემდეგ კაცობრიობას ახალი საფრთხე მოევლინა — ატმოსფეროში ატომგულური და ატომური ბომბების აფეთქებით ვამოწვეული რადიაქტიური ნალექები. ამით შეშფოთებულმა ადამიანებმა 1963 წელს დადეს ხელშეკრულება — ატმოსფეროში, სტრატოსფეროში და წყალქვეშ ატომური გამოცდების აკრძალვის შესახებ. შედეგმაც არ დააყოვნა. თანდათან მცირდება ხელოვნური რადიაციით ჰაერის გაჭუჭყიანება, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ შვიდწლეულში ორჯერ გაიზარდა ატომური ენერგიის მშვიდობიანი მიზნებით გამოყენება.

მაგრამ ამ დარგშიც ისე ხომ არ მოხდა, როგორც სხვაგან? ხომ არ დაგვიანდა? კაცობრიობამ მაშინ ხომ არ შეიგნო სიკვდილთან ასეთი დაუფიქრებელი თამაშის სავალალო შედეგი, როცა საქმეს აღარაფერი შველის?

ნათქვამია: რასაც დასთეს, იმას მოიმკიო... აშშ-ის მიწაზე არასოდეს ყუმბარა არ დაცემულა, მაგრამ ნიადაგის რადიაქტიურობა 10—12 მიკრორენტგენია, ანუ 15—ჯერ მეტი, ვიდრე ხიროსიმაში.

ნიუ-იორკის შტატში ჰენფორდის მიწისქვეშა საცავებში დამარხული მაღალი ენერგიის რადიაქტიური ნარჩენები რამდენიმე ასეულ ათას წელიწადს იკმარებდა, გვიყვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა ლორდ რიტჩ-კოლდერი. ამ ატომური „სასაფლაოების“ ნამდვილი არსი რომ შეენიღბათ, იგი „ატომურ ფერმებად“ მონათლეს. ზედმეტი სიფრთხილეა, რადგან მეოცე საუკუნის ამ გიზის მესაფლავეთა გარდა, არავის არა აქვს 650 კვადრატული მილის ფართობის აკრძალულ ზონასთან მიახლოების უფლება. მარტო ამ საფლავების მოვლა, ატომური ერის ფარაონები რომ განისვენებენ, ყოველწლიურად ექვსი მილიონი დოლარი ჯდება, ხოლო თვით მიწაში ჩაფლული პირამიდების ღირებულება მილიარდ დოლარამდეა. პოლიციელების ამალით გარშემორტყმულ ექვს-ექვს ტონიან ატომურ „ბალდახინებს“ სამუდამო განსასვენებელში მიაქვთ ნივთიერებები, სრულებით რომ არ ჰგვანან ადამიანის სიცოცხლისათვის უსაფრთხო გვამებს... გეგმის თანახმად 2 ათას წლამდე ჰენფორდის სასაფლაო 3 ათას ამგვარ ტრანსპორტს მიიბარებს, რის გამოც რადიაქტიურ ნარჩენთა რაოდენობა აქ მილიარდ კიურიმდე ავა.

აქვე მარხია რადიაციით მოწამლული მიწა, აგრეთვე ქვიშა, პალომარესის სანაპიროებიდან. რომ ჩამოიტანეს, სადაც ატომური ბომბდამშენი ჩამოვარდა და თავისი მომაკვდინებელი ტვირთი მიმოფანტა ესპანეთის ამ თვალწარმტაც კუთხეში. მოწამლული მიწა აფხიკეს, კონტეინერებში ჩატენეს და „ატომურ ფერმაში“ დაფლეს.

ოკეანეებში, ზღვებსა და ტბებში ყოველდღიურად ვყრით აურაცხელ ორგანულ ნარჩენებს, რის მოსანელებლადაც იხარჯება ჟანგბადი, რაც წყლის ფლორისა და ფაუნის ცხოველმყოფელობისათვისაა საჭირო. ამის გამო დედამიწის ყველა წყლებში თანდათან მცირდება ჟანგბადი. მაგრამ განსაკუთრებით საგანგაშო მდგომარეობა ნიუ-იორკის ყურეშია. მას უკვე მკვდარ ზღვას უწოდებენ. განა ეს არ არის იმის წინასახე, რაც გველის? არ არის „მოთბინებაავსებული“ ბუნების მრისხანე გაფრთხილება? სპეციალისტებმა დაიანგარიშეს, რომ თუკი დედამიწის ოთხმილიარდიანი მოსახლეობა მაინც არ დაიშლის ოკეანეში ორგანული ნარჩენების ჩაყრას, მაშინ წყლებში არსებული ჟანგბადი 6000 წელიწადში გამოილევა. მაგრამ 1980 წელს მოსახლეობა ხომ 4 მილიარდი იქნება, 2000 წელს — 12 მილიარდი. განა საჭიროა იმაზე ლაპარაკი, თუ რით ემუქრება ეს ბუნებრივ თანაფარდობას და, უპირველეს ყოვლისა, ჟანგბადის მარაგს?

ოკეანეებისა და ზღვების გაჭუჭყიანება იწყება მდინარეების მოწამვლით და გრძელდება მათში უშუალოდ ჩამდინარე სამრეწველო წყლებით. ამის მაგალითია რაინი. ჩვენს წარმოდგენაში ეს არის გასაოცარი სილამაზის მძლავრი ნაკადი. სათავეს იგი შვეიცარიის ყინულეთში იღებს. მის ნაპირებზე აღმართულია ძველისძველი ციხე-სიმაგრეები და გადაშლილია ვრცელი, მზიანი ზვრები. მაგრამ სინამდვილეში რაინი კარგა ხანია ევროპის სირცხვილად იქცა. მისი წყალი ისეა მოწამლული, რომ უკვე ნამდვილად დიდ საფრთხეს უქმნის სანაპიროზე მოსახლე ხალხს. და ეს საზარელი ბინძური ნაკადი ჩრდილოეთის ზღვაში ჩადის. თუ ასე გაგრძელდა, მალე მის მღვრიე ტალღებში თევზის ნასახიც აღარ დარჩება.

ტექნიკური პროგრესის უარყოფითი შედეგები უფრო თვალსაჩინო მაშინაა, როცა დედამიწის წყლის რესურსებზე ვლაპარაკობთ, — ამბობს საბჭოთა პროფესორი ნიკოლოზ გლადკოვი. — წყლის მოხმარება დღითიდღე მატულობს. როცა წყალს ჭიდან ვიღებდით, ერთ ადამიანზე 30—50 ლიტრა იხარჯებოდა. ონკანებიდან უკვე 80 ლიტრს ვიღებთ. როცა ოჯახებში თბილი წყალი და აბაზანები გაჩნდა, ეს ციფრი უკვე 150—200 ლიტრს აღწევს, ზოგიერთ ქალაქში 500 ლიტრსაც. მრეწველობა ხომ მთლად გაუმაძღარია. ერთი ტონა ბამბის გასარეცხად ექვსიდან ოცდაათ კუბომეტრამდე წყალია საჭირო, ტონა სინთეზური ქსოვილებისათვის 1500—3500 კუბური მეტრი. და თვით ეს ციფრები როდია ყველაზე საშიში, არამედ ის, რომ მრეწველობაში გამოყენებული და გაჭუჭყიანებული წყალი ისევ მდინარეებს უბრუნდება. იგი სავსეა ქიმიური ნივთიერებებით და მავნე მიკროორგანიზმებით, რაც მდინარეებისა და ტბების კვდომას იწვევს. ამ ცოტა ხნის წინ მიჩიგანის ტბის შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში მითითებული იყო, რომ ამ ტბის სიკვდილი 87 ქალაქისა და 118 სამრეწველო საწარმოს გაჭუჭყიანებული წყლის ნაკადებმა გამოიწვია. ახლა ყოველ ინდუსტრიულ ქვეყანას თავისი მკვდარი მდინარეები და ტბები აქვს. მათ არ გააჩნიათ ფაუნა და ფლორა. სიბინძურით სავსე მდინარეები არათუ მიწების მოსარწყავად, მრეწველობაში გამოსაყენებლადაც კი აღარ ვარგა. ისინი ავერანებენ საძოვრებს, აჩანაგებენ ტყეებს, წამლავენ ნიადაგს. მათგან არც ზღვებს აღგათ კარგი დღე. გარდა ამისა, ზღვებსა და ოკეანეებში სატვირთო გემებიდან ნარჩენების მთელი ნიაღვარი იქცევა. მარტო რეკორდულ 1966 წელს ზღვებსა და ოკეანეებში ჩაიღვარა 12

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილიონი ტონა ნავთობი, რაც საკმარისია საიმისოდ, რომ პლანქტონებისა და სხვა ცოცხალი არსებების დამღუპველი თხელი აფსკით დაიფაროს მთელი ატლანტიკის და ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანეები. ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ზღვები და ოკეანეები ყოველწლიურად 50 ათას ტონა ტყვიას, აურაცხელ მყარ ნაგავს, ატომურბრავებიანი გემების ნარჩენებს და მთელ ატომურ წყალქვეშა ნავებსაც კი ნთქავენ ისევე, როგორც, მაგალითად, ამერიკული ნავების „ტრეშერისა“ და „ლრიანკალის“ ტრაგიკული დაღუპვისას მოხდა.

... მსოფლიო ოკეანე, მზის ენერგიის ზემოქმედებისა და დედამიწის ცხოველმოქმედების უზრუნველმყოფ ციკლში მონაწილეობის წყალობით, თბორეგულატორის როლს ასრულებს. ეს, ერთი შეხედვით, მარადიული ციკლი თანდათან, მაგრამ შეუნელებლად ირღვევა. ტანკერ „ტორი კენიონის“ დაღუპვის შემდეგ კაცობრიობას არ ახსენებდა იმაზე ფიქრი, თუ რა მოხდებოდა, ზღვის ერთ-ერთ ატომურ გიგანტს — ნახევარმილიონი ტონა წყალწყვის ტანკერს თავისი ტვირთი ზღვაში რომ ჩაეყარა. ალუმინის კომბინატების ნარჩენებით წარმოქმნილი შლამი ხმელთაშუა ზღვის ჩრდილოეთი სანაპიროს სულ უფრო და უფრო მეტ ფართობს ფარავს. ცელულოზის წარმოებისას გამოყოფილი ვერცხლისწყლის შხამიანი მარილები ნაპოვნია იაპონიის, კანადისა და სკანდინავიის მატერიკულ შელფებზე. ატლანტიკის ოკეანემ 1970 წელს ჩაყლაპა 27 000 ტონაზე მეტი საწამლავი გაზი, რომლის უმცირესი დოზაც კი მომაკვდინებელია. იგი პენტაგონმა „სამხედრო უსარგებლობის“ გამო ჩაძირა. ბალტიის ზღვის ზედაპირზე ხანდახან ამოტივტივდება ხოლმე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩაძირული იპტირის ნარჩენები. ზღვის ფსკერზე უფრო მოსახერხებელი ადგილი „ომის ნაჯარბის“ დასამარხავად ვერ იპოვეს. ტროპიკებში მწერების წინააღმდეგ გამოყენებული შხამქიმიკატები არქტიკული სელაპების ხორცში აღმოჩნდა.

საიდან დაგროვდა ამდენი მომწამლავი ნივთიერება?

შხამქიმიკატების ციკლი კარგადაა შესწავლილი: იგი ადამიანიდან იწყება, როგორც შედეგი ბუნებაზე მისი ზემოქმედებისა, და ადამიანებშივე მთავრდება, როგორც ბუნებისგან გადახდილი სამაგიერო „ხიკვთე“. იაპონიის ჩრდილოეთის ტბებში თევზი საკვებად აღარ ვარგა, მაგრამ ადამიანები მაინც ჭამდნენ და ეს სითამამე ჯანმრთელობის ფასად დაუჯდათ. ტოკიოს ყურის ბინადარი ხამანწკები დიდხანს ჯიუტად უძალიანდებოდნენ ოკეანის ყავისფერი წყლის ზემოქმედებას და ბოლოს და ბოლოს იმდენი კადმიუმი დააგროვეს, რაც საკმარისია ადამიანის სასიკვდილოდ. ხიროსიმის ახლომდებარე პორტ კურაში წყალქვეშა ნავების ლითონი უკვე ველარ უძლებს ნავსაყუდელის წყალს. იაპონიის არქიპელაგის სამხრეთ ნაწილში ქიმიური საწარმოების მახლობლად მდებარე ფართობებზე ბრინჯის მოყვანას ტიტანურ შრომას ანდომებენ, მაგრამ მისი მარცვლები საკვებად უვარგისია — მათში მინია კი, ტყვია, კადმიუმია. მას შემდეგ, რაც რომში, ვენეციაში, გენუაში განგაშის ხმები გაისმა, გაჭუჭყიანებაზე ნეაპოლსა და პალერმოშიც ალაპარაკდნენ — ზღვა იღუპება! მილანსა და ტურინში, მდინარე ლომბარდიისა და პიემონტის გაჭუჭყიანების დონის გაზომვისას, ექსპერტებმა სერიოზული დაავადების სიმპტომები აღმოაჩინეს. კალიფორნიაში, „მედიცინის საერთაშორისო დღის“ ჩატარებისას, გამოირკვა, რომ ჰეპატიტის ეპიდემია, რაც ძალიან გახშირდა იტალიაში და, უპირველეს ყოვლისა, რომში, — მდინარეთა გაჭუჭყიანების ბრალია.

1970 წელს პენტაგონმა გადაწყვიტა ატლანტიკის ოკეანეში ჩაეძირა 418 ბეტონის "კუბო", მომწამლავი გაზით გატენილი 12.450 რაკეტა რომ „ესვენა“. მსოფლიომ შეიტყო ეს ამბავი, მთელი ამერიკა თვალს ადევნებდა, თუ როგორ მიღოღავდნენ „სიკვდილის მატარებლები“ სანაპიროსაკენ, სადაც მათ „ლიბერტი შიპი“ — დასალუპავად განწირული ხომალდი ელოდა. გზას ჯარის ნაწილები იცავდნენ, რკინიგზელები აირწინაღებით მუშაობდნენ, ყოველ ვაგონში დადგმული იყო გალია ზღვის ბოცვერებით, რათა შეემოწმებინათ, გაზი ხომ არ აპარებოდა. ტრანსპორტის მთელი გზა ხალხის დერეფანში გადიოდა — ადამიანები პროტესტს აცხადებდნენ ზღვაში ნელმოქმედი ბომბების ჩაშვების გამო. ტრანსპორტმა ძლივს მიაღწია სანი პოინტს. ისინი ფლორიდის აუზში „დაასაფლავეს“. კუბოებში კი იმდენი გაზია, რომ 6000 კვადრატულ კილომეტრზე სიცოცხლის ყოველგვარ ნიშანწყალს სპობს. ოკეანემ ეს მწარე ამბიც ჩაყლაპა, მაგრამ ვინ იცის, როდის ამოანთხევს მას!

დადგა დრო, როცა ადამიანმა გულდინჯად უნდა გამოიკვლიოს თავისი პლანეტა, შეაჯამოს ავი და კარგი, რაც განადგურდა და რაც ჯერ კიდევ არის. იგი ითვლის ცხოველთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადარჩენილ სახეობებს და ადარებს იმას, რაც ბუნებაზე მისი შეტევის დაწყებამდე იყო. ზომავს ტყეების ფართობებს და თავის თავს ეკითხება: კიდევ რამდენი ჟანგბადი დარჩა დედამიწაზე? იღებს ციფრს — 250 მილიონს. — ასეთია დღესდღეობით საავტომობილო გამოსაბოლქვი მილების რიცხვი. მან იცის, რომ ყოველი ავტომობილი 50.000 კილომეტრის გავლაზე ხარჯავს იმდენ ჰაერს, რაც ადამიანს მთელ წელიწადს ყოფნის. ადამიანს სასიცოცხლოდ სჭირდება ორი კვადრატული მეტრი მწვანე სივრცე. ანგარიშობენ, რამდენ ათეულ მილიონობით ტონას იწონის, საფაბრიკო მილების გამონაყოფი მყარი და თხევადი ნარჩენები, ზღვებსა და ოკეანეებში რომ ჩადის, და სულ უფრო ნათლად წვდებიან ჭეშმარიტებას, რომ ბუნების ნაბოძვარი სიმდიდრის დიდი ნაწილი უკვე ნაგავი შეიქნა, ხრწნადი, ლპობადი ნაგავი, რაც სამყაროს გაგუდვით ემუქრება.

სტოკჰოლმის კონფერენციის დროს ქუჩებში გამართულ ხალხმრავალ კრებებზე ისმოდა ერთ-ერთი ყველზე პოპულარული ლოზუნგი: „გვეყოფა კონსტანტაცია! არ გვინდა ამდენი დაპირება, საქმეს მივხედოთ! ეკოციდი ნიშნავს გენოციდს!“

ჩვენი საუკუნის მთავარმა სენმა მიიღო მრისხანე სახელი — „სინისტროზი“, „გაჭუჭყიანება“ მხოლოდ სიმპტომია. სინისტროზი, გარემომცველი ბუნების თვითგანადგურების ეპოქაში, პლანეტის მდგომარეობად გადაიქცევა. დიაგნოზი ერთადერთ გამოსავალს გულისხმობს: დედამიწაზე სიცოცხლის შესანარჩუნებლად საჭიროა მისი ძირეული გარდაქმნა. საზოგადოების ორგანიზაციის საფუძვლები, თვით სისტემა უნდა შეიცვალოს...

სხვა ზომები? თუმცა შესაძლოა ზოგიერთი მათგანი ძალიან ეფექტურადაც მოგვეჩვენოს, მაგრამ სინამდვილეში ისინი უბრალო პალიატივებია — ჯარიმის დაწესება იგივე იქნება, რომ ტაქსა დავაწესოთ ბუნების გაჭუჭყიანების უფლებაზე. აუცილებელია მთლიანად აღიკვეთოს ეს უფლება, მონოპოლიებმა რომ საზოგადოებას გამოსძალეს, იგი ვერ უთავსდება მსოფლიოს ხალხთა მთავარ უფლებას — სიცოცხლის უფლებას. საერთაშორისო კანონმდებლობამ ისეთივე სანქციები უნდა გაითვალისწინოს, რასაც გენოციდის დროს იყენებენ. მხოლოდ ასე შეიძლება ბუნებასთან დამოკიდებულებაში ადამიანის უფლებათა ქარტიის განხორციელება.

1968 წელს მენეჯერისა და ეკონომისტის დოქტორ აურელიო პეჩეის ინიციატივით შეიქმნა ე. წ. „რომაული კლუბი“, მასში 35 ქვეყნის 70-მდე მეცნიერი გაერთიანდა. მათი მიზანი იყო ისეთი მოდელის შექმნა, რაც თანამედროვე მსოფლიო სისტემის პოტენციალზე დაყრდნობით საშუალებას მოგვცემდა, გამოგვეგონებია და ხანგრძლივ პერსპექტივაში განგვეჭვრიტა ამ სისტემის განვითარების უმთავრესი ელემენტები და მათი ურთიერთზემოქმედება. „რომაული კლუბის“ დაკვეთით მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის სწავლულთა ჯგუფმა, მას დოქტორი დენის მედოუზი ხელმძღვანელობდა, ჩაატარა მნიშვნელოვანი ფუტუროლოგიური კვლევაძიება და მისი შედეგები განაზოგადა ნაშრომში „განვითარების საზღვრები“. მედოუზის ჯგუფი ეყრდნობოდა პროფესორ ფორესტერის კონცეფციას, რაც ჩამოყალიბებულია მის წიგნში „სამყაროს დინამიური სისტემა“. ამ კონცეფციის საფუძველზე გამოტანილი დასკვნების გამოთქმა ერთი ფრაზით ასე შეიძლება:

„თუ დღევანდელი ტემპით გაგრძელდა მოსახლეობის ზრდის, ინდუსტრიალიზაციის, ბუნების გაჭუჭყიანებისა და გამოფიტვის თანამედროვე ტენდენციები, მაშინ ჩვენი პლანეტის განვითარების ზღვრული პოტენციალები უახლოეს ასწლეულში ამოიწურება“. ასეთი პერსპექტივა, ერთი შეხედვით, შეიძლება კატასტროფულადაც მოგვეჩვენოს. ამიტომ ბევრმა სპეციალისტმა, ამ დასკვნის კომენტირებისას, მასში „მეორედ მოსვლის“ წინასწარმეტყველება დაინახა.

„რომაული კლუბის“ მიერ შემოთავაზებული მოდელის განხილვა პროგრესული ფუტუროლოგების ხელში კაპიტალიზმის დაუნდობელ კრიტიკად გადაიქცა. მათი მთავარი დასკვნა ის იყო, რომ დედამიწაზე სიცოცხლის ცივილიზებული ფორმების შენარჩუნება, უფრო მეტიც, თვით არსებობა ადამიანისა. შეუთავსებელია კაპიტალისტურ წყობასთან, რომ საჭიროა მისი შეცვლა ახალი საზოგადოებრივი წყობილებით. თვით მოდელს — ტექნოკრატიული, ელიტარული უწოდეს, რადგან მის განმსაზღვრელ პარამეტრებში არ იყო სპეციფიური ფაქტორები — არც სოციალური დინამიკა, არც ომები, არც იარაღით ვაჭრობა, არც კოლონიალიზმი და იმპერიალიზმი — კრიზისის მთავარზე უმთავრესი მიზეზები. ეს ნაძალადევად აპოლიტიკური მოდელი ერთსა და იმავე ჩარჩოში ათავსებს ნაირსახოვან გეოპოლიტიკურ ფორმებს, მთელ პლანეტაზე ავრცელებს გარემომცველ ბუნებაზე უთანაბრო ზემოქმედებისა და განვითარების პრინციპებს, რაც დღევანდელი ამერიკისთვისაა ნიშან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დობლივი. შეუძლებელი იყო ყოველივე ამას მცდარ, ზერელე დასკვნამდე არ მივეყვანეთ.

ფორესტერ-მედოუზის მოდელი დიდ დავას იწვევს, — გვეუბნება ფუტუროლოგთა მესამე მსოფლიო კონგრესის (1972 წ. ბუქარესტი) აღმასრულებელი დირექტორი პავლე აპოსტოლი, — მაგრამ წამოჭრილი პრობლემა საკმაოდ რეალურია. მსოფლიოში არის განსაზღვრული, უთანაბროდ და უსამართლოდ განაწილებული ფიზიკური და ადამიანური რესურსები, ამიტომ განსაკუთრებული სიმწვავით დაისმის მისი თანაბარუფლებრივი გამოყენების საკითხი. ეს არის უბრალო, იოლად გადასაჭრელი პრობლემა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მის გადასაწყვეტად აუცილებელია თანამედროვე საზოგადოების სტრუქტურის რევოლუციური გარდაქმნა კომუნისტური საზოგადოების სულისკვეთებით...“

კაცობრიობას მუდამ აფიქრებდა ერთი კითხვა: რა გველის მომავალში? დიდხანს ეძებდა ამ კითხვის პასუხს ციურ მნათობებთან, მიმართავდა მკითხავებს, ცდილობდა მისანთა წინასწარმეტყველური სიტყვების ახსნას. დრო გადიოდა, მომავალი კი მუდამ ბურუსით იყო მოცული. მაგრამ იქ, სადაც ხალხმა თავისი ბედი ჩაიბარა, ხვალინდელი დღის შიში ნათელი, უზრუნველყოფილი, ბედნიერი მომავლის რწმენამ შეცვალა. — „ხალხებისა და განსაკუთრებით მთელი კაცობრიობის მომავალზე მსჯელობა, — განაცხადა საბჭოთა ფილოსოფოსმა და სოციოლოგმა მ. ნ. რუტკევიჩმა, — დიდი იმედებით მაშინ გვავსებს, როცა იგი მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებს ეყრდნობა. სწორედ მარქსისტული წინასწარმეტყველება ყველაზე უფრო გაამართლა ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ“. გარემომცველი ბუნება პოლიტიკური პრობლემა არ გახლავთ! მაგრამ განა გაჭუჭყიანებასთან ბრძოლა პოლიტიკური საკითხი არაა? და თუ რომელიმე პოლიტიკური სისტემა წარმატებით და უეჭველი პრიორიტეტით წყვეტს ჩვენი საუკუნის ამ მთავარზე უმთავრეს პრობლემას, განა ამას არ მოაქვს პოლიტიკური შედეგები?

ახალი აპოკალიფსის ერთ-ერთი ე. წ. „შავი ანგელოზი“ ამტკიცებდა: კაცობრიობას 30 საუკუნე დასჭირდა იმისათვის, რომ მომავლის გზაზე ასეთი სიჩქარით ექროლა. დარჩა მხოლოდ 30 წელიწადი, რომ უფსკრულის პირას დამუხრუჭება მოასწროს“.

შეუძლებელია ასეთმა პათეტიურმა, ნაჩქარევმა, ტოტალურმა მსჯავრმა ზოგიერთი გულსუსტი არ დააშინოს, თუმცა ამის მსგავსი წინასწარმეტყველებანი ჩვენი ერის პირველი ათასწლეულის დაწყებამდეც ბევრი ყოფილა. მრგვალი კალენდარული ციფრები მავანს და მავანს მუდამ კატასტროფების მომასწავებლად წარმოუდგება ხოლმე. პირველად არ გაისმის დედამიწაზე მოთქმა „სამყაროს დასასრულზე“, და არც იგია სანთლით საძებარი, ვინც ამას იჯერებს — დიდი პრობლემები მსოფლიოს მუდამ ყოფდა ოპტიმისტებად და სკეპტიკოსებად. მაგრამ თუ ურწმუნოებას წუწუნის მეტი არაფერი უქნია, ოპტიმიზმის მხარეზე ყოველთვის მოქმედება მდგარა.

დამუხრუჭება? შენელება? შეჩერება? უკან დახევა?

არსებობს ერთადერთი გამოსავალი: შეცვლა! და სწორედ ამ „ცვლილებების“ შიშს მიჰყავს ზოგ-ზოგები „უფსკრულის“ იდეამდე, რას ნიშნავს ასეთ ვითარებაში „დამუხრუჭება?“. ფრანგი პროფესორი ჟან დორსტილი გვეუბნება: ეს იმას გავს, საშინელი სიჩქარით მიმქროლავი უზარმაზარი ორთქლმავლის დამუხრუჭება კაცმა ხის პატარა კალაპოტით რომ სცადოსო.

მაგრამ ისრის გადაწევა მოძრაობის მიმართულების შესაცვლელად ნამდვილად საჭიროა. სხვა საშველი არ ჩანს.

□

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ჩვენი ავტორები

**ჰუგო რასი**—ბელგიელი მწერალი, დაბადებულია 1929 წელს. მის კალამს ეკუთვნის რომანები: „ზარმაცი მეფეები“, „ყინულისჩლიქებიანი ფავნი“, „მოგზაურობა ანტიდროში“ და მოთხრობების კრებულები: „დროებითი ძეგლი“, „ვერტმფრენის სამარშრუტო ხაზიდან მარცხნივ“. ნოველა „ჩიხებული კონიუნქტურა“ ამ უკანასკნელი კრებულიდანაა ამოღებული. ჰუგო რასის შემოქმედების დამახასიათებელი ნიშანია ყოველდღიურობიდან არაჩვეულებრივის, ხანდახან ფანტასტიკურის გამორჩევაც კი. მას პარადოქსამდე დაჰყავს ბურჟუაზიულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა არაადამიანური რეალობის ლოგიკა. „მე მუდმივად ვმოძრაობ მშვენიერსა და საზარელს შორის. ეს უკანასკნელი მოცემულ შემთხვევაში იმ საზოგადოებითაა წარმოდგენილი, რომლის მსხვერპლადაც დიდი ხანია მიმაჩნია ჩემი თავი“,— ამბობს მწერალი.

ჰ. რასის პროზა ცნობილია ბელგიის საზღვრებს გარეთაც. ჰუგო რასი ფლამანდიურ ენაზე წერს. ქართულად იგი პირველად ჭვეყნდება.

**ბიკენტი ვერესაევს** — „რუსეთ—იაპონიის ომის“, „ორასი მოუგონარი მოთხრობის“, უამრავი კრიტიკული და პუბლიცისტური წერილის ავტორს, — მწერალს, რომელმაც პირველი ნაწარმოები გასული საუკუნის 80-იან წლებში გამოაქვეყნა, მერე თითქმის სამოცი წელიწადი თავდაუზოგავად იშრომა სამწერლო ასპარეზზე, ხოლო 1943 წელს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატობა მიენიჭა, — ამ მწერალს დიდი ლიტერატურული სახელი „ექიმის ჩანაწერებმა“ მოუტანა. ჭეშმარიტად იშვიათია წიგნი, რომელსაც ასე შეეძრას თანამედროვენი, აზრთა ასეთი მძაფრი შეხლა-შემოხლა გამოეწვიოს და მერე, როცა პირველი ვნებათა ღელვა მიწყნარდა, საზოგადოებრიობის ასეთი სრული და საყოველთაო აღიარება მოეპოვებინოს.

1901 წლიდან მოყოლებული, როცა „ჩანაწერები“ პირველად დაიბეჭდა, ექიმთა მრავალმა თაობამ იგი სამაგიდო წიგნად გაიხადა და მასში ყოველთვის პოულობდა თვალსაჩინო მაგალითებსაც, მკაცრ და დროულ გაფრთხილებასაც, გამამხნევებელ დასკვნებსაც და მეგობრულ მხარდაჭერასაც.

ახლა „ექიმის ჩანაწერების“ ქართულად თარგმნა და გამოქვეყნება ზოგს იქნებ ნაგვიანევადაც ეჩვენოს. მართლაც, ბევრი სოციალური პრობლემა, რომელიც ამ წიგნის ავტორს აწუხებდა, ახლა სამუდამოდაა გადაჭრილი, ძირფესვიანად შეიცვალა ექიმის მომზადების და მოღვაწეობის სოციალური გარემო, სამკურნალო საქმიანობის მატერიალური პირობები, მედიკოსთა თეორიული და პრაქტიკული აღჭურვილობის დონე... მაგრამ ეს სრულიადაც არ მოასწავებს იმას, თითქოს ვერესაევის წიგნი მოძველებული იყოს. ძიების პათოსი, უკომპრომისო სიწრფელე, მოქალაქეობრივი გამბედაობა, სპეციალური ცოდნის მაღალი დონე და ჭეშმარიტი მხატვრულობა,— აი, ის თვისებები, რომელნიც „ჩანაწერებს“ დღესაც დიდ მომხიბლაობას ანიჭებს. და საერთოდაც არ შეიძლება, რომ შთამომავლებს სრულიად არაფერში გამოადგეთ ის წიგნი, რომელმაც ასე შესძრა თავისი თანამედროვენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# «САУНДЖЕ»

литературно-художественный
альманах
(на грузинском языке)

1976
№ 4

Издательство «Мерани»
380008. Тбилиси, пр. Руставели, 42.

□ □ □

გადაეცა წარმოებას 18/VI-76 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 2/VIII-76 წ. ქაღალდის ზომა 70×108¹/₁₆. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 16,773. ნაბეჭდი თაბახი 21. ტირაჟი 10 000. შეკვ. № 556.

ფასი 1 მან.

მხატვრული რედაქტორი ლევან ცუცქირიძე
მხატვარი აკაკი თევზაძე
ტექრედაქტორი რევაზ იმნაიშვილი

□ □ □

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Государственного комитета Совета Министров Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли.
Тбилиси, ул. Марджанишвили № 5.